# მაცნე

675-ფ
1972 /2

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

4.1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
## საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

# АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
## Отделение общественных наук

12096

თბილისი · 1972 · ТБИЛИСИ

# МАЦНЕ
## ВЕСТНИК

Серия философии
психологии
экономики и права

4. 1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მაცნე

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

4.1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. *(редактор)*,
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. *(зам. редактора)*, Гугушвили П. В., Тевзадзе Г. Б.,
Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## სსრკ-ის 50 წლისთავი

ა ციმინტია, კომუნიზმი — საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი ფორმა . . . 7
ა. მენაბდე, სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმია . . . 19
ა. ჩანტლაძე, სომხეთის სსრ კომუნალური მეურნეობის ეკონომიკა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში . . . . . . . . . . . . . 30

## ფილოსოფია

დ. ზუმბაძე, დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი . . . . . . . 43
ლ. ჩანტლაძე, შემოქმედების პრობლემა ნიკოლაი ბერდიაევის ფილოსოფიაში . . . 76
ნ. ხახაშვილი, იდეალიზმის კრიტიკა ჩერნიშევსკის შრომებში . . . . . . 89

## ფსიქოლოგია

დ. ჩარკვიანი, დამარწმუნებელი ცნობით შექმნილი კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხები და სოციალური განწყობის შეცვლა . . . . . . 101

## ეკონომიკა

ა. ჯიბუტი, მარქსიზმ-ლენინიზმი სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . 117
ე. გელხვიიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს აგრარული წყობილების შესახებ . . . . . . . . . . . 130
თ. ჩიკვაიძე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალიზმის ეკონომიური ხელისუფლების მთავარი ცენტრები და რურის მონოპოლიები . . . . . 143

## სამართალი

ი. სურგულაძე, მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ . . . . . . . 156
მ. უგრეხელიძე, გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის . . . . 170

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. ბოჭორიშვილი. შენიშვნა ერთი უზუსტობისა გამო ი. კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკის“ რუსულ თარგმანში . . . . . . . . . . . . 185
ი ტაბაღუა, „რუსების ელჩობანი ქართველ მეფეებთან 1589—1605 წწ.“ . . . 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

### 50 ЛЕТ СССР

А. Б. ЦИМИНТИЯ, Коммунизм—высшая форма общественного прогресса . 7
А. И. МЕНАБДЕ, Образование СССР—торжество ленинской национальной политики . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
А. Э. ЧАНТЛАДЗЕ, Экономика коммунального хозяйства в Армянской ССР в период построения социализма . . . . . . . . . . . . 30

### ФИЛОСОФИЯ

Д. Ш. ЗУМБАДЗЕ, Дионисий Ареопагит и Данте Алигьери . . . . 41
Р. А. ЧАНТЛАДЗЕ, Проблема творчества в философии Николая Александровича Бердяева . . . . . . . . . . . . . 76
Г. А. ХАХАШВИЛИ, Критика идеализма в трудах Чернышевского . . . 89

### ПСИХОЛОГИЯ

Д. А. ЧАРКВИАНИ, Созданные убеждающим, сообщением степени коммуникаторного противоречия и смена социальной установки . . . 101

### ЭКОНОМИКА

А. С. ДЖИБУТИ, Марксизм-ленинизм о размещении и специализации сельскохозяйственного производства . . . . . . . . 117
Е. М. ГЕЛХВИИДЗЕ, Филипе Гогичаишвили об ограрном строе Грузии в начале XX века . . . . . . . . . . . . . 130
Т. Н. ЧИКВАИДЗЕ, Главные центры экономической власти империализма ФРГ и монополии Рура . . . . . . . . . . . . . 140

### ПРАВО

И. И. СУРГУЛАДЗЕ, Об институте мамасахлиси (старшина) . . . 156
М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, К вопросу о психологической природе неосторожности . 170

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. БОЧОРИШВИЛИ, Об одной неточности в русском переводе «Критики сила суждения» И. Канта . . . . . . . . . . . . . 185
И. М. ТАБАГУА, Русские посольства при грузинских царей 1589—1605 гг . 191

# სსრკ—50—СССР

აკაკი ციმინტია

## კომუნიზმი — საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი ფორმა

I. მარქსიზმი ამტკიცებს კომუნისტური საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიულ აუცილებლობას, იგი თვლის, რომ კომუნიზმი ისტორიის მთელი განვითარებითაა პირობადებული და, მაშასადამე, როგორც რეალური აუცილებლობა არ გამოიყვანება ადამიანის „კეთილი გონებიდან". რა ადგილს დაიჭერს მომავალი კომუნისტური საზოგადოება ადამიანთა სოციალურ ევოლუციაში, იქნება თუ არა იგი ამ ევოლუციაში განვითარების მაღალი საფეხური, საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი ფორმა? ამ კითხვას მარქსიზმის აშკარა თუ ფარული მტრები უარყოფითად უპასუხებენ. ისინი სოციალიზმისა და კომუნიზმის განხორციელებაში პროგრესს კი არა ხედავენ, არამედ, — პირიქით, — რეგრესს, რამდენადაც იგი აუქმებს კერძო საკუთრებას, რომელიც, მათი აზრით, ადამიანის თავისუფლების რეალური საფუძველია. ვინ არის მართალი? იმის დასადგენად, არის თუ არა კომუნიზმი საზოგადოებრივი წყობის მაღალი საფეხური, უსათუოდ უნდა არსებობდეს „ათვლის სისტემა" — რაღაც კრიტერიუმი, რომლის მეშვეობით გაირკვევა მისი პროგრესულობა-რეგრესულობა. **სოციალური პროგრესის ასეთი კრიტერიუმი ადამიანის არსებაა.**

საზოგადოება მარადიულ ცვალებადობაშია. ეს ცვალებადობაა სწორედ ადამიანთა ისტორია: *ისტორიაში რაღაც ხორციელდება და ის, რაც მასში ხორციელდება, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის არსება; სხვა შინაარსი ადამიანთა ისტორიას არა აქვს.* ერთი სიტყვით, ადამიანის არსება უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ათვლის ის წერტილი, საიდანაც შეგვიძლია ყოველი სოციალური პროცესი დავახასიათოთ ან როგორც პროგრესული ან როგორც რეგრესული. სოციალური ევოლუციის ათვლის წერტილად ადამიანის არსების დასახვა თვით პროგრესის ცნებასაც ნათელსა და გასაგებს ხდის. *თუ ისტორიული ევოლუციის შინაარსი და დანიშნულება ადამიანის არსების განხორციელებაა, ცხადია, პროგრესის ცნების შინაარსი მხოლოდ მასთან მიმართებაში შეიძლება დადგინდეს.* პროგრესის ცნება, ადამიანის არსების პოზიციებიდან შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: **სოციალური ევოლუცია,** *რომელშიაც რეალიზირდება ან რომლის საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის არსება, არის* **პროგრესი.**

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია იმისი ჩვენება, რომ კომუნიზმი როგორც რეალური მოძრაობა, როგორც ადამიანთა განსაზღვრული საზოგადოებრივი ასოციაცია სოციალური ევოლუციის პროცესში წარმოადგენს პროგრესის უმაღლეს საფეხურს. პროგრესის ცნების ზემოთ აღნიშნული გაგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ, ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იქნებოდა გაგვერკვია შემდეგი საკითხი: რა არის ადამიანის არსება და რა მიმართებაშია იგი კომუნიზმთან. თუ დასაბუთდება, რომ კომუნიზმი ადამიანის არსების განხორციელებაა, მაშინ ნათელი გახდება თეზისი კომუნიზმის როგორც საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი ფორმის შესახებ. კონკრეტულად, რა გზით უნდა დასაბუთდეს მოცემული თეზისის მართებულება?

*ისტორიის მარქსისტული გაგება პროვიდენციალიზმის ნეგაციაა.* მარქსიზმის თანახმად, ისტორიას ადამიანები ქმნიან თავიანთი არსების მიხედვით. უაზრობა იქნებოდა, რომ ადამიანებს ისტორია საკუთარი არსების საწინააღმდეგოდ ექეთებინათ. ყოველთვის და ყველა შემთხვევაში ადამიანთა სოციალური მოქმედება მიმართულია მათი საკუთარი არსების განხორციელებისაკენ. ადამიანი ყოველთვის ესწრაფვის, რომ მტკიცედ დაამკვიდროს თავისი თავი სამყაროში, განახორციელოს თავისი თვითარსებობა, თავისი თვითყოფიერება.

ისტორია დროის განზომილებაში მოცემული ადამიანის სოციალური მოქმედებაა, მიმართული საკუთარი არსების განხორციელებისაკენ. ისტორიის არსებობის ფაქტი აიხსნება იმით, რომ ადამიანის არსება დროის მოცემული მომენტისათვის განუხორციელებელი რჩება. ადამიანის არსებობა და მისი არსება არ ემთხვევა ერთი მეორეს. ისტორიის ფაქტს არსებობის საფუძველი გამოეცლებოდა, ადამიანის არსებობა თავიდანვე, მისი საკუთარი არსების შესატყვისი რომ იყოს; სანამ ეს არ განხორციელდება, ისტორია თავის დანიშნულებას ვერ აღწევს: ვერ ახორციელებს ადამიანის არსებას, მაშასადამე, თავის საკუთარ არსებას. ამრიგად, *ისტორიის საზრისი ადამიანის არსების განხორციელებაში მდგომარეობს, ადამიანის არსება კი ისეთი ყოფიერების განხორციელებაა, რომელსაც საფუძველი საკუთარ თავში აქვს.* ადამიანი ესწრაფვის გახდეს causa sui, თავისი ყოფიერების თვითგანმსაზღვრელი და ამდენად არ იყო დამოკიდებული ბრმა და გარეგან ძალებზე, ადამიანი ამას მიაღწევს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მთლიანად დაიმორჩილებს ბუნების ძალებს, შექმნის ისეთ სოციალურ ასოციაციას, რომელიც მისი საკუთარი არსების შესაფერისი იქნება.

ადამიანის არსების ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ ჩვენ წინაშე შემდეგი საკითხი დგება: რა მიმართება არსებობს ადამიანის არსებასა და კომუნიზმს შორის? რამდენად გარდუვალია კომუნიზმი ადამიანის არსებასთან მიმართებაში? როგორც ცნობილია, მარქსამდელი მოაზროვნეები, ძალზე ხშირად, მკაცრად აკრიტიკებდნენ არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას, რამდენადაც მასში ნათლად ამჩნევდნენ აშკარა უსამართლობას, რაც კერძო საკუთრების არსებობის საფუძველზე ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაში მდგომარეობდა, მათი აზრით, ეს ვითარება არ არის სამართლიანი. ადამიანები ბუნების წინაშე თანასწორნი იბადებიან, მხოლოდ შემდეგ წარმოიქმნება მათ შორის უკუღმართი ურთიერთობანი, რაც არ შეესაბამება ადამიანის საერთო ბუნებას. აქედან, უმთავრესად ეთიკური მოტივებით, კეთდებოდა შემდეგი დასკვნა: საჭიროა მოისპოს „ადამიანის ბუნებასთან“ შეუთავსებელი სოციალური ვითარება. როგორ ესმოდათ მარქსის წინამორბედებს ადამიანის ბუნება, რომელსაც ისინი ადამიანის ყოველგვარი სოციალური საქმიანობის უზენაეს საზომად აცხადებდნენ? „ადამიანის ბუნების“ ცნებაში მარქსის წინამორბედებს სხვა არაფერი ესმოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა ადამიანის გონება; ადამიანის გონების განვითარებაზეა დამოკიდებული სოციალური ცხოვრების ცვალებადობა.

კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ არ არსებობს არავითარი უცვლელი ბუნება ადამიანის გონების სახით. გონების მარადიული იდეები, ვთქვათ — სამართლიანობისა, საბოლოო ანგარიშით, აიხსნება ადამიანის სწრაფვით თვითყოფიერებისაკენ. ამ თვალსაზრისით, სამართლიანია ის იდეა, რომელიც ადამიანთა გვარის ამ ობიექტურ ტენდენციას უწყობს ხელს. გონება ადამიანის მხოლოდ ერთ-ერთი ქმედითი ძალაა მისი საკუთარი არსების განხორციელებისათვის. გონებისა და მისი შინაარსის პრაქტიკული ბუნება და დანიშნულება, მარქსის კონცეფციის თანახმად, სწორედ ამაში მდგომარეობს. მარქსის თეზისი კომუნიზმის როგორც ადამიანის არსების შესაბამისი საზოგადოების შესახებ სრულ თანხმობაშია კომუნიზმის ისტორიულ აუცილებლობასთან, რადგანაც, მარქსის თანახმად, ისტორიული აუცილებლობა, ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის არსების განხორციელების ობიექტური პროცესი.

კომუნისტური საზოგადოების აუცილებლობის მტკიცებას მარქსის კრიტიკოსები ისტორიისადმი გარეგან ძალდატანებად თვლიან. ეს სრულებითაც არ გამოხატავს მარქსის ისტორიული თეორიის ზემოაღნიშნულ გაგებას. უკანასკნელის თანახმად, კომუნიზმი სრულებითაც არაა პროკრუსტეს სარეცელი, რომელსაც ისტორია უნდა შეესატყვისოს. იგი მაშინ იქნებოდა ასეთი, თუ მას ისტორიის მიმართ გარეგან ძალად მივიჩნევდით. *კომუნიზმი არ არის გარეგანი ძალა ისტორიის მიმართ, ისტორია ადამიანის არსების განხორციელების ისტორიაა და, რამდენადაც კომუნიზმი ადამიანის არსების შესატყვისი სოციალური ასოციაციაა, უკანასკნელი არ შეიძლება პირველის მიმართ უცხო და გარეგანი ძალა იყოს.*

მარქსიზმის კრიტიკოსები ამ შემთხვევაში იმ გარემოებას აქცევენ მთავარ ყურადღებას, რომ მარქსის მიერ კომუნიზმის წარმოშობის აუცილებლობა წარმოების განვითარების ანალიზს ემყარება. მარქსი ყოველი საზოგადოებრივი წყობის ფიზიონომიის ასახსნელად წარმოებას მიმართავს, მას ადამიანთა კომუნისტური ასოციაციის ისტორიული გარდუვალობა წარმოების საზოგადოებრივ წარმოებად გადაქცევის აუცილებელი ტენდენციიდან გამოყავს. მარქსი ფაქტიური მასალის ანალიზს ახდენს და მის განზოგადოებას იძლევა. მისი ბრალი სრულებითაც არ არის ის, რომ წარმოების საზოგადოებრივ წარმოებად გადაქცევა აუცილებლობით მოითხოვს მისი გარსის — ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის გაუქმებას და ახალი კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრებას. მარქსს მისი კრიტიკოსები ედავებიან იმ მხრივ, რომ მან წარმოებას, ეკონომიკას მიაქცია მთავარი ყურადღება და მხედველობიდან გაუშვა მთავარი — ადამიანი. ეს კი მარქსის თეორიის აშკარა გაყალბებაა. მარქსი იკვლევდა წარმოებას, კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკას, იგი ეძებდა შრომისა და კაპიტალის გათიშვის მიზეზებს და სრულებითაც არ თვლიდა წარმოებას თვითმიზნად. წარმოება მისთვის ყოველთვის რჩება საშუალებად ადამიანის თვითგანხორციელებისათვის, ადამიანის ემანსიპაციისათვის, ადამიანის არსების განხორციელებისათვის და, თუ მარქსმა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მოანდომა ბურჟუაზიული წარმოების წესის გამოკვლევას, ეს, როგორც ითქვა, იმისათვის, რათა დაედგინა შრომისა და შრომით შექმნილი დოვლათის გათიშვისა და, მაშასადამე, ადამიანის უბედურების გამომწვევი მიზეზები. კ. მარქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებაში, — ადამიანის მიერ ბუნების რაციონალურ დამორჩილებაში, — ხედავდა ადამიანის არსების განხორციელების მთავარ საშუალებას. მაგრამ არა ყოველგვარი წარმოებით ხდება ადამიანის ემანსიპაცია, არამედ — მხოლოდ კომუნისტური წარმოებით. წარმოება, ეკონომიკა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანის ადამიანზე ბატონობის საშუალებად ხდება, აი, სწორედ ეს უკუღმართი ვითარება უნდა იქნას გაუქმებული. წარმოება, ადამიანის ადამიანზე ბატონობის საშუალებანი, საერთოდ, ადამიანის ემანსიპაციის, ადამიანური ძალების გაშლის, ადამიანის თვითყოფიერების დაფუძნების საშუალებად უნდა გადაიქცეს და, რამდენადაც კომუნიზმის მიზანი მხოლოდ ამ უკანასკნელი ვითარების რეალიზაციაში მდგომარეობს, იგი სრულებითაც არაა ისეთი ძალა, რომელიც ისტორიას, როგორც უცხო აუცილებლობა, გარედან აქვს თავს მოხვეული.

დღემდე არსებული ყოველი საზოგადოებრივი წყობა ისტორიის მაგისტრალურ შარაგზაზე წარმოადგენდა ადამიანისა და, მაშასადამე, ისტორიის არსების განხორციელების ისტორიულად განსაზღვრულ საფეხურს. პირველი საფეხური ადამიანის არსების განხორციელების გრძელ გზაზე არის თემურ-გვაროვნული წყობილება. ადამიანთა ამ პირველყოფილი ასოციაციით ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამყაროს. შრომის იარაღების პირველადი სახეების დამზადებით, ცნობიერებითა და ენით, მოხდა ადამიანის პირველი დიდი ემანსიპაცია: იგი განთავისუფლდა გარეგანი ბუნებრივი პირობების უშუალო გავლენისაგან. ადამიანმა თვით იწყო იმის კეთება, რაც მას სჭირდებოდა და ბუნება არ უწყალობებდა მზამზარეულად. ეს აქტი, მართალია, თავდაპირველად უაღრესად პრიმიტიულ ფორმაში, მაგრამ მაინც დამახასიათებელი გახდა ადამიანისათვის. ამით მან მოახდინა უდიდესი ნახტომი ბუნებასთან ცხოველური დამოკიდებულებიდან ადამიანური დამოკიდებულებისაკენ. ამ აქტით ჩაეყარა საფუძველი ადამიანის თვითყოფიერების განხორციელებას. შემდეგი ნაბიჯები, გადადგმული ამ მიმართულებით, იყო მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილებები, სადაც ადამიანის ემანსიპაცია პირველყოფილ ფორმასთან შედარებით მაღალ საფეხურზე ავიდა. უფრო მაღალ საფეხურს ადამიანის ყოფიერების თვითგანსაზღვრის საქმეში წარმოადგენდა წარმოების ბურჟუაზიული წესი: ახალი დროის წარმოება, ბუნების სტიქიური ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენების მანამდე არნახული ტემპები, ადამიანის თვითტერმინაციაზე მეტყველებს, მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში ადამიანის თვითგანხორციელებას ხელს უშლის ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა უარყოფითი გავლენა აშკარა ხდება საკუთარი არსებისაგან ადამიანის გაუცხოებით. **სოციალიზმი** აბრუნებს ადამიანს საკუთარ არსებასთან, იწყება ადამიანის ყოფიერების თვითგანსაზღვრის დაუბრკოლებელი წინსვლა, რომელიც თავის სრულ და მაღალ ფორმას კომუნისტურ საზოგადოებაში აღწევს.

II. როგორ და რა გზით მიიღწევა კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანის არსების განხორციელება? რა წინასწარი პირობებია საჭირო მისი რეალიზაციისათვის? კომუნიზმის არსება, სულ მოკლედ, შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა შემდეგნაირად: **კომუნიზმი** არის ისეთი საზოგადოება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადამიანი, მისი ყოველმხრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ემანსიპაცია, მისი თვითყოფიერების უზრუნველყოფა.

როგორია, კონკრეტულად, ის გზები და საშუალებანი, რითაც კომუნიზმი თავის ამოცანას აღწევს? რა წინასწარი პირობების განხორციელებაა საჭირო კომუნიზმის საბოლოო მიზნის რეალიზაციისათვის?

გარემო, რომელიც ადამიანს მზა ფორმით ხვდება და წარმოადგენს მისი არსებობისა და მოქმედების აუცილებელ პირობას. არის ბუნება. ბუნება, თავისი კანონების მიხედვით, ქმნის ადამიანს როგორც ბიოლოგიურ არსებას. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, აბსოლუტურად განსაზღვრულია გარემოთი. ადამიანის ემანსიპაცია სწორედ ამ აბსოლუტური განსაზღვრულობის მოხსნით უნდა დაიწყოს და ეს ხდება მისი სოციალურ არსებად გადაქცევის გზით, მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი აქტივობის — შრომის საშუალებით. ადამიანს და ბუნებას შორის ექცევა წარმოება, ეს უკანასკნელი არის სწორედ ადამიანის თვითყოფიერების განხორციელების ერთადერთი საშუალება, ადამიანის თვითგანსაზღვრულობის პირველსაწყისი. პირველი ძირითადი აქტი, რომელიც კომუნისტურმა საზოგადოებამ უნდა განახორციელოს, ეს არის ბუნების სტიქიური ძალების დამორჩილება და მასზე მკაცრი კონტროლის დამყარება. ადამიანის ბუნებასთან დავას, ადამიანის ემანსიპაციის დიდ გზაზე ამ პირველ ძირითად აქტს წყვეტს სოციალიზმი — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით. რა ძირითად მომენტებს გულისხმობს ეს უკანასკნელი?

პირველი ძირითადი მომენტი, რომელსაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს, ეს არის მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნა. წარმოების მიზანია ადამიანი და მისი მოთხოვნილებები. წარმოების შეუფერხებელი მძლავრი მუშაობის საფუძველი კი ენერგეტიკაა. თავდაპირველი ბრძოლა ადამიანმა ბუნებას საკუთარი კუნთებით გაუმართა, ათასეული წლების განმავლობაში ებრძოდა ადამიანი ბუნებას კუნთებითა და შრომის პრიმიტიული იარაღებით, უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე წარმოუდგენელი ცვლილებები მოხდა: ადამიანმა თავისი კეთილდღეობის სამსახურში რიგრიგობით ჩააყენა ორთქლისა და შიგაწვის ძრავა, ელექტრობა და ატომური ენერგია, ენერგიის ახალ-ახალი წყაროების გამოყენებამ განუზომლად გაზარდა ადამიანის ძლიერება.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ენერგეტიკის მძლავრ განვითარებას გულისხმობს. განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს ელექტრული ენერგიის გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოების თანამედროვე პირობებში ელექტროენერგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გულისხმობს ლენინის ცნობილი გამოთქმა: „კომუნიზმი ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“, რომელიც ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის შექმნის სახელმძღვანელო იდეად არის გადაქცეული. როგორც ცნობილია, თანამედროვე წარმოებაში ელექტრული ენერგიის ძირითადი წყარო არის სათბობი და წყლის ენერგია, რომელთა მარაგი ჩვენი პლანეტის პირობებში არ არის განუსაზღვრელი: სულ რაღაც ერთი საუკუნეა საჭირო იმისათვის, რომ ამოიწუროს დღემდე ცნობილი ყველა წიაღისეული სიმდიდრე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი გარკვეული პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას — ეძიოს ენერგეტიკის ახალი, პრაქტიკულად ამოუწურავი რესურსები. ადამიანის გენიის ამ მიმართულებით მეცადინეობა წარმატებით დაგვირგვინდა, ადამიანმა მიაგნო ენერგიის ისეთ პრაქტიკულად ამოუწურავ წყაროს როგორიცაა შიგაატომური ენერგია. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელსაც ენერგიის მომავალი ათვისების ტექნიკური გაანგარიშება გვიჩვენებს: თუ ჩვენს პლანეტაზე ენერგეტიკული რესურსების ადამიანის სამსახურში ჩაყენება იმ ტემპებით განვითარდა, რასაც ჩვენს ქვეყანაში აქვს ადგილი, მაშინ ერთი საუკუნის შემდეგ ელექტროენერგიის წარმოება, დღეისათვის არსებულ დონესთან შედარებით, ათიათასჯერ გაიზრდება. ეს საშუალებას მისცემს ადამიანებს თავიანთი სურვილის მიხედვით მართონ და გამოიყენონ მიწა და წყალი, ჰაერი და კლიმატი. ქვეყნის სრული ელექტროფიკაცია, რომელიც დასახულია ქვეყნის ეკონომიური განვითარების პერსპექტიული გეგმებით, შექმნის რეალურ პირობებს მრეწველობის ისეთი გადამწყვეტი დარგების ჯერ არნახული და შეუფერხებელი განვითარებისათვის, როგორიცაა: მძიმე ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და სახალხო მეურნეობის სხვა მრავალი დარგი.

ენერგეტიკის მძლავრი ტემპებით განვითარება უსათუოდ გამოიწვევს ღრმა თვისებრივ ცვლილებებს წარმოების მთელ პროცესში. ადამიანის მიერ ბუნების კოლოსალური ძალების გამოყენებას როგორც აუცილებელი შედეგი თან სდევს წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის განსაკუთრებული სრულყოფა, რაც, უწინარეს ყოვლისა, მის ავტომატიზაციასა და მექანიზაციაში გამოიხატება. ამიტომაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ორგანულად მოითხოვს ავტომატიზებული ტექნიკის დანერგვასა და სრულქმნას. წარმოების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს წარმოებაში; განუზომლად დიდდება შრომის ნაყოფიერება, იაფდება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და, რაც მთავარია, წარმოების მუშაკი თავისუფლდება მძიმე ფიზიკური შრომისაგან. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სრული დანერგვით ადამიანს შეუძლია, ბუნებას თავისივე საკუთარი ძალებით აკეთებინოს ის, რაც მას სურს თანამედროვე მანქანების, განსაკუთრებით ავტომატიკის, ტელემექანიკის და ელექტრონიკის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების მუშაკს აძლევს წარმოებისაგან თავისუფალი დროის დიდ რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, უდიდესი სოციალური ფაქტორი ხდება ახალი, ყოველმხრივად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

ბევრი ბურჟუაზიული სოციოლოგი წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში ხედავს არა წინსვლას, არამედ უკუსვლას, რამდენადაც თანამედროვე წარმოება მნიშვნელოვნად ამცირებს ფიზიკურ შრომაში დასაქმებული წარმოების მუშათა რაოდენობას და გამოთავისუფლებულ მუშახელს მიერეკება ქუჩაში, უმუშევართა რიგებში, ამ შემთხვევაში დავიწყებულია ის სოციალური გარემო, რომელშიც მატერიალური დოვლათი იწარმოება. ცხადია, ისეთ სოციალურ სიტუაციაში, სადაც წარმოების მიზანია მოგება და არა — ადამიანი ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების გაუმჯობესების მიზანი ადამიანია და, მაშასადამე, მისი უზრუნველყოფა მეტი მატერიალური დოვლათით ნაკლებ დროში, წარმოების მუშაკის განთავისუფლება მძიმე ფიზიკური შრომისაგან, სწორედ, ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი საშუალებაა ადამიანის ემანსიპაციისა, მისი განთავისუფლებისა ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით გამოწვეული მუდმივი ზრუნვისაგან.

შემდეგი ძირითადი მომენტი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში არის წარმოების ქიმიზაცია. თანამედროვე წარმოება წარმოუდგენელია ქიმიზაციის გარეშე, ე. წ. „ნატურალური რესურსებით“ კაცობრიობა შორს ვერ წავა. რესურსების შექმნაზე თვითონ ადამიანმა უნდა იზრუნოს, ე. ი. უნდა გააფართოვოს ნედლეულის ბაზა, შექმნას ახალი მასალები, რომლებიც ხარისხით ბევრად უკეთესი იქნებიან ბუნებრივ მასალებთან შედარებით. ქიმიამ, მართლაც, წარმატებით დაიწყო ამ ამოცანის გადაწყვეტა: მიღებულია თანამედროვე პოლიმერები, პლასტიკური მასალები, ხელოვნური კაუჩუკი, ბოჭკო და მრავალი სხვა სინთეტიკური მასალა. წარმოების ქიმიზაციის აუცილებლობაზე სკკპ ახალ პროგრამაში ნათქვამია: „ერთ-ერთი უაღრესად დიდი ამოცანაა, ყველა ღონისძიებით განვავითაროთ ქიმიური მრეწველობა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სრულიად გამოვიყენოთ მიღწევები თანამედროვე ქიმიისა, რომელიც უაღრესად აფართოებს სახალხო სიმდიდრის ზრდის, წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი და იაფი საშუალებების და სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების შესაძლებლობას. ლითონს, ხეს და სხვა მასალებს სულ უფრო მეტად შეცვლის ეკონომიური, პროგრესული და მსუბუქი სინთეზური მასალებით“[1].

დაბოლოს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა. კომუნისტური წარმოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს შეიქმნას დღემდე არნახული სიუხვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საბოლოოდ ააშოროს ადამიანებს შიში შიმშილის წინაშე, რისგან თავის დაღწევისათვის მუდმივი ზრუნვა აბეჩავებდა და აკნინებდა ადამიანურ ძალებს, არ აძლევდა მათ გაშლის საშუალებას. კომუნიზმი თავისი მძლავრი მრეწველობითა და ტექნიკით ძლევს ბუნების კაპრიზებს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა უხვი წარმოებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ყველა მთავარი მომენტი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა, მთლიანობაში აღებული, იქნება უდიდესი ამოცანის განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის საფუძვლიანი გაბატონება ბუნებაში. თავისთავად ცხადია, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შეუძლებელია მეცნიერების განვითარების უაღრესად მაღალი დონის გარეშე. ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არის დღემდე უნახავი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნე.

მეცნიერება ჩვენს დროში ძალზე ეფექტურ საწარმოო ძალად გადაიქცა და ეს გასაგებიცაა. ბუნების საიდუმლოებათა გახსნა იძლევა ადამიანის ბუნებაზე ნამდვილი გაბატონების შესაძლებლობას და, ამ აზრით, მეცნიერაბა უშუალოდ ჩართულია წარმოების პროცესში. ეს ითქმის არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ წარმოების პროცესთან, არამედ

---

[1] სკკპ პროგრამა, თბილისი, 1967, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ მეცნიერებათა შესახებაც: სოციალური მოვლენების წარმოშობისა და განვითარების სწორი და ზუსტი ასახვა საშუალებას აძლევს ადამიანს, რომ მან რაციონალურად მართოს ისინი და, მაშასადამე, საკუთარი არსების შესაფერისი მიმართულება მისცეს მათს ცვალებადობას. ორივე შემთხვევაში ცოდნა ადამიანს ემსახურება და წარმოადგენს მისი ყოველმხრივი ემანსიპაციის აუცილებელ საშუალებასა და ძალას. ადამიანის ყოველმხრივი ემანსიპაციით, რაც კომუნიზმის პირობებში განხორციელდება, განუზომლად გაიზრდება მეცნიერების განვითარების შესაძლებლობები. ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მონური ზრუნვისაგან განთავისუფლებული ადამიანთა უდიდესი მასები თავიანთ ფიზიკურ და სულიერ ძალებს მოახმარენ შემოქმედებით-მეცნიერულ საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაზრდის ადამიანის ბუნებაზე ბატონობის ძალას.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, გასაგებია, მაგრამ აქ შეუძლებელია, არ დავაყენოთ ერთი საკითხი, რომელსაც უსათუოდ აქვს უშუალო ორგანული კავშირი ადამიანის ბუნებაზე გაბატონების პრობლემასთან: სადამდე შეუძლია ადამიანს, შეიჭრას თავისი გარდამქმნელი საქმიანობით ბუნების წიაღში? არსებობს, ამ მიმართულებით, მისთვის განუსაზღვრელი შესაძლებლობები, თუ მისი მოქმედების არე შემოსაზღვრულია? ადამიანის ისტორია არის ბუნებასთან ბრძოლის ისტორია, ბუნების სტიქიური ძალების დამორჩილების ისტორია; ვინ გამოვა ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული? ხომ არ ურტყამს ადამიანი თავისი გარდამქმნელი საქმიანობით ბუნებას სასიკვდილოდ? ჩვენი პლანეტა კოსმოსური სხეულია, აღჭურვილი სიცოცხლისათვის საჭირო ყველა რესურსით; რა მოელით ამ რესურსებს? — აი, ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა ჩვენი საუკუნისა. მრეწველობის მძლავრი განვითარება, რასაც ითვალისწინებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, დღის წესრიგში აყენებს მეორე მტკივნეულ პრობლემასაც: სად წაიღოს ადამიანმა აურაცხელი ნარჩენი? განსაკუთრებული სიმწვავით დგას, როგორც ამას ეკოლოგები აღნიშნავენ, ბიოსფეროს პრობლემა.

ერთი სიტყვით, პრობლემა დგას ასე: ხომ არ მოელით ადამიანებს გადაშენებული დინოზავრების ბედი? იქნებ ადამიანი თანდათან შეეგუოს ტექნიკისა და ცივილიზაციის განვითარებით გამოწვეულ ბიოსფეროს ცვლილებებს და თავიდან აიცდინოს ბიოლოგიური კატალიზმები? მართალია ადამიანს აქვს საოცარი უნარი შეცვლილი გარემოსადმი შეგუებისა, მაგრამ არ უნდა დავრჩეთ ამ უნარისადმი ზედმეტად მინდობილნი. გამაფრთხილებლად ჟღერს, ამ შემთხვევაში, ენგელსის სიტყვები: „... ნუ ვიქნებით მოხიბლულნი ჩვენი გამარჯვებით ბუნებაზე, ყოველ ჩვენს ასეთ გამარჯვებაზე ის შურს იძიებს“. ზემოთ ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა თავისი თვითყოფიერების დაფუძნებისათვის არა მხოლოდ ბუნების საიდუმლოებანი უნდა ამოიცნოს, არამედ ამასთან ერთად უნდა ისწავლოს მათი გონივრული გამოყენება, მან ნათლად და ზუსტად უნდა დაადგინოს საზღვრები, თუ სადამდე შეუძლია მას ბუნების წიაღში შეიჭრას, რათა გამოუსწორებელი დისონანსი არ შეიტანოს ადამიანისა და ბუნების ჰარმონიაში. აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ადამიანი არ უნდა იყოს ბრმა აუცილებლობის მსხვერპლი, აუცილებლობისა, რომელიც უსათუოდ დაიწყებს თავის მოქმედებას, თუ არ იქნება ზუსტად დაცული ის ნორმები, რომელთა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარება ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას უზრუნველყოფს. ადამიანთა კომუნისტურმა ასოციაციამ სხვა პრობლემათა შორის ეს პირველხარისხოვანი პრობლემაც უნდა გადაჭრას ადამიანის არსების შესაბამისად[2].

III. ყოველივე ზემოთქმული ეხება დიდ ისტორიულ აქტს — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, რომელიც ადამიანის ბუნებაზე გაბატონებას მოასწავებს, მაგრამ ეს ადამიანის თვითყოფიერების დაფუძნების, მისი თვითგანხორციელების მხოლოდ ერთი მხარეა, რომელსაც მეორე აუცილებელი მხარეც გააჩნია. ადამიანის ემანსიპაციის, მისი თვითყოფიერების დამკვიდრების გზაზე მეორე დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტია სოციალური ჩაგვრის ყველა ფორმის მოსპობა და ადამიანთა შორის სრული სოლიდარობის დამყარება.

ადამიანი სოციალური არსებაა. ადამიანები, ბუნებას ერთიანი ძალით ებრძვიან, ამიტომაც, ყოველ მათს არსებით მახასიათებელ ნიშანს საზოგადოებრივი ბეჭედი აზის. თუ ეს ასეა, ისმის კითხვა: რატომ მოხდა, რომ ადამიანთა ერთი — შედარებით მცირე ჯგუფი დაუპირისპირდა ადამიანთა მეორე — დიდ ჯგუფს და წარმოიშვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მარქსიზმის თანახმად, ექსპლოატაციის წარმოშობა კერძო საკუთრების წარმოშობასთანაა დაკავშირებული, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს ადამიანის ყოფიერებითი ბუნებით უნდა აიხსნას. ადამიანთა თვითყოფიერებისაკენ სწრაფვამ გარკვეულ, ისტორიულად განსაზღვრულ სიტუაციაში ბუნებრივად უფრო ძლიერთა ხელში (იქნებოდა ეს: გვარი, ტომი, თუ ოჯახი) თანდათან თავი მოუყარა საზოგადოებრივი დოვლათის დიდ ნაწილს, რომელიც საზოგადოების სხვა წევრთა ექსპლოატაციის საფუძველი გახდა, — ასე წარმოიშვა ადამიანის მიერ ადამიანის სოციალური ჩაგვრა. უკანასკნელმა თავის უმაღლეს წერტილს კაპიტალისტური წყობილების პირობებში მიაღწია. *კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის პირობებში, ადამიანთა სოციალური წინსვლის აშკარა მუხრუჭი გახდა და ისტორიამ დღის წესრიგში მისი ლიკვიდაცია დააყენა.*

კერძო საკუთრების საფუძველზე ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მთავარი და არსებითი შედეგი არის შრომის გაუცხოება. *შრომა თავისი მოწოდებით, ადამიანის ემანსიპაციის უძირითადესი საშუალებაა. კერძო საკუთრებამ კი შრომას ბორკილები დაადო. იგი ადამიანის ემანსიპაციის საშუალებიდან მონობის საშუალებად აქცია, შრომით შექმნილი სიმდიდრე დაუპირისპირდა მშრომელს. შრომის გაუცხოებამ საერთოდ ადამიანის გაუცხოება გამოიწვია, ადამიანმა დაკარგა თავისი თავი.* თავისი არსების მიხედვით, ადამიანმა უნდა იბატონოს ნივთებზე. კერძო საკუთრებამ საქმის ვითარება პირუკუ შეატრიალა: ადამიანებზე ნივთებმა დაიწყეს ბატონობა; ადამიანთა ურ-

[2] საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის — კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას ამ მიმართებით მოწმობს უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც გაიმართა 1972 წლის სექტემბერში. სესიამ სპეციალურად განიხილა ზემოაღნიშნული პრობლემა და გამოიტანა სათანადო დადგენილება ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალური ხარჯვის შესახებ. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას პირველხარისხოვანი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მომავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთობის ადგილი ნივთთა ურთიერთობამ დაიკავა, ამ ძირეულ შედეგს მოჰყვა ადამიანის არსების საწინააღმდეგო სხვა ვითარებანი. ერთ-ერთი ასეთი არანორმალური ვითარებაა ადამიანის მიმართ გაუცხოებული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა. ჩვეულებრივ სოციალური ინსტიტუტები უნდა ემსახურებოდნენ ადამიანის ემანსიპაციას. კერძო საკუთრების არსებობის პირობებში პირიქით ხდება: პოლიტიკური ინსტიტუტები ადამიანთა ჩაგვრის იარაღია. ასეთია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში. ასეთივე არანორმალური ვითარებებია ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრა, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა დისჰარმონია.

ადამიანთა კომუნისტურმა ასოციაციამ ბოლო უნდა მოუღოს ადამიანის არსებისადმი შეუფერებელ ყველა არანორმალურ ვითარებას. უწინარეს ყოვლისა, მან შრომის სრული განთავისუფლება უნდა მოახდინოს. შრომა, შრომის მუშაკის მძიმე და აუტანელი ტვირთიდან სასიხარულო და სასიამოვნო საქმედ უნდა გახადოს. ამ აქტის აუცილებელი წანამძღვარია შრომის მუშაკისა და შრომის პროცესში შექმნილი შრომის პროდუქტის ერთიანობის აღდგენა. სოციალიზმმა განახორციელა ეს დიდი აქტი. მან ლიკვიდაცია უყო კერძო საკუთრებას, შრომით შექმნილი დოვლათი მშრომელი ხალხის ხელუხლებელ საკუთრებად აქცია და განახორციელა პრინციპი: თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს თავისი შრომის მიხედვით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რომელსაც კომუნიზმი ისახავს: კომუნიზმის ამოცანაა შრომის გადაქცევა ადამიანის პირველ მოთხოვნილებად. მხოლოდ ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციაში იქნება ნამდვილი შესაძლებლობა, რომ მოიხსნას ადამიანებზე ნივთთა ბატონობა, ნივთთა ურთიერთობის ადგილი ადამიანთა ურთიერთობამ დაიკავოს, ადამიანის სოციალური აქტივობა, ბიოლოგიურის ნაცვლად, ნამდვილად ადამიანურს უნდა მოემსახუროს. მხოლოდ კომუნიზმის პერიოდში შეიქმნება პირობები იმისა, რომ ადამიანი არ იყოს თავის მოთხოვნილებათა მონა, მისი აქტივობა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იქნება ნამდვილად თავისუფალი. მოქმედება, რამდენადაც ყველა თავის მოთხოვნილებას როგორც მატერიალურს, ისე სულიერს ადამიანი მოთხოვნილებად გადაქცეული შრომით დაიკმაყოფილებს.

ადამიანის ეკონომიკური ემანსიპაციით მოხდება მისი პოლიტიკური ემანსიპაციაც. პირველ რიგში, სახელმწიფო, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში ხალხთა მასებს გარედან ჰქონდა თავსმოხვეული როგორც მასზე მაღლა მდგომი ძალა — გაქრება და მის ადგილს თავისუფალ ასოციაციაში გაერთიანებული საზოგადოებრივი თვითმართველობები დაიკავებს. სოციალიზმმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მან გააჰუმანურა სახელმწიფოს დანიშნულება, ეს მოხდა იმიტომ, რომ პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის სახელმწიფოებრივი ფორმა — პროლეტარიატის დიქტატურა, განსხვავებით ანტაგონისტურ საზოგადოებათა სახელმწიფოებისაგან, — მშრომელი მასების უდიდესი უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობის იარაღი გახდა, ხოლო ამ ფუნქციის შესრულებისას იგი საზოგადოების მართვის ორგანო გახდა და გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. კომუნიზმის პერიოდში სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია გაქრება, მის ადგილს ადამიანთა კომუნისტურ თვითმართველობები დაიკავებენ. ამ უდიდესი აქტის პარალელურად განვითარდება ხალხის დემოკრატიული უფლებები, ხოლო უფლება, კომუნიზმის დროს, დაკარგავს პოლიტიკურ შინაარსს, ადამიანი თავისუფალი სოციალური ასოციაციის თავისუფალი წევრი გახდება.

სამუდამოდ ბოლო მოეღება ეროვნულ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას. საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონის არსებობა განაპირობებდა, თავდაპირველად, ხალხთა განკერძოებას. გეოგრაფიული ბარიერები ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ამისათვის. საწარმოო ძალების განვითარებამ ხალხებისა და ერების თითქმის დამოუკიდებელი ისტორიული ბედი ერთიმეორესთან მჭიდროდ დააკავშირა. ისტორია გლობალურ ისტორიად გადაიქცა. მაგრამ ბურჟუაზიამ ძალაში დატოვა ერთა შორის შუღლი და განცალკევებულობა. სულ სხვა ვითარება იქმნება სოციალიზმის პირობებში, — ორი ურთიერთდაკავშირებული პროგრესული ტენდენცია ერების განვითარებაში, სოციალიზმის დროს ფართო გასაქანს პოულობს: ჯერ ერთი, ხდება თვითეული ერის ყოველმხრივი განვითარება მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აყვავება, მეორეც ადგილი აქვს მათს დაახლოებასა და ურთიერთთანამშრომლობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. ამ ტენდენციათა ორგანული შეხამება, რასაც სოციალისტური ერების განვითარებაში აქვს ადგილი, კოლოსალურად ზრდის მთელი საზოგადოების შემოქმედებით საქმიანობას საერთო-საკაცობრიო პროგრესისათვის ბრძოლაში.

კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდებიან ერთიმეორეს ერები და ხალხები კომუნიზმის დროს. ერებისა და ხალხების დაახლოების პროცესი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში ობიექტური პროცესია, რომელიც, საბოლოოდ, მათი სრული ჰარმონიული ერთიანობით დამთავრდება. მართალია, ეს პროცესი ძალზე ხანგრძლივი იქნება, მაგრამ თანამედროვე წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ავტომატიზაცია და წარმოების ერთიანი ენერგეტიკული ბაზის შექმნა, ბუნების რესურსების გონივრული ექსპლოატაცია, სამყაროს ათვისებაში ადამიანთა ძალების სრული გაერთიანება, უსათუოდ გამოიწვევს მათს ჰარმონიულ ერთიანობას. ადამიანთა ეროვნული კავშირები, სრული კომუნიზმის დროს, ადგილს დაუთმობენ თავისუფალ ადამიანთა საკაცობრიო კავშირებს. ამ სოციალურ გარდაქმნებთან ერთად კომუნიზმის დროს ადამიანის არსების შესაფერის გადაწყვეტას პოვებს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა.

12090

საკუთარი არსებისაგან ადამიანის გაუცხოებამ კერძო საკუთრების არსებობისას თავისი რელიეფური გამოვლენა პოვა პიროვნებისა და საზოგადოების ანტაგონიზმში. ექსპლოატაციაზე დამყარებულმა საზოგადოებამ პიროვნებას ბორკილი დაადო, დაიმორჩილა ეკონომიურად, სოციალურად, სულიერად. კომუნიზმის მიზანია პიროვნების სრული თავისუფლების დაფუძნება, რაც ცხადია, არ ნიშნავს საზოგადოებისაგან თავისუფლებას, ეს მომასწავებელი იქნებოდა ადამიანის სოციალური არსების გაუქმებისა: „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო“ (ვ. ი. ლენინი). უპიროვნება, როგორც მარქსი იტყოდა, გვარის, საზოგადოების იდეალური ტოტალობაა. პიროვნების თავისუფლება, მარქსიზმის თანახმად, ნიშნავს მის ეკონომიურ, სოციალურ და სულიერ თავისუფლებას, ამგვარ თავისუფლებას უზრუნ-



კ. მარქსის ს. ს. საქ.
სახელმწიფო რ. სპეც.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფს მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმი. ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციაში, პიროვნების სრულ განთავისუფლებასთან ერთად იზრდება მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. თავისუფლება არ ნიშნავს, როგორც ამას კომუნიზმის მტრები ამტკიცებენ, უპასუხისმგებლობას. თავისუფლება და პასუხისმგებლობა კი არ გამორიცხავენ, პირიქით, გულისხმობენ ერთი მეორეს. ეს შესაძლებელია იმის გამო, რომ კომუნიზმი არის ისეთი საზოგადოება, რომლის დროსაც პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები სრულ ჰარმონიაში იქნებიან.

გონივრულად ორგანიზებულ სოციალურ ასოციაციაში პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე პიროვნებას გაათკეცებული თავისუფლების სახით უნდა დაუბრუნდეს, რამდენადაც საზოგადოების მიზანი არის ადამიანის სასიცოცხლო ძალების სრული აყვავება. ასეთი საზოგადოება კომუნიზმია და, მაშასადამე, მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია მოახდინოს პიროვნების ემანსიპაცია მისგან გაუცხოებული საზოგადოებრივი ძალებისაგან.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება ნიშნავს იმას, რომ უცხო ძალები, რომლებიც დღემდე ბატონობდნენ ადამიანზე, თვით ადამიანის მკაცრ კონტროლს დაექვემდებარებიან. ეს იქნება, როგორც ენგელსი იტყოდა, ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში. ამ ნახტომით გადაწყდება ანტაგონისტური დავა ადამიანის არსებობასა და არსებას შორის, ადამიანის არსებობა სრულ ჰარმონიაში მოვა მის არსებასთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული, სულ მოკლედ, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ისტორიის დანიშნულება ადამიანის არსების განხორციელებაა. პროგრესი ადამიანთა სოციალურ ისტორიაში ნიშნავს ადამიანის არსების განხორციელებას. კომუნიზმი არის სწორედ ადამიანთა ისეთი სოციალური ასოციაცია, რომელიც ყველაზე უფრო შეესატყვისება ადამიანის არსებას და, მაშასადამე, კომუნიზმი არის საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი საფეხური.

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მენაბდე

# სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმია

1922 წლის 30 დეკემბერს კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპები. საბჭოთა კავშირი — ერთა და ეროვნებათა სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და თანამშრომლობის უმაღლესი ფორმაა. მისი არსებობის 50 წლის გამოცდილებამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა გიგანტური პოტენციური შესაძლებლობანია ჩაქსოვილი კომუნისტური იდეალებით შთაგონებულ ხალხთა ძმურ თანამშრომლობაში. საბჭოთა კავშირში პირველად განმტკიცდა ისტორიაში ჯერ არნახული საზოგადოებრივი ურთიერთობა, სხვადასხვა ერთა და ეროვნებათა შორის თანასწორობის, ძმობის, სოლიდარობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ურთიერთობა. სსრ კავშირის ფარგლებში ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში გადაიჭრა ხალხთა მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პრობლემა.

სსრ კავშირის შექმნა, წინააღმდეგ ისტორიის ბურჟუაზიული გამყალბებლების „მტკიცებისა“, სრულიადაც არ იყო „ისტორიული შემთხვევითობა“, „ხელსაყრელ ვითარებათა ურთიერთდამთხვევის“ შედეგი. იგი ეყრდნობოდა ობიექტურ წანამძღვრებს და ისტორიულად მოამზადა რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთელმა მსვლელობამ, ლენინური პარტიის მთელმა მიზანსწრაფულმა საქმიანობამ.

ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს მეცნიერულად ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გზები. მათ გააშუქეს მისი კლასობრივი შინაარსი, ნათელყვეს, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა განუყრელად დაკავშირებულია პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის საერთო, ძირეულ ამოცანებთან, ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, სოციალიზმის გამარჯვებასთან. ამტკიცებდნენ რა, რომ ეროვნული საკითხი დაქვემდებარებულია რევოლუციის საერთო ამოცანებისადმი, კ. მარქსი და ფ. ენგელსი მთელი ძალით ილაშქრებდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ეროვნული საკითხის შეუფასებლობას იჩენდა. მათი აზრით, გაბატონებული ერის მუშათა კლასისათვის უბედურებაა სხვა ერების დამონება და ჩაგვრა. ეს, — ამბობდნენ ისინი, — ხელს უშლის კლასობრივი გრძნობისა და კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას, ჩაგრული ერის მუშებში აღვივებს სიძულვილს მჩაგვრელი ერის მუშებისადმი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თვლიდნენ, რომ ნამდვილი ნებაყოფლობითი გაერთიანების პირობაა ყველა ჩაგრულის ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ისტორიულ პირობებში ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ერთიანი მოძღვრება ეროვნულ და ეროვნულ-კოლონიურ საკითხზე. ვ. ი. ლენინის ნაშრომებთან ერთად ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის ნაშრომმა „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, რომელიც ვლადიმერ ილიას ძემ ჯერ კიდევ ხელნაწერში წაიკითხა, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ შეაფასა როგორც მარქსისტული ნაწარმოები ეროვნულ საკითხზე.

„ძველი სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1913 წელს, — მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა“ (თხზ., ტ. 19, გვ. 89).

დაასაბუთა რა რევოლუციური პარტიის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში და წამოაყენა რა ლოზუნგი, რომ ერს აქვს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება, ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რუსეთის ხალხთა „თავისუფალი გამოყოფის“ უფლებას. „ჩვენ გვსურს, — აღნიშნავდა იგი, — **თავისუფალი** შეერთება, ამიტომაც ვალდებული ვართ ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება (გამოყოფის თავისუფლების გარეშე შეერთებას ვერ ვუწოდებთ თავისუფალს). ჩვენ მით უფრო ვალდებული ვართ ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება, რომ ცარიზმმა და ველიკორუსების ბურჟუაზიამ თავიანთი ჩაგვრით მეზობელ ერებში დატოვა დიდი გაბოროტება და უნდობლობა საერთოდ ველიკორუსებისადმი, და ეს უნდობლობა უნდა გავფანტოთ **საქმით** და არა სიტყვით“ (თხზ., ტ. 26, გვ. 199). ყოველ ხალხს უნდა შეეძლოს „თავისუფლად გადაწყვიტოს, უნდა მას ცალკე სახელმწიფოდ ცხოვრება, თუ საკავშირო სახელმწიფოში **ვისთანაც** სურს“ (თხზ., ტ. 24, გვ. 424).

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ ბევრი სიახლე შეიტანა ერის ცნებასა და ეროვნული საკითხის შინაარსში. სოციალისტურ საზოგადოებაში ერის ყველა ნიშანი ვითარდება არა ეროვნული თავისებურებების გამოცალკევებისა და გამარადისების მიმართულებით, არამედ იმ ელემენტების თანდათანობითი ზრდის მიმართულებით, რომლებსაც მივყავართ ერთა დაახლოებისა და გაერთიანებისაკენ ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, ეროვნული ენის უმაღლესი განვითარების საფუძველზე. სოციალიზმის პირობებში ძირეული ცვლილებები ხდება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში; ბოლო ეღება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ეროვნული განვითარების სათავეში არიან მშრომელები, რომლებსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სათავეში უდგას მუშათა კლასი. ამ ცვლილებათა შედეგად ჩვენი ქვეყნის ერები გადაიქცნენ სოციალისტურ ერებად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ის, რა სიახლეც შეაქვს სოციალიზმს ერის ცხოვრებაში, თავისი არსით სრულიადაც არ არის ამა თუ იმ ერის სპეციფიკურ-ეროვნული, თვითმყოფი დამახასიათებელი ნიშანთვისება. იგი შინაარსით ინტერნაციონალურია, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების ყველა ხალხთა საერთო ნიშანთვისება. ამ ახალი, სოციალიზმის საფუძველზე წარმოშობილი ნიშანთვისებების მიხედვით სოციალისტური ერები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკლებლივ ყველა ერისათვის — როგორც დიდი, ისე პატარა ერებისათვის სოციალიზმი ქმნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ერთნაირ პირობებსა და შესაძლებლობებს. ცხოვრების ამ ერთნაირი პირობების გავლენით სოციალიზმის მშენებლობის მსვლელობაში ხდება სულიერი სახის ახალი ნიშანთვისებების გამომუშავება. ეს ნიშანთვისებები საერთოა ყველა ერისათვის და, გაივლიან რა, როგორც ილია იტყოდა, „ეროვნულ ქურაში“, ეროვნულ ელფერს იღებენ, ახალ ეროვნულ ნიშან-თვისებებად ყალიბდებიან. მაგრამ ამით სრულიადაც არ იცვლება მათი ინტერნაციონალური შინაარსი, მათი სოციალისტური, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი.

სოციალიზმი ქმნის მატერიალურ და სულიერ საფუძველს ახალი ადამიანის აღზრდისათვის, კაპიტალისტური შეზღუდულობისა და გადმონაშთებისაგან მისი თანდათანობით და თანმიმდევრულად განთავისუფლებისათვის. ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, ღრმა ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი, მეგობრობა და ძმობა, ეროვნული ღირსების პატივისცემა — ასეთია მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა დამახასიათებელი ნიშანთვისებანი. ეს ახალი ნიშანთვისებანი ეროვნული კარჩაკეტილობისა და განკერძოების უარყოფაა.

კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტური ბუნება, კერძო საკუთრების ბატონობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა ამახინჯებენ ადამიანების ბუნებრივ მისწრაფებას ერთიანობისა და თავისუფლებისაკენ. კაპიტალიზმმა ურთიერთს დაუპირისპირა ერები, გააღვივა მათ შორის მტრობა და სიძულვილი, დაამყარა ბატონობა ერთი რიგი ერებისა, რომლებიც დიდმპყრობელურ ერებად გადაიქცნენ, სხვებზე — დამოკიდებულ და ჩაგრულ ერებსა და ხალხებზე. ეროვნული ურთიერთობის გამწვავება, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება უმაღლეს წერტილს აღწევს იმპერიალიზმის პერიოდში. ეროვნული მტრობისა და ჩაგვრის გაღვივებით კაპიტალიზმი ნერგავს ეროვნული უპირატესობის, ეროვნული განაწყენების, მტრობისა და სიძულვილის ფსიქოლოგიას. ამ მემკვიდრეობას იღებს კაპიტალიზმისაგან სოციალიზმი, რომელიც მოწოდებულია ყოველივე ეს გარდაქმნას, ხელახლა აღზარდოს, გადააკეთოს.

სოციალიზმი წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას. საბჭოთა კავშირის ხალხები კანონზომიერი განვითარების საფუძველზე თანდათან თავისუფლდებოდნენ ეროვნული შეზღუდულობისაგან, ამსხვრევდნენ სპეციფიკურ ეროვნულ კარჩაკეტილობას. ახლა კი, იბრძვიან რა ამ მანკიერი გადმონაშთების მთლიანად დაძლევისათვის, ისინი ვითარდებიან სრული ერთიანობისაკენ.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ლენინური პროგრამის განხორციელება დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომ პირველ დღეებშივე. ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით მომზადდა საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი დეკრეტები და დეკლარაციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რუსეთის ყველა ხალხთა ნამდვილ პოლიტიკურ და უფლებრივ თანასწორობას.

საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი დებულებანი, იყო 1917 წლის 15 ნოემბერს მიღებული „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს სიცრუისა და უნდობლობის, შარის მოდებისა და პროვოკაციების უღირს პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკას; იგი უნდა შეიცვალოს ისეთი პოლიტიკით, რომელიც რუსეთის ხალხებს მიიყვანს სრულ ურთიერთნდობამდე; მხოლოდ ასეთი ნდობის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს ამ ხალხთა პატიოსანი და მტკიცე კავშირი.

„მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში“, რომელიც 1918 წლის 25 (12) იანვარს მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობამ, აღნიშნულია: „ისწრაფვის რა შექმნას რუსეთის ყველა ერის მშრომელ კლასთა ნამდვილად თავისუფალი და ნებაყოფლობითი, მაშასადამე, მით უფრო მჭიდრო და მტკიცე კავშირი, მესამე ყრილობა თავის ამოცანას ზღუდავს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ძირითადი საფუძვლების დამყარებით და უფლებას ანიჭებს თვითეული ერის მუშებს და გლეხებს მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება თავიანთ საკუთარ უფლებამოსილ საბჭოთა ყრილობაზე, სურთ თუ არა მათ და რა საფუძველზე სურთ მიიღონ მონაწილეობა ფედერალურ მთავრობაში და დანარჩენ ფედერალურ საბჭოთა დაწესებულებებში“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 498). ეს „დეკლარაცია“ მთლიანად შეტანილ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს პირველ კონსტიტუციაში, რომელიც მიიღო 1918 წლის 10 ივლისს საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობამ. ისტორიაში პირველად ამ კონსტიტუციაში განმტკიცდა საკანონმდებლო წესით სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა სახელმწიფო ვ. ი. ლენინის მეთაურობით თანმიმდევრულად ახორციელებდა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. რუსი მუშათა კლასი და მისი სახელმწიფო — რსფსრ ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადამწყვეტ დახმარებას უწევდნენ რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხებს, რათა გამარჯვებით დაემთავრებინათ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან სრული განთავისუფლებისათვის წარმოებული მძიმე ბრძოლები, მოეხდინათ თავიანთი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, და ამ საფუძველზე უზრუნველეყოთ ხალხთა სრული თანასწორუფლებიანობა.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ უანგარო დახმარების ხელი გამოუწოდა საბჭოთა საქართველოს მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. ამ საქმეს პირადად ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. 1921 წლის 21 მაისს რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომ საქართველოსათვის გამოეყოთ 5 მილიონი მანეთი ოქროთი. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოსათვის ეს უდიდესი დახმარება იყო: რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მას აძლევდა მზა საფეიქრო ფაბრიკებს, სტამბებს და სხვა მოწყობილობას, ამარაგებდა სურსათით და ქსოვილებით. საბჭოთა რუსეთის დახმარებითვე აშენდა ზაჰესი.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის შექმნამდე საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის სუფევდა მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა, რაც ემყარებოდა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებებს. ამაოდ ცდილობს ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ეს ურთიერთობა და თვით სსრ კავშირის შექმნაც კი დასახოს როგორც საბჭოთა რუსეთის მხრივ დიქტატის შედეგი. სინამდვილე სულ სხვას, ბურჟუაზიულ ყალბისმთხზველთა საწინააღმდეგოს ღაღადებს.

საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა რუსეთის მეგობრობა და კავშირი პირველად იურიდიულად გაფორმდა 1921 წლის მაისში, როცა საბჭოთა საქართველოს ინიციატივით დადებულ იქნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საკავშირო ხელშეკრულება სამხედრო-თავდაცვის და ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების პრეამბულაში დადასტურებული იყო ორივე რესპუბლიკის სუვერენობა და თანასწორუფლებიანობა. აქ ნათქვამია, რომ „რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობები აღიარებენ მოლაპარაკების მონაწილე თვითეული მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და, შეგნებული აქვთ რა ჩვენი მტრების წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, აგრეთვე თავიანთი სამეურნეო მშენებლობის ინტერესებისათვის თავიანთი ძალების შეკავშირების აუცილებლობა, მივიდნენ გადაწყვეტილებამდე დადონ საკავშირო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“ (საბჭოთა კონსტიტუციის ისტორია. 1917—1956, მოსკოვი, 1957, გვ. 299—300 რუს.).

ამ ხელშეკრულებით საბჭოთა საქართველო ფაქტიურად შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში. უფრო ადრე ანალოგიური ხელშეკრულებანი რსფსრ-თან დადებული ჰქონდათ უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს.

1922 წლის იანვარში საქართველოს საბჭოთა მთავრობამ, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებმა, ერთსულოვნად მიანდო რსფს რესპუბლიკას ყოფილიყო საქართველოს ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი საერთო-ევროპულ ეკონომიურ კონფერენციაზე გენუაში. ეს უკვე საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი დიპლომატიური ფრონტის შექმნის პრაქტიკული დადასტურება იყო.

განაზოგადა რა რუსეთის ფედერაციის განვითარების პირველი, ჯერ კიდევ მცირე გამოცდილება, ვ. ი. ლენინი 1918 წლის მარტში აღნიშნავდა, რომ „იგი, ეს გამოცდილება, ყველაზე საიმედო ნაბიჯი იქნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნებათა უმტკიცესად გასაერთიანებლად ერთიან დემოკრატიულ ცენტრალიზებულ საბჭოთა სახელმწიფოში“ (თხზ., ტ. 27, გვ. 238).

რუსეთის ფედერაციამ ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი როლი შეასრულა ყველა საბჭოთა ერის ცხოვრებაში. იგი გადაიქცა ბუნებრივ ცენტრად, რომლის ირგვლივ შემჭიდროვდა და გაერთიანდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა; რუსეთის ფედერაცია „გახდა სსრ კავშირის თავისებური ნიმუში“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მომზადების შესახებ“).

ვ. ი. ლენინის განმარტებით „ფედერაცია არის თანასწორთა კავშირი, რომელიც მოითხოვს საერთო თანხმობას“ (თხზ., ტ. 19, გვ. 598). ამ მოკლე ფორმულაში მოცემულია საბჭოთა ფედერაციის ორი ძირითადი პრინციპი — მისი წევრების თანასწორუფლებიანობა და გაერთიანების ნებაყოფლობა. საბჭოთა ფედერაციული კავშირის ამ ლენინური პრინციპების განხორციელების მხრივ რუსეთის სფსრ მოგვცა სამაგალითო ნიმუში, რომელიც საფუძვლად დაედო ფედერაციის უმაღლესი ფორმის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნას.

საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციული მშენებლობის გამოცდილება მნიშვნელოვნად გაამდიდრა ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1922 წელს შექმნილმა ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელშიც, რუსეთის ფედერაციისაგან განსხვავებით, ურთიერთხელშეკრულების და არა ავტონომიის საფუძველზე გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენული რესპუბლიკები.

ამიერკავკასიის ფედერაცია იყო თანასწორუფლებიანი და სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფო კავშირი, პირველი სსრკ. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის კანონზომიერება დაადასტურა ცხოვრებამ. მან დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის, მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ ყრილობაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა, მისი უდიდესი მნიშვნელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის (იხ. ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის, მ. ორახელაშვილის სიტყვები საქართველოს კპ პირველ ყრილობაზე). ყრილობამ მკაცრად დაგმო ბ. მდივნის ნაციონალურ-უკლონისტური ჯგუფის ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გამოცდილება გამოყენებული იქნა სსრ კავშირის შექმნის დროს.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა ერთიან მრავალეროვან საკავშირო სახელმწიფოდ ხალხთა გაერთიანების მიზანშეწონილობა. მან არა მარტო იწინასწარმეტყველა მომავალში ასეთი სახელმწიფოს წარმოშობა, არამედ ჯერ კიდევ 1919 წელს განჭვრიტა მისი სახელწოდება — საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. 1919 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი, მხარს უჭერდა რა ერების ნებაყოფლობითს კავშირს, წერდა, რომ „ასეთი კავშირის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია; ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით, რომ საქმე არ გავაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ აღმოვფხრათ უნდობლობა, დატოვებული საუკუნოებრივი ჩაგვრით“ (თხზ., ტ. 30, გვ. 348).

თვით მსვლელობა ისტორიული განვითარებისა საარსებოდ აუცილებელს ხდიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას. ასეთი კავშირის შეუქმნელად წარმოუდგენელი იყო იმპერიალისტური ომის, სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტთა ინტერვენციის შედეგად დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა, ერთიანი გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის შექმნა, ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, რევოლუცია კულტურის დარგში. სსრ კავშირის შეუქმნელად წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაცვა, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მტკიცე თავდაცვისუნარიანობის, საერთაშორისო ურთიერთობაში ჯეროვანი ადგილის უზრუნველყოფა.

საკავშირო სახელმწიფოზე გადასვლა წინასწარ განსაზღვრული იყო საბჭოთა ხელისუფლების თვით არსით, სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეური ცხოვრების კანონზომიერებებით. ლენინი ამის შესახებ წერდა: „ჩვენ გვინდა რაც შეიძლება უფრო დიდი სახელმწიფო, რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირი, ერთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა არსებობდეს ველიკორუსთა მეზობლად; ჩვენ ეს გვსურს დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესების სასარგებლოდ. პროლეტარიატის ბრძოლაში სხვადასხვა ერის მშრომელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მისაზიდად. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვსურს **რევოლუციურ-პროლეტარული** ერთიანობა, **შეერთება** და არა დაყოფა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 199).

რკპ (ბ) X ყრილობამ საჭიროდ ცნო საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნა ვ. ი. ლენინის შეხედულებათა შესაბამისად. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ინტერესები „დაჟინებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას“ (სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, მეშვიდე გამოცემა, გვ. 717).

ყველა საბჭოთა რესპუბლიკა მიისწრაფვოდა ძმური ურთიერთობის გაღრმავებისაკენ. მათ ნათლად ჰქონდათ შეგნებული უფრო მჭიდრო ერთიანობის აუცილებლობა, ხედავდნენ, რომ მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობა საკმარისი არ იყო. ისინი აყენებდნენ სხვადასხვა გეგმებს, რომელთა თანახმადაც ეს რესპუბლიკები უნდა გაერთიანებულიყვნენ რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიზაციის გზით. მაგრამ ვ. ი. ლენინმა, წინააღმდეგ ავტონომიზაციის გეგმისა, წამოაყენა ახალი ფედერაციის შექმნის გეგმა. რსფსრ და სხვა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები უნდა გაერთიანებულიყვნენ ფედერაციულ სახელმწიფოდ; ამასთან გაერთიანება უნდა მომხდარიყო ნებაყოფლობის, სრული თანასწორუფლებიანობისა და თვითეულის სუვერენიტეტის შენარჩუნების საწყისებზე.

ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის პატივისცემასა და მტკიცედ დაცვას. საქართველოს ტერიტორიაზე წითელი არმიის შემოსვლასთან დაკავშირებით 1921 წლის 10 მარტს იგი XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მიუთითებდა — „განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდეთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს“ (თხზ., ტ. 35, გვ. 506).

1922 წლის 6 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ლენინის მითითებათა საფუძველზე საჭიროდ ცნო უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რსფს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“ მათი გაერთიანებისა და თვითეულისათვის „კავშირიდან“ თავისუფლად გასვლის უფლების დატოვების შესახებ. პლენუმის მუშაობის დღეს პოლიტბიუროსათვის გაგზავნილ ბარათში ვ. ი. ლენინი, რომელიც ავადმყოფობის გამო პლენუმს ვერ ესწრებოდა, წერდა: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას“, ხოლო შემდეგ აღნიშნავდა: „საჭიროა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ

რუსი
უკრაინელი
ქართველი და სხვ.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ!“ (თხზ., ტ. 33, გვ. 438).

უცხადებდა რა ბრძოლას ველიკორუსულ შოვინიზმს, ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა აგრეთვე ბრძოლა ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ნაციონალისტური სივიწროვის, კარჩაკეტილობის, განცალკევებულობის წინააღმდეგ, მთელისა და საყოველთაოს გათვალისწინებისათვის, კერძო ინტერესების საერთო ინტერესებისადმი დაქვემდებარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ სრული მოწონებით შეხვდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ფართო მშრომელი მასები.

1922 წლის ბოლო სრულიად უკრაინის საბჭოების VII ყრილობამ, სრულიად ბელორუსიის საბჭოების IV ყრილობამ, ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობამ და სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ, რომლებიც გამოხატავდნენ ხალხთა ნებას, საჭიროდ ცნეს სსრ კავშირის შექმნა.

1922 წლის 30 დეკემბერს შედგა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

სსრ კავშირის შექმნა იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების უმაღლესი ორგანიზაციული საფეხური. ამით დამთავრდა ცალკეული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ხანგრძლივი გამაერთიანებელი პროცესი, რომელიც განაპირობა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება უკრაინაში (1917 წლის 25 დეკემბერს), ბელორუსიაში (1919 წ. 1 იანვარს), აზერბაიჯანში (1920 წ. 28 აპრილს), ბუხარაში (1920 წ. 8 ოქტომბერს), სომხეთში (1920 წ. 29 ნოემბერს), საქართველოში (1921 წ. 25 თებერვალს).

„ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, — ნათქვამია რკპ (ბ) მეთორმეტე ყრილობის რეზოლუციაში „ნაციონალური საკითხის შესახებ“, — არის თანამშრომლობის ფორმების განვითარების დასკვნითი ეტაპი, რომელმაც ამჯერად მიიღო ხასიათი ხალხთა სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისა მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოდ“ (სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გვ. 918).

ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკური საფუძველი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. საბჭოთა ხალხების გამაერთიანებელი მოძრაობის წარმმართველ ძალას წარმოადგენდნენ მუშათა კლასი და მისი მებრძოლი ავანგარდი — ლენინური პარტია.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში თანასწორუფლებიან ხალხთა გაერთიანება და შეკავშირება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ძმური მეგობრობა, მათი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1961, გვ. 18).

სსრ კავშირის შექმნამ მძლავრი გავლენა მოახდინა ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე, ხელი შეუწყო კოლონიური სისტემის მსხვრევას, იმპერიალიზმის პოზიციებისათვის ძირის გამოთხრას, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას.

სოციალიზმის პირობებში აყვავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, განმტკიცდა ერების სუვერენიტეტი, მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ძლიერება. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულების საერთო რაოდენობა სსრ კავშირში მისი შექმნის დროიდან დღემდე გაიზარდა 33-დან 53-მდე. ის-

 ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას შემდგომი აყვავება და განმტკიცება შეუძლია მხოლოდ როგორც სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიადი ოჯახის წევრს. ამას მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს საქართველოს მაგალითიც.

ნამდვილი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი საქართველოში განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ქართველი ხალხი ამ დროიდან გახდა თავისი ბედის სრული ბატონ-პატრონი. ბურჟუაზიის იდეოლოგები ამაოდ უარყოფენ ამ ფაქტს, ყოვლად უსაფუძვლოა მათი „მტკიცება“, თითქოს საქართველო სუვერენულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდეს. საქართველოს სუვერენიტეტისათვის „მზრუნველი“ იმპერიალისტებისა და მათი იდეოლოგების მიზანი საყოველთაოდ ცნობილია. ქართველ ხალხს კარგად ახსოვს, თუ როგორი სუვერენიტეტით სარგებლობდა ის საქართველოში იმპერიალისტების ბატონობის დროს, ე. ი. 1921 წლამდე; ის კარგად ხედავს, თუ რა მისცა მას საბჭოთა ხელისუფლებამ.

შემთხვევითი არაა, რომ დღეს საბჭოთა საქართველოს დროშას ამშვენებს ორი ლენინის და ერთი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. განვლილ 51 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველო იქცა აყვავებულ მხარედ, თავისი სახელმოხვეჭილი ინდუსტრიით და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობით, დიდი მიღწევებით მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ამჟამად საბჭოთა საქართველო წარმოადგენს ახალი ცხოვრების, კომუნიზმის მშენებელთა მძლავრ ინტერნაციონალურ ერთიანობას, რესპუბლიკის ყველა ერის და ეროვნების ეთიან ოჯახს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გადაჭრა ლენინის მიერ დასმული მთავარი ამოცანა კაპიტალიზმიდან მემკვიდრეობით მიღებული ერთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის შესახებ. საბჭოთა კავშირმა მიაღწია ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ქვეყნის ადრე ჩამორჩენილ რესპუბლიკების და რაიონების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარების დონეთა დაახლოებას, გათანაბრებას.

თავისი ნახევარსაუკუნოებრივი ისტორიის მანძილზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა უზრუნველყო საბჭოთა ნაციონალური სახელმწიფოებრიობის განვითარება, ყველა საბჭოთა ერის ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, აყვავება მათი კულტურის — ერთიანის, შინაარსით სოციალისტურის, ნაციონალური ფორმით სხვადასხვანაირისა.

ლაპარაკობდა რა სსრ კავშირში პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაზე, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა კავშირში დიდი ხანია უკვე აღარ არის ჩამორჩენილი, სუსტად განვითარებული რესპუბლიკები. თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თანამედროვე ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ყავს ინტელიგენციის ეროვნული კადრები, აქვს თავისი მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ყოველივე ეს, ამხანაგებო, ერთობლივი მეცადინეობის შედეგი, ძმური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმხარდაჭერის შედეგია. ერებისა და ეროვნებების მეგობრობა და თანამშრომლობა მივაჩნია სოციალისტური სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოების ძალისა და ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ, დიდმნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც აჩქარებს კომუნიზმისაკენ წინსვლას“ (გაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 25 სექტემბერი).

კომუნისტური პარტია წარმატებით ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას — ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებაა ის, რომ სოციალისტური მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მისი დაცვისათვის ბრძოლებში, ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი, წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, ჰარმონიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა. ამ მონოლითურ შეკავშირებას მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ცხადყოფს თავისი შრომით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთსულოვანი მოწონებით.

საბჭოთა ხალხი — ადამიანთა პრინციპულად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობაა. კლასთა და ჯგუფთა, ერთა და ეროვნებათა ასეთი ერთობა პირველია კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ერთობის პოლიტიკური საფუძველია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა ხალხი ჩამოყალიბდა საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ბაზაზე, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ერთიანობის საფუძველზე.

ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის — წარმოშობის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ის აცემენტებს საბჭოთა ხალხის ერთიანობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.

ცნება „საბჭოთა ხალხი“ ასახავს ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობასა და ერთობას, ის არის ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლო. ამ ცნებას აქვს უდიდესი მიმზიდველი ძალა, ის უჩვენებს მსოფლიოს ხალხებს, თუ რაოდენ დიდი ძალა აქვს სოციალიზმის საფუძველზე აგებულ ხალხთა მეგობრობას, ერთიანობას, ის მოუწოდებს მათ იბრძოლონ ასეთი ერთობისათვის.

ცხადია, რომ ხალხთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის — წარმოშობა არ ნიშნავს ერთა გაუქმებას, ეროვნული თავისებურებების, ენის, კულტურის უგულვებელყოფას. საბჭოთა ერები და ეროვნებები, ინარჩუნებენ რა თავიანთ ეროვნულ სახეს, შეადგენენ საბჭოთა ხალხის განუყოფელ ნაწილს. საბჭოთა ხალხი — ეს არა ეროვნული, არამედ ინტერნაციონალური ერთობაა, ყველა საბჭოთა ერის და ეროვნების ძმური კავშირი. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის კავშირი არათუ არ გამორიცხავს ეროვნულ დაყოფას, პირიქით, ხელს უწყობს, უზრუნველყოფს ერთა და ეროვნებათა აყვავებას. ზოგიერთი „სოვეტოლოგი“, აღნიშნავს რა საბჭოთა ხალხის დაახლოებას, მათ ძმურ ერთიანობას, საერთო თვისებების განვითარებას, — მიაწერს კომუნისტურ პარტიას მისწრაფებას „გააუქმოს“ ეროვნული თავისებურებანი და ძალდატანებით გააერთიანოს ხალხები ერთიან ერად. ჩვენი კლასობრივი მტრების ეს ცილისწამება საბჭოთა ადამიანებში იწვევს მხოლოდ ღიმილს, რადგან თვით საკითხის დაყენება ერთა „გაუქმების“ შესახებ უაზრობაა. მარქსიზმ-ლენინიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვასწავლის, რომ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობა მოხდება მხოლოდ კანონზომიერი ხანგრძლივი განვითარების შედეგად მთელ მსოფლიოში სრული კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, სიამაყით უწოდებს თავის თავს საბჭოთა ადამიანს, დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს. გამართლდა წინასწარმეტყველური სიტყვები, მ. ი. კალინინის მიერ წარმოთქმული 1923 წელს:

„მე ვფიქრობ, მუშები და გლეხები ისეთ სახელმწიფოს შექმნიან, რომლის შესახებაც არა მარტო რუსი, არამედ ყოველი ეროვნების მოქალაქე, რომელიც საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში შედის, სიამაყით იტყვის: მე ვარ მოქალაქე დიდი საბჭოთა ფედერაციის, და საბჭოთა რესპუბლიკის წევრობა იწვევს ჩემში ენერგიას, მისთვის ბრძოლის სურვილს და მთელი მსოფლიოს მოქალაქის გრძნობას“ (მ. ი. კალინინი, ჩიტა, 1958, გვ. 63. რუს.).

პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა მშრომელის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხის დიადი საქმეებისათვის სიამაყის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ეროვნების პატივისცემის სულისკვეთებით“ (XXIV ყრილობის რეზოლუცია, გვ. 21).

ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, უდიდესი წვლილი შეაქვს სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების დიად საქმეში. მტკიცე და ურღვევია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და ძმობა. „როცა ვადიდებთ დიდ ოქტომბერს, ჩვენ ვადიდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხსა და ერთიანობას, მათს მისწრაფებას — იცხოვრონ ერთიან ოჯახში, ძმურად გაიყონ ჭირი და ლხინი, წარმატებათა და გამარჯვებათა ნაყოფი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1972 წ. 9 ნოემბერი).

საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოებრივი ისტორია შესანიშნავ მიღწევათა უმდიდრესი მატიანეა, ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სასიცოცხლო ძალისა და მტკიცე გამარჯვების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ ჩანტლაძე

# სომხეთის სსრ კომუნალური მეურნეობის ეკონომიკა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე განუხრელად იზრდება მშრომელების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა; კეთდება ყველაფერი, რათა მშრომელები ყოველ წელს უკეთესად ცხოვრობდნენ, სრულად დაკმაყოფილდეს მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება, — ყოველივე ეს მკაფიოდაა ასახული სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში და ჩვენს ქვეყანაში გაიშალა დიდი ორგანიზატორული მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურმა ზრუნვამ მშრომელების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ ნათელი გამოხატულება პოვა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლითაც დასახულია კომუნალური და, განსაკუთრებით, ბინათმშენებლობის განვითარების ფართო პროგრამა, რისთვისაც გადიდდება სახელმწიფოებრივი კაპიტალური დაბანდებანი. მეცხრე ხუთწლედში (1971—1975) აშენდება და ექსპლოატაციაში შევა 565—575 მილიონი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ხუთწლედში გათვალისწინებულია, გაფართოვდეს მუშაობა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ძირითადად დამთავრდება ქალაქების მოსახლეობის უზრუნველყოფა ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, აშენდება წყალსადენი 700 ქალაქსა და მუშათა დაბაში. გადიდდება საბინაო ფონდის გაზიფიკაცია ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში 65—75 პროცენტამდე, ხოლო სოფლად 40—50 პროცენტამდე. მნიშვნელოვნად გადიდდება ელექტროენერგიის გამოყენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის[1].

საბჭოთამდელ სომხეთში ქალაქების უმრავლესობას არა ჰქონდა ელემენტარული კეთილმოწყობაც კი; საკმარისია აღინიშნოს, რომ სომხეთის კომუნალური მეურნეობის გამგებლობაში იყო მხოლოდ ერთი წყალსადენი, ერთი — „კონკა", 6 — აბანო და რამდენიმე ელექტროსადგური[2].

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1971, გვ. 58—59.

[2] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 158, ფურც. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უარესი მდგომარეობა იყო ქალაქების გარეგანი კეთილმოწყობის მხრივ: ეს იყო ტიპიური აზიური ქალაქები ვიწრო, მრუდე და ჭუჭყიანი ქუჩებით, რომლებსაც არ ჰქონდა მყარი საფარი; უწესრიგოდ განლაგებული თიხის სახლები უკანალიზაციოდ, უმრავლესობა კი — უწყალსადენოდაც; საცხოვრებელი სახლები მოკლებული იყო ელემენტარულ კომუნალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მაშინდელი გზისმკვლევი ქალაქ ერევანს ახასიათებდა როგორც ბაღებსა და ჭუჭყში ჩაფლულს[3].

კომუნალური საწარმოები ძირითადად თავმოყრილი იყო ერევანსა და ლენინაკანში, რომელთა თვითმმართველობას არა ჰქონდა თავისი მუნიციპალური საწარმოები და ყველა საწარმო კერძო პირთა ხელში იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს, აგრეთვე, დაშნაკების ბატონობის პერიოდში კომუნალური მეურნეობის ფონდები სრულიად დაქვეითდა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ სომხეთის კომუნალური მეურნეობა მემკვიდრეობით ძალზე განადგურებულ მდგომარეობაში მიიღო.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან არაერთხელ განიხილებოდა საკითხი ერევანში წყალსადენის მშენებლობის შესახებ. მოსახლეობა იყენებდა რაზდანისა და გეტარის წყალს. შეძლებული ოჯახები სასმელ წყალს წყაროებიდან აზიდვინებდნენ წყალმზიდავთ (თულუხჩებს). მხოლოდ 1912 წელს გაიყვანეს კრბულაგსკის წყაროებიდან წყალსადენი საკონცესიო წესით და შეუერთეს ქალაქს თვრამეტვერსიანი წყალგაყვანილობით.

წყალი კარგი ხარისხისა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სარგებლობდა მხოლოდ მოსახლეობის ერთი ნაწილი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წყალის გადასახდელი იყო მაღალი; მეორეც ის, რომ წყალსადენის ქსელი და წყალგანმანაწილებელი ონკანები იყო მხოლოდ ქალაქის ცენტრში. ზამთარში, სიცივეებსა და ავდრიან დღეებში ღარიბი მოსახლეობა იშვიათად იღებდა ონკანიდან წყალს და კვლავ სარგებლობდნენ ახლო არხებით ამავე დროს წყალსადენი დღე-ღამეში საშუალოდ იძლეოდა 200 ათას ვედრო წყალს, ქალაქის 30-ათასიანი მოსახლეობა კი ხარჯავდა მხოლოდ 18—19 ათასს[4]. 1913 წელს წყალსადენის ქსელი 15,7 კმ-ს შეადგენდა[5], ხოლო მთავარი მაგისტრალის სიგრძე ქალაქამდე — 15 ვერსს[6]. ამრიგად, წყალსადენი ემსახურებოდა მხოლოდ ქალაქის ცენტრის მცხოვრებთა მცირე ნაწილს.

ქ. ერევნის წყალმომარაგების პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. 1923/24 საბიუჯეტო წლიდან ქალაქის წყალსადენი მეურნეობრივ ანგარიშზეა. მოსახლეობის ნაწილი იმთავითვე შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობდა და გადასახდელი 1 ვედროზე შეადგენდა 1/3 კაპიკს, ხოლო დანარჩენი მოსახლეობისათვის დაწესებული იყო 0,5 კაპიკი; წყლის გადასახდელისაგან გათავისუფლებული იყო აღმასკომისა და სახალხო განათლების გამგებლობაში შემავალი დაწესებულებები, აგრეთვე — მოსახლეობის უღარიბესი და უმუშევართა ნაწილი. წყალსადენს ჰყავდა სულ

[3] И. О. А р а к с к и й, Закавказье (Очерки), с.-Петербург, 1910, стр. 17.

[4] Труды II съезда представителей городов по вопросам санитарного благоустройства, Тифл., 1914, стр. 183.

[5] მლი სომხეთის ფილიალი პ. ა. ფ. I ანაწ. I, საქ. 397, ფურც. 64.

[6] ცსა (ერევანი), ფ. რ. 116, ანაწ. I, საქ. 1723, ფურც. 1—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

237 აბონენტი[7], დანარჩენნი სარგებლობდნენ ქუჩების 32 ღია ონკანით; წყლის წლიური დებიტი 72 მლნ ვედრას შეადგენდა, ხოლო 1924/25 მეურნეობრივ წელს მომხმარებელზე მიწოდებულია 23930 ათასი ვედრო (თვითღირებულების კალკულაციისა და ქსელში დანაკარგთა აღრიცხვის შესახებ მასალები არ მოიპოვება).

პირველ ხუთწლედში წყალსადენი იყო მხოლოდ ერევანში. ლენინაკანში იყო ჭები და წყაროები, რომელთა ექსპლოატაციას აწარმოებდა კომუნალური მეურნეობა, ხოლო რაიონებში — წყაროები ან არტეზიული ჭები, რომელთა წყალი ძალზე დაბალი ხარისხის იყო.

ერევანში 1931 წელს წყლის სულადობრივი მოხმარების სადღეღამისო ნორმა იყო 27,3 ლიტრი მაშინ, როდესაც ომამდელ პერიოდში ეს ნორმა 83 ლიტრს შეადგენდა[8]. წყლის მოხმარების მკვეთრი შემცირება ერთ სულ მოსახლეზე აიხსნება იმ გარემოებით, რომ ერევნის წყალსადენი გაყვანილი იყო პატარა პროვინციული ქალაქისათვის, მცირერიცხოვანი მოსახლეობით და დიდმპყრობელური რეჟიმის პირობებში მას არა ჰქონდა ზრდის პერსპექტივა. 1931 წლისათვის ერევნის მოსახლეობა 100 ათასამდე გაიზარდა, როდესაც 1912 წელს შეადგენდა მხოლოდ 29 ათასს; ქალაქის მოსახლეობის ზრდა 244,3%-ით გამოწვეული იყო ერევანში რიგი ფაბრიკა-ქარხნების აგებით და, ამასთან დაკავშირებით, მოთხოვნილება წყალზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ქალაქის წყალსადენის მწარმოებლურობა 1913 წლიდან არ შეცვლილა.

ერევნის წყალმომარაგების საკითხი მწვავედ იდგა ქალაქის საბჭოს წინაშე. პირველ ხუთწლედში აიგო წყალსადენის ქალაქგარეთა ნაწილი კრხბულაგსკის წყაროებიდან ქალაქის წყალსაცავამდე, რომლის დებიტი დღეღამეში 40 ათას კუბმეტრს შეადგენდა[9]; ქალაქის წყალსადენის ქსელს არ შეეძლო მიეღო წყლის ეს რაოდენობა, ამიტომ ქალაქი ღებულობდა წყალსადენის სიმძლავრის მხოლოდ 15%-ს, — რაც იმით აიხსნება, რომ ქალაქის წყალსადენის ქსელი აგებული იყო რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მოხდა მხოლოდ მისი ნაწილობრივი გაფართოება.

1932 წლამდე წყალსადენით სადღეღამისო წყლის მიწოდება შეადგენდა 2,4 ათ. კუბ. მ-ს; ცხადია, რომ ეს რაოდენობა არ იყო საკმარისი სწრაფად მზარდი ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; ამასთან დაკავშირებით, 1927 წელს დაიწყო მუშაობა მძლავრი წყალსადენის ასაგებად, რომლის სადღეღამისო დებიტი გათვალისწინებული იყო 4 მილიონ ვედრომდე. წყალსადენი ექსპლოატაციაში შევიდა 1932 წელს და მისმა დებიტმა იმავე წლის მარტიდან დღე-ღამეში უკვე 4,6 ათ. კუბ. მეტრი შეადგინა[10]. ერევნის ახალმა წყალსადენმა შესაძლებლობა მისცა ქალაქს დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის, ტრანსპორტისა და მრეწველობის მოთხოვნილება წყალზე; გარდა ამისა, შესაძლებელი შეიქმნა ჰიგიენური წყლით მოემარაგებინათ 18 ახლომდებარე სოფელი. 1931 წელს დაიწყო მუშაობა ერევნიდან სოფელ ნორაგავიტამდე წყლის მაგისტრალის გასაყვანად; პროექტით გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, მაგისტრალის გაყვანა მსხვილ სოფლის-

[7] ცსა (ერევანი), ფ. რ. 116, ანაწ. I, საქ. 1723, ფურც. 1—8.
[8] ცსა (ბაქო), ფ. რ. 244, ანაწ. I, საქ. 49, ფურც. 28.
[9] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 5946, ფურც. 12.
[10] ცსა (თბ.), ფ. რ. 631, ანაწ. I, ფ. 2227, ფურც. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობრივ ცენტრამდე — კომარლიუმდე; მთელი მაგისტრალის სიგრძე შეადგენდა 30 კმ-ს.

ქ. ერევნის წყალსადენის მეურნეობის განვითარება პირველი ხუთწლედის უკანასკნელ სამ წელს ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (ცხრილი 1)[11]:

ცხრილი 1

| მაჩვენებლები \ წლები | 1930 | 1931 | 1932 |
|---|---|---|---|
| წყალსადენთან შეერთებული სახლების რაოდენობა | 444 | 459 | 490 |
| გაცემული წყლის რაოდენობა (ათ. კუბ. მ.) | 870,0 | 870,0 | 1494,3 |
| საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე საშუალო სადღეღამისო წყლის მიწოდება 1 მცხოვრებზე (ლიტრ). | 21,0 | 18,0 | 24,0 |

ლენინაკანში პირველ ხუთწლედში არ იყო წყალსადენი. მოსახლეობა სარგებლობდა მიწისქვეშა წყლით, რომელსაც ჰქონდა დიდი სიხისტე და ცუდი ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ხარისხი. ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე წყაროებიდან წყალსადენის გაყვანის საკითხი მრავალი წლის განმავლობაში იდგა ლენინაკანის ქალაქის საბჭოს წინაშე. 1931 წლის დასაწყისში მუშაობა დაიწყო ესაულის წყაროების ბაზაზე წყალსადენის აგებისათვის, მაგრამ ჩქარა გახდა ნათელი, რომ მისი საერთო დებიტი ვერ დააკმაყოფილებდა ყველა საყოფაცხოვრებო და მეურნეობრივ მოთხოვნილებას. მეორე ხუთწლედში გაგრძელდა საძიებო სამუშაოები კიზილ-კოჩკის წყაროებიდან წყალსადენის გამოყვანისათვის სოფელ კაზანჩთან, დებიტი დღე-ღამეში 120 000 კუბ. მეტრს შეადგენდა. კარგი ხარისხის წყაროები მდებარეობდა ლენინაკანიდან 45 კილომეტრის დაშორებით. ლენინაკანის ქალაქის საბჭომ წყლის საერთო მოთხოვნილება ცალკე ღონისძიებების მიხედვით გაიანგარიშა შემდეგი ოდენობით: საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე — 18 ათასი კუბ. მეტრი, მრეწველობაზე — 200 ათასი, ტრანსპორტზე — 9 ათასი; სულ — 48 ათასი კუბმეტრი დღე-ღამეში[12]. სოფლის მოსახლეობისათვის გათვალისწინებული იყო წყლის ნორმა ერთ სულზე 80 ლიტრი დღე-ღამეში, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა გაანგარიშებული იყო 5000 მცხოვრების რაოდენობით; ამრიგად, სულ წყლის მოთხოვნილება შეადგენდა 400 000 ლიტრს დღე-ღამეში. ლენინაკანის წყალსადენის მშენებლობა დაიწყო 1931 წელს, წყლის აუზში მიწოდება გათვალისწინებული იყო თვითდინებით, ხოლო სადღეღამისო მიწოდება პროექტით 3,6 ათას კუბმეტრს შეადგენდა[13].

ამიერკავკასიაში 1932 წელს წყალსადენი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით იყო მხოლოდ 6 ქალაქი. წყლის მიწოდება და ნორმა მოსახლეობის ერთ სულ 1932 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (ცხრილი 2)[14]:

---

[11] ცსა (თბ.), ფ. რ. 631, ანაწ. I, საქ. 2227, ფურც. 149.
[12] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. I, საქ. 158, ფურც. 55.
[13] ცსა (ბაქო) ფ. რ. 244, ანაწ. I, საქ. 49, ფურც. 28.
[14] ცსა (ბაქო), ფ. რ. 244, ანაწ. I, საქ. 94, ფურც. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

| ქალაქები | წყლის მიწოდება დღე-ღამეში (ათას კუბ. მ.) | სადღეღამისო სულადობრივი ნორმა (ლიტრ) |
|---|---|---|
| ბაქო | 47,7 | 81,8 |
| თბილისი | 18,5 | 53,5 |
| ერევანი | 2,7 | 30,2 |
| სოხუმი | 1,1 | 35,0 |
| ბათუმი | 3,3 | 58,5 |
| ფოთი | 0,2 | 13,3 |

ამიერკავკასიის სოფლებში წყალსადენი საერთოდ არ იყო, მოსახლეობა განიცდიდა წყლის მწვავე ნაკლოვანებას.

სომხეთის რესპუბლიკაში მეორე ხუთწლედის დასაწყისს წყალსადენი იყო მხოლოდ ერევანში. 1932 წლამდე წყალსადენი ქალაქს აწვდიდა 2,4 ათას კუბმეტრ წყალს და ეს რაოდენობა, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდა მზარდ მოსახლეობასა და მრეწველობას. 1932 წლის მარტიდან წყლის მიწოდებამ დღე-ღამეში მიაღწია 5,7 ათას კუბმეტრს[15], მაგრამ ქალაქის წყალსადენის ქსელი არ იძლეოდა საშუალებას, რომ გადიდებულიყო წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის; წყალსადენის მთელი მწარმოებლურობის გამოსაყენებლად აუცილებელი იყო ქალაქის ქსელის მთლიანი რეკონსტრუქცია. ახალი წყალსადენით მოწოდებული წყლის ნაწილი ჩადიოდა გედარჩაიში და, საერთოდ, გამოყენებული იყო მისი მხოლოდ 20%. აღნიშნულის გამო ქალაქის ზოგიერთი გარეუბანი არ იყო წყლით უზრუნველყოფილი, ხოლო საწარმოთა ნაწილი იყენებდა ზანგას წყალს. 1933 წელს ქსელმა ფაქტიურად მიიღო 2065,2 ათასი კუბმეტრი წყალი, ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო 2240,8 ათასი კუბმეტრი; ე. ი. წლიური გეგმა 92,2%-ით შესრულდა. ასეთივე მოცულობით შესრულდა სასარგებლოდ გაცემული წყლის გეგმაც: 1792,6 ათასი კუბმეტრის ნაცვლად მან შეადგინა 1652,1 ათასი კუბმეტრი. გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება იმით, რომ ღამით მკვეთრად მცირდებოდა წყლის მოხმარება, რის გამოც წყლის ნაწილი ჩადიოდა გედარჩაიში, — რაც არ იყო გეგმით გათვალისწინებული.

1933 წელს ქალაქის ქსელი 8,5 კმ-ით გაიზარდა და წლის ბოლოს მიაღწია 32,2 კმ-ს[16], ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო მისი გადიდება 40 კმ-ით; ე. ი. ქსელის გაფართოების წლიური გეგმა 80,5%-ით შესრულდა. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ცემენტისა და მილების ნაკლებობით. ამ მდგომარეობამ გამოიწვია, აგრეთვე, ქსელის რეკონსტრუქციის შეფერხება. 1933 წლის ბოლოსათვის წყალსადენთან შეერთებული სახლების რაოდენობა გეგმით უნდა ყოფილიყო 575, ფაქტიურად კი შეუერთდა 492, რაც შეადგენს წლიური გეგმის 85,6%-ს. აუცილებელი იყო წყალსადენის ქსელის გაფართოება და არსებულის წესრიგში მოყვანა. საჭირო იყო, აგრეთვე, მთავარი აუზის წყლის ბრუნვის მოწესრიგება და დანაკარგის შემცირება, ქალაქის გარეუბნებისა და ახალმშენებლობათა რაიონების ფარგლებში მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფა.

---

15 ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 5681, ფურც. 84.

16 ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 5681, ფურც. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1934 წელს ერევნის წყალსადენი შეუფერხებლად მუშაობდა, არ მომხდარა არც ერთი ავარია, რის შედეგად მისი მუშაობის ყველა მაჩვენებელი მთლიანად შესრულდა: გაცემული წყლის რაოდენობამ 1865,5 ათას კუბმეტრს მიაღწია, წყალსადენთან შეერთებული სახლების რაოდენობამ (წლის ბოლოს) — 567-ს[17], ხოლო წყალსადენის ქსელის სიგრძემ — 19 კმ-ს[18]; წყლის საერთო ხარჯი ერთ მცხოვრებზე დღე-ღამეში შემდეგ სურათს იძლეოდა[19]:

| | 1933 წ. | 1934 წ. |
|---|---|---|
| წყლის საერთო ხარჯი ერთ მცხოვრებზე (ლიტრობით) | 40 | 46. |
| მრეწველობის გარეშე | 24 | 22,8 |

როგორც ჩანს, 1934 წელს წყლის საერთო დანახარჯი ერთ მცხოვრებზე 1933 წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა, ამავე დროს, წყლის მოხმარება საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე 5%-ით შემცირდა; ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ მოცემულ პერიოდში მრეწველობამ გაადიდა წყლის მოხმარება, მაგრამ შემცირდა ხარჯი საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. 1934 წელს წყლის ნორმა ერთ მცხოვრებზე შეადგენდა 22,8 ლიტრს, როდესაც პროექტით გაანგარიშებული ნორმა ითვალისწინებდა 200—300 ლიტრს დღე-ღამეში. წყლის მოხმარების ასეთი დაბალი ნორმა თავისთავად მეტყველებდა საქალაქო ქსელის რეკონსტრუქციის აუცილებლობაზე.

1936 წელს სასარგებლოდ გაცემული წყლის რაოდენობა იყო 2 342 000 კუბმეტრი, წყალსადენთან შეერთებული სახლების რაოდენობა — 722, ხოლო საქალაქო ქსელის სიგრძე — 40 კმ[20]. 1937 წელს ქსელის სიგრძემ მიაღწია 50,6 კმ-ს, როდესაც 1933 წელს იგი მხოლოდ 37,2 კმ-ს შეადგენდა[21]. ერევნის წყალსადენი მთელი სიმძლავრით ამუშავდა 1938 წელს და მისმა წლიურმა მწარმოებლურობამ მიაღწია 10,5 მლნ კუბმეტრს.

სომხეთის რესპუბლიკის წყალსადენების თავისებურებას წარმოადგენდა თვითდინება; წყლის უდიდესი ნაწილის მიწოდება მომხმარებლებზე, თვით ერევანშიც, წარმოებდა წყალსაზომების გარეშე. წყლის ფაქტიური მიწოდება 1939 წელს იყო 19,9 მლნ კუბმეტრი. ხოლო გეგმით გათვალისწინებული იყო 12,2 მლნ კუბმეტრი; ე. ი. გეგმა შესრულდა 163,1%-ით. გეგმის გადაჭარბებით შესრულება, აღნიშნულის გამო, უნდა მივიღოთ პირობითად, რადგან წყლის მიწოდების გადიდება არ უკავშირდება მოსახლეობის გადიდებას, არამედ ეს გამოწვეული იყო მრეწველური საწარმოების ზრდით. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1939 წელს უნდა გაეშვათ, — 1938 წელთან შედარებით, — 470000 კუბმეტრით ნაკლები წყალი მაშინ, როდესაც ქ. ერევანში 1939 წელს წყლის მოხმარება ერთ მცხოვრებზე, გაანგარიშების მიხედვით, შეადგენდა 47 ლიტრს, ხოლო 1938 წელს — 38 ლიტრს[23].

ლენინაკანში წყალსადენი ექსპლოატაციაში შევიდა (ნაწილობრივად) 1939 წელს; გაფართოვდა, აგრეთვე, წყალსადენის ქსელიც. 1940 წელს სომხეთის

---

[17] ცსა (თბ.), ფ. რ. 631, ანაწ. I, საქ. 2227, ფურც. 149.
[18] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. I, საქ. 90, ფურც. 1—2.
[19] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 5946, ფურც. 12.
[20] ცსა(თბ.) ფ. რ.631, ანაწ. I, საქ. 6857, ფურც. 90.
[21] მლი სომხეთის ფილ. პა., ფ. I, ანაწ. 26 საქ. 397, ფურც. 64.
[22] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 301, ფურც. 8.
[23] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში წყალსადენი იყო ყველა ქალაქში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალავერდსა და კაფანს, რომელთა მოსახლეობა სარგებლობდა წყაროებით. წყლის უდიდეს ნაწილს მომხმარებელი ღებულობდა აღრიცხვის გარეშე. გამონაკლისია ქ. ერევანი, სადაც იყო 1710 წყალსაზომი, ლენინაკანში — 12, ხოლო კიროვაკანში — მხოლოდ 6[24]. ამიტომ გაცემული წყლის რაოდენობა პირობითად უნდა ჩაითვალოს. 1940 წელს ერევანში წყალსადენის მწარმოებლურობა შეადგენდა დღე-ღამეში 30 240 კუბმეტრს და წყალსადენის ქსელი 14,7 კმ-ით გაიზარდა; სასარგებლოდ გაცემულმა წყლის რაოდენობამ 9482,7 ათასი კუბმეტრი შეადგინა[25], ხოლო წყალსადენის ქსელი, 1926 წელთან შედარებით, 3,5 ჯერზე მეტად გაიზარდა[26].

ქ. ერევნის საბჭოს წინაშე უფრო მწვავედ იდგა კანალიზაციის საკითხი, 125-ათასიან ქალაქში მისი მშენებლობა დაიწყო 1934 წელს და, 300 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით, მისი საპროექტო ღირებულება შეადგენდა 13 მლნ მანეთს[27]. 1935 წელს კანალიზაციის ქსელის სიგრძე 10,5 კმ-ს შეადგენდა, 1936 წელს — 17 კმ-ს[28] ხოლო 1937 წელს — 21,8 კმ-ს[29]. 1940 წელს მთავარი კოლექტორის სიგრძე არ შეცვლილა (1,6 კმ), ქუჩების ქსელი კი მხოლოდ 0,9 კმ-ით გაიზარდა.

მოსახლეობისა და სამრეწველო საწარმოების მშენებლობის სწრაფმა ზრდამ ერევნის საქალაქო საბჭოს წინაშე მწვავედ დააყენა საკითხი ტრამვაის ხაზის მშენებლობის შესახებ, რაც დაიწყო 1931 წელს, ხოლო საექსპლოატაციოდ გადაეცა 1933 წლის 13 იანვრის, ცალმაგი ხაზის სიგრძე 15,5 კმ-ს შეადგენდა. დაწესდა ორი მარშრუტი: პირველი იწყებოდა უნივერსიტეტის დასახლებიდან და, აბოვიანის, შაუმიანისა და მარქსის ქუჩების გავლით, მიდიოდა 26 კომისრის ქუჩის კუთხემდე, იქიდან კი მარშრუტი მიემართებოდა მრეწველურ რაიონში; ხოლო მეორე — რკინიგზის სადგურისაკენ[30].

ტრამვაის მეურნეობის განვითარება მეორე ხუთწლედში შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 3)[31]:

ცხრილი 3

| წლები / მაჩვენებლები | 1933 | 1934 | 1935 | 1936 | 1937 |
|---|---|---|---|---|---|
| ცალმაგის ხაზის სიგრძე (კმ) | 15,5 | 19,6 | 21,7 | 26,4 | 29,9 |
| გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა (ათასი) | 12 097,2 | 21 566,0 | 23 953,0 | 27 907,3 | 35 800,0 |
| სამგზავრო ვაგონების საინვენტარო რაოდენობა (ცალი) | 24 | 46 | 46 | 48 | 55 |

[24] ცსა (ერევანი) ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 803, ფურც. 15.
[25] ქ. ერევნის სახ. არქივი ფ. 3, საქ. 50, ფურც. 33.
[26] ა. პ. სიმონიანი, ერევანი, ერ., 1965, გვ. 184.
[27] ცსა (თბ.). ფ. რ. ანაწ. 1. საქ. 5946, ფურც. 14.
[28] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 6857, ფურც. 93.
[29] მლი სომხეთის ფილ. პა., ანაწ. 26 საქ. 397, ფურც. 64.
[30] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 5681, ფურც. 83.
[31] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე: მლი სომხეთის ფილ. პა, ფ. I, საქ. 397, ფურც. 64, საქ. 118, ფურც. 29; ქ. ერევნის არქივი, ფ. 3. საქ. 38, ფურც. 25; ცსა (თბ), ფ. რ. ანაწ. I, საქ. 757, ფურც. 13;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაის მუშაკებმა 1933 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს: მგზავრთა გადაყვანის გეგმა 191,7%-ით შესრულდა, ხოლო გარბენა ვაგონკილომეტრებში — 100,4%-ით. 1935 წელს მგზავრთა გადაყვანის გეგმა 4%-ის გადაჭარბებით შესრულდა, რამაც ხელი შეუწყო ტრამვაის პარკის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებას, გარბენის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასა და გარბენის სისწრაფის გადიდებას; ამასთან ერთად, ვაგონის შევსების კოეფიციენტი 0,8%-ით შემცირდა. ზემოდასახელებული მაჩვენებლების გეგმის გადაჭარბებამ გამოიწვია შემოსავლის გეგმის 106,6%-ით შესრულება: გათვალისწინებული 453 000 მანეთის ნაცვლად შემოვიდა 4 785,6 ათასი მანეთი. მგზავრთა გადაყვანის გეგმის გადაჭარბებით შესრულებამ და ხარჯების ეკონომიამ შეამცირა ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება 8%-ით[32].

1937 წელს, შედარებით 1933 წელთან, ტრამვაის ცალმაგი ხაზის სიგრძე 92,9%-ით გაიზარდა, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა გადიდდა თითქმის 3-ჯერ, ხოლო ვაგონების საინვენტარო რაოდენობა — 2 ჯერზე მეტად. მესამე ხუთწლედში ტრამვაის მეურნეობის განვითარების ნათელი სურათია შემდეგი მონაცემების მიხედვით: 1940 წელს საექსპლოატაციო ხაზის სიგრძემ 39,4 კმ-ს მიაღწია და 1937 წელთან შედარებით 31,7%-ით გაიზარდა, ხოლო ვაგონების რაოდენობა — 14,5%-ით; გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 1937 წელს შეადგენდა 35,8 მლნ კაცს, ხოლო 1940 წელს — 47,9 მილიონს[33] (ე. ი. 33,8%-ით გაიზარდა). ტრამვაის ხაზის სიგრძე 7 წლის განმავლობაში (1933—40) 1,2 ჯერზე მეტად გადიდდა[34]; 1933 წელს გადაყვანილია 12 მლნ მგზავრი, ხოლო 1940 წელს — 47,9 მლნ; ტრამვაის მოძრავი შემადგენლობა თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

ქ. ერევნის ელექტროგანათებისათვის სამუშაოები დაიწყო 1905 წელს, როდესაც საზოგადოება „ამპერმა“ აიღო ქალაქის ქუჩებისა და მოედნების განათების ვალდებულება. 1908 წელს მდინარე ზანგაზე აგებული ჰიდროელექტროსადგური მაშინვე ვერ აკმაყოფილებდა ქ. ერევნის მოთხოვნილებას. სომხეთში კომუნალური მეურნეობის აღდგენის პერიოდი დაიწყო 1924/25 მეურნეობრივ წელს, — ე. ი. ადგილობრივი ფინანსური მეურნეობის ორგანიზების პერიოდში ქ. ერევანში მუშაობდა ორი ელექტროსადგური, რომელთა მცირე სიმძლავრის (ორივე ერთად 550 კვტ) გამო ელექტროტრესტი მთავარი ქუჩების გასანათებლად ქალაქს უფასოდ აძლევდა მხოლოდ 20 წერტს[35]. ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვა არ წარმოებდა, რადგან არ იყო აღმრიცხველები.

1926 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ერევნის ჰესი-1 — საბჭოთა სომხეთის ელექტროფიკაციის პირმშო[36]. უფრო გვიან დამთავრდა ლენინაკანისა და დზორგესის რაიონული ჰიდროელექტროსადგურები, აგრეთვე — რიგი უფრო პატარა ჰიდროსადგურებისა; გარდა ამისა, აიგო ელექტროსადგურები შემდეგ რაიონულ ცენტრებში: აშტარაკეში, ახტახში, ვაგარშაპედში, კარაკლისში, კა-

[32] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 6942, ფურც. 22—25.

[33] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 303, ფურც. 12—25.

[34] А. В. Багдян, Из истории развития массового городского транспорта в Арм. ССР (1920—1965 гг.), Автореферат, Ер., 1968.

[35] ცსა (ერევანი) ფ. რ. 116, ანაწ. I, საქ. 1723, ფურც. 5.

[36] Советский Союз, Армения, М., 1966, стр., 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერლიუში, სტეფანავანში, აგაბაბეში და სხვა; ერევანსა და ლენინაკანში აშენდა საქალაქო ელექტროქსელი[37].

ელექტროფიკაციის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის, კონტროლისა და ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, საზოგადოებრივი სარგებლობის ყველა ელექტროსადგური 1927 წ. გადავიდა სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში; ესენი იყოფოდნენ ორ კატეგორიად: პირველს ეკუთვნოდა მსხვილი საქალაქო და რაიონული სადგურები, რომლებიც ენერგიას აწვდიდნენ როგორც განათებისათვის, ისე მრეწველური მიზნებისათვის (ე. ი. სადგურები, რომლებიც შედიოდნენ გაერთიანებაში და მუშაობდნენ საერთო ქსელში); მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდა საზოგადოებრივი სარგებლობის ყველა დანარჩენი ელექტროსადგური.

ერევნის ელექტრომომარაგება უკვე პირველი ხუთწლედის პირველ ორ წელს იყო მეტად დაძაბული. ერთადერთი — ერევნის I ჰიდროელექტროსადგური — 4560 კვტს სიმძლავრისა — მუშაობდა რეზერვის გარეშე, ამიტომ არსებობდა მუდმივი საფრთხე მისი ავარიულ გრაფიკზე გადასვლისა. გათვალისწინებული იყო ელექტროენერგიის მოთხოვნილების ზრდა, მით უმეტეს, რომ 1932 წელს უნდა ამოქმედებულიყო დავალინის ცემენტის ქარხანა; ამიტომ აუცილებელი გახდა გზების გამონახვა გადიდებული ელექტროენერგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. აღნიშნულის გამო, 1930 წელს დაიწყო ერევნის მე-2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე პროექტით 2100 კვტს-ს შეადგენდა[38]. ელექტროენერგიაზე მრეწველობის მოთხოვნილების შემდგომი ზრდის დაკმაყოფილებისათვის ერევნის რაიონში დაიწყო მსხვილი ელექტროცენტრალის — კანაკირჰესის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე შეადგენდა 42000 კვტს-ს, რაც წარმოადგენდა მდინარე ზანგის გამოყენების პირველ საფეხურს.

პირველი ხუთწლედის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გადიდდა სასარგებლოდ გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა. ერევანში 1930 წელს გაცემული იყო 3 559 000 კვტსაათი ელექტროენერგია, ხოლო 1932 წელს — 7013,9 ათასი კვტსაათი[39]; ე. ი. 97%-ით გაიზარდა. ერევანში ერთ მცხოვრებზე 1931 წელს მოდიოდა 16,6 კვტსაათი, ხოლო 1932 წელს — 23,1 კვტსაათი[40]. ქუჩების ელექტროქსელის სიგრძე 1931 წელს შეადგენდა 42,5 კმ-ს, ხოლო 1932 წელს — 71,0 კმ-ს, ე. ი. 69%-ით გაიზარდა.

ენერგომომარაგების საქმეში არანაკლები მწვავე მდგომარეობა შეიქმნა ლენინაკანის რაიონში: აქ მოქმედი ჰიდროსადგური, რომლის სიმძლავრე 2080 კვტს-ს შეადგენდა, არ იყო საკმარისი ლენინაკანის რაიონის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის; ამ გარემოებამ გამოიწვია ორჯონიკიძის სახ. ლენინაკანის ჰიდროელექტროსადგურის გაფართოების დაწყება, რომლის სიმძლავრე უნდა გადიდებულიყო 5280 კვტს-მდე. ლენინაკანის ელექტროენერგიაზე შემდგომი მოთხოვნილების ზრდა უნდა დაკმაყოფილებულიყო სომხეთის საერთო გაერთიანებიდან, რომელსაც ლენინაკანის რაიონი 1932 წელს დაუკავშირდა ძორაგესის ხაზის საშუალებით. პირველი ხუთწლედის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა სასარგებლოდ გაცემული ელექტროენერ-

---

[37] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. I, საქ. 158, ფურც. 32.

[38] ცსა (თბ.) ფ. რ. 617 ანაწ. I, საქ. 4646, ფურც. 5.

[40] მლი სომხეთის ფილ. პა. ფ. I, 118, ფურც. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიის რაოდენობა ლენინაკანში: გაცემული იყო 1077,5 ათასი კვტსაათი ელექტროენერგია, ხოლო 1932 წელს — 2 015 000 (ე. ი. 87%-ით გაიზარდა); 1932 წელს ქუჩების ელექტროქსელის სიგრძემ 45,8 კმ შეადგინა[41]. სომხეთის რესპუბლიკაში 1934 წელს სასარგებლოდ გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (ცხრილი 4)[42]:

ცხრილი 4

| ქალაქების დასახელება | სასარგებლოდ გაცემული ელექტროენერგია (ათასი კვტს) | ხვედრიწილი (პროცენტობით) |
|---|---|---|
| ერევანი | 12816,2 | 65,5 |
| ლენინაკანი | 4 343,2 | 22,2 |
| კიროვაკანი | 568,0 | 2,9 |
| იჯევანჰესი | 463,3 | 2,3 |
| გერიუსჰესი | 430,0 | 2,1 |
| დელიჟანჰესი | 220,0 | 1,1 |
| დანარჩენი რაიონები | 739,0 | 3,9 |
| ს უ ლ | 19 574 | 100 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი მოხმარებული ელექტროენერგიიდან ერევანზე მოდის 65,5%, ლენინაკანზე — 22,2%, ხოლო დანარჩენ 10 რაიონზე 12,3%. ქ. ერევანში ელექტროქსელის სიგრძე 1933 წელს 78,6 კმ-ს შეადგენდა, ხოლო 1934 წელს იგი 90,7 კმ-მდე, გაიზარდა. ლენინაკანში შესაბამისად — 45,8 და 59,7 კმ[43]. 1940 წელს სომხეთის ყველა ქალაქი უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიით. ერთი მხრივ, კომუნალური განყოფილება ელექტროენერგიის ექსპლოატაციას აწარმოებდა მხოლოდ 5 ქალაქში, ნ. ბაიაზეტს კი ჰქონდა თავისი ჰიდროელექტროსადგური. დანარჩენ ქალაქებში ექსპლოატაციას აწარმოებდა მრეწველობა ან არმენელექტრო.

ელექტრომეურნეობის განვითარება 1939—1940 წწ[44].

ცხრილი 5

| მაჩვენებლები | 1939 წ. შესრულება | 1940 წ. | | შესრულება %-ით | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | შესრ. | 1940 წ. | 1939 წ. |
| 1. გამომუშავებული და მიღებული ენერგია (ათას კვტსაათობით) | 72321,1 | 75118,6 | 80046,2 | 106,5 | 110,6 |
| 2. სასარგებლოდ გაცემული ენერგია | 67873,5 | 70698,9 | 77016,9 | 108,9 | 113,4 |
| 3. დანაკარგი (%-ით) | 6,2 | 5,9 | 3,8 | — | — |
| 4. შემოსავალი | 9324,4 | 11594,6 | 12425,5 | 107,1 | 133,2 |
| 6. საექსპლოატაციო ხარჯი | 6143,5 | 8766,7 | 9000,7 | 102,6 | 146,5 |
| 6. თვითღირებულება (1 კვტს-სა) | 9,0 | 12,4 | 11,4 | 94,4 | 130,4 |
| 7. საშუალო გასაცემი ფასი (1კვტს-სა) | 13,7 | 16,4 | 19,9 | 103,1 | 123,4 |

---

[41] ცსა (თბ.) ფ. რ. 631, ანაწ. I, საქ. 2227, ფურც. 151.

[42] ცსა (თბ.). ფ. რ. 631, ანაწ. I, საქ. 6859, ფურც. 88.

[43] ცსა (თბ.), ფ. რ. 631, საქ. 2227, ფურც. 151.

[44] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 303, ფურც. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილიდან ჩანს, რომ ენერგომეურნეობა 1940 წელს როგორც გეგმასთან, ისე 1939 წლის შესრულებასთან შედარებით იძლევა დადებით შედეგს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვითღირებულებას, რომელიც გეგმასთან შედარებით შემცირებულია, ხოლო 1939 წელთან შედარებით კი გადიდდა; ეს გამოწვეული იყო ელექტროენერგიის ტარიფებისა და კომერციული ხარჯის გადიდებით.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სულ იყო 6 აბანო[45], აქედან ერევანში — 5. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი აბანო ერევანში აიგო 1922 წელს და მისი პირველდაწყებითი ღირებულება განსაზღვრული იყო 50 000 მან. ოდენობით, ხოლო შემდგომ პერიოდში იგი გადიდდა 60—526 მან-მდე; მისი სადღეღამისო გამტარიანობა შეადგენდა 750 კაცს, საშუალო დატვირთვა — 80 კაცს, წლიური რაოდენობა — 225 600 კაცს[46]. 1923 წლიდან აბანოები გადაყვანილია მეურნეობრივ ანგარიშზე, ხოლო 1926 წლიდან დაიწყო აბანოების სამუშაოები: მიშენების, წყალსადენის რეკონსტრუქციისა და სხვათა გზით, — რომლის ხარჯი 93 000 მანეთს შეადგენდა.

სომხეთის რესპუბლიკაში 1932 წელს აბანოების მეურნეობაში კაპიტალდაბანდება გათვალისწინებული იყო 1004,8 ათასი მანეთის ოდენობით. აბანოების აგება დასახული იყო ერევანში, ლენინაკანში, კარაკლისში, ალავერდში, კაფანში, დილიჟანში და სხვ. ერევნისა და ლენინაკანის აბანოთა მშენებლობა დაიწყო 1931 წელს. ერევნის აბანოს გამტარიანობა გაანგარიშებული იყო 6 400 მობანავეზე დღეში; მისი საერთო ნუსხური ღირებულება პროექტით შეადგენდა 840 000 მანეთს, საიდანაც 440 000 მან. ათვისებული იყო 1931 წელს, ხოლო დანარჩენი განკუთვნილი იყო მშენებლობის დასამთავრებლად. ლენინაკანის აბანოს საპროექტო ღირებულება შეადგენდა 146 000 მან-ს; აქედან: 95 000 მან. აითვისეს 1931 წელს, ხოლო დანარჩენის ათვისება გათვალისწინებული იყო 1932 წელს მშენებლობის დასამთავრებლად[47].

1933 წელს ერევანში მუშაობდა კომუნალური მეურნეობის ორი აბანო საათში 132 კაცის გამტარიანობით[48]. ეს ორი აბანო ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის მზარდ მოსახლეობას, ამასთან, მუშაობდნენ მეტად მძიმე პირობებში: არა ჰქონდათ მაზუთის საწყობი, რაც იწვევდა სათბობის მიწოდების შეფერხებას; აღნიშნულის გამო, 1933 წელს პირველი აბანო არ მუშაობდა 134 საათს, მეორე — 1 776 საათს; გარდა ამისა, პირველ აბანოს ჰქონდა პატარა ქვაბი, რის გამო 24 ნომრის ნაცვლად მუშაობდა მხოლოდ 8; ამიტომაც გეგმა მხოლოდ 80,6%-ით შესრულდა. 1934 წელს ერევანში ისევ ორი აბანო მოქმედებდა, ლენინაკანში — 1, ხოლო რაიონულ ცენტრებში — 10; მათი გამტარიანობა წლის განმავლობაში შეადგენდა შესაბამისად: 886; 318,5; 162,3 ათას კაცს[49]. ერევნის აბანოებმა მობანავეთა გატარების გეგმა მხოლოდ 84,8%-ით შეასრულეს.

სომხეთში 1939 წელს სულ 10 კომუნალური აბანო იყო, აქედან ორ-ორი ერევანსა და ლენინაკანში; აბანოების საერთო რიცხვიდან მხოლოდ 2 იყო აგე-

[45] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. I, საქ. 158, ფურც 31.

[46] ცსა (ერევანი), ფ. რ. 116, ანაწ. I, საქ. 1723, ფურც. 6.

[47] ცსა (ბაქო), ფ. რ. 244, ანაწ. I, საქ. 49, ფურც. 34.

[48] ცსა (თბ.), 634, ანაწ. I, საქ. 5946, ფურც. 16.

[49] ცსა (თბ.), ფ. რ. 634, ანაწ. I, საქ. 6942, ფურც. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული რევოლუციამდე; ყველა აბანო იყო დამოუკიდებელ ბალანსზე. ერევანისა და ლენინაკანის აბანოსთან არსებობდა მექანიკური სამრეცხაო. 1939 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 2,6 მლნ მობანავის გატარება, ფაქტიურად გატარდა 2,2 მლნ კაცი[50]; ე. ი. გეგმა შესრულდა მხოლოდ 84,5%-ით. 1940 წლის ბოლოსათვის აბანოების საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში 12 შეადგენდა, მათ შორის: ერევანში იყო 2, ლენინაკანში — 3, ხოლო დანარჩენ ქალაქებში თითო აბანო; მათი საერთო გამტარიანობა შეადგენდა 1151 კაცსაათს. 1933 წელს ერევნის აბანოებმა გაატარეს 478,5 ათასი მობანავე, ხოლო 1940 წელს — 2573,2 ათასი; ე. ი. მობინავეთა რიცხვი 4-ჯერ გაიზარდა.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში არ იყო შესაძლებლობა ფართო საბინაო მშენებლობისათვის იმის გამო, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ძალზე გაჩანაგებული იყო, ამასთან, პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება პირველ რიგში მიმართული იყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღდგენაზე.

1926 წლის აღწერის მონაცემებით, სომხეთის მოსახლეობა 1,671 მლნ სულს შეადგენდა, აქედან ერევანსა და ლენინაკანში ცხოვრობდა შესაბამისად: 64 613 და 42 313 კაცი, სხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში 60 172 კაცი; ხოლო პირველ მსოფლიო ომამდე ერევანსა და ლენინაკანში იყო შესაბამისად 40 000, 30 000 მცხოვრები[51]. იმავე წლის მონაცემებით, სომხეთის ქალაქებში საცხოვრებელი ფართობი შეადგენდა 779 902 კვ. მ-ს; ე. ი. მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 4,7 კვ. მეტრი, თუმცა ამ ციფრს სჭირდება მნიშვნელოვანი შესწორება: მონაცემების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მასში შეტანილია ყველა შენობა, რომელიც გამოყენებულია საცხოვრებლად, მიუხედავად იმისა, ვარგისი იყო თუ არა იგი. საცხოვრებელ ფართობში შეტანილი იყო არა მარტო ყაზარმული ტიპის საერთო საცხოვრებლები, არამედ — დროებითი ბარაკები, სამზარეულოები, სარდაფები, ფარდულები და სხვა, რომლებიც, თუმცა ფაქტიურად გამოიყენებოდა საცხოვრებლად, მაგრამ სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ ელემენტარულ სანიტარულ ნორმებს.

სომხეთის ქალაქების საცხოვრებლად გამოყენებული საბინაო ფონდი[52]

ცხრილი 6

| საბინაო ფონდი (კვ. მ) | შესწორება ხარისხის მიხედვით | | | | საცხოვრებელი ფართობი | მოსახლეობა | სულადობრივი ნორმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამზარეულო სარდაფი და ფარდული | ბარაკი, ყაზარმული ტიპის, საერთო საცხოვრებელი | უვარგისი ფართობი | სულ უვარგისი ფართობი | | | |
| 779 902 | 67 550 | 91 488 | 169 700 | 328 738 | 451164 | 167098 | 2,7 |

აღსანიშნავია, რომ ასეთი შესწორება საცხოვრებელი ფართობის შესახებ მოგვცა, აგრეთვე, ამიერკავკასიის საგეგმო კომიტეტმაც ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის მიმართ. ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სომხე-

[50] ცსა (ერევანი), ფ. რ. 116, ანაწ. I, საქ. 1723, ფურც. 6.
[51] ცსა(ერევანი), ფ. რ. 219,ანაწ. 3, საქ. 301, ფურც. 11.
[52] ცსა (თბ.), ფ. რ. 617, ანაწ. I, საქ. 4285, ფურც. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის საგეგმო კომიტეტის და ერევნის აღმასკომის გაანგარიშებამ დაამტკიცა, რომ აუცილებელი იყო აღწერის მონაცემებში შესწორების შეტანა. შესწორების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების მიუხედავად, ძირითადად ყველა შედეგი ახლოა ერთმანეთთან; მაგალითად: სომხეთის საგეგმო კომისიის მონაცემებით 1927 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა — 2,49 კვმ. აღმასკომის მონაცემებით 2,3 კვმ., ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფოებრივი კომისიის მონაცემებით — 2,51 კვმეტრი.

ქ. ერევნის მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართობით[53]

ცხრილი 7

| წლები / მაჩვენებლები | 1928 | 1933 | 1937 | 1938 | 1938 წლის %-ული შეფარდება 1928 წელთან |
|---|---|---|---|---|---|
| საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვმ.) | 360,2 | 439,2 | 648,9 | 684,0 | 190 |
| მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) | 75,0 | 111,5 | 173,7 | 180,0 | 240 |
| საშუალო სულობრივი ნორმა (კვმ.) | 4,7 | 3,3 | 3,7 | 3,8 | 81 |

ცხრილიდან ჩანს, რომ საბინაო ფონდი 1938 წლის 1 იანვარს 90%-ით გადიდდა 1928 წელთან შედარებით, როდესაც მოსახლეობა 140%-ით გაიზარდა, ხოლო სულადობრივი ნორმა, რომელიც შეადგენდა 4,7 კვმეტრს (რაც თავისთავად ძალზე მცირე იყო), კიდევ შემცირდა 19%-ით.

ქ. ერევნის მოსახლეობის საბინაო პირობების უფრო ზუსტად შესაფასებლად მოცემულ პერიოდში საშუალო სულადობრივ ნორმაში საჭიროა შესწორებათა შეტანა, რადგან საცხოვრებლად გამოყენებული იყო ფარდული, სარდაფი, სამზარეულო და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართობი მცირდება კიდევ 10—15%-ით.

ამრიგად, პირველ და მეორე ხუთწლედებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საბინაო მშენებლობაში, რის შედეგადაც საბინაო ფონდი თითქმის გაორკეცდა. მიუხედავად ამისა, საბინაო მშენებლობის ტემპი არადამაკმაყოფილებელია, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის ტემპს; ამიტომ, არამც თუ გადიდდა სულადობრივი ნორმა ერთ მცხოვრებზე, არამედ შემცირდა 4,7-დან — 3,8 კვ. მ-მდე. სომხეთის რესპუბლიკის ქალაქებში 1941 წლის 1 იანვრისათვის მთელი საექსპლოატაციო საცხოვრებელი ფონდი შეადგინა 249 564 კვმეტრს[54], მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ მოდიოდა 5,94 კვმეტრი, ხოლო ქ. ერევანში — 6.1 კვმეტრი[55].

ის უდიდესი წარმატებები, რაც მოიპოვეს სომხეთის მშრომელებმა სოციალიზმის მშენებლობისა და განმტკიცების პერიოდში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის კომუნალურ მეურნეობაში დიდმნიშვნელოვანი წვლილია სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

[53] ცსა (ერევანი), ფ. რ. 113, ანაწ. 4 საქ. 6441, ფურც. 2.
[54] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 303, ფურც. 20.
[55] ცსა (ერევანი), ფ. რ. 219, ანაწ. 3, საქ. 301, ფურც. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიზა ზუმბაძე

# დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი

## III

### დიონისე და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“

ცნობილია გადმოცემა, რომელსაც ჩვენ ჰეგელის „ფილოსოფიის ისტორიით“ ვიცნობთ, რომ პითაგორას წინარეგანსხეულება, ჰერმოტიმოსი, სიცოცხლეშივე ჰფლობდა სხეულიდან სულის ამოსვლის ხელოვნებას. იგი მთელი დღეებით სტოვებდა თავის გვამს და მიემართებოდა სხეულისაგან თავისუფალი სულის სამყაროში სამოგზაუროდ, სამყაროული სულის სამეფოში ნაგულვები იდუმალების შესაცნობად. ეს იყო სიცოცხლეშივე სიკვდილის შემძლეობის საიდუმლო ხელოვნება, რომლის შესახებ ცნობებსაც ჩვენ ძალიან ძუნწად შევხვდებით საყოველთაო ლიტერატურაში და რომელიც, როგორც რეალური გზა შემეცნებისა, ფილოსოფიის ენაზე აუხსნელია.

მაგრამ ფაქტია, რომ პლატონის „ფაიდონში“ უკვე ფილოსოფიურად არის ნაქადაგევი ჭეშმარიტების წვდომის შეუძლებლობა სხეულებრივი დაბრკოლების გამო (ე. ი. იმის გამო, რომ სხეული გვაქვს და ჭეშმარიტების მწვდომელი სული სხეულის საპყრობილეში იმყოფება). სიკვდილი არის გზა სულის განთავისუფლებისა სხეულიდან, ე. ი. სიკვდილი არის გზა ჭეშმარიტების შემეცნებისა და მასთან ზიარების. სხეულიდან თავისუფალი სული, ჭეშმარიტებას მოწყურებული, სიცოცხლეში სიკვდილის ტრფიალით ემზადება თავისუფალი შემეცნებისათვის. ამიტომ პლატონის ფილოსოფია იქცა მზადებად სიკვდილისთვის, სიკვდილისათვის მზადების ხელოვნებად. პლატონის „ფაიდონით“ გატაცება იმხელა იყო, რომ როგორც გოეთეს „ვერტერის“ გამოქვეყნების შემდეგ თავს იკლავდნენ ევროპელი მიჯნურნი, პლატონის „ფაიდონით“ ანთებულნი, ასევე გატაცებულნი ჭეშმარიტების წყურვილითა და ტრფიალით, უკვდავების ბერძენი მიჯნურნი, ვეღარ იოკებდნენ თვითმკვლელობის სურვილს. მგზნებარება ღვთაებრივთან მიახლების სურვილისა, ცეცხლი ღვთაებრივის სიყვარულისა, საუკუნეების განმავლობაში სწვავდა ადამიანის გონებას. და აი, ცნობილია რამოდენიმე ცდა ამ როგორმიახლების ახსნისა.

ეკლესიის დიდი მამა, კლიმენტ ალექსანდრიელი აბსოლუტურ მიუწვდომლობად თვლიდა ღვთაებრივს. ის, რასაც ჩვენ შეიძლება მივწვდეთ, აღარ არის ღმერთი, ამბობს იგი. ის, რაც იგი არის, მას ვერანაირად ვერ მივწვდებით[1]. მი-

[1] Clemens Alexandrinus, stromata, I, V, c. XI. მომყავს შრომიდან: Лосский, Отрицательное Богослозіе в ученіи Діонисія Ареопагита, стр. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი აზრით თვით ამ მიუწვდომლობის ცოდნაც ღვთაებრივი ნაბოძვარია ადამიანისათვის.

მეორე დიდი მიმართება ღვთაებრივთან მიახლების ახსნისა, ქრისტიანული და ნეოპლატონური (ორიგენი, პლოტინი), ასე დაბეჯითებით როდი უარყოფს ღვთაების მიუწვდომლობას: ღმერთი მიუწვდომელია არა თავისთავად, არა თავისი ბუნებით, არამედ ჩვენი გონების უძლურების გამო[2]. შეიძლებოდა ამ თვალსაზრისის დღემდე გამძლეობის ნიშნად ზუსტი ანალოგიაც მოგვეტანა თანამედროვე ფილოსოფიიდან: „თუ არსი ანგელოზისა უხილავია, ამაში დამნაშავეა მაყურებელი“ — წერს გერმანელი ნეოთომისტი ჰ. კონრად-მარტიუსი. ამ მეორე ქრისტიანულ-ნეოპლატონური თვალსაზრისით შესაძლებელია მიღწეულ იქნას სულიერი მდგომარეობა ადამიანისა, რომელშიაც იგი (ადამიანი) იმდენად ჩაძირული იქნება თავის მე-ში, იმდენად შემოცლილი და დავიწყებული ექნება თავისი სხეულებრივი არსებობისეული სამოსი, რომ ადამიანი შესძლებს გონების უძლურების დათრგუნვას მისი უპირველესი ხელისშემშლელის, სხეულის მოშორების გზით. ამ უჩვეულო მდგომარეობათა მიღწევა, ამ უკიდურეს თავდავიწყებაში ჩაძირვა, როდი ძალუძთ ყველა ჩვეულებრივ მოკვდავთ. იგი უჩვეულო და გამონაკლის ადამიანთა ხვედრია და მიიწვდომება დიდი სულიერი და სხეულებრივი წვრთნის შემდეგ. ასე რომ ამ თვალსაზრისით მიახლება ღვთაებრივთან, თავდავიწყების ასეთი ექსტაზით, რჩეულთა საქმედ რჩება. ამ ორი გზის საზღვარზე დგანან ღვთაების შემეცნებაში დიდი კაბადოკიელი მამები[3], რომელთაც საკმაოდ მძლავრად უკავშირდება თავისი სულიერი ძირებით დიონისე არეოპაგელი[4].

დიონისესთვის აღარ უპირისპირდება ცნობადი სამყარო და შეუცნობელი სამყარო, როგორც ღვთაებრივი და არაღვთაებრივი: მისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ჰია რომ ჰიაა, იმაშიაც არის ღმერთი; მაგრამ ხილვადი სამყაროს შემეცნება არის ერთი ნახევარი ღვთაებრივი ყოფიერების შემეცნებისა. უფრო მეტიც, — ღვთაება თავის ჭეშმარიტ სახეში უფრო და უფრო იკვეთება ხილვადს მიღმა და, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ფესვებით დასასრულ, იგი საკუთრივ არარაობაში დგას, როგორც მიზეზი ყოველგვარი რაობისა. პლატონის ეიდოსების, ანუ მიუწვდომელ არსებათა გამონაწვდომები, რომელთა ხილვა ასევე შეუძლებელია სპეკულატიური გონებით და საჭიროებს გონების რაღაც სხვა სახეობას, დიონისესთვის იქცევა ანგელოზებით დასახლებულ სულიერ სამყაროდ; და ამ სამყაროში ისევე თავისუფლად მიმოიქცევა იგი, ქრისტიანი ნათელმხილველი, როგორც უცხოელი მიმოიქცევა თავის სამშობლოში. იგი უცხოა და უთვალავნი ამ ციურ მცხოვრებთაგან უცხონი არიან მისთვის, მაგრამ დიონისესთვის როგორღაც მახლობელი და საკუთარი ხდება ეს წმინდა სპირიტუალური რეალობა. მას გაჰყავს აქ მერიდიანები და უჩვეულო შუქნიშნები, და ეწევა მეგზურობას, რომლის სრული მინამსგავსი ისტორიამ არ იცის. როგორ არის შესაძლებელი ამ სპირიტუალურ რეალობაში მოგზაურობა დიონისეს თვალსაზრისით? ეს არ არის არც დიონისესთვის უბრალოდ, ყველა

---

[2] Лосский, იქვე, გვ. 133.

[3] Лосский, იქვე.

[4] სამწუხაროდ, დღეისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არა ჩანს ის დიდი ინტერესი კვლევისა, რომელსაც საჭიროებს დიდი კაბადოკიელი მამების მსოფლმხედველობა. არეოპაგიტული მსოფლმხედველობის საბოლოო სურათის ჩამოყალიბება კი ამ დიდი მოაზროვნეების გარეშე შეუძლებელია. დიონისე-დანტეს საკითხისათვის იხ. ა. გაწერელიას წერილი. „ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან“, მნათობი, 1970, № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურველისათვის უბრალოდ შესაძლებელი „მოგზაურობა“. თუ ჰერმოტიმოსი ჰფლობდა სიცოცხლეში სხეულიდან სულის ამოსვლის ხელოვნებას, დიონისე „სხეულში რჩება“, სხეულს გარდაქმნის და ასულიერებს და სხეულითავე ემსგავსება ისეთ სულიერ არსებას, რომელზედაც შეიძლება უკვე ითქვას, რომ იგი დაცლილია სხეულებრივი სიმძიმისაგან. დიონისეს ეს გზა მისივე ტერმინით რომ ვთქვათ, არის „გაანგელოზების“ გზა. როდესაც სამყაროს შემეცნებისათვის დიონისე აერთიანებს სამყაროს შემეცნების კატაფატიკურსა (დადებითს) და აპოფატიკურ (უარყოფით) გზებს, იგი ამით აერთიანებს რაციონალურსა და ირაციონალურ შემეცნებას და თვითეულს განდეგილად, ცალცალკეს, მიიჩნევს შემეცნების არასაკმარის საშუალებად.

რას ნიშნავს მაშინ „გაანგელოზების“ გზა დიონისე არეოპაგელისათვის? ხომ არ ნიშნავს ეს ცალმხრივობის ქადაგებას სულისა და სხეულის ცხოვრებაში და ხომ არ ეწინააღმდეგება **ეთიკურად ცალმხრივი** კატაფატიკურისა და აპოფატიკურის ონტოლოგიურ ან გნოსეოლოგიურ მთლიანობას?

რაციონალურისა და ირაციონალურის შემეცნებითი მთლიანობა, როგორც სრულყოფილი შემეცნების ერთიანი გზის ქადაგება არეოპაგიტიკაში, თავისთავად აღძრავს საკითხს არეოპაგელის ეთიკური იდეალის გასარკვევად, მისი გნოსეოლოგიისა და ეთიკის ურთიერთმიმართების გასარკვევად. თუ ჭიაც ღმერთია, თუ ჭიის შემეცნებაც საჭიროა ღვთაების სრული შემეცნებისათვის, უმდაბლესი ეთიკური საქციელიც, ჭიის შესაბამისი ეთიკური აქტიც უნდა ღვთაებრივი იყოს, ადამიანის ნებისმიერ საქციელში უნდა მოიძებნოს ღვთაების შუქი, როგორც სიმახინჯეში მშვენიერება. ამიტომ ისმის კითხვა: რას ნიშნავს დიონისე არეოპაგელის გაანგელოზების ეთიკა, რამეთუ მისი გნოსეოლოგია, მისი ღვთაებრივის შემეცნება, მხოლოდ გაანგელოზების გზით არის შესაძლებელი. აქ ჩვენთვის ეჭვს აღარ იწვევს დიონისე არეოპაგელის ასკეტური იდეალი, მისი ფილოსოფოსის რელიგიურ ასკეტად გამოცხადება და ქრისტესთან მისი მიმსგავსება სრული განდეგილობით. საჭიროა მხოლოდ პასუხი გაეცეს კითხვას: რას ნიშნავს მისი *გრძნობადი გზის*, ამქვეყნიური ცოდნის გზის გავლა ეთიკურად? და აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს *არეოპაგელთან სხვა ეთიკა, გარდა ღვაებრივი შემეცნებისათვის სამზადისისა.*

თუ გავიხსენებთ, ჰეგელისთვის როგორც ადამიანური, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრება დაყვანილია ადამიანურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ამდენად მისი „სულის ფილოსოფია“ არის ამავე დროს, გარდა ადამიანური ცნობიერებისა, საზოგადოებრივი ცნობიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახები მეცნიერებაც. — „ჩემი ჭეშმარიტი ადამიანური ყოფნა. ეს არის ჩემი ფილოსოფიური ყოფნა“ — წერს ჰეგელი[5]. დიონისე არეოპაგელისათვის ადამიანური ცხოვრებაა დაყვანილი ადამიანურ ცნობიერებაზე. საპირისპიროდ მატერიალისტთა თქმისა, რომ „შრომამ შექმნა ადამიანი“, რომ შრომა არის ადამიანური არსების არსი, ჰეგელისათვის ერთადერთი ადამიანური შრომა ეს არის აბსტრაქტული, სულიერი შრომა. ამ თვალსაზრისით, ჰეგელი არეოპაგიტულ გზაზე დგას. დიონისესთვის ერთადერთი ადამიანური ცხოვრება ეს არის შემეცნება. მისი ეთიკა საბოლოოდ დაიყვანება გნოსეოლოგიაზე, უფრო ზუსტად: შემეცნების ეთიკაზე, რომელიც გნოსეოლოგიის არეოპაგიტულ სახედ

[5] Философия духа, т. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვევლინება. არ არსებობს არეოპაგელისათვის სხვა ეთიკა გარდა აპოფატიკურის უპირატესობისთვის მზადებისა ეთიკურად. გზა უარყოფისა უპირატესია არა მხოლოდ შემეცნებითად, არამედ ეთიკურადაც. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ დიონისე არეოპაგელის ეთიკური თითქმის უიგივდება მისსავე გნოსეოლოგიურს:

„ხოლო შენ, საყვარელო ჩემო ტიმოთე,—მიმართავს იგი თავის მოწაფეს, და ამ აზრით არის ამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება,—საიდუმლო ხილვათადმი ანთებული ლტოლვით, შეგრძნებანიცა და ქმედებანიც გონისეულნი დაუტევე, ყოველი გრძნობითა და გონით წვდომადი, ყოველი არარსებული და არსებული, და რაოდენ შესაძლო არს, შეუცნობლად ამაღლდი ზეშთა ყოველთა არსთა და ცოდნათადმი შესაერთებლად, რამეთუ მხოლოდ განმარტოებული და თავისუფალი ყოფით, საკუთარი თავისა და ყოველთაგან წმიდა განდეგილობით, ყოველთა დაგმობითა და უბრალოებით ძალგიძს ღვთაებრივი უკუნის ზეარსული ნათებისადმი მიახლება.“ („მისტიური თეოლოგიისათვის“. თარგმანი დ. ზუმბაძის“.).

განსხვავებით ქრისტიანული ასკეტიზმისაგან, რომლის ეთიკური იდეალი არის წმინდანობა, დიონისესთვის რაღაც უფრო მეტია საჭირო. არა წმინდანობა, არამედ რაღაც სიწმინდეზე და წმინდანობაზეც მეტი, საჭიროა თვით ადამიანურ სიწმინდეზედაც ამაღლება, რათა მჭვრეტელი ღვთაებრივი ხილვისა ერთიანად ჩაიძიროს გამოუთქმელში, გამოუთქმელის ზეგონებითსა და ზენათელ წყვდიადში.

ამრიგად დიონისე აერთებს რა ორ გზას ჭეშმარიტების მისაწვდომად, ამქვეყნიური ცხოვრების გამოცდილებას, ამქვეყნიური ცხოვრების ვნებათა და სიამოვნებათა გამოცდილებას კი არ აერთებს იმქვეყნიურთან და ხმაშეწყობილად კი არ სტოვებს მათ, ასე კი არა ჰქმნის თავის ეთიკურ იდეალს, არამედ, აერთებს და ხსნის, ამქვეყნიურისაგან დასცლის და ათავისუფლებს, და როგორც ღვთაებას თავის უსრულყოფილეს გამოვლენაში იხილავს არარად, ასევე მის მხილველსაც იხილავს ამქვეყნიურ, მაგრამ ღვთაებრივ არარასთან, იმ არარასთან მიახლოვებულ სახეში. ეს არის მისი გაანგელოზებისა და სიცოცხლეში ქრისტესთან მიმსგავსების გზა. სხვა შემთხვევაში ადამიანი დარჩებოდა ჭიად, რომელშიაც აგრეთვე არის ღმერთი.

დიონისური სიკეთის ემანაცია როგორც ადამიანის პიროვნული ამქვეყნიური მოღვაწეობა სულიერ მოწაფეთა განსწავლაშია, რასაც ადასტურებს მისი ტრაქტატები და ამ ტრაქტატებში არსებული მოძღვარი თავად არეოპაგელისა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „მზე“ მისი სულიერი სამყოფელისა. იეროთეოსის, როგორც საკუთრივ დიონისე არეოპაგელის მოძღვრისა, და ქრისტეს, როგორც ყველა სულიერ მოწაფეთა და მოძღვართა ღვთაებრივი მოძღვრის შემწეობით ხორციელდება ამქვეყნიურ ადამიანთა ზეციურ იერარქიებში მოგზაურობა, და ხიდის გადება ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ხილულ სამყაროს შორის. აი, ამ ზეციური იერარქიების, და არაამქვეყნიური სამყაროს შორეული ლანდშაფტებია დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ გმირთა მთავარი სამოქმედო ასპარეზი. აი, ეს უჩვეულო ზეციური ცხოვრება ანგელოზებისა არის ის საბოლოო და გადამწყვეტი ხედი დანტეს პოეტური სიბრძნისმეტყველებისა, რომელიც კიდევ უფრო აცოცხლებს ამ ღვთისმეტყველებით ლანდშაფტს, აახლოვებს და ადამიანური სუნთქვით ათბობს.

სანამ ამ დანტესეულ ლანდშაფტებს მივეკარებოდეთ, რომელიც უშუალო კავშირშია დიონისეს ზეციურ იერარქიასთან, ორიოდე სიტყვით გადმოვცემთ დანტესეულ მისასვლელს ზეციურ სფეროებამდე, ანუ „ღვთაებრივი კომედიის“ ქვედა სტრუქტურებს. ეს აღმა სვლა თავისთავად ენათესავება, როგორც აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნიშნეთ, განწმენდისა, განათლებისა და სრულყოფის მისტერიალური ამაღლების პრინციპს, რომელიც, როგორც აგრეთვე უკვე აღვნიშნეთ, იგივეა მიწიერ და ზეციურ არსებათა ღმერთთან მიმსგავსებისათვის.

* * *

ზეშთასოფლისაკენ მიმავალი გზა დიონისე არეოპაგელისათვის სიმბოლურად გადმოიცემა მწვერვალზე აღმავალ გზად: მისი სულიერი მწვერვალნი, თვით უმწვერვალესთა მწვერვალთაცა ზე აღიმართებიან, და ამ სულიერ მწვერვალთა თავანზედა ძევს იგი, „რომელიც ყოველთ მიღმიერად ძევს“. დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიაც“, დანტეს, როგორც ნაწარმოების პირველი პირისა და მისი მთავარი გმირის უჩვეულოდ მაღალსა და მდიდარფეროვან მწვერვალზე ასვლის ალეგორიაა. ამასთან, ეს დანტესეული მწვერვალის პყრობა, როგორღაც ამთლიანებს ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ შესაბამის სფეროებს. უსიერი ტყე, რომელიც დაბლობზე მთის ძირს აკრავს, ალეგორიაა გარდუვალი ცოდვების, ჯოჯოხეთისთვის განწირვისა და ფაქტიურად მიწიერი ჯოჯოხეთისა. მთის ფერდები — მიწიერი და ზეციური განსაწმენდელისა, უფრო სწორად ამქვეყნიური და იმქვეყნიური განსაწმედლის განსახიერებაა, ხოლო მთის მწვერვალი არის ალეგორია სამოთხისა.

თავისი ღვთაებრივი ნაწარმოებით დანტე იწყებს პირველ რიგში ჯოჯოხეთის მიუწვდომ სიღრმეებში ჩამზერას. იგი დგას მთის ძირში. ეს მთის ძირის სარტყელი არის ის ზღვარი, რომელიც განწმენდის მთას ჰყოფს ჯოჯოხეთის სიღრმეებისაგან. დანტეს ჯოჯოხეთის სამყარო ამ განწმენდის მთის მიწიერი „ორეულია“. თუ მთის ძირიდან მთის გარშემო სიბრტყეები თანდათან ვიწროვდება და მთამსვლელი აჰყავს მთის მწვერვალისაკენ, ჯოჯოხეთის გარსებიც ვიწროვდება განწმენდის მთის მსგავსად, ვიწროვდება მიწის გულის მიმართულებით და ისეთივე თანდათანობით ეშვება თავისი უვიწროვესი გარსისაკენ, როგორც განწმენდის მთა მიიმართება ამ შევიწროვებით თავისი უწმინდესი თავანისაკენ. ჯოჯოხეთის გარსები დანტესთან, შეიძლება ითქვას, რომ ჰქმნიან ჯურღმულისეულ თავდაყირა მთას, რომელიც თავის მწვერვალზე ფლობს ჯოჯოხეთის ცენტრალურ ძალას და რომელიც, როგორც ძალა, ერთგვარად უპირისპირდება გაწმენდის მთის მწვერვალს.

დანტეს მიხედვით, ეს არის მეორე ცენტრი სამყაროსი, სადაც ტახტზე ზის სატანა, ლიუციფერი. ჯოჯოხეთის თავდაყირა მთის ამ სპირალური გარსებით მჟღავნდება დანტესეული გაგება მიწიერ ცოდვათა დანტესეული იერარქიისა. დანტე ალიგიერმა თავისი „მოგზაურობით“ ჯოჯოხეთში, აგვიწერა ამავე დროს ცოდვილთა იმქვეყნიური ცხოვრების, ანუ სასჯელისმოხდითი ცხოვრების იმქვეყნიური საფეხურებრივი წყობა. არიან ადამიანები, — წერს დანტე, — რომლებიც იმდენად უმნიშვნელონი არიან თავიანთი ცხოვრებით, იმდენად არ იმსახურებენ არც მადლიერებასა და არც რაიმე განაჩენს, რომ მათთვის თვით ჯოჯოხეთის კარიც დახშულია. ისინი ჯოჯოხეთის კარის გარეთ ღავღავებენ და ისეთივე უსუსურია ეს ღავღავი, როგორი უსუსურიც იყო მათი ამქვეყნიური სიცოცხლე. დანაშაულთა შორის უმსუბუქესი, უნებური დანაშაულია. უნებურ კი დამნაშავეა მთელი კაცობრიობა, რომელმაც ვერ მიიღო ქრისტიანული ნათლობა. ამიტომ ამ უნებური დამნაშავეების სასჯელით ისჯებიან ანტიკური აზროვნების უდიდესი კორიფენი: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე... დანტე უდიდესი პლატონიკოსია თავისი შემოქმედებით; მისი პოეზია, შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქვას, პლატონური სიყვარულის გვირგვინი, პლატონური ფილოსოფიის პოეტური „გადაწერაა“. სრულიად სამართლიანად უწოდა ფილოსოფოსმა სანტაიანამ დანტეს „გამოუსწორებელი პლატონიკოსი“[6] და არავისგან არ არის ისე დავალებული დანტეს პოეტური იდეალი, როგორც პლატონისგან; რაც შეეხება ქრისტიანულ ნათლობას, ქრისტემდე არავის იმდენი არ გაუკეთებია ქრისტიანობისათვის, რამდენიც გააკეთა პლატონმა, და მაინც კაცობრიობის დიდი მოძღვარნი, კაცობრიული სულის ფაქტიური სჯულმდებელნი, უნებური დანაშაულის მოსახდელად განწირა დანტემ, ჯოჯოხეთში იხილა და ჯოჯოხეთში ამყოფა ისინი და ჯოჯოხეთში დატოვა თავისი პოეტური ხილვის მთელ მანძილზე; ეს არის ჯოჯოხეთის პირველი გარსი. ასე განუმარტავს დანტეს ვირგილიუსი, მეგზური მისი და პირველი გიდი იმქვეყნიურ უცხო ნაკრძალებში.

და იგი, ვინაც ჭეშმარიტად ზეციური სიყვარულის კარი გაუღო კაცობრიობას, იგი ვინც პირველმა იწინასწარმეტყველა ევროპელთა შორის და იქადაგა ღმერთკაცის მოლოდინი, იგი რომელმაც ესოდენის მგზნებარებით განმარტა სულის უკვდავება და სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, ვინც იქადაგა განწმენდა და ჭეშმარიტებასთან მიკარება განწმენდისა და სრულყოფის გზით, ვინაც ესოდენის დაჯერებით, ესოდენი ტრფიალით და გედის სიმღერით წარემართა სიკვდილის სანატრელი ქვეყნისაკენ, იგი გვიღებს დანტესთან ჯოჯოხეთის კარს.

ჩვენთვის ამ საოცარი და შეურიგებელი ხილვით, „ნდობით“ რომ სწორად იცნო პოეტმა მიცვალებულნი, ჩვენ უნდა შევყვეთ მას ჯოჯოხეთის მიღმიერ გარსებში და მასთან ერთად ვიხილოთ ნახილვი; ამდენად ჩვენი მეგზურია აგრეთვე რომაელთა დიდი პოეტი.

ცოდვათა სიმძიმის მიხედვით ღრმავდებიან გარსები ჯოჯოხეთში: ავხორცნი, ურწმუნონი, თავისმკვლელნი, ქედმაღალნი... და ა. შ. აქ ყოველი ცოდვისთვის არის მოძებნილი შესაფერისი გარსი და სასჯელი. მაგრამ ბევრი რამ არის აუხსნელი და განსამარტავი. თავად მუჰამედი, მრავალთა სალოცავი და ღმერთად საფიცი, დანტეს ჯოჯოხეთის მერვე გარსში უსასტიკესი სასჯელით ისჯება განხეთქილების მოყვარულთა შორის, რომელნიც შუაზე გაპობილი სხეულებით გმინავენ. უმოწყალოდ დასახიჩრებული და შუაგაპობილი გმინავს მაჰმადი.

* * *

პირველი დიდი წრე ზეგრძნობადი ქვეყნისა, ჯოჯოხეთის წრე, არის დანტეს იმქვეყნიური მოგზაურობის ზეგრძნობადი შემეცნების პირველი საგანი. თვითონ მისივე თქმით ეს არის არყოფილი და უჩვეულო მოგზაურობა იმ ქვეყანაში.

— ამ გზებით ჯერ არავის არ უვლია-ო ამქვეყნად — მიმართავს ვირგილიუსი დანტეს.

ეს არ არის არც ჰერმოტიმოსის გზა, არც სიკვდილის შემდეგ სულის ცხოვრების აღწერა. დანტე ჯოჯოხეთში ჩადის სხეულსგაუყრელი. ეს არის ყველაზე მეტად ქრისტეს ორეული მგზავრობა დანტესი, თუმცა იგი ჯოჯოხეთში ჩადის როგორც ჩვეულებრივი რიგითი მოგზაური. საიქიოში მოგზაურობა ღვთაებრივ ნიჭად არის მისგანვე აღიარებული:

---

[6] George Santaiana, Three Poets.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მითხრა ერთმა: „სულო, სხეულს ჯერ არ გაყრილო, მიდიხარ ცისკენ, შეგვიწყალე და შეგვივრდომე, მოგვეც სალბუნი და გვაუწყე ღვთის გულისათვის.

„გვაუწყე შენი ვინაობა, სადაურობა, რადგან ეს ნიჭი ბოძებული გვაოცებს ღვთისა, ვით სასწაული დასაბამით არ გაგონილი“ (სალხ., XIV, 10—15). ა ნ კ ი დ ე ვ: „ჰოი, შენ სულო, მიმავალო ნეტარებისკენ, დედის საშოდან გამოყოლილ ხორცის სამოსში“. (სალხ., V, 46—47).[7]

ამასთან, ეს მოგზაურობა არის პოეტური განსხეულება და განხორციელება ფილოსოფიური დებულებისა, რომ სრულყოფილი შემეცნებისათვის ჭეშმარიტებისა, ვარგისია არა მხოლოდ ზეციური გზა, ან მხოლოდ მიწიური, არამედ ორივე და მთლიანად. და ამასთან განუყოფლად. „სიმახინჯეშიაც არის მშვენიერება“, შეიძლება ითქვას, პოეტურად უნდა განახორციელოს დანტემ და უნდა იხილოს ჯოჯოხეთი თავისი საშინელებით, თავისი გაუცხოვებით ღმერთისაგან, თავისი სიმახინჯის „მშვენიერებით“, როგორც მშვენიერების უკიდურესი, სიბნელეში გადასული სხივის სასრული და ამ საშინელიდან ამაღლდეს თანდათან ჭეშმარიტი ღვთაებრივისაკენ. დანტეს სატანა (დიტე) ასევე, როგორც არეოპაგიტიკის, ისევე როგორც კაბადოკიელი მამების და ყველა ჭეშმარიტი მონისტური მოძღვრების ბოროტისეული საწყისი, არის უკიდურესად გაუცხოვებული სახე ანგელოზისა. „სატანა იგივე ანგელოზია“ — ამბობს ბასილი დიდი; ამიტომ დანტეს სატანა ოდესღაც მშვენიერი იყო და, რამდენადაც მშვენიერი იყო იგი ოდესღაც დანტეს აღწერით, იმდენად საზიზღარია ახლა მხილველისთვის[8].

დანტეს ჯოჯოხეთი არ არის რაღაც იმქვეყნიური ქაოსი. ისიც გარკვეული პრინციპით არის აგებული. ცოდვათა სიმძიმისა და მათი შესაფერისი სასჯელის საშინელება ცოდვათა სიმძიმის გადიდებასთან ერთად შესატყვისად ძლიერდება. უმძიმესი ცოდვილნი უმძიმესი სასჯელით ისჯებიან. ნაკლებ ცოდვილნი ნაკლები სასჯელით. ცოდვათა სიმძიმის ეს იერარქიული პრინციპი თავისთავად გულისხმობს საერთოდ ცოდვისა და შემდეგ ცოდვათა განსხვავებული სიმძიმის დანტესეულ ინტერპრეტაციას. ჯოჯოხეთის ცენტრამდე ჩაღრმავებით დანტე ხსნის ადამიანის დანაშაულთა და სასჯელთა ბუნებას, ფაქტიურად იძლევა კლასიფიკაციას ცოდვებისას და მიემართება თვით უმაღლესი ცოდვის, როგორც თავისთავად ბოროტების, ბოროტების საკუთარი ინდივიდუალური სახის სახილველად, ბოროტების საცნობად. ბოროტების ამ წმინდა სახესთან მისვლამდე, სატანის უშუალო ხილვამდე დანტე ხსნის ჯოჯოხეთის შემოგარენთა საფეხურებრივ ჩაბნელებას, შემოგარენთა გარსებს, რომლებიც ცენტრისკენული მიმართულებით თანდათანობით ვიწროვდებიან და საბოლოოდ ქმნიან მთელი ჯურღმულეთის ცენტრს. მთელი ჯოჯოხეთის შემოგარენი შესდგება ათი ძირითადი გარსისაგან, რომელთაც თავის მხრივ კიდევ თავიანთი ჯურღმულები გააჩნიათ. ათი გარსი ჯოჯოხეთისა ცოდვათა ათი არსებითი თავისებურების, ცოდვათა ათი სახეობის გამომხატველია. ეს გარსები თავის მხრივ კიდევ ჯგუფდებიან უფრო ძირითადი ნიშნის მიხედვით: პირველი სამი გარსი ერთად, მეორე სამი გარსი ერთად და მესამე სამი გარსი ერთად:

ჯოჯოხეთის I გარსის გარეთ, როგორც აღვნიშნეთ, არიან არარანი, უფლისაგანაც და სატანისაგანაც უარყოფილნი.

---

[7] დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თბილისი, თარგმ., კ. ჭიჭინაძისა და კ. გამსახურდიასი.

[8] იხ. ჯოჯოხეთი, XXXIV, შდრ. „...სიკეთე ფესვებიდან ვერ აღწევს შტომდის“, სალხ., VII, 122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I გარსი ჯოჯოხეთისა—ეს არის უნებურ ცოდვილთა გარსი, რომელთაც მიეკუთვნებიან ყველა ქრისტემდე დაბადებული უცოდველნიც კი. ეს არის უნათლავთა გარსი, ანტიური სულების გოდებით სავსე. ისინი უხმობენ მეორედ სიკვდილს, როგორც გზას ამ უნებური დანაშაულის თავიდან აცილებისა. ისინი უხმობენ მეორედ სიკვდილს, როგორც კიდევ ერთხელ სიცოცხლის საშუალებას და ქრისტეს შემდგომი დაბადების შესაძლებლობას.

II გარსის შესასვლელში ტახტზე ზის მინოსი. აქ მოხვედრილან ავხორცნი და ამურის კერძნი.

III გარსი ეპიკურეელთა და მწვალებელთა გარსია. ამქვეყნიური სიამოვნებებით ტკბობის ფილოსოფია ავხორცობაზე უფრო ღრმა დანაშაულია დანტესთვის და იგი უფრო ღრმად არის შეჭრილი ჯოჯოხეთის სამყაროში, ვინემ თვით ავხორცნი და ავხორცობის მსხვერპლად ქცეულნი. ამიტომ მეორე გარსს—ავხორცობის გარსს, მოსდევს ეპიკურეელთა გარსი. ასე იკვრება ჯოჯოხეთის პირველი ქალაქის კედლები, პირველი ჯგუფის ცოდვების წრე: პირველი სამი გარსი.

მეორე სამი გარსი ა რ ი ს მოძალადეთა გარსი და დანტე მას განარიგებს ძალადობის სახეთა შესაბამისად: მოყვასზე მოძალადენი, თავისთავზე მოძალადენი. (ანუ საწუთროდან საკუთარი ნებით წასვლა, საკუთარი ქონების წაგება-გაფლანგვა და სხვ.) და ღმერთზე მოძალადენი. ისინი ჰქმნიან ჯოჯოხეთის IV, V და VI გარსს.

ჯოჯოხეთის მესამე სამი გარსი ყველაზე მძიმე ცოდვების გარსებია და საინტერესოა, რომ ეს ჯგუფი იწყება თავისმკვლელთა წრით (VII გარსი); მელაძუებისა და განხეთქილების მთესველთა რიცხვშია აქ თვით ოდისევსი და მაჰმადი (VIII გარსი). ყალბისმქმნელნი ჰქვიათ მესამე წყების შემომზღუდავ ცოდვილებს, რომლებიც ჰქმნიან ჯოჯოხეთის მესამე წყების ბოლო გარსს, ანუ ჯოჯოხეთის IX გარსს.

დასასრულ ჯოჯოხეთის შუაგულში არის გარსი, რომელიც, დანტეს თქმით, გამოუთქმელია. თავის უმაღლეს სახეში, მაშასადამე, ბოროტება ისევე გამოუთქმელია, როგორც სიკეთე. და რამდენადაც მას სწვდება ადამიანის გონება, იგი აღმოაჩენს ამ გარსს კაენის გარსად, რომლის- ამალასაც ჰქმნიან ღალატის ერნი და კაცისმკვლელნი. აქ არიან: იუდა, ბრუტუსი, კასიუსი... რამდენადაც ეს არის იდეალური მზიური ქვეყნის პოლუსი, მეათე გარსი იწოდება ყინულეთად.

ამრიგად დანტეს ჯოჯოხეთი, მისივე ზეციური იერარქიის მსგავსად, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, ტრიადულ სისტემად არის დაყოფილი და უპირისპირდება სამოთხის ტრიადულ სისტემას[9].

დანტეს ჯოჯოხეთის ეს ათი წრე თავის საფუძველში, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს საიქიო ცხოვრების იმ პლატონისეულ ახსნასთანაც, რო-

---

[9] აქვს თუ არა რაიმე კავშირი დანტეს ესხატოლოგიურ იერარქიას დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობასთან, ძნელი სათქმელია. დიონისეს ტრაქტატებში დასახელებულ არმოღწეულ თხზულებათაგან ცნობილია ერთ-ერთი ასეთი თხზულებაც: «О праведнем суже Божием» (იხ. გ. ეიკალოვიჩის წინასიტყვაობა მისივე თარგმანისათვის: Дионисий Ареопагит, Божественные имена. Буенос Айрес. 1957. რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს დიონისეს ესხატოლოგიურ მსოფლმხედველობასთან; და რომელი „შესაძლოას“ შემოწმებაც შეუძლებელია. აქვე საინტერესოა დავძინოთ, რომ დიონისე არეოპაგელის სახელს ამოფარებული სავარაუდო პირის—პეტრე იბერიელის ცხოვრებაში, რომელიც შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანართების სახით, მოცემულია უშუალო ფაქტები პეტრეს ნათელმხილველური ბუნებისა, რომელიც შეეხება კონკრეტულ სულთა სვლასა და დავანებას საიქიო სამყოფელში: ხოლო რომის პაპის გრიგოლ დიდის მიერ მოხსენებული წმინდანი—პეტრე იბერიელი, რომელიც ქართველი მოძღვრის ექვთიმე მთაწმინდელის ცნობით ქართველი პეტრე იბერიელია (შესაძლებელი დიონისე არეოპაგელი), იმ სასწაულთმოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთი თვალით იხილეს ჯოჯოხეთი. ისევე როგორც პეტრეს ნათელმხილველური ხილვები ნაცნობი ადამიანების სულთა დავანებისა სამოთხეში შესაძლოა იყოს დასტური მისი ზეციური იერარქიის ჭეშმარიტი ხილვისა, მისი ესხატოლოგიური თხზულების არსებობას რომელსაც თავისი გზა ექნებოდა ქრისტიანულ ფარულ წრეებში, და რომელიც გაფანტული უნდა იყოს შუასაუკუნეების ესხატოლოგიურ შეხედულებებში. ყველა ეს ვარაუდი კი, და ვარაუდებზე დაყრდნობილი ვარაუდები, ცხადია არ იძლევა არავითარ კონკრეტულ მასალას დანტეს ესხატოლოგიაში ვეძიოთ სხვათა გავლენები ანდა შევისწავლოთ ორი ნათელმხილველის ხილვაში არსებული პარალელური სუბიექტური მომენტები; თავისთავად დანტეს ესხატოლოგიური ხილვები კი ჩვენს წინაშე აღძრავს უჩვეულოდ ღრმასა და საბედისწერო პრობლემას: სუბიექტურის პრობლემას თეოსოფიურ შემეცნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ჯოჯოხეთს წარმოგვიდგენს „ა თ გ ზ ი ს ი სასჯელის იმქვეყნიურ ცხოვრებად[10].

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ სიუჟეტი აგებულია ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სულთა კავშირის პრინციპზე. „უსიერ ტყეში“, ცხოვრების შუაგულ მორევში მოხვედრილ პოეტს, მორევში, სადაც ყველა გზა უგზოობას ნიშნავს, როცა განწმენდის გზაზე დამდგარს თავი ვერ დაუღწევია სამი საშინელი ნადირის: ვნებათაღელვის სიამოვნებისა, უფლებამოყვარეობისა და სიხარბისაგან[11], და გამოსავალს ეძებს ძრწოლაშეპყრობილი, — მხსნელად მოევლინება მისი პოეტური მოძღვრის, პოეტური და სულიერი წინამორბედის ვირგილიუსის აჩრდილი. ვირგილიუსის დანტესთან გამოცხადება შესანიშნავი პოეტური განსახიერებაა დიონისე არეოპაგელის აღწერილ ანგელოზთა სურვილის გადაცემისა. როგორც სათანადო ადგილზე აღვნიშნეთ, ანგელოზნი, ეს იგივე მაცნენი არიან, რომელნიც გადასცემენ ღვთის სურვილს ადამიანებს და ადამიანებისას ღმერთს. ანგელოზთა იერარქია აწესრიგებს ურთიერთობას მიწასა და ცას შორის. ყველას თავისი საკუთარი მფარველი ანგელოზი ჰყავს. (თუ ჰყავს:).

დანტეს იფარავს ღვთისმშობელი. შეიძლება ვთქვათ, რომ დანტეს მფარველი ანგელოზია ღვთისმშობელი ისევე როგორც ოდესღაც ოდისევსის მფარველი იყო ქალღმერთი ათენა. ცაში ღვთისმშობელი პირველი იგრძნობს მის გასაჭირს. დანტე ჯოჯოხეთშია მოხვედრილი. ღვთისმშობელი იხმობს წმინდან ლუჩიას სულს და ამცნობს, რომ დანტეს შველა უნდა. ლუჩია თავის მხრივ ამ საჭიროებას ამცნობს ბეატრიჩეს, ხოლო ბეატრიჩე, იმქვეყნიურ სიცოცხლეში დანტეს მიჯნური-სატრფო, თავად გამოემართება დანტეს საშველად „სინათლითა და ცრემლებით გავსილი თვალებით“ (ჯოჯოხეთი, 11). იგი უშუალოდ ვერ მივა დანტესთან. მას სჭირდება მეკავშირე. და ბეატრიჩე ეცხადება ვირგილიუსის სულს და აგზავნის მას მეგზურად დანტესთან. ვირგილიუსი გაოცებულია ბეატრიჩეს მძლავრებით, მისი გამბედაობით. არ არის ჩვეულებრივი იმქვეყნიურ ცხოვრებაში რომ ღვთისაგან რჩეულნი, თვით ღმერთის პირველმახლობელნი, სერაფიმული ნათელის არსებანი, ზეცაში დამკვიდრებული წმინდანნი, უშუალოდ თვითონ ჩავიდნენ ჯოჯოხეთის ჯურღმულებში. ბეატრიჩე დანტეს გადასარჩენად ჯოჯოხეთში ჩადის. ასეთი თავგანწირვა დიდი მიჯნურების ისტორიამ იცის. ასე ჩაეშვა ჯოჯოხეთში ბაბილონელი ღვთაება იშთარი თავისი მიჯნურის თამუზის გასაცოცხლებლად[12]. მაგრამ იშთარი როდია ისეთი უცოდ-

[10] პლატონი, სახელმწიფო, 615.

[11] ასე იხსნება დანტესთან სამი ნადირის: ლომის, ვეფხვისა და მგლის ალეგორიები.

[12] იშთარი საღამოს ვარსკვლავისა და გაზაფხულის ღვთაებად იწოდება. თამუზი მისი სიქალწულის სატრფო და შემდეგ მეუღლე, განუყრელად არის დაკავშირებული იშთართან. საღამოს ვარსკვლავი—იშთარი, ჩადის დასავლეთით, სიკვდილის სამეფოში და მხოლოდ ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ იქ, უბრუნდება ქვეყანას დილის ვარსკვლავად, აღმოსავლეთით. («Шантепи де ля Сốссей. Ист. религии. стр. 207). იშთარის ჯოჯოხეთში ჩასვლის თქმულება ასეთი შინარსისაა: იმისათვის, რომ თავისი გარდაცვლილი მეუღლე გააცოცხლოს, იშთარი ჩადის ჯოჯოხეთში სიცოცხლის წყლის ამოსატანად. იგი გაივლის საიქიოს 7 კარს, რომელთაგან თვითეულში სტოვებს თავისი ტანსაცმლის ნაწილს; და ბოლოს შედის იმ სამეფოში, საიდანაც არავის დაბრუნება აღარ შეუძლია. იშთარი ნაყოფიერების ღვთაებაა, და მთელი მისი მოგზაურობის მანძილზე, დედამიწაზე წყდება ნაყოფიერება. ამიტომ თვით ჯოჯოხეთის მეუფეს შეიპყრობს საშინელება იშთარის დანახვაზე, შეიპყრობს შიში, დედამიწაზე მისი არყოფნის საშინელებისა. და მიუხედავად შეუძლებლობისა, იშთარი მოიპოვებს შეუძლებელ სიცოცხლის წყალს თავისი მიჯნურისა და მეუღლისათვის. Шаптепи де ля Соссей, იქვე, გვ. 208).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი და ისეთი ჰაეროვანი მიჯნური, როგორიც არის ბეატრიჩე. იზდუბარის ეპოსში თქმული ყოფილა, რომ მისი ქმრის-თამუზის სიკვდილის მიზეზი იყოო საშინელი გზნება იშთარისა, რომელსაც უერთდებოდა მისი შეუბრალებელი ტკბობა თავისი მიჯნურების ჟლეტისა[13]. ჯოჯოხეთში ჩავიდა ღვთაებრივი მეგრალი, სულის უკვდავების გალობით მქადაგი, ორფეოსიც, თავისი გარდაცვლილი მიჯნურის ევრიდიკას ამოსაყვანად. ბეატრიჩე ჯოჯოხეთში ჩადის არა ამ ქვეყნიდან, არა სხეულოვანი ცოცხალი, არამედ სული. იგი ჯოჯოხეთში ჩადის სამოთხიდან, იმქვეყნიური წმინდანეთიდან და სინათლიდან იმქვეყნიურსავე ბნელეთში; ე. ი. ჩადის არა ცოცხალი გარდაცვლილის ამოსაყვანად, არამედ გარდაცვლილი ცოცხალის ასაყვანად ჭეშმარიტ სიცოცხლეში, რომლის ბინადარნიც სულები არიან. აქ პოეზიაში გვირგვინდება პლატონისა და ქრისტეს ჭეშმარიტი არსებობა. ბეატრიჩეს გარდაცვილი სული ანთებული მოეშურება თავისი ცოცხალი მიჯნურის გადასარჩენად და ამქვეყნიურ ცოდვათაგან ღვთაებრივი ჭეშმარიტების სამეფოში ასაყვანად.

როდესაც შექსპირის მიჯნურებმა სიცოცხლე მიიტანეს მსხვერპლად სიყვარულისა, როდესაც შექსპირის ჯულიეტამ სიკვდილის გზით არჩეული სიყვარული ამჯობინა სიცოცხლეს, შექსპირმა სიცოცხლეზე მაღლა დააყენა სიყვარული. ადამიანის ისტორიამ იცის მრავალი ბრწყინვალე თავგანწირვის მაგალითი, ამქვეყნიური სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის მრავალი დიდებული დღესასწაული. დანტეს ბეატრიჩე სხვა თავგანწირვის წინაშე დგას. მას როგორც მიჯნურს, როგორც „ღვთაებრივი კომედიის“ გმირს არა აქვს ამქვეყნიური სიცოცხლე, ის უმაღლესი რამ, რისი მსხვერპლად მიტანაც შენი უმაღლესისათვის შეიძლება; არა აქვს ის დიდი სიცოცხლე, რომლის ფასადაც შეიძლება მოიპოვო უფრო დიდი სიცოცხლე-უკვდავება. იგი იმქვეყნიური სულია მხოლოდ, უკვე უკვდავებამიღებული და ნეტართა სავანეში დამკვიდრებული. სიცოცხლის მაგიერ უკვდავება გააჩნია სამოსლად. რა უნდა მიიტანოს მსხვერპლად თავისი დიდი მიჯნურობის დასამტკიცებლად?! და დანტეს ბეატრიჩეს მსხვერპლის გაღებისა და თავგანწირვის სხვა გზა არა აქვს; თუ დასჭირდება მან უნდა უკვდავება გაიღოს მსხვერპლად. ხოლო იგი, ვისაც ძალუძს უკვდავებაზე მაღლა დააყენოს სიყვარული, გვიამბობს დანტე ალიგიერი, ვერასოდეს დაიხსნისო თავს უკვდავებისაგან.

ბეატრიჩეს არ ეშინია ჯოჯოხეთის საშინელებისა და ვირგილიუსს ამშვიდებს: მე უკვე ისე ვარო ნაწრთობი, რომ ვერაფერს დამაკლებსო ცეცხლი ჯოჯოხეთისა.

ვირგილიუსი: „...რად არ გაშინებს
მიწის ქვესკნელში ჩამოშვება ვრცელ სამყაროდან, სადაც სურვილი შენ მხურვალე
მიგიხმობს ისევ“.

ბეატრიჩე: საშიშროებას წარმოადგენს ის მარტოოდენ,
რაც მოყვასისთვის ბოროტების წარმომშობია.
დანარჩენი კი საშიშარი არ არის ჩვენთვის[1].
ღმერთმა სიმტკიცე მომანიჭა ყოვლად კეთილმა
და ჩემს წინაშე უძლურია ეს სატანჯველი.
მე თვით ალმური ცეცხლისანი არ მეკიდება[14].

ბეატრიჩე ანგელოზთა იერარქიაშია. მას ძალუძს ამცნოს უფალს დიდებული საქმენი ადამიანებისა და ჰპირდება ვირგილიუსს, რომ თუ კი იგი შეას-

[13] მით. Ист. Религ. გვ. 208. იხ. აგრეთვე: „თამუზის სიზმარი“ თბ., 1969. თარგმ. ზ. კიკნაძის იხ. „ინანას ჩასვლა ქვესკნელად: გვ. 36. გვ. 42, 150.

[14] დ ა ნ ტ ე, ღვთ. კომედია, „ჯოჯოხეთი“, II, გვ. 88—93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს მის თხოვნას და უმეგზურებს მის მიჯნურს მანამდე, სანამ თვით ბეატრიჩე შესძლებდეს მის გვერდით ყოფნას, ე. ი. თუ კი ვირგილიუსი შესძლებს დანტეს ამაღლებას ბეატრიჩემდე, იგი (ბეატრიჩე) უფალს მოახსენებს ვირგილიუსის კეთილმოქმედებას:

„მალე მე ისევ წარვუდგები წინაშე უფალს,
და სახელს შენსას განვადიდებ იმის წინაშე“.[15]

—აღუთქვამს ბეატრიჩე ვირგილიუსს.

ვირგილიუსი ამცნობს დანტეს ბეატრიჩეს დანაბარებს. ვირგილიუსი არის დანტეს მოკრძალებით, თაყვანითა და მორჩილებით მოსილი სული. ვირგილიუსის მორწმუნეა დანტე. და იგი მიუძღვის მას ცოცხალთათვის მიუწვდომელ სიმაღლეებში.

მაგრამ არსებობენ სიმაღლეები, რომელთა მეგზურობაც ვირგილიუსს აღარ ძალუძს. იქ უნდა გადასცეს და გადააბაროს მან თავისი მორჩილი „უცხოელი“ ბეატრიჩეს. — აქ, უკვე თვალშეუდგამ სიმაღლეებში გზას გაგიკვლევსო პირველი სიყვარულის ძალა. „უფრო ღირსეულ სულს მიენდე, ის გიწინამძღვრებს“[16], — აფრთხილებს დანტეს „მასწავლებელი, მბრძანებელი და წინამძღოლი მისი“.

ჯოჯოხეთის ხილვა დანტესთვის ამავე დროს არის სამყაროს შემეცნების არეოპაგიტული სრულყოფილების საწინდარი, რამეთუ სიმახინჯეშიაც არის მშვენიერების რაღაცა სახეობა, ისევე, როგორც ბოროტებაში სიკეთის. ე. ი. სიკეთის, ანუ ღვთაების სრულყოფილი შემეცნებისათვის ბოროტების შემეცნებაც აუცილებელია. თუმცა აქ, დანტესთან უფრო ძლიერია სატანის საკუთრივ ქრისტიანული წარმოსახვა, სატანის სამყაროს საკუთრივ სამყაროულ სამეფოდ აღქმა, რის გამოც სამყაროს მეორე ცენტრი დაინახა დანტემ ჯოჯოხეთის ქვესკნელურ მწვერვალში და უარყოფითი ცენტრალური ძალის პიროვნული სახეც შექმნა დიტეს (სატანის) სახით, ამასთან ერთპიროვნული სახე და ღვთაებრივი პიროვნული ძალის, პოლარულად საპირისპირო[17].

**დანტე ალიგიერის ზეციური იერარქია.** ჯოჯოხეთის განხილვის შემდეგ, დედამიწის ქვესკნელური ძალების ხილვის შემდეგ, მას შემდეგაც, რაც დანტემ იხილა „სიღრმენი ეშმაკისნი“, იგი იწყებს ზენა სამყაროების შემეცნებას, ანუ ჭეშმარიტად მწვერვალზე ასვლას. თუ დედამიწის გულში ჩაღრმავება დანტეს ესხატოლოგიურ მრწამსთან გვაზიარებს, ამოვა თუ არა დედამიწიდან და დაიწყებს თუ არა ცისკენ ლტოლვას, ჩვენს წინ გადაიშლება დანტეს კოსმოლოგიური სამყარო. დედამიწიდან ამაღლება დანტესთვის უშუალოდ არის დაკავშირებული შუა საუკუნეების ასტრონომიულ ხედვასთან. სანამ დანტე მიაღწევდეს სამყაროს იმ შორეულ სიმაღლეს, რომლის მაღლა აღარ აისვლება, სანამ დედამიწიდან ამაღლებული მივიდოდეს სამყაროს ჭეშმარიტ ღვთაებრივ ცენტრამდე, მან უნდა გაიაროს სფეროთა ის იერარქია, რომელიც უშუალოდ გვამცნობს ჩვენ დიონისე არეოპაგელისა და დანტეს ნათესაობას; დედამიწიდან ამაღლების ეს გზა არის დანტესა და დიონისეს მსოფლმხედველობრივი შე-

---

[15] „ჯოჯოხეთი“, II, 70—74.

[16] იგივე, I, 118.

[17] წარმართობამ იცოდა ავი სულები. ე. ი. მრავალი პიროვნება ბოროტების მფარველი: იცოდა ბოროტი დემონები. ერთპიროვნული სახე ბოროტებისა, ისევე როგორც სიკეთის ერთი ღმერთი, პიროვნულად განხორციელებული, თუ არა ვცდებით, ქრისტიანობის მონაპოვარია. დ. ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრის მთავარი გზაჯვარედინი. გადაჰყავს რა დიონისე არეოპაგელის ზეციური იერარქია შესაბამის ასტრონომიულ სფეროებში, დანტე ალიგიერი ავლენს და ხსნის კიდეც დიონისე არეოპაგელის თეოსოფიურ-კოსმოლოგიური სისტემის ასტრონომიულ შესატყვისებს; უფრო სწორად: დანტე დიონისეს რელიგიურ კოსმოლოგიაში დაფარულს და ნაგულისხმევ ასტრონომიულ სიმაღლეებს ამოგვაკითხვინებს.

აქ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ისევე როგორც დედამიწის გულში ჩაღრმავება და თანდათანობით სვლა დანტესთვის არის ცოდვათა სიმძიმის თანდათანობაში ჩაღრმავება და დასასრულს საკუთრივ წმინდა ცოდვის ანუ ბოროტების სამყაროში შეღწევა, მიწისქვეშეთის თავდაყირა მთის მწვერვალზე ასვლის ალეგორიით, ასევე დედამიწიდან ამაღლება იწყება მისთვის მთის ძირში მდგომარე კაცის ამაღლებით: ჯოჯოხეთიდან ამოსულისა და დედამიწის ზედაპირზე მდგომის მდებარეობა მთის ძირში დგომაა. გზა დედამიწის ზედაპირიდან პირველ და უახლოეს მნათობამდე ეს არის სამყაროს მთის ფერდობზე ასვლის ალეგორია. ეს არის გზა კაცობრიულ სულთა განწმენდისა, ანუ სფერო ცეცხლისა, სადაც მიმდინარეობს მისატევებელ ცოდვათაგან განწმენდის იმქვეყნიური რიტუალი. ამ გზას ჰქვია „განსაწმენდელი“. და ამ „ფერდს“ სფერო „ცეცხლისა“, რამეთუ ცეცხლში იწმინდება სული კაცისა და იწვება ცოდვა. ისევე როგორც ესხატოლოგიური იერარქია გავიარეთ დანტესი, ცოდვათათვის, ცეცხლის სფეროში უნდა თანდათანობით ავმაღლდეთ განსაწმენდელის ცოდვათა იერარქიებში. პირველ იერარქიებში მყოფნი, უფრო ახლოს მყოფნი დედამიწასთან, უფრო შორს არიან სამოთხიდან.

თუ საიქიო განსაწმენდელს ერთის წუთით დავსახავთ ზღვად, შეიძლება ითქვას რომ განსაწმენდელში მოხვედრილნი, მაგრამ შედარებით მძიმედ ცოდვილნი, ძლიერ „ცეცხლს“ დაჭირვებულნი განწმენდისთვის ცოდვათა სიმძიმის გამო, დაძირულნი არიან ზღვის ფსკერზე, და თანდათანობით, იღებენ რა ცოდვათაგან დამსუბუქებას, იხსნიან რა ტვირთს ცოდვისას; იძენენ მაღლა და მაღლა აწევის უნარს და შემდგომში იმ ტალღებთან აქტიურდებიან სადაც ყველაზე უცოდველნი და მსუბუქნი იოლად ფართხალებენ და ფრენენ წყლის ზედაპირზე. მახლობელნი ცოდვილთ ამქვეყნად ლოცვით ეხმარებიან ცოდვათა განწმენდა—შემსუბუქებაში. ასე განიწმინდებიან I წრეში—ამაყნი, II-ში შურიანნნი, III-ში მრისხანენი, IV-ში სასოწარკვეთილნი (унылые), V-ში ძუნწნი და გამნიავებელნი, VI-ში—გაუმაძღარნი და VII-ში ვნებათმოყვარულნი.

განსაწმენდელის წრეთა დასრულების შემდეგ იწყება მიწიერი სამოთხე, ანუ ნეტარყოფნის სამყარო უცოდველი ადამიანებისათვის. აი, აქ, ამ ზეციურ საფეხურზე გამოჩნდება პირველად დანტეს შესახვედრად უფრო მაღალი, არა ადამიანური, არამედ ანგელოზური იერარქიებიდან ჩამომგზავრებული ბეატრიჩე. სამოთხემდე გზა—ეს არის გზა დედამიწიდან უახლოეს მნათობამდე. უახლოესი მნათობის ზღურბლზეა მიწიერი სამოთხე. აქედან, უკვე პირველი მნათობიდან კი იწყება დანტეს ასტრონომიული და თეოსოფიური ლანდშაფტები.

სწორედ ის გვინდოდა შეგვენიშნა, რომ ასტრონომიული შორეთი, ვარსკვლავეთის თვალსაწიერი გათიშული კი არ არის მის მიღმა დაფარულ იმქვეყნიურ ძალთა ბუნებისაგან, არამედ ეს შორეთი არის ამავე დროს შესაბამისი თვალსაწიერი ადამიანის მიერ მისი უმაღლესი და უსათუთესი უნარებით ხილულ სათნოებრივ ძალთა, სულის ამამაღლებელ და სულის განმასპეტაკებელ, არა-ადამიანურ, არამედ ზეადამიანურ იერარქიათა, საიდანაც დროთა მდინარებაში ადამიანებად გვევლინებიან ზეადამიანური სულები, რომელნიც ამ ადამიანური ვალის მოხდის შემდგომ სხეულგაძარცვულნი, უკვე კვლავ თავიანთ საკუთარ ზეადამიანურ სამყაროს უბრუნდებიან ვითარცა ნეტარნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რომელსაც საასპარეზოდ კოსმიური სიმაღლეები ესაჭიროება, აგებულია სამყაროს გეოცენტრიულ პრინციპზე, ე. ი. პრინციპზე, რომლითაც არსებობს სამყაროს უძრავი ცენტრი, და ეს ცენტრი არის დედამიწა. დანტეს სხვა ნაწერებიდან, სადაც იგი თეორიულად ეხება სამყაროს გეოცენტრიული პრინციპის საკითხს, აშკარა ხდება, რომ ეს პრინციპი მართალია ორთოდოქსალური ძალმოსილებით არის უკვე ნაქადაგევი, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებს მხარდაჭერას. ჯერ კიდევ უმტკიცებს დანტე ვიღაცას რომ სამყაროს უძრავი ცენტრი არის დედამიწა, და ამით არისტოტელეს ავტორიტეტით მოემართება საბრძოლველად: — Достаточно для тех, к кому я обращаюсь, წერს დანტე ალიგიერი — если они доверяя великому авторитету Аристотеля, будут знать, что наща земля неподвиджна и не вращается, и что она вместе с морями центр звездного мира“[18].

სამყაროს გეოცენტრიული გააზრების ფუძემდებელი, როგორც დანტეს სიტყვებიდანაც ჩანს, არის არისტოტელე; ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში იგი ასტრონომიულ თეორიად ჩამოაყალიბა პტოლემაიოსმა, რის გამოც არისტოტელე-პტოლემაიოსის მოძღვრების სახელწოდებით გახდა იგი ცნობილი. არისტოტელეს ამ თვალსაზრისის გამარჯვება უნდა ყოფილიყო მისი საპირისპირო აზრის დამარცხების გამოხატულებაც; არისტოტელეს აზრი, რომ დედამიწა უძრავია და სამყაროს ცენტრია, არისტოტელეს ავტორიტეტის გამარჯვებასთან ერთად იმარჯვებს ახალ საუკუნეებში[19]. როგორც ვხედავთ, თვით ამ მცდარი თვალსაზრისის აღზეიმებაშიც კი არისტოტელეს მხარში უდგას საკუთარ რელიგიათა და ჭეშმარიტებათა მფლობელი, მსოფლიოს უდიდესი პოეტი და მოაზროვნე, დიდი თეოლოგი — დანტე ალიგიერი. ამიტომ იყო რომ ამ აზრის უკუგდებას შეეწირნენ საუკუნეები. ასე დასრულდა არისტოტელეს დაპირისპირება პლატონთან დედამიწის ბრუნვის ჭეშმარიტებაში.

როგორც ვიცით, დღეისათვის თითქმის ისტორიულ თვალსაზრისებად არის მიჩნეული სამყაროს გეოცენტრიულიცა და ჰელიოცენტრიული სისტემაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარკვეულ ცდებს გეოცენტრიზმის აღორძინებისათვის[20]. ეს მოძღვრებანი სამყაროს ცენტრის საკითხს წყვეტენ: ერთი დედამიწის სასარგებლოდ, მეორე — მზის. სამყაროს ცენტრის საკითხი კი დღეისათვის ღია საკითხია. საშინელება ამ საკითხის უარყოფით გადაჭრისა, ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვს ადამიანს. თავისი იერის შორეულობით იგი მოჩვენებითია. მაგრამ სინამდვილეში ჩვენი ცხოვრების შუაგულში დუღს, და უხილავია ეს დუღილი. იგი ეხება ჩვენს ყოველდღიურ ყოფას, წყობას ჩვენის სულისას, ჩვენს იდეალებს, ჩვენს ზნეობას. ამიტომ დანტე ალიგიერისთვის ასე თუ ისე ეს საკითხი საბოლოოდ უნდა პასუხგაცემული ყოფილიყო, რათა მას შესძლებოდა თავისი პოეტური სამყარო, თავისი პოეტური იდეალები დაეყრდნო, და განეხორციელებინა სამყაროს რომელიმე ხილვად სისტემაზე, სამყაროს რომელიმე მთლიან და აწყობილ ასტრონომიულ ქარგაზე. ამ დროისა-

---

[18] Данте Алигьери, Малые произведения.

[19] იგულისხმება — XIII-XIV საუკუნეებში.

[20] იხ. ნაანის წერილები. რაც შეეხება ცნობას დედამიწის ბრუნვის ცოდნაზე, იგი უკვე პითაგორელებს უკავშირდება. ამ ცოდნას ენთუზიაზმით გადმოსცემს ცელერიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ასეთი იყო არისტოტელე-პტოლემეს გეოცენტრიული სისტემა, რომელიც თანხმობაში იყო მოყვანილი თომა აქვინელის ორთოდოქსალურ, კოსმიურ სპირიტუალურ იერარქიასთან; ეს კი ფაქტიურად დიონისე არეოპაგელის ზეციური იერარქიის ნათელხილვაზე იყო აწყობილი, და უშუალოდ, თომა აქვინელის გარეშეც წარმოადგენდა დანტეს წყაროსა და ამოსავალს.

ცნობილია, რომ როგორც ანტიკური, ასევე შუა საუკუნეების ასტრონომიული ტერმინოლოგიით დედამიწიდან დაშორების მიხედვით ციური სხეულები ჰქმნიან დედამიწაზე, როგორც სამყაროს შუაგულზე, სამყაროს ცენტრზე შემოკრულ **ცის სფეროებს.** უახლოესი მნათობი დედამიწისა ჰქმნის დედამიწის უახლოესი ცის სფეროს, ანუ პირველ ცას. შემდგომ ცას ჰქმნის შემდგომი სიშორის მნათობი და ა. შ. შორეული ვარსკვლავების სფეროებამდე. როგორც შუასაუკუნეების (XII საუკ.) ცნობილი ასტრონომის, საკრობოსკოს „სფეროთა ტრაქტატის“ რუსული თარგმანი გვაუწყებს სახეობრივად, ცის სფეროები, ისევე არიან ჩამჯდარნი ერთმანეთში როგორც ხახვის ბოლქვის ფურცლები[21]. როგორ უნდა გავიგოთ ცის სფერო? საკრობოსკოს განმარტებით:

„სფერო არის მკვრივი სხეული, რომელიც მოცულია ისეთი ზედაპირით, რომლის შუაგულში არის წერტილი. ყველა ხაზი, რომელიც ამ წერტილიდან გადის ზედაპირამდე, ტოლია, და ეს წერტილი არის სფეროს ცენტრი. სწორი ხაზი, რომელიც ცენტრში გადის და თავისი კიდეებით ზედაპირს ეხება ორივე მხრივ, იწოდება სფეროს ღერძად, ხოლო ღერძის ბოლოკიდური წერტილები პოლუსებად. იმის მიხედვით თუ რამდენად ახლოა მნათობი დედამიწასთან, განსაზღვრულია მისი (ამ მნათობის), საკუთარი სფეროს მოცულობაც; ამიტომ ყველაზე ახლომდებარე მნათობის სფერო ყველაზე პატარაა, ხოლო ყველაზე შორეული მნათობისა—ყველაზე დიდი.

სპეციალისტების აზრით, ბერძნული რიგი ამ მნათობებისა უკვე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში იყო შეთვისებული ბაბილონელ ანუ ქალდეველ ქურუმთაგან და ეს რიგი იყო ცნობილი 7 მნათობის რიგი. გარდა ამ მნათობთა საკუთარი სფეროებისა, რომლებიც დედამიწას ეკვრის გარშემო, ბერძნულ ფილოსოფიაში ჯერ კიდევ პარმენიდეს დროს იდგა საკითხი საერთოდ **მთელი სამყაროს** როგორც უსასრულოდ დიდი **სფეროს** შესახებ. სამყაროს ამ დიდ სფერულ უსასრულობაში, ამბობს პლატონი, როგორც ადამიანის სხეულები, ისე არიან მოქცეული მნათობები, სამყაროს სფერული სხეულის ორგანოები. სამყაროს ორგანოებში, როგორც ადამიანის სხეულში — სისხლი, მიმოიქცევა დრო.

სამყაროს ამ სფერულ უსასრულობას ადამიანი აღიქვამს თავისი თავის, როგორც დამკვირვებლის გარშემო. დამკვირვებელი, ანუ ჩვენ, დედამიწაზე ვიმყოფებით, სადღაც ღრმად შიგნით ამ სფერული უსასრულობის წიაღში. მაგრამ იმისათვის რომ დაგვანახვოს და გადმოგვცეს ამ უდიდესი და უსასრულოდ დიდი სფეროს შინაგანი გარსები, სადაც მნათობთა სფეროები ისე არიან ჩადგმული ერთმანეთში, როგორც „ჭურჭელი ჭურჭელში“, ფილოსოფოსი პლატონი გადის სამყაროს გარეთ და გარედან იწყებს ჩვენთვის სამყაროს გადახსნას. ამიტომ პირველი ცა მისი არის უძრავ ვარსკვლავთა ცა. უძრავ ვარსკვ-

---

[21] В. П. Зубов, Неизвестный перевод Трактата о сфере, Сакробоско, (Ист. астр. иссл., VIII, М., 1962, გვ. 228).

[22] იგივე; იხ. აგრეთვე L. Thorndike, The Sphere of Sacrobosco and its commentators, Chicago, 1949.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავთა ცაში ჩადგმულია სატურნის სფერო, ყველაზე შორეული მნათობისა და ყველაზე დიდი მოცულობის სფერო. შემდეგ მოდის იუპიტერის სფერო, შემდეგ — მარსის, მეხუთე სფერო არის მერკურის სფერო, მეექვსე — ვენერას, მეშვიდე მზის, მერვე მთვარის, ანუ მთვარისა და დედამიწის სფერო, და სამყაროს შუაგული სფერო, რომელიც პლატონის პოეტურ სახეებში წარმოადგენს პირველ კვირისტავს სამყაროს თითისტარზე. საქმე იმაშია, რომ პლატონის მიხედვით სამყაროს დიდ უსასრულობას, ანუ უსასრულოდ დიდ სფეროს აქვს თავისი ღერძი, რომელიც უწმინდესი სინათლის სვეტად სერავს მთელ ცას, და დედამიწაში გადის (διὰ παντὸς τοῦ οὐρανοῦ καὶ γῆς τεταγένον φῶς εὐθύ, οἷον κίονα... სახ. 616B).

სამყაროს ეს სვეტი ცხოველი შედარებულია თითისტართან, რომელზეც კვირისტავივით არის ჩამოგებული სამყაროს უსასრულოდ დიდი უძრავვარსკვლავიერი სფერო. ეს თითისტარი უჩვეულო ბუნებისაა იმით, რომ გარედან ერთი თითისტარი ჩანს, სინამდვილეში კი ამ თითისტარში ჩადგმულია შიგ კიდევ სხვა თითისტარი (როგორც „ჭურჭელი ჭურჭელში“), იმის შიგნით კიდევ სხვა და ა. შ. ეს სახე პლატონს სჭირდება იმისათვის რომ თითისტარის მოძრაობაში განგვაცდევინოს მოძრაობათა შიგჩადგმული გარსებით სფეროთა მოძრაობის ჰარმონია. თუ პლატონს გარედან შემოვყავართ სამყაროს სფერული გარსების სახილველად, დანტე შიგნიდან იწყებს სამყაროს სფერული სიღრმეების გადახსნას და ამ უცხო ქვეყანათა წიაღებში გზისგასაკვლევად მეგზურად ირჩევს თავის ღვთაებრივ მიჯნურს — ბეატრიჩეს.

პირველი ცა ზეციური იერარქიისა, ანუ ზეციური სამოთხისა, რომელშიაც მიუძღვის დანტეს ბეატრიჩე, ეს არის მთვარის ცა. ბეატრიჩეს ახსნით მნათობებს ამოძრავებენ გონითი ძალნი, გონითი არსებანი (intelletti)[23]. ეს გონითი ძალნი არიან სწორედ ის ანგელოზური არსებანი, რომლებიც დიონისე არეოპაგელისათვის ჰქმნიან გონითი რეალობის იერარქიულ კიბეს, ხოლო პლატონისთვის იდეათა სამყაროს, რომელსაც თავისი საკუთარი იდეალური სტრუქტურა გააჩნია. როგორც ამქვეყნად ყველაზე მაღალი განვითარების არსება — ეს არის ადამიანი, ისე იდეათა სამყაროში ყველაზე მაღალი რანგის იდეა არის ადამიანის **მე**. გონითი ძალნი ეს **მეები** არიან. ეს **მეები** ამოძრავებენ დანტესთან ცის სფეროებს. იდეათა სამყარო ისეთივე იერარქიულია, როგორც ამქვეყნიური სამყარო (ამაზე შრომის პირველ ნაწილში გვქონდა საუბარი). ამიტომ როდესაც საქმე ეხება არეოპაგიტულ ზეიცურ იერარქიას, რომელიც დანტეს ზეციურ იერარქიად გარდაისახება, ისევ პლატონის უმაღლესი რანგის იდეათა, უმაღლეს გონით იერარქიასთან გვექნება სახე, რომელსაც ამჯერად ადამიანური მეების ანგელოზური სიმაღლეები წარმოგვიდგენენ. ამრიგად „მე“ ეს არის უმაღლესი რანგის იდეა. „მე“-თა იერარქია, ეს არის ზეციური იერარქია გონითი ძალებისა. ამ ანგელოზური „მე“-ებით არის დასახლებული დანტე ალიგიერის ნათელხილვაში მთელი ხილვადი ვარსკვლავიერი სამყაროს შინაგანი იდუმალი შრეები. პირველი რანგი ამ ზეციური იერარქიისა, როგორც ზემოთ განხილული გვქონდა, ეს არის ადამიანებთან ყველაზე ახლო მყოფ გონით არ-

---

23 სამოთხე VIII, 110 (შდრ. ჯოჯ. VII, 73—76); სამოთხე VIII, 34, 37—106, III, XXVIII, 78, XXIX, 43—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებათა ანუ ანგელოზთა რანგი, რომლებიც საკუთრივ ატარებენ ამ სახელწოდებას ადამიანებთან ახლო კავშირში ყოფნის გამო: მათი მისიაა ღმერთის დანაბარები, მაღალ იერარქიაში სასურველი აზრი ადამიანებს ამცნონ და ასევე ადამიანთა ვნებანი, ლოცვანი და სურვილები ღმერთისადმი, წაიღონ მაღლა. შუამავალნი ღმერთსა და ადამიანებს შორის, ანგელოზნი ასტრონომიულადაც ადამიანებთან უახლოესი მნათობის — მთვარის ბინადარნი არიან თავისთავად. ამიტომ მთვარის ცა ანუ პირველი ცა დანტესი, ანუ მთვარის სული, არის საბრძანისი ზეციური ანგელოზებისა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დიონისე არეოპაგელის ზეციური წყობა[24]:

| პირველი ტრიადა: | მეორე ტრიადა: | მესამე ტრიადა: |
|---|---|---|
| 1. ანგელოზნი | 1. მეუფებანი | 1. ტახტნი |
| 2. მთავარანგელოზნი | 2. ძალნი | 2. ქერუბიმნნ |
| 3. საწყისნი | 3. ხელისუფლებანი. | 3. სერაფიმნი. |

ანგელოზები, როგორც მნათობთა მამოძრავებელი ძალნი, რის გამოც დანტესთან ისინი „მამოძრავებლებადაც“ იწოდებიან, როგორც მოსახლენი თვითეული მნათობის ციური სიმაღლისა, ასე გაინაწილებენ დედამიწასთან უშუალო სიახლოვეში მყოფ ძირითად მნათობებს:

პირველი ცა ანუ მთვარის ცა იქნება ანგელოზთა ცა,
მეორე — მერკურის ცა იქნება მთავარანგელოზთა,
მესამე — ვენერას ცა — საწყისთა,
მეოთხე — მზის ცა — მეუფებათა
მეხუთე — მარსის ცა — ძალთა,
მეექვსე — იუპიტერის ცა — ხელმწიფებათა,
მეშვიდე — სატურნის ცა — ტახტთა,
მერვე — ვარსკვლავიერი ცა — ქერუბიმთა
მეცხრე ცა — გამჭირვალე ცა ანუ ცა პირველი მამოძრავებლისა საკუთრივ სერაფიმთა ცა უნდა იყოს.

თუ დანტე უარყოფს ოდესლაც მის მიერვე გაზიარებულ გრიგოლ დიდის იერარქიულ რიგს, სადაც ტახტთა საფეხური უკავია საწყისებს, და ზედმიწევნით მისდევს დიონისე არეოპაგელის ზეციურ წყობას, თვითეული იერარქიის საკუთარი მოსახლეობით დასახლების დროს, იგი ახდენს თვითეულის როგორც გარკვეული თვისობრიობის არსებათა სავანედ გამოცხადებას, რომლითაც არეოპაგიტულ იერარქიას ერთგვარად ახალ თვისობრივ სამოსელში წარმოგვიდგენს. უფრო სწორად: თვითეულ საფეხურს ამათუიმ კონკრეტული თვისების მატარებელ სულთა შესაძლებელ სავანედ გვაცნობს.

მთვარის ცაზე, როგორც ზეციურ სამოთხეში, დავანებულან ოდესლაც აღთქმის გამტეხნი, ამჟამად განწმენდილნი და ნეტარებამოპოვებულნი. მერკურის ცაზე-პატივმოყვარე მოღვაწენი, ვენერაზე სიყვარულის ჭარბად მოხარბენი, მზეზე — ბრძენნი, მარსზე — რწმენისათვის მებრძოლნი, იუპიტერზე — სამართლიანნი, სატურნზე — მჭვრეტელნი, ვარსკვლავიერ ცაზე — მოზეიმენი, ხოლო მეცხრე ცაზე — მარადის წმინდა ანგელოზნი.

დიონისე არეოპაგელისა და დანტეს ნათესაობისათვის გარდა ამ ზეციური იერარქიული წყობისა, უშუალოდ ბეატრიჩეს სახეა მნიშვნელოვანი: როგორც

---

[24] რიგი მოცემულია ადამიანებთან სიახლოვის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე აღვნიშნეთ განსაწმედლის გავლის შემდეგ, სადაც მსუბუქად ცოდვილნი იშორებენ მიწიერ ლაქებს, სადაც დანტე იშორებს შვიდი ცოდვის დაღს, უკანასკნელი გარსის წალკოტებში, ადამიანურ სამოთხეში ბიბლიური ლიას ღვთაებრივი მშვენიერებით გამოჩენის შემდეგ, უკვე ჩამოდიან ანგელოზნი. აქ თავდება ფაქტიურად დანტეს მიწიერი განწმენდის მისტერიაც, ანუ მისტერიალური ხელთდასხმის პირველი საფეხური. აქ თავდება ვირგილიუსის წინამძღვრობა და იწყება ბეატრიჩეს წინამძღვრობის სფერო, ანუ დანტეს ზეციური მისტერიალური ხელთდასხმა.

ვირგილიუსი დანტეს გონების სიმბოლოა, ბეატრიჩე — რწმენის; იქ, სადაც თავდება გონითი წვდომა, იწყება ზეგონითი და საჭიროა ბეატრიჩე. ბეატრიჩე ჩამოდის გონების სფეროებში, მაგრამ ვირგილიუსი ვერ ადის რწმენის სამყაროში. — მართალია, ცალკეული სუბსტანციები თავისთავად გაგებადნი არ არიან, ამბობს თომა აქვინელი[25], მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ ისინი გაგებადნი და მისაწვდომნი არიან ჩვენი გონებისათვის. ამას გვიჩვენებსო არისტოტელეს სიტყვები „მეტაფიზიკის“ მეორე წიგნში, სადაც იგი ამბობს, რომ სიძნელე, გავიგოთ ეს არსებანი, და თუნდაც ის, რაც ყველაზე ნათელია მათ ბუნებაში, არის ჩვენში, და არა მათში, რამეთუ ჩვენი ინტელექტი ყველაზე ნათელი მოვლენების მიმართებაშიც კი ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ღამურის თვალები მზესთან მიმართებაში.

ამიტომ გზები, რომლითაც შესაძლებელია იმქვეყნიურ არსებათა ხილვა, გონების გზები არ არის. იგი მისტერიალური ცოდნის საკუთრებაა და როგორც სასწაული და საკვირველება, ჩვენი ღია თვალებისთვის დაფარული, ფარდაახდილად არის აღწერილი ქრისტიანი მამების ნაწერებში. სულთამხილველობა ცოცხალი ადამიანის მიერ, როგორც ამქვეყნად შესაძლებელი ჭეშმარიტება, დიონისე არეოპაგელის გაანგელოზების გზაზე შემდგარი ხელთდასხმულისათვის არსებობს სინამდვილედ. ამ სინამდვილეში თითქმის წაშლილია საზღვარი ცოცხალთა და მკვდართა შორის. ასეთ საზღვარზე მოსახლედ გვისახავს ეკლესიის დიდი მოძღვარი ბასილი კესარიელი პირველ დიონისე არეოპაგელს, რომელიც არის შესაძლებელი ავტორი დიონისეს ტრაქტატებისა, შესაძლებელი როგორც ჭეშმარიტი დამწერის სულიერი ორეული. ღვთისმშობლის მიძინების სცენა, რომელიც მიღებული თემაა ეკლესიის მხატვართათვის, ბასილი კესარიელის აღწერაში გვისახელებს და გვიმთლიანებს დედაღვთისადმი უახლოეს სულებს, ცოცხალთაც და გარდაცვლილთაც.

„...ღრუბელმან ღვთისმეტყველნი წამსა შინა კიდეთგან შემოკრიბნა ერთობით სიონს შინა: პეტრე რომით, პავლე ტიბერით, მათე ზღუით, მარკოზ ალექსანდრიით, ბართლომე თებაიდით: ანდრია, 'იაკობ, ფილიპე, ლუკა, სვიმონ, ესე ხუთნივე საფლავით აღდგეს და ყოველნი სიონს შემოკრბეს ერთბაშად. განვიდა იოანე მახარებელი და ღუთის მეტყველნი და მიეგება და მოიკითხა იგინი და შეიყუანნა წინაშე წმიდისა და სანატრელისა ქალწულისა და ღუთისმშობლისა. არა თორმეტნი ოდენ იყუნეს, არამედ სხუანიცა მრავალნი მოწაფენი მათნი და მოციქულებისა ღირს ქმნილნი, ვითარცა გვაუწყებს დ ი დ ი დ ი ო ნ ი ს ი ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი, რომელნი მიცუალებასა მის წმიდისა დედოფლისასა მოციქულთავე თანა ღრუბლითა მიიწივნეს სიონს[26]“.

ყველა ეს არსებანი დანტეს ზეციური სიმაღლეების მოსახლენი არიან და ისეთივე ძალის მფლობელნი როგორისაც ბეატრიჩე, მაგრამ... უფრო სწორად:

[25] Summa contra Centiles, III, 45; შდრ. სახარებისეული შვიდი ცოდვისაგან განთავისუფლება.

[26] საბინინის, საქართვ. სამოთხე, გვ. 3—4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტეს ბეატრიჩე ისეთივე ძალის არსებაა, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ღვთაებრივი პირნი, მაგრამ ასეთივე ძალის არ არის თავად დანტე. იგი არ არის ისეთი „უსხეულო“ სული, რომელსაც ღრუბელი წაიღებს რომიდან სიონში, ეს-ეს არის წაიშალა განსაწმედელში შვიდი ცოდვის ბეჭედი და დაიმსახურა უფლება სამოთხეში მოგზაურობისა. დანტეს ახლა სჭირდება ზეციური განწმენდა-განათლება და სრულყოფა — და ამ საჭიროების მფლობელად მოევლინება ბეატრიჩე. ბეატრიჩეს სახე გამოუცნობი და ამოუწურავი სახეა დანტეს პოეზიაში. იგი არ არის რაღაც ერთი კონკრეტული სახე როგორც სიმბოლო. ბეატრიჩეში თავს იყრის სიმბოლოთა მრავალგვარობა და საბოლოოდ იგი წარმოგვიდგება ყოვლისშემძლე სიმბოლოდაც და ყოვლისშემძლეობადაც.

ცნობილია და თავად დანტესაგან არის განმარტებული, რომ ბეატრიჩე იყო მიზეზი მისი ფილოსოფიაზე, როგორც სულის შემსწავლელ მეცნიერებაზე გამიჯნურებისა. ბეატრიჩეს სიკვდილის შემდეგ მიაშურა დანტემ ფილოსოფიას. იგი ეძებდა თავის განუყრელ მიჯნურთან გაყრის მწუხარებისაგან შვებას და ეძებდა გზას გაყრილთან დაკავშირებისა. ამისათვის იყო დანტე ფილოსოფიის მწყურვალი. ამისთვის გაემართა იგი გარდაცვლილთა სამეფოების სახილველად. იგი იქცა ჭეშმარიტ თეოლოგად, ამასთან პლატონის „გამოუსწორებელ“ მიმდევრად, თომა აქვინელისა და დიონისე არეოპაგელის მორჩილად და ანგელოზთა იერარქიებში, სულის ჭეშმარიტ სამეფოში ბეატრიჩეს სულის მძებნელად; იგი იქცა ორფეოსის მსგავს მიჯნურად, რომელშიაც სიცოცხლესა და ყველაფერს აღემატება საკუთარი მიჯნურის ხელახალი ხილვის წყურვილი; უფრო მეტი: ბეატრიჩე იქცა მისთვის უკვე მიზნად შემეცნებისა, ბეატრიჩე, ქცეული „მიზეზად ფილოსოფიისა და საგნად ფილოსოფიისა“. ამრიგად ბეატრიჩე დანტესი გაუტოლდა დიონისე არეოპაგელის ყოვლისშემძლე ღმერთს, როგორც საგანსა და მიზეზს შემეცნებისას: „საგანი ფილოსოფიისა და მიზეზი ფილოსოფიისა ერთიდაიგივეა — ამბობს დიონისე. — ყოველივეს შემოქმედი, სამყაროს მიუწვდომელი პირველმიზეზი, დიონისეს ზენათელი წყვდიადი, რომელშიაც სუფევს ღმერთი, დანტესთვის იქცევა უშუალოდ ბეატრიჩეს სამოსლად. ბეატრიჩე არა მარტო „ყოვლისმხილველია“ ისევე როგორც „შემოქმედი“, არამედ იგი არის აგრეთვე „თვალშეუდგამი ნათელი“. ამრიგად ბეატრიჩე დანტესი მფლობელია იმ უმაღლესი არეოპაგიტული ატრიბუტებისა, რომელიც არეოპაგიტიკაში ეკუთვნის ზეციური იერარქიის გვირგვინს. გავიხსენოთ: „ღვთაებრივი წყვდიადი არის ის თვალშეუდგამი ნათელი, რომელშიაც სუფევს ღმერთი“ (დიონისე არეოპაგელი). ბეატრიჩე არა მარტო თვალშეუდგამი ნათელია დანტესთან, არამედ გზაც ამ თვალშეუდგამი ნათელის ხილვისა[27]. რამდენადაც ეს ნათელი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და თავად სამყაროს გონების მიღმა დგას, ადამიანის გონებასა და ჭეშმარიტებას შორის საჭიროა მაკავშირებელი ხიდი. ეს ხიდი არის ისევ ბეატრიჩე. იგი დგას გონებასა და ჭეშმარიტებას შორის და უშუალოდ განასახიერებს ადამიანის მორწმუნეობრივ შემეცნებას:

„... სანამდისაც სწვდება გონება
მე განგიმარტავ, ხოლო რწმენას, რაც შეეხება,
ამ საკითხებში, ბეატრიჩე გაგიკვლევს გზასა“.

---

[27] შდრ.: ქრისტეს ალეგორია მიჯნური ქალის სახით, რომელიც ქართულ პოეზიაში დავით გურამიშვილმა შექმნა თავის პოეტურ შედევრში: „ზუბოვკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიმართავს ვირგილიუსი დანტეს. დანტესთვის შეუცნობელია პირველი იდეებისა და შემეცნების შთასახვა. მისი აზრით ადამიანს ისევე დაჰყვა შემეცნების ნიჭი, როგორც ფუტკარს თაფლის მოხვეჭის. ასევე დაჰყვა კაცობრიობას ღვთაებრივის შემეცნების სურვილი. ამ უმაღლესი შემეცნების სამსახურში რჩეულნი დგებიან. „ღვთაებრივი კომედიით“ დანტე ამ უმაღლესი შემეცნების პოეტურ დღესასწაულს აწყობს, შეიძლება ითქვას, წარმავალისა და მარადიულის გონით საწვდომი სფეროებისა და ზეგონითი სფეროების ხილვის ღვთაებრივ დღესასწაულს.

კაცობრიობის სახელით განწმენდილი პოეტი განსაწმედლის დასასრულს გვირგვინდადგმული თავად მისი მოძღვრების მიერ და ცოდვისშეგნებაწართმეული, რაც უცილობელი პირობაა სამოთხეში მოსახლეთათვის, მიემართება გონებისაგან მიუწვდომელი სფეროების სახილველად. თუ დიონისე არეოპაგელი მხოლოდ აღწერს და განმარტავს ანგელოზთა საბრძანისებს მათი ძალისა და თვისების მიხედვით, დანტე, უკვე გზაგაკაფული თეოლოგიურად, დაოსტატებული ამ საბრძანისთა განლაგებაში, სიმაღლეთა შრეებში იწყებს ნაცნობი სულების ამოკითხვას.

ბეატრიჩე პირშებურვილი ეცხადება თავიდან დანტეს ჯერ კიდევ მიწიერ სამოთხეში. იგი დგას მდინარის გაღმა „მეფური სიამაყით აღვსილი“, მის გარშემო გალობენ ანგელოსნი და „სიტყვა მისი გამახულია ხმალივით“. და მიუხედავად მთელი ამ თითქოს ზეადამიანური ლანდშაფტისა, ეს არის საოცრად ადამიანური შეხვედრა დანტესი და ბეატრიჩესი, შეხვედრა ზეციურ სამყაროში ანგელოზთა გალობის გუმბათქვეშ; ეს არის პირველი შებურვა თვალშეუდგამი ნათლისა, ეს არის ის საოცარი შეხვედრა, რომელსაც მკითხველი დანტესაგან ელის მთელი „ჯოჯოხეთისა“ და „განსაწმენდლის“ მანძილზე...

„რა ხანდაკებმა გზა მოგიჭრეს, ან რა ჯაჭვებმა, ასე რომ სასო წარგეკვეთა და დაგაღონა და წინ წასვლაზე რამაც ხელი აგაღებინა...“ გამეხებული მიმართავს ბეატრიჩე დანტეს:

„რა სიიოლე, ან მოგება ნახე როგორი, შენ სხვის შუბლებზე თალწარმტაცი და მომხიბლველი, სურვილის მათის ფარეშობას რომ ეწეოდი“. და დანტე პასუხობს დამნაშავედ და თავისმართლებით:

„წარმავალმა ვითმც სიკეთემ გზა ამირია, უდღეური სვის მაძებარი,
მას შემდეგ რაც თქვენ განმეშორეთ, გაუჩინარდით. (სალხ. X, 31)

და დანტე ხმარობს აქ თავისი განცდის გამოსახატავად ისეთ შედარებას, ძნელად რომ უკეთესით გადმოიცეს იგი: „უფრო ნაკლების გამძაფრებით ამოთხრის ხოლმეო მუხას გრიგალი“, ვიდრე შემძრაო ბეატრიჩეს „გესლიანმა ნიშნის მოგებამ“:

„ახლა კი გიჯობს რომ სირცხვილი იგრძნო შენ თავათ,
ცოდვათა შენთა შემცნობელმა, რათა მერმისში
სირენის[28] ხმების გაგონებამ არ შეგარყიოს“.

ბეატრიჩეს ნათლისმცემლური სახე ჯერ კიდევ არ არის მისი სასუფევლური სახე, მისი სრული და საბოლოო ნათელის გამოვლენილი სახეობა. შრომის დასაწყისში აღწერილი ზევსის მითოლოგიური ეპიზოდის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი გვევლინება ჯერ მოკვდავთათვს სახილველი სახით, იმ სახით, რომლის ხილვაც არ აღემატება მოკვდავის შემძლეობას. მისი თვალების

[28] უნდა იგულისხმებოდეს სირინოზები, რომლებიც ჯერ კიდევ პლატონის სახეებით მნათობთა მოძრაობის დროს, თვითეული მნათობის შესაბამის ხმას გამოსცემენ და ჰქმნიან მნათობთა კოსმიურ გალობას. აქ მაცთუნებელ და მიმზიდველ ხმათა სიმბოლოებია ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკეებში ირეკლებიან ანგელოზები. ისინი ევედრებიან მას, აიხსნას რიდე, შებურვილი პირი აიხადოს და უჩვენოს ესოდენ ნამგზავრსა და განაწამებ მიჯნურს თავისი „მეორე შეფარული სილამაზე“. ანგელოზთა ეს მუდარა ბეატრიჩესადმი სიკეთის მსურველი მუდარაა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ საოცრად ჰგავს იმ მაცთუნებელ სურვილს, რომელიც ჰერამ ჩააგონა საბრალო სემელეს, ეჩვენებინა ზევსს მისთვის, თუ კი ის ნამდვილი მიჯნური იყო, თავისი დაფარული მშვენიერების სახე...

„მისდა სამადლოდ, შევევრდომე, აიხსნენ რიდე | და მას უჩვენე ეგ ღიმილი, რათა იხილოს | შენი მეორე სილამაზე აწ შეფარული“ (სალხ. X,31)—მიმართავენ ანგელოზები ბეატრიჩეს.

უნდა იყოს რაღაც ჭეშმარიტად შემზარავად შეუძლებელი იმ ძალის ხილვაში, რომელიც ბეატრიჩეს გააჩნია, თუკი თვით „უმცირესიც ცათა სასუფეველში“ უფროჲს არს“, ე. ი. მძლავრია უფრო, ვინემ იოანე ნათლისმცემელი — ყველაზე მძლავრი არსება ამქვეყნად. ბეატრიჩე კი, არა თუ უმცირესი, არა თუ ადამიანური იერარქიების მკვიდრია სასუფეველში, არამედ უმაღლესი ღვთაებრივი იერარქიებისა და მთელი ლაშქარი ეხმარება ანგელოზებისა დანტეს, რათა მან შესძლოს შეხედოს ბეატრიჩეს. ბეატრიჩე თვალისმომჭრელი მზეა თვითონ და ვერც ერთი არწივი ისე ვერ უსწორებს თვალს მზეს, როგორც — ბეატრიჩე (სამოთხე, X, 1); ფაქტიურად ორი მზე არის სამყაროში: მზე და ბეატრიჩე[29]. დანტეს აღწერით ბეატრიჩეს მზერის ეს განცდა შეუცნობელია. ეს არის „დიდი და უცნაური ბედნიერების“ მომნიჭებელი განცდა. ნახევრად თვალებდაბრმავებული, რაღაც გუმანით მიჰყვება იგი (დანტე) ბეატრიჩეს ნათელ სულს. იგი უკვე მეგზურია მისი ღვთის სავანეების, სავანეების, რომლებიც გამოხატავენ ბუნების გარდასახვას ღვთაებრივ არსებაში (სამოთხე, ქ. 11) და რომელიც მიიწვდომება არა გონებით, არამედ — რწმენისეული შემეცნებით. აქედან იწყება ბეატრიჩე მოძღვარი, რომელიც შეესაბამება არეოპაგელისათვის ქრისტეს მოძღვრად ყოფნას. ცნობილია, რომ ბეატრიჩეს თვალისმომჭრელი ნათელი პოეტური პარალელია დიონისე არეოპაგელის ღვთაებრივი ნათელის დამაბრმავებელი ბრწყინვალებისა. მისაკარი შრე ამ ღვთაებრივი დამაბრმავებელი ბრწყინვალებისა არის საბურველი მისი. ეს საბურველია წყვდიადი. ამიტომ ღვთაებრივი წყვდიადი არის იგივე თვალშეუდგამი ბრწყინვალება ნათლისა, რომელშიაც სუფევს ღმერთი. მიუწვდომელი, უხილავი და თვალშეუდგამი ღმერთის ზებუნებრივი ძალით სახილველად, ზეგონებრივი ძალით სახილველად, გადმოგვცემს დიონისე არეოპაგელი, ცნობადახშული, ე. ი. აზროვნებისაგანაც თავისუფალი წარემართა ღვთაებრივი წინასწარმეტყველი მოსე.

„ყოველთმიზეზი... მხოლოდ მათთვის არის დაუფარავად და ჭეშმარიტად გამოჩენილი, რომელნიც მაღლდებიან ყოველგვარ უწმინდურებასა და სიწმინდეზე, რომელთმიერი აღსვლანიც ყოველთა უწმინდესთა და უმწვერვალესთა მწვერვალთაცა ზე აღიმართებიან და რომელნიც ჩამოიტოვებენ ყოველთა ღვთაებრივთა ნათელთა და ხმათა და ცისიერთა სიტყვათა, და იძირებიან წყვდიადში, რომელშიაც ჭეშმარიტად არს იგი, როგორც წერილნი წერენ, რომელი ყოველთ მიღმიერად არს“.[30]

---

[29] შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ (3)

[30] დიონისე არეოპაგელი, მისტიკური თეოლოგია, 3, თარგმ. დ. ზუმბაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიონისე ხსნის მოსეს ამ ღვთაებრივ წყვდიადს, როგორც ზენათელისა და თვალშეუდგამი ბრწყინვალების ბუნებას, რომლის სახილველად სამზადისი თავად ღმერთისაგან ებრძანა მოსეს.

მოსე ამ წყვდიადში, როგორც წერილნი წერენ, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იყო:

„და უბრალოდ როდი იყო, ღვთაებრივსა მოსეს პირველად თავად რომ ებრძანა განწმედაჲ და შემდეგ განუწმედელთაგან განრიდებაჲ. და ყოველგვარი განწმედის შემდეგ ესმა მას ხმანი მრავალხმიან საყვირთაგანი, იხილა მრავალნი სინათლენი, წმინდანი შარავანდედნი და ფერმრავალნი სხივლვარებანი. შემდეგ ხალხისაგან განირიდა და რჩეულ ქურუმთა გზით ღვთაებრივთა აღსავალთაგან უმწვერვალესზე აღელტოლა, მაგრამ ყოველთავე ამით ღმერთს ვერ მისწვდა, ვერ იხილა თვითონ იგი, (რამეთუ უხილავ არს), იხილა მხოლოდ ადგილი, სადაც იგი იდგა“[31] (დიონისე არეოპაგელი, მისტ. თეოლოგია. თ. 3.).

დიონისეს ეს აღწერა ეხება ღმერთის გამოცხადების იმ შედეგს, რომელიც თავად მოსემ აღწერა როგორც უმაღლესი ადამიანური შემეცნების აქტი. როგორც ვხედავთ, დიონისეს მიუწვდომელი და უხილავი ღმერთი ვერ იხილა ვერც მოსემ, იხილა მხოლოდ ის ადგილი, სადაც იდგა ღმერთი.

ბიბლიურ გადმოცემაში კი „ჰხედვიდა ყოველნი იგი ერი სვეტსა მას ღრუბლისასა მდგომარესა კართა ზედა მის კარავისათა“.[32] ხოლო მოსეს პირისპირ ელაპარაკება უფალი: „გიცი შენ უფროჲს ყოველთასა, და მადლი გაქვს ჩემ მიერ, უკეთუ ვპოე მადლი შენ წინაშე, გამომიცხადე მე თავი შენი, და განცხადებულად გიხილო შენ“. (გამოსვლათა, თ. 33). აღიარა რა უფალმა მოსე პირისპირ თავის რჩეულად, აღუთქვა რა, რომ თავად წარუძღვება იგი ერს წინ, შეევედრება მოსე უფალს მისი ვერ ხილვით დატანჯული: „რახან მიცი შენ უმეტეს ყოველთასა, მიჩუენე დიდება თავისა შენისა“. (გამოსვ.თ. 3). ეს ნიშნავს: მეჩვენე შენი ნამდვილი სახით, მთელი შენი დიდებით- „ჰრქუა უფალმან მოსეს: ვერ ძალგიც პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმან იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა და ჰრქუა უფალმან: აჰა, ესე რა ადგილი შენ წინაშე“. (გამოსვლათა თ. 33). მაშასადამე, უფალი ეუბნება მოსეს რომ ჯერ არ ყოფილაო კაცი, რომელმაც იხილა ჩემი სახე („პირი ჩემი“) და ცოცხალი დარჩა. როცა შენს წინაშე გაივლის დიდება ჩემი, — მიმართავს უფალი მოსეს — მე შენ დაგფარავ ჩემი ხელით, დაგაფარებ ჩემ ხელს სახეზე, რათა დაგიცვა ჩემი პირის ხილვისაგან, ხოლო როცა გაივლი და მიხილავ ზურგიდან, უვნებელი იქნება შენი ყოფნა. „დასდეგ შენ კლდესა ზედა, რაჟამს წარვიდოდის დიდება ჩემი, და დაგუდვა შენ ხურელსა კლდისასა, და დაგფარო ხელითა ჩემითა შენ ზედა, ვიდრემდის წარვიდე. და აღვიღო ხელი ჩემი და მაშინ იხილო ზურგით ჩემსა, ხოლო პირი ჩემი ვერ იხილო“. (გამოსვლ. თ. 33). ბიბლიური აღწერით ორმოცი დღე ლაპარაკობდა მოსე ღმერთთან: „იყო მუნა მოსე წინაშე ღვთისა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა ჭამა და წყალი არა სუა და აღწერნა ფიცარსა ზედა სიტყვანი ესე სჯულისანი ათნი სიტყვანი“ (გამოსვლათა თ. 34); ხოლო როცა მოდიოდა სინას მთიდან ისე ჰქონდა სახე უფლის სიტყვით განთებული, რომ „შეეშინათ მიახლებად მისდა“, მაგრამ „არა უწყოდა მოსე, რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა სიტყვითა მით უფლისათა მისა მიმართ? (იქვე). გადასცა მოსემ ერს ყოველი უფლის ნაბოძები და „ვითარცა დასცხრა სიტყვად მათდა დაიბურა საფარველი პირსა მისსა“ (იქვე). ამის შემდეგ მოსე როდესაც ელაპარაკება უფალს, საფარველს იხდის ხოლო როცა ელაპარაკება ხალხს, საფარველს იბურავს: „იხილეს ძეთა ისრაელისათა პირი მოსესი, რამეთუ დიდებულ არს, და დაიბურის მოსე საფარველი პირისა მისისა, ვიდრე შესლვამდე მისა წინაშე უფლისა და თანა ზრახვად მისა“ (გამოსვლათა, თავი 34).

---

[31] ძვ. ქართულით: სადა იგი დგა იხ. გამოსვლათა თ. 33. დიონისე არეოპაგელის მისტ. თეოლოგიის თარგმანისათვის იხ. „მნათობი, 1970, № 3.

[32] „კარავში“ იგულისხმება „კიდობანი წამებისა“ ანუ სახლი რწმენისა, ეკლესია, აგებული პირველი მსახურებისათვის ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, არა მარტო ღვთაებრივი ნათელი ეცხადება მოსეს პირშებურული, არამედ ამ ნათელით განათებული მოსეც საჭიროებს ერის წინაშე პირშებურვას. დიონისე არეოპაგელის ღვთაებრივი ნათელი ისეთივე თვალშეუდგამია როგორც მოსეს ღმერთისა. მაგრამ ამ ნათელს სხვა კოსმიური ემანაცია აქვს გავლილი. იგი უკვე ადამიანად არის მოსული მიწაზე. ღვთაების მისაწვდომი დალმა პირი ადამიანის სხეულით მოსილი მოევლინა ადამიანებს. და ამ გზით ის მიუწვდომელი ალმა პირი მოიტანა ახლოს ადამიანებთან. ადამიანი პირდაპირ მიადგა პირისპირ დამაბრმავებელ ნათელს როგორც თავისივე ალმა და მიუწვდომელ სახეობას. დიონისემ ხომ პირდაპირ მიადგა კიბე ამ მიუწვდომელს. დანტე ალიგიერი ამ კიბით მიაშურებს იმ დამაბრმავებელ ნათელს. იგი გზადაგზა თვითონ არის მოსეც და დიონისეც. მაგრამ მისი ღმერთი მოსეს და დიონისეს საშიში ღმერთი როდია. იმ საშინელი თვალშეუდგამი ნათელის მფლობელი, დანტეს შემაშინებელი ღმერთი, ხდება ბეატრიჩე. რამდენადაც დანტეს გავლილი აქვს დიონისური გზა ქრისტეს შემწეობით ამაღლებისა ამ ზენათელ წყვდიადში, მისი ბეატრიჩე გვევლინება აგრეთვე შემწედ ამ ნათელისადმი მიახლებისა. ამასთან ბეატრიჩე გვევლინება საკუთარი ნათელისადმი მიახლების შემწედ. ის, რაც დიონისე არეოპაგელის ზეციურ იერარქიაში მიიწვდომება ქრისტეს გზით, დანტესთან მიიწვდომება ბეატრიჩეს წინამძღვრობით. ადამიანის გონებისთვის არის გამოგონილი[33] ანგელოზთა წარმოდგენა ხელებით, ფრთებით, ბორბლებით, ლომის, კუროს, არწივის თავებით. შეუძლებელია, მაგრამ თვითეული სიმბოლო, რომელიღაც თვისების მიმნიშნებელია და ბეატრიჩეც დასძენს ამას შემოქმედის წარმოსახვის სიმბოლიკისათვის:

„საღვთო წერილიც დათმობაზე მიტომ წავიდა კაცთ შემეცნებას შეუგუა მოძღვრება თვისი მიტომ ხელ-ფეხი გამოასხა ქვეყნისა გამჩენს: (სამოთხე, IV, 43—45)

იგივე ითქმის ბეატრიჩეს ახსნით ანგელოზთა სახელწოდებების მიმართაც. ერთგან მაისტერ ეკჰარტი წერს: ისეთივე წარმატებით შეიძლებაო ერქვას გაბრიელ მთავარანგელოზს „გაბრიელი“, როგორც კონრადი[34]. და ბეატრიჩეც განუმარტავს დანტეს, რომ რაფაელს, მიქაელსა და გაბრიელს, ხომ ეკლესია ანიჭებსო კაცურ თვისებებს (სამოთხე, IV). ბეატრიჩე აფრთხილებს დანტეს რომ ცუდად გაგებული მოძღვრება მცდარ გზაზე აყენებს მთელ ქვეყანას.

ანგელოზთა სამყარო ღმერთის შექმნილია, ხილული სამყარო კი შექმნილია ღმერთებისაგან (სამოთხ. VII); ადამიანიც ღმერთების მიერ არის შექმნილი. აქ დანტე თანაბრად მისდევს პლატონის „ტიმაიოსისა“ და დიონისეს ანგელოზთა მოძღვრებას. ზეციურ სფეროებში ბეატრიჩეს ამაღლებასთან ერთად მატულობს ბეატრიჩეს ნათელი და მშვენიერება. ბეატრიჩე — „ჭეშმარიტების აუმღვრეველი წყარო“ და ღვთიური დედოფალი, სერაფიმებითა და ქერუბიმების ამალით მოსილი, თანდათან იკვეთება დანტეს წარმოსახვაში სინათლის სათავედ, თვით პირველმიზეზის პოეტურ ორეულად და პოეტისათვის ჭეშმარიტად არსებულ სინათლედ. სიტყვა „ბეატრიჩე“ დანტესავე განმარტებით ნეტარებას ნიშნავს. და ბუნებრივია, ესოდენი ღვთაებრივი ატრიბუტებით პოეტისაგან ძალმოსილი, ზეციური იერარქიის ესოდენ ძნელ გზაზე, დანტესთვის უნდა იქცეს ღვთაებრივ ნეტარებადაც. მის გარშემო მორიალე ნათლითი

[33] დიონისე არეოპაგელი, ზეციური იერარქია.

[34] Мейстер Экхарт, Проповеди и рассуждения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებანი აბრეშუმის ჭიებივით არიან შეფარულნი ნათლის სამოსში და [illegible] ძნელად ამოსაკითხნი და სახილველნი. დანტე ამ შეფარულ სამოსლებში ეძებს ნაცნობ სახეებს და „ღვთაებრივი კომედიის“ მთელ მანძილზე ჩვენ ვხედავთ, როგორ არიან დანტეს თაყვანისცემით მოსილნი კაცობრიული შემეცნების დიდი მესვეურნი: თომა აქვინელი, გრაციანო, სიგერ ბრაბანტელი, დიონისე არეოპაგელი (მეოთხე ცა, მზის ცა, ბრძენთა ცა), ფრანცისკო ასიზიელი, თომა აქვინელისა და დიონისე არეოპაგელის მაღლა ცაზე მსუფევი და სერაფიმად ქცეული სიკვდილის შემდეგ, წმ. დომინიკე და სხვები. ფაქტიურად მთელი ჭეშმარიტი კაცობრიობა. შუა საუკუნეების ამ მოაზროვნეთა მსგავსად, დანტესთვისაც ღმერთი არის ნათლისა და სიყვარულის ძალა, რომელიც თავისი ემანაციის საფეხურებზე თანდათანობით ჩამოდის დაბლა.

სიყვარულის „მისნური“ ძალით, „პირველადი ძალით“ შეიქმნა თვით სამყარო, — განმარტავს ბეატრიჩე, ასე შეიქმნა ქრისტე ღვთისმშობელში, დასძენს იგი. კაცობრიული ბუნება ვეღარასოდეს მიაღწევსო იმხელა სრულყოფას, როგორსაც მიაღწია „ორსულოვან“ ღვთისმშობელში, — ამ ორ ადამიანში: ქრისტესა და ღვთისმშობელში (სამოთხე. XIII). ამქვეყნიურ პიროვნულ ღირსებათა მონაპოვარნი, ამქვეყნიური ზნეობრივი სრულყოფის ხარისხი დანტეს მიხედვით, აისახება პიროვნული სულის მიერ ზეციური სიმაღლეების მოპოვებაში.

„მით უფრო მაღალს ჩვენ მივაღწევთ ცაში ხარისხებს,
რაც უფრო მეტად სრულყოფილად განვპიროვნდებით“. (სამოთხე. XIV 44—6)

ამ ხარისხების მიხედვით მატულობს ზენაარული ბრწყინვალების ნაბოძი სხივი და ნიჭი ნათლის ხილვისა (იქვე). ამიტომ ცაში ამაღლებასთან ერთად ბეატრიჩეს ბრწყინვა მატულობს და თვალსა სჭრის დანტეს. ამ დამაბრმავებელი ნათლის ხილვის შემძლეობაში გადამწყვეტი ხდება მარსის ცა ანუ ძალთა სფერო. მარსის სფეროში იხილავს დანტე ჯვარზე გაბრწყინებულ ქრისტეს:

„უფრო და უფრო მივიწევდით მაღლა და მაღლა, და ბრწყინვალება ზეციური სხივს იმატებდა,
მე აღარ ვჭვრეტდი ბეატრიჩეს უკვე ამ წუთში. (სამოთხე, XIV).

აქედან ბეატრიჩეს ნათლის შარავანდედი, ე. ი. არეოპაგელის შესაბამისი პირველმიზეზისეული დამაბრმავებელი ნათელი, დანტეს პოეტურ წარმოსახვაში გარდაისახება ბეატრიჩეს მიუწვდომელი ღიმილის „მომნუსხავ“ შარავანდედად.

„ისეთნაირად კიაფობდა მისი ღიმილი
თითქოს იმ წუთში მიმეღწიოს ჩემი სამოთხის
და ნეტარების უზესთაეს ხარისხისათვის“ სამოთხ. XV, 34—36.

**ბეატრიჩეს ღიმილი**, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი შეუცნობელი და მარადის საწვდომი პრობლემაა დანტეანურ ლიტერატურაში. ბეატრიჩეს ღიმილს ეძღვნება სპეციალური შრომები მკვლევარებისა. ბეატრიჩეს შეკრული ღიმილი, ე. ი. უღიმილობა, იგივე ნათლის პირშებურვაა, დიონისური ღვთაებრივი დუმილისა და ღვთაებრივი წყვდიადის ალეგორია; ნათელი და გაღიმება, გახმიანება — დაფარულის შეუცნობელი გამხელაა. ბეატრიჩეს ღიმილს აქვს ის ძალა, როგორი ძალაც გააჩნია ზევსს თავისი ნამდვილი სახით გამოცხადების დროს სემელეს

წინაშე. ზევსის მიუწვდომელი და ღვთაებრივი ნათელი სწვავს ზემლეს. ჩვენ აღვნიშნეთ ერთი ვარიაცია ღვთაება დიონისეს დაბადებისა, როც[illegible] იბადება ზევსის ამ მიუწვდომელი ნათელის ელვარებისაგან დამწვარი დედის სხეულიდან. მეშვიდე ცაზე დანტესა და ბეატრიჩეს შორის იმართება ზუსტად ის დიალოგი, რომელიც ნაგულისხმევია მითში ზევსსა და ზემლეს შორის. ეს არის სატურნის ცა, უშორესი ცა დედამიწიდან. ბეატრიჩეს ღიმილს ისეთი ძალა აქვს, რომლის გამოვლენაც მოკვდავის წინაშე შეუძლებელია. ბეატრიჩეს ღიმილი ზევსის ცეცხლოვანების ბადალია:

„აქ რომ ღიმილი შეგაგებო“, მითხრა მადონამ,
ისე ბედითი გეწვეოდა უთუოდ ხვედრი,
როგორც ზემლეს ცეცხლში დამწვარს და დაფერფლილსა.
მშვენების ჩემის ბრწყინვალება, აღზევებული
ამ მარადიულ სასახლეში, სწვავს მომეტებით:
რაც უფრო მაღალ ხარისხისკენ მივიწევთ ზევით.

მე რომ მთიების მხურვალება არ დამეოკნა,
გაბრწყინდებოდა ის ე ძლიერ, რომ ეგ მოკვდავი
სხეული შენი იქცეოდა მთლად ნაცარტუტად“. (სამოთხე, XXI, 4— 13)

მეშვიდე სფეროს შემდეგ იწყება გონების დაბნელება ანუ გონების სრული უძლურება. აქედან იწყებაო „კიბე დიდი ოქროცურვილი“ ანგელოზთა იერარქიისა, რომელზეც ნიაღვარად ჩამოდიოდნენ სულნი, თითქოს დაძრულაო მთელი ვარსკვლავეთი. როგორც გვახსოვს, მერვე ცა ეს არის უძრავვარსკვლავიერი სფერო. აქ უკვე აღარ გალობენ სულნი, ეს არის მდუმარე სულთა კიბე. აქაური ხმიერების ძალა ბეატრიჩეს ღიმილის მსგავსად დამღუპველია დანტესთვის. და ერთ-ერთი ანგელოზი განუმარტავს დანტეს:

„მომაკვდავია სმენა შენი, ხედვის უნარი,
მომიგო, როგორც ბეატრიჩე, არ იღიმება,
აღკვეთილია ყოველგვარი აქვე გალობა“ (სამოთხე, XXI)

კიბიდან ჩამოცვენილ სულთა ხმაური ყურსა სჭრის დანტეს. ეშვებიან იერარქიულ არსებათა დანტესთვის ნაცნობი სულები: პეტრე დამიანი, პეტრე მოციქული, პავლე მოციქული, მაკარი ალექსანდრიელი (IV საუკუნის განდეგილი), რომოალდი და სხვები. ვარსკვლავეთში მადონა აუწყებს დანტეს ქრისტეს და მისი ამალის გამოჩენას. დანტე ვერ უსწორებს თვალს მის ელვარებას და ბეატრიჩე ანუგეშებს: აქ დაგძლიაო ყოვლისმძლეველი სათნოების ელვარებამ, რომელიც აერთებსო ცასა და მიწას, და რომელსაც ამდენხანს ელოდაო კაცთა მოდგმა (ს. XXIII, 35—39). გავიხსენოთ პლატონის აღწერილი სინათლის სვეტი ცხოველი, რომელიც სერავს ცასა და მიწას, გავიხსენოთ ისევ დიონისეს თქმული, რომ ქრისტემ მიგვაწვდინა ცას და მოგვიტანა უფლება ცაში შეღწევისა („ზეც. იერ.“) და ნათელია, რატომ არის დანტეს აღწერით, რომ ქრისტეს როგორც სინათლის სვეტის ხილვის შემდეგ იძენენ მისი (დანტეს) გონითი თვალები ახალ ძალას. ეს არის ძალა, რომელიც უნდა გაუმკლავდეს უკვე ზევსის **ნამდვილსახისეულ** ყოვლისმწველ ძალას, რომელმაც დასწვა მშვენიერი სემელე. ეს არის ძალა, რომელიც უნდა გაუმკლავდეს ბეატრიჩეს ღიმილის ძალას, რომელსაც ძალუძს ნაცარტუტად აქციოს დანტეს სხეული. დანტე გარდაიქმნება ახალ ადამიანად ქრისტეს ხილვაში.

---

[35] შდრ. ანგელოზთა კიბე იაკობის სიზმარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვით ღრუბელთაგან დაიძრება ანაზდად ცეცხლი,
რომელიც ცაში გავრცობილი მანდ ვერ ეტევა
ბუნებას თვისას ეურჩება, ეწევა მიწას,
ასევე სული ჩემი ცაში გაღიდებული,
ალტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისნი
და აღარ მახსოვს თუ რა გავხდი მე იმ წუთებში“.

ღმერთებმა იციან თავიანთი ცეცხლისა და ადამიანის შემძლეობის ძალთა საზღვრები. ბეატრიჩემ იცის, რომ ქრისტეს ხილვის შემდეგ მისი „ზევსური“ ძალის ღიმილს შეუძლია უვნებლად გამოეცხადოს თავის სემელე-დანტეს. რომ დანტეს ახლა ძალუძს იმ გაუძლები ღიმილისა და ნათელის შარავანდედის გაძლება და აუწყებს მას:

„ალახვენ თვალნი და მიხილე როგორი გავხდი,
შენ უკვე ნახე ისეთი რამ, რაც მოგანიჭებს
უნარს ღიმილის ჩემს სახეზე უვნებლად ჭვრეტის“. (XXIII, 46—48)

დანტეში იღვიძებს პირველი და სრულყოფილი ადამიანი — ადამი:

„მე მივაგავდი კაცს, რომელსაც შორი წარსულის
ჩვენების კვალად წარმოდგენა მონდომებია,
მაგრამ ამაოდ თავს იტკიებს მის მოგონებით“.

ეს მოგონება არის ამავე დროს კაცობრიული სულის ზენიტზე ამაღლების დღესასწაული, რამეთუ იგი გაჰმზერს მთელი იმ კაცობრიობის გზას, რომელსაც ავიწყდებოდა თავისი პირველსახე და მიისწრაფვოდა მისი სრული დაბრუნებისაკენ. ბეატრიჩეს ხმის გაგონება, მისი ღიმილისა და ბრწყინვალების ხილვა, ამ ღვთაებრივი გამარჯვებით აღტაცების დღესასწაულია და დანტეში იწვევს უჩვეულო ექსტაზს; ამასთან, ეს არის ღიმილი და ბრწყინვალება, რომელიც თავად ქრისტეს ბრწყინვალებაზე მძლავრია და გაუძლები. ვიმეორებ: ბეატრიჩეს ღიმილი ქრისტეს ბრწყინვალებაზე ძნელია ასაქმელად, ქრისტეს უხილავად მიუწვდომელია ბეატრიჩე. ბეატრიჩეს სახე იმდენად ყოვლისმომცველი ხდება დანტესთან, იმდენად იქცევა მართლა ყოვლისშემძლე ღმერთად, რომ დანტე საჭიროდ გრძნობს გამოცდა ჩააბაროს ქრისტიანულ სარწმუნოებაში და იგი პეტრე მოციქულს აბარებს ამ გამოცდას როგორც თავის რელიგიურ აღსარებას. „მწამს ერთი ღმერთი, ერთადერთი მარადჟამული | მწამს მე სამება წმინდა იგი მარადჟამული | და ერთარსება ღვთაებრივი, სამპიროვანი | სადაც ურთიერთს ეხამება sunt-ი და est-იც“, კიდევ ერთი ცით[36] ამაღლება... და ბეატრიჩეს შეხედვა ისევ აბრმავებს დანტეს მზერას. არ არსებობს უფრო დიდი ძალა, ვიდრე ბეატრიჩეს ნათელის ძალაა. ამიტომ, — ამბობს დანტე, — ისევ ამ ნათელს ძალუძს მხოლოდ სიბრმავის განკურნება.

[36] ანგელოზურ სულთა ასხმული ფურცლები დანტეს განაცდევინებს შორეულ ცას მისტიური ვარდის სახედ. ეს ანგელოზების ფურცლება იდუმალი ვარდი გულში ჯვარით და ქრისტეს ხატებით, დაკავშირებულია დანტეს როზენკროიცერულ სიმბოლიკასთან, რის გამოც მკვლევარნი სწავლობენ დანტეს მსოფლმხედველობის ნათესაობას როზენკროიცერულ საწყისებთან (Rene Guenon, L'. Esoterism Dante). რამდენადაც მკვლევარნი, როგორც როზენკროიცერული ძმობის მსოფლმხედველობრივ საწყისებს, ასევე არეოპაგიტულ მსოფლმხედველობას აკავშირებენ ჰერმეტიზმთან, ჩვენი ინტერესის საგანი ხდება აგრეთვე არეოპაგიტიკისა და როზენკროიცერული საწყისების ურთიერთმიმართება, რაც დიდად აფართოებს არეოპაგიტიკის კვლევის სფეროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იცოდე თვალებს იმ ქალისას, ვინც შენ გიძღოდა
ამ საბრძანისში აქვს ისეთი ძალმოსილება
რაც ანანიას აღმოაჩნდა პავლეს განმკურნელს“. (ს. XXVI—10—12).

და უკვე ყველაფერი, რაც ხდება დანტეს ირგვლივ დანტეს აღქმაში გარდაისახება **„მთელი სამყაროს ღიმილად,** რომელმაც დაატყვევა მისი გონება“ (ს. XXVII). ამაღლებისაკენ ლტოლვა უკვე ნიშნავს ბეატრიჩეს ღიმილის შარავანდედში შეღწევის სურვილს. ბეატრიჩეს ღიმილს ადევნებული, იგი ხან იხრჩობა ამ ღმილით, ხან ნეტარებს როგორც იმ მისტიური ცოდნის ზიარი, რომელმაც უნდა გაიაროს სიკვდილი და მიაღწიოს ნირვანას; აქ ერთდროულად მიდის ზეცაში ამქვეყნიური და ზეციური მისტერიალური ზიარება. იერარქიის მიზანი, — განმარტავს დიონისე არეოპაგელი, — არის ღმერთთან მიმსგავსება. დანტეს ამაღლება ბეატრიჩეს შემწეობით და იერარქიის საფეხურებთან თანდათანი ზიარება არის მისი შეერთება იერარქიული ცხოვრების მაჯისცემასთან და მიზანთან. ამრიგად დანტეს და იერარქიის მიზანი მთლიანდება. და თვით დანტეს ამაღლება იქცევა ღმერთთან მიმსგავსებისა და მიახლოვების გზად. ამ მიახლოვების პროცესი მისთვის არის ამავე დროს თავისი მოძღვრის თანდათანობით ღმერთად აღქმის პროცესიც. უახლოვდება რა, და მაღლდება რა, უფრო და უფრო შორეული ხდება ბეატრიჩე, როგორც ღმერთი. და დასასრულ ბეატრიჩეში დანტე ელტვის უკვე არა მარტო მიუწვდომელ ღმერთს, არამედ თავის მიუწვდომელ მოძღვარსაც. ერთდროულად ხდება ორივე ფაქტი: ბეატრიჩეს გაბრწყინება და დანტეს გაბრწყინება, რადგან პირველის ნათელი უმალ ისახება მეორეზე; და დანტე წერს რომ აუწერელი და გამოუთქმელიაო ის ექსტაზი, ვერავითარი ხელოვნება და ვერავითარი ბუნება ვერ გადმოსცემსო იმ მოჯადოების ძალას, რომელსაც აგებებს ბეატრიჩე (ს. XXVII, 88—836). მეცხრე ცაზე ბეატრიჩე ეცხადება უკვე ნამდვილი ღმერთის სახით — „თავად ღმერთი აღბეჭდილიყო მის სახეზე“ — წერს დანტე (ს. XXVII).

ბეატრიჩეს და დანტეს მოგზაურობა ცათა სიმაღლეებში სრულდება უძრავი თვითმამოძრავებლის ხილვით. შესაძლოა ითქვას, რომ მათ იხილეს ის, რაც არასოდეს არავის ეხილა დანტემდე. ძალა, რომლის იქით აღარაფერი აღარ არის, რაც დასაბამს აძლევს ყველაფერს, რაც მოძრაობას ანიჭებს ყველაფერს და თავად არსებობს, როგორც ისეთი უძრაობა, რომელიც აღარ საჭიროებს სხვა მიზეზს საკუთარი ამოძრავებისათვის. როგორ უნდა ეხილათ ეს ძალა დანტესა და ბეატრიჩეს? როგორ უნდა გადმოეცა დანტეს სახე ამ უხილავი აღუწერელი ძალისა? და აქ როგორც ვფიქრობთ, დანტემ აირჩია ისევ არეოპაგიტული გზა: დიონისეს უჩვეულოდ მკვეთრი და მისტიური განმარტებით: „ღმერთი არის უდიდესი და უმცირესი“ („ღვთ. სახ.“). ამ დებულებაში ერთიანდება ღმერთის როგორც უსასრულოდ დიდისა და ღმერთის როგორც უსასრულოდ მცირეს იგივეობა. დანტესთვის, როგორც პოეტისთვის საჭიროა, რომ მან აირჩიოს პოეტურ სახეში მოსაქცევი მხარე განმარტებისა და ასეთად იგი აღმოაჩენს ღმერთს როგორც უსასრულოდ მცირეს; ამიტომ სახეობრივად წარმოადგენს ამ უმცირესს და უძრავ თვითმამოძრავებელს იხილავს როგორც უსასრულოდ მცირე წერტილს, რომელსაც მბზინავი ალმასის სხივის წვერის ფორმა აქვს. ეს მბზინავი სხივი არის, დანტეს განმარტებით, საწყისი ძალა ყოველივე სხვა ძალისა. რა ძალაა იგი? იკითხავს უსათუოდ მკითხველი (ყველა ფილოსოფოსი იძლეოდა პირველმამოძრავებელი ძალის ეთიკურ განმარტებას დაწყებული ემპედოკლედან): ემპედოკლესთვის ეს იყო მეგობრობის ძალა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმენიდესთვის ისევ სიყვარულის ძალად იქცა, პლატონისთვის ეს იყო ძალა სიკეთისა, და ამ სიკეთეში მთლიანდებოდა მშვენიერებისა, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ძალა; ნეოპლატონიკოსებისთვის სიკეთე აღარ გახდა საკმარი, ეს ძალა რაღაც აღმატებულად დასახეს სიკეთეზე, და უწოდეს ზესიკეთე. დანტესთვის არ არსებობს არჩევანი. **პირველი** ეს არის სიყვარულის ძალა. ვინ არის ამ ძალით უფრო მეტად მიმადლებული — დანტე თუ ბეატრიჩე? — ძნელი სათქმელია, უმაღლესი შემეცნების ძალა კი ფაქტიურად სიყვარულის ძალასთან არის წილნაყარი. და დანტე, როგორც კაცობრიობის წინასწარმეტყველი, დანტესა და ბეატრიჩესმიერი პირველმამოძრავებლის ხილვით უმღერის ჭეშმარიტების ძიების იმ გზას, რომელიც უნდა აირჩიოს კაცობრიობამ. გოეთეს ფაუსტის ტანჯვა-კვეთება უკანსვლაა დანტესთან შედარებით. ფაუსტი მარტოა თავისი ორეულით. მშვენიერი ელენე შვილის სიკვდილთან ერთად ეთიშება ფაუსტს. ის უკვე სიკვდილის გზას ეძებს შვილის გზის საპოვნელად. ფაუსტი მარტო განაგრძობს შემეცნებას. დანტე და ბეატრიჩე ერთად მიდიან სამყაროს მამოძრავებელი ძალის სახილველად, ერთად მიდიან სამყაროს უმაღლეს მიზანთან. ადამიანის პიროვნების ასეთი სრულყოფილი სახე არნახულია კაცობრიობის ისტორიაში და აღემატება თვით ქრისტიანულ ჰარმონიას, რომელიც ღვთისმშობელს ვერ უტოლებს ქრისტეს. ქრისტიანობის საპირისპიროდ დანტე ამ ტოლობასაც ახდენს. ქრისტე და ღვთისმშობელი ეს ორი ყველაზე აღმატებული ორი სულია, კაცობრიობაზე აღმატებული, კაცობრიობისავე მაღლა ასაყვანად. ამიტომ არის შესაძლებელი დანტესთან ბეატრიჩესა და დანტეს ჭეშმარიტი ჰარმონიაც. მთელი ქრისტიანული განათლების მანძილზე, განათლების პატრიარქალური პრინციპის სანაცვლოდ, აქ ბეატრიჩესა და დანტეს მაგალითით, შეიძლება ითქვას, ქრისტიანობის გარდასახვას ახდენს დანტე ალიგიერი, როგორც თავისუფლებათა მპყრობელი პოეტიც და როგორც რელიგიური შემოქმედიც. ხოლო როგორც წინასწარმეტყველი, შეიძლება ითქვას, რომ „ღვთაებრივ კომედიაში“ დანტე თვით რელიგიის განწმენდას ახდენს პოეზიის გზით.

მთელი „ღვთაებრივი კომედია“ ფაქტიურად ეს არის გზა ღმერთთან მიახლებისა სიყვარულის გზით. გზა დანტეანური შემეცნებისა და ხელთდასხმისა, სადაც მოძღვარი ადამისა ევაა; მაგრამ ეს არის ახალი ბიბლიური ხელთდასხმა, ახალი პირველზიარება ზეციურ სამოთხეში, როცა ზიარება ცოდნასთან აღარ არის ცოდვა. და ვეღარავინ დასწყევლის ბეატრიჩეს დანტეს ზიარებისათვის ზეციურ ვარდთან. იგი თავისუფალია სხეულისგან. თავისუფალი სულია და ხელთუპყრია ძალა ღვთისწინაშე სხვათა განდიდებისა. ამ შემთხვევაში, დანტეს მიერ შექმნილ სინამდვილეში, დანტე თვითონ არის წინასწარმეტყველი მოსე, რომელმაც უნდა მოგვცეს წიგნი „შესაქმეთა“. ამ ახალბიბლიურ ზიარებაში კი თვითონ ღმერთი მწყევარი მოსესი გარდაქმნილია ღმერთად მლოცვარედ, ხოლო ცოდვა სიყვარულისა ნეტარებად.

ადამიანურისა და ღვთაებრივის მიმართებაში დანტემ გააცოცხლა ქალურისა და მამაკაცურის მიმართების ყველა ფორმა, როგორც პოეტმა დაანგრია ყველა შექმნილი და შექმნა ახალი. შეიძლება ითქვას რომ როგორც პლატონმა გააძევა თავისი იდეალური სახელმწიფოდან მანამდე არსებული მთელი უმაღლესი პოეზია და რელიგია, როგორც პლატონმა გააძევა ჰომეროსი და ზევსი, ასევე დანტემ, პლატონური იდეალებისა და სიმაღლეების შემძლემ, თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური იდეალებიდან გააძევა ყველა იდეალი და არსებობა მიანიჭა ახალ, საკუთრივ დანტეანურ იდეალს.

ასე მიადგა დანტე, დიონისეს მსგავსად თვალებდათხრილი, ბეატრიჩეს დამაბრმავებელ ნათელს. აი, ეს პირველმამოძრავებელია, განუმარტავს ბეატრიჩე შემორტყმული იმ ტრიადული რკალებით, რომელნიც წარმოადგენენ ანგელოზთა იერარქიას:

„... და მან ვინც მცირე ეჭვსაც ჭვრეტდა მუდამ ჩემს სულში,
მითხრა: „იცოდე მეწინავე ამ ხოროებში
გვგულებოდეს ქერუბიმნი და სერაფიმნი.

მიტომც სწრაფია ალმაფრენის მათისა ძალა,
იმ პუნქტს[37] ისინი შეერწყმიან შეძლებისამებრ,
რამდენად მეტად სპეტაკი აქვთ ძალი ჭვრეტისა.

მათ ირგვლივ მდგომნი აქ ზეცაში იწოდებიან
ტახტად ზეციურ მეუფების თვალთა წინაშე,
რადგან ისინი ასრულებენ სამეულს პირველს.

რაც უფრო ღვივის სიხარულის ანთება მათში,
მით უფრო მეტად ჩასწვდებიან ჭეშმარიტებას,
რომელიც სულებს მიანიჭებს ნათლის სავანეს.

ეგეც იცოდე ჭვრეტაშია ბედნიერება,
მას ნუ ეძიებ სიყვარულში შენც ნურასოდეს,
რადგან ეს გრძნობა ისახება ჭვრეტის შედეგად.

ხოლო ის ჯილდო, რასაც კაცი მოიხვეჭს ხოლმე,
ციური მადლის და სიქველის მეოხებითა,
არის საზომი ამგვარ ჭვრეტის ჩვენის უნარის“. (ს. XXVIII, 97—114)

ბეატრიჩეს განმარტებაში მოცემული ანგელოზური ტრიადების დანტესეული აღწერილობა სრულ თანხვედრაშია დიონისე არეოპაგელთან და ბეატრიჩე დასძენს, რომ: მისებური (ე. ი. დანტესებური) განრიგება დააწესა თვით დიონისემ.

„ნუ გაოცდები რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ
ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა,
ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (იქვე)

აქ კიდევ ერთი პოეტური თანხვედრა შევნიშნეთ დანტესა და დიონისეს მისამართით: ანგელოზთა სრულყოფილების საზომი ჭვრეტისა მათს სრულყოფილებაშია როგორც დანტესთან ასევე — დიონისესთან.

„ანგელოზთ დასნი ისე სწრაფად იზრდება ცაში
რიცხვი არ ჰყოფნის კაცთ გონებას მათ დასათვლელად,
არც თუ ოდესმე შეძლებულა აღნუსხვა მათი“. (ს. XXIX)

ამ აურაცხელი ანგელოზური ძალების შესადარებლად დანტე ხმარობს დიონისურ სახეს სარკეებისას, რომ მათი (ანგელოზთა) სახით შემოქმედს უდ-ეას აურაცხელი „ვრცელი სარკე“, „სადაც მრავალგზის შუქის მისის სჩანს ათინათი, თუმც თავად იგი რჩება მარად განუყოფელი“. პირველმამოძრავებლის რკალებიდან დანტეს მზერა გადააქვს ისევ ბეატრიჩეზე, რომლის მშვენიერებაც და ბრწყინვალებაც უკვე გამოუთქმელია: „მხოლოდ შემოქმედს თუ

[37] იგულისხმება პირველი თვითმამოძრავებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეეძლო შეცნობა მისი“; ისევე, როგორც მხოლოდ ღმერთმა იცის თავი თვისი. ბეატრიჩე — ეს დედაღმერთი დანტესი, მთლიანად მამაღმერთის ატრიბუტებით არის შემოსილი:

„ჩემის პოემის ამ ადგილზე ისე დავმარცხდი,
როგორც არასდროს სხვა პოეტი დამარცხებულა“.

— წერს დანტე ალიგიერი. მისი ბრწყინვალებისაგან კვლავ დაძაბუნდა დანტეს მზერა. ემპირეუმში ბეატრიჩეს სახე ეს არის ბეატრიჩეს როგორც ღვთაების უკვე ყველაზე მიღმიერი ღიმილოვანი შარავანდედით ხილვა, რომლის უნარსაც დანტეს ანიჭებს ისევ თვითონ ბეატრიჩე.

აენთო ჩემში მხედველობის უნარი ისე,
რომ უდიდესი ბრწყინვალებაც ამ ქვეყანაზე
ველარ დაშრეტდა გამძლეობას ჩემი მზერისას.
აჰა, ვიხილე მე ნათელი, მსგავსი მდინარის,

თვალისმომჭრელი ათინათის ბრწყინვალებითა“ (სამოთხე, XXX).

და შეუძლებელია აქ არ გეცნოთ ნათელის არეოპაგიტული განცდანი და სახენი აღბეჭდილი დანტეს ხედვაში „მისტიური თეოლოგიიდან“ თუ „ზეციური იერარქიიდან“.

და ბეატრიჩე ლოცულობს რომ შერჩეს დანტეს ამ ხილვის უნარი მიწაზე დაბრუნებულს: შერჩეს ამგვარი ხილვის შემდეგ „საღი უნარი სიყვარულის მიმართებისა“ და შერჩეს ძალი, წანაღუდგეს ვნებათ მიწიერთ“. (სამოთხე, XXXIII).

ბეატრიჩესთან ერთად ლოცულობენ სხვა ნეტარნი სულნი. ლოცულობენ რათა „ფრთებით დაიფარონ“ პოეტი მიჯნური. ცათა უფალს სიამოვნებს ბეატრიჩეს ლოცვა.

ბეატრიჩე აშტერდება იმ ნათელს, რომელსაც ვერ განჭვრეტს ვერავინ. და დანტე ამბობს რომ ვიგრძენით სიახლოვე იმ საუფლოსი, სადაც „სურვილთა საბოლოო მიზანია მიღწეული“. დანტესეული გამოცხადების აღწერაში ბეატრიჩე რჩება თვალითვალში გაყრილი ღვთაებრივ ნათელთან. ასე რჩებიან დასასრულ ცათაუფალი და ბეატრიჩე.

არის ერთი უჩვეულო ლეგენდა მაისტერ ეკჰარტისა: ამ ლეგენდის მიხედვით მისი (მაისტერ ეკჰარტის) მოწაფე ქალი მიდის განდეგილად. და მიზნად აქვს ამ ქალს ქრისტეს თანაგრძნობა და ქრისტეზე უფრო დიდი ტანჯვის მიღება. იგი მიდის ამ ტანჯვის მისაღებად. ხოლო როდესაც ბრუნდება თავის მოძღვართან, იმდენად შეცვლილი და ამაღლებულია მოწაფე, რომ შეხვედრის ჟამს ეკჰარტი მას ველარ სცნობს[1]. ყოფილი მოწაფის შეკითხვაზე რომ იცნო თუ არა იგი, ეკჰარტი უპასუხებს: რომ ვერა, ვერ იცნო მოწაფე, ეს ისეთივე საშინელი ვერცნობაა სულიერ პლანში, როგორც ვერცნობა დედისაგან შვილისა. და მაშინ მოწაფე ქალი უპასუხებს, რომ თუ ვერ მიცანიო მე, ეს იმას ნიშნავსო, რომ ჯერ არ შეგიცვნიაო თავი შენი. კეთრეი (მოწაფე) არის იგივ გაზრდილი და მაღლა წასული მაისტერ ეკჰარტი, მაისტერ ეკჰარტის მიერვე შექმნილი, როგორც ლეგენდარული ორეული მისი. დანტეს ბეატრიჩეს არ სჭირდება ამგვარი შეკითხვის დასმა. ბეატრიჩე არის იგივე ამაღლებული დანტე, იგივ

[1] М. Экхарт, Проповеди и рассуждения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს გატოლებული და ღვთაებრივი ნათლის ორეული დანტე ალიგიერი ისევე, როგორც დანტე არის ბეატრიჩე.

დანტეს დაფარულ იდუმალებათა მკვლევარნი შენიშნავენ ასეთ საოცარ გამონაგარიშებასაც: თითქოს მისი ცხოვრების შუაგული, წელი, რომლითაც იწყება „ღვთაებრივი კომედია" („უსიერ ტყეში, ამ ცხოვრების ნახევარ გზაზე, ანაზდეულად გამოვფხიზლდი გზა დაკარგული") იყოს ჩვენი სამყაროს არსებობის შუაწელი. დანტეს ზეციურ სფეროებში მოგზაურობა, ქრისტეს სხეულით აღდგომისეული ამაღლების მსგავსად, ქრისტესი და ღვთისმშობლის სხეულით ამაღლება, დანტეს და ბეატრიჩეს ასეთივე ამაღლების ასოციაციას იწვევს პოემაში. მაგრამ აქ ქრისტედ და წინამძღოლად, შემწედ ჯოჯოხეთში ჩასვლისა და ცოდვილთა ამამაღლებლად სამოთხეში — ბეატრიჩე გვევლინება. დანტე ჭეშმარიტი ქრისტიანია და ჭეშმარიტი მორწმუნე სამებისა და ერთარსებისა; როგორც აღვნიშნეთ, იგი გამოცდას აბარებს მოციქულ პეტრეს აღმსარებლობაში, მაგრამ დანტე არის ამასთან ჭეშმარიტი პოეტი და იგი კაცობრიობას გამოცდას აბარებს პოეზიის, როგორც ჭეშმარიტების წვდომის უმაღლეს შემძლეობაშიც; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამოცდას აბარებს პოეზიაში, როგორც უმაღლეს რელიგიურ აღმსარებლობაში. ამრიგად, მის ქრისტიანულ-რელიგიურ ერთ ღმერთს საკუთრივ დანტეანური პოეტური ორეულები ებადებათ. ბეატრიჩე ჰგავს ხშირად ღვთისმშობელს, ჰგავს ნათლისმცემელს, ქრისტეს, მამა-ღმერთს და ამავე დროს არის ბეატრიჩე. იგი არასოდეს არ უიგივდება მთლიანად რომელიმეს ისევე, როგორც არასოდეს არ უიგივდება დანტე-პოეტი დანტე-მორწმუნეს. მისი სარწმუნოება ამავე დროს ბეატრიჩეს მიმდევრობაა, ბეატრიჩეანული სარწმუნოებაა.

ბეატრიჩე არის იგივე ამაღლებული დანტე, იგივ ღმერთს გატოლებული და ღვთაებრივი ნათელის ორეული. დანტე ალიგიერში, ისევე, არის შეფარული თვითგაღმერთების სურვილი. ბეატრიჩეს გაღმერთება ერთგვარი თვითგაღმერთებაცაა დანტესი. აშკარაა: ქრისტეს მოვლინება, როგორც ადამიანის ღმერთად ქცევის ვნება, კაცობრიობის სულში ნამსხვრევებად არის გაფანტული და მარადის ბორგავენ ეს ნამსხვრევები. ამონიუს საკასი, პლოტინუსი, პროკლე — მძვინვარედ არ იღებდნენ ქრისტეს ღმერთობას. მათ ჰყავდათ დასახული ღმერთკაცი: ადამიანი — ღმერთი და ეს იყო მათთვის პლატონი. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ პლატონის გაღმერთებაში ინელებდნენ ეს ბუმბერაზი პიროვნებანი საკუთარი ღმერთობის ვნებას. ჰეგელსაც კი უთქვამს, ვითარცა ძე-ღმერთს: მე ვარო პირველი, საშუალი და უკანასკნელი. და თითქოს აშკარაა ერთი რამ. თუმცა კაცობრიობის განხორციელებული მიზანი — ქრისტე, მარადის სჭირდებოდა კაცობრიობას, მაგრამ ასევე მარადის სჭირდება იგი როგორც განუხორციელებელი ქრისტე. ადამიანის სიცოცხლეს მიღწეული სჭირდება ისევე, როგორც — მიუღწეველი. შეიძლება ითქვას პირიქითაც: მიუღწეველი შეიძლება სჭირდება უფრო მეტად, ვინემ მიღწეული და თუმცა შეუცნობელია ძალა, რომელიც ამოხეთქავს დრო და დრო ღვთაებრივ **„მეებში"**, დიდი ღვთაებრივი სათნოების მპყრობელ **„მეებში"** როგორც სურვილი ღმერთთან გატოლებისა, როგორც საკუთარი მესიანობის ცოდვილი ვნება, მაგრამ არაფერია უჩვეულო, თუ გავიხსენებთ დიონისე არეოპაგელის სერაფიმ-ქერუბიმთა წვას ღმერთთან გატოლებისას. ეს წვა თან მოჰყვებათ იმ იერარქიულ **„მეებს"** და დედამიწაზე კვლავ იფეთქებს მაშინ ქრისტედ ყოფნის სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტესთვის არ არსებობს ღვთაებრივი ბეატრიჩეს გარეშე, მაგრამ ეს ბეატრიჩეს გარეშე არსებული ღვთაებრივი, რომელიც დანტესთვისაც არსებობს, საბოლოოდ არსებობს მხოლოდ ბეატრიჩეს სახეში. ბეატრიჩე უკვე მისი საკუთარი რელიგიის სამყაროშია ქრისტე, მისი საკუთარი მამა-ღმერთია და საკუთარი სამება; უფრო მეტიც: ბეატრიჩე მისთვის უფრო რეალური, უფრო ახლობელი ქრისტეა, უფრო ძმაა... ისევე უფრო, როგორც ფრანცისკო ასიზიელისთვის ანდა იოანე მახარობლისთვის არის ახლობელი აპოკალიპსის ქრისტე. თომისტური გამოცხადების ფილოსოფიის შემდეგ ბეატრიჩე ისევე აუცილებელია დანტესთვის, როგორც ქრისტეა აუცილებელი პლოტინის ექსტაზების შემდეგ დიონისე არეოპაგელისათვის. ქრისტე ჩამოვიდა მიწაზე მთელი კაცობრიობისათვის. დანტეს შეეძლო მისწვდომოდა მას მიწაზე ჩამოუსვლელს, ისევე როგორც პლატონს, ისევე როგორც პლოტინს შეეძლო მისწვდომოდა პირველმიზეზს, პირველღმერთს, სოკრატეს დამაბრმავებელ პირველ მზე-იდეას. ბეატრიჩე მხოლოდ დანტესთვის ჩამოვიდა ქრისტედ და როგორც საკუთარ სულში ნახილვი იგი უფრო ახლოა დანტესთვის და უფრო ყოვლისშემძლე, ვინემ ქრისტე. ეს ყოვლად ახლობელი, ამავე დროს არის იმდენად ყოვლად შორეული და შეუცნობელი, იმდენად მარადისი ლტოლვის საგანი, რომ თავად ქრისტე ეხმარება დანტეს ბეატრიჩეს ხილვის შემძლეობაში! რომ შესძლებოდა ყველას ჰყოლოდა თავისი ბეატრიჩე, ქრისტე აღარ ჩამოვიდოდა მიწაზე და რადგანაც ბეატრიჩე დანტეს საკუთრებაა მხოლოდ, და ყველა დანტეს (თუ კი დანტე შეიძლება იყოს „ყველა“) თავისი საკუთარი ბეატრიჩე ჰყავს, კაცობრიობას დასჭირდა ქრისტე, როგორც კაცობრიობის ბეატრიჩე. და რადგან კაცობრიობას არ ძალედვა რწმენა სიყვარულისა ჯვარცმის გარეშე, კაცობრიობას დასჭირდა ჯვარცმული მიჯნური. განწმენდისა და ღმერთთან მიახლების საფასურად დასჭირდა ადამიანს ღმერთად მოვლენილი მიჯნურის, თვით დამაბრმავებელი ნათელის ჯვარცმა.

## დასკვნისათვის:

ამრიგად წინამდებარე შრომის ძირითად პრობლემად დიონისე-დანტეს მიმართებისათვის სულიერი ნათელის პრობლემაა დასახული: ნათელის როგორც ღვთაებრივი მიუწვდომელი ძალის გაგებიდან ღვინისა და თრობის ღმერთის — დიონისეს დაბადების მითოლოგიურ გააზრებაში, შემდეგ პლატონის ეიდოსური ნათელისა და ბიბლიური მოსეს ღვთაებრივი წყვდიადის გაგებიდან, უფრო სწორად ამ გაგებათა გავლით და შემდგომ, დიონისე არეოპაგელი ჰქმნის ღვთის დამაბრმავებელი ნათელის კლასიკურ მისტიურ-ფილოსოფიურ სახეს — რომელიც გადამწყვეტი სახე ხდება დანტე ალიგიერის პოეტურ აზროვნებაში. ამ პრობლემისათვის დიონისე არეოპაგელისა და დანტეს ნათესაობას ძირითადად ჩვენ შევეხეთ: — ზეციურ იერარქიაში, ბეატრიჩეს სახესა და პირველმამოძრავებლის სახეში. დიონისურ ზეციურ იერარქიებში აღმავალი გზა პირველმამოძრავებელი ძალისკენ, დიდი იტალიელის განცდაში სიყვარულის გზაა. მაგრამ ეს პლატონურ-ქრისტიანული გადაწყვეტა ღმერთთან ბოლომდე მიახლებისა აქ მაინც უჩვეულოდ არის დასახული: გენია სიყვარულისა აქ ისეთივე ხვედრია რჩეულთა როგორც გენია პოეზიისა, ფილოსოფიისა, წინასწარმეტყველებისა, რელიგიური შთაგონებისა. დანტეანური გზა სიყვარულისა არის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა ღვთაებრივი ნათელის მიღებისა. ნათელის, როგორც ამამაღლებელი ძალისა და ნათელის, როგორც გამანადგურებელი ძალის გაგება, აზრი, რომ ნათელმა შეიძლება გაგანათლოს და აგამაღლოს, და შეიძლება დაგანგრიოს, დაგშალოს და დაგცეს, საოცარი პოეტური ძალით არის ამეტყველებული დანტე ალიგიერის ღვთაებრივ წარმოსახვაში. ფაქტიურად მთელი პოემა არის ამ დამაბრმავებელ ნათელთან მიახლების მისტერია.

Д. М. ЗУМБАДЗЕ

## ДИОНИСИЙ АРЕОПАГИТ И ДАНТЕ АЛИГЬЕРИ

Резюме

Основной проблемой в отношении Дионисия Ареопагита с Данте Алигьери в предыдущем труде является проблема духовного света. От понимания света в мифологическом осмыслении рождения бога вина и опянения — Дионисия как божественной непостижимой силы, от понимания божественного мрака библейского Мойсея, от платонического сверхидеального света, вернее, проходя через эти понимания, Дионисий Ареопагит создает классический мистико-философский образ ослепительного божественного света, который становится решающим образом в поэтическом мышлении Данте Алигьери. Для освещения этой проблемы мы касаемся в основном вопроса о небесной иерархии, образе Беатриче и образе перводвигателя. В переживании великого Итальянца, путь, высокоподымающийся в дионисиевских небесных иерархиях к перводвигательной силе — путь любви. Но это платоническо-христианское решение приближения к богу здесь, у Данте, преподносится все-таки не обыкновенным путем: гений любви здесь такая же доля избранных, как гений поэзии, философии, пророчества, религиозного вдохновения. Дантовский путь любви, это путь восприятия божественного света. Понятие света, как возвышающей силы, и света, как разрушающей силы, мысль о том, что свет может осветить и возвысить человека и может разрушить его, удивительной поэтической силой звучит в божественном осмыслении Данте Алигьери. Фактически вся поэма — это мистерия приобщения к этому ослепительному свету.

D. SUMBADZE

## DIONYSIUS THE AREOPAGITE AND DANTE ALIGHIERI

Summary

The Basic problem discussed in the thesis is that of spiritual light. Proceeding primarily from the understanding of light as a divine incomprehensible power in the mythological interpretation of the birth of Dionysus, the god of wine and intoxication, as well as from the understanding of the divine darkness of the biblical Moses and of Platonic superideal light, Dionysius the Areopagite creates a classical mystico-philosophical image of dazzling

ეროვნული ბიბლიოთეკა

divine light, which bicomes a leading image in the poetical thought of Dante Alighieri. To elucidate this problem the author deals with the heavenly hierarchy, the image of Beatrice, and the image of the First Mover. The great Italian interprets the road leading upwards through the Dionysian heavenly hierarchies to the power of the First Mover as the way of love. But Dante interprets this Platonic-Christian solution of the ultimate approach to God as being something out of the ordinary: the genius of love is a kind of destiny of the chosen, as is the genius of poetry, philosophy, prophecy and of religious inspiration. The Dantean interpretation of love is the perception of divine light. The divine thought of Alighieri, expressed with such wonderful poetical force, is inspired by the conception of light as an elevating power and of light as a destractive power, by the thought that light can illuminate and elevate man, as well as destroy him. In fact the whole poem is a mystery of approach to this dazzling light.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი ჩანტლაძე

# შემოქმედების პრობლემა ნიკოლაი ბერდიაევის ფილოსოფიაში

## (კრიტიკული ანალიზი)

თანამედროვე რელიგიური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ნიკოლაი ბერდიაევმა (1874—1948) რთული, წინააღმდეგობრივი გზა განვლო ლეგალური მარქსისტიდან რელიგიურ ეგზისტენციალისტამდე. თავისი საბოლოო ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მან ემიგრაციაში (ძირითადად, პარიზში) ყოფნისას ჩამოაყალიბა.

ნ. ბერდიაევის ქრისტიანული ეგზისტენციალიზმი, რომელსაც იგი პერსონალიზმსაც უწოდებს, საერთოდ, ეგზისტენციალიზმისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკის გარშემო ტრიალებს, თუმცა მათი გადაწყვეტით ხშირ შემთხვევაში პრინციპულად განსხვავდება დანარჩენი ეგზისტენციალისტებისაგან. ბერდიაევის რელიგიურ ფილოსოფიას უამრავი თანამგრძნობი და მიმდევარი ჰყავს დღევანდელ დასავლეთში, ამის მიზეზია, ძირითადად, მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ტალანტი, აქტუალური პრობლემატიკის წამოჭრა და უჩვეულო ნაყოფიერება. ბერდიაევისა და მისი ფილოსოფიის შესახებ აუარებელი ლიტერატურა არსებობს კაპიტალისტურ ქვეყნებში, მისი მისამართით არ იშურებენ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა: „ამბოხებული წინასწარმეტყველი"[1], „თავისუფლების მოციქული"[2], მას ანიჭებენ კემბრიჯის უნივერსიტეტის თეოლოგიის საპატიო დოქტორის (honoris causa) წოდებას და ნობელის პრემიაზეც[3] წარადგინეს. ლევ შესტოვი — ასევე რელიგიური ეგზისტენციალისტი და ბერდიაევის თაობის წარმომადგენელი — წერს: „არ იქნება გადაჭარბებული, თუ მის სახელს დავაყენებთ ამჟამად ცნობილ და ისეთ მნიშვნელოვან ფილოსოფოსთა გვერდით, როგორიც არიან იასპერსი, მაქს შელერი, ნიკოლაი ჰარტმანი, ჰაიდეგერი"[4].

რაც უნდა გაზვიადებული იყოს ნ. ბერდიაევის როგორც მოაზროვნის შეფასება მისი დასავლეთელი თანამედროვეების მიერ, ერთი რამ ცხადია: საქმე გვაქვს ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისეთ სერიოზულ წარმომადგენელთან, რომლის ხელაღებით უარყოფა არამც და არამც არ შეიძლება. ბერდიაევი მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპული მოწინააღმდეგე იყო ყოველთვის და ასეთად დარჩა ბოლომდე. პრინციპულ მოწინააღმდეგესთან კი ასევე პრინციპული, სერიოზული ბრძოლაა საჭირო და რაც უფრო გავლენიანია მისი თეორია, მით უფრო ღრმა, საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტად უნდა იქცეს იგი.

---

[1] D. Lowrie, A rebellous prophet, Life and teaching of N. Berdyaev, N. Y. 1960.

[2] Vallon A., An apostle of freedom, N. Y. 1960.

[3] Н. А. Бердяев, Самопознание, Париж, 1949, გვ. 372—373.

[4] Л. Шестов, Ник. Бердяев, «Совр. записки», Париж, 1938, № 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერდიაევის მემკვიდრეობის კრიტიკას საბჭოთა პრესაში არაერთი სტატია მიეძღვნა უკანასკნელ წლებში: დაიწერა ორი საკანდიდატო დისერტაცია: ი. ბალაკინასი (1963 წ.) და ვ. კუვაკინისა (1970 წ.), მაგრამ ბერდიაევის კონცეფციასთან დაკავშირებული ბევრი პრინციპული პრობლემა ჯერ კიდევ გაუშუქებელია. ერთი ასეთი კონსტრუქციული საკითხია რელიგიურ-ფილოსოფიური და, საერთოდ, ადამიანური შემოქმედების საკითხი, რომელიც ბერდიაევის ფილოსოფიაში წამყვან როლს ასრულებს და მის მიერ წამოჭრილ თითქმის ყველა მთავარსა და მეორეხარისხოვან პრობლემას უკავშირდება. შემოქმედების პრობლემა საერთო ექზისტენციალური პრობლემატიკის ჯაჭვშია ორგანულად ჩართული, მაგრამ ბერდიაევის რელიგიური ფილოსოფიის კონტექსტში თავისებურ ელფერსა და შინაარსს იძენს.

შემოქმედების თემა ძირითადი თემაა ბერდიაევის ნააზრევში: „შემოქმედების, ადამიანის შემოქმედებითი მოწოდების თემა — ჩემი ცხოვრების ძირითადი თემაა... მე არ დამიყენებია საკითხი **შემოქმედების გამართლების** შესახებ, მე ვსვამდი საკითხს შემოქმედებით გამართლების შესახებ. შემოქმედებას არ სჭირდება გამართლება, იგი ამართლებს ადამიანს, იგი ანთროპოდიცეაა“[5]. მთავარია არა თეოდიცეა (რომელიც სრულიად არ არის საჭირო), არამედ — ანთროპოდიცეა. ადამიანმა უნდა გაიმართლოს თავი ღმერთის წინაშე, უნდა გაამართლოს თავისი არსებობა, უპირველესად, შემოქმედებით; შემოქმედების გზით უნდა მიაგნოს მან თავის ჭეშმარიტ არსებობას, ეგზისტენციას.

შემოქმედება, უპირველესად, ადამიანური შემეცნებაა; შემეცნება შემოქმედებითი აქტია, რომელსაც ეგზისტენციალური სუბიექტი ახორციელებს. ბერდიაევის ექზისტენციალური სუბიექტი როდია გნოსეოლოგიური სუბიექტი, რომელიც შემეცნების პროცესში ყოფიერებას, შესამეცნებელს უპირისპირდება, ექზისტენციალური სუბიექტი იმთავითვე ყოფიერებაშია, როგორც მისი ორგანული ნაწილი. იგი ყოფიერი (бытийственный) სუბიექტია და არ ახდენს ყოფიერების გაუცხოებას; უფრო მეტი — ეგზისტენციალური სუბიექტი თვითონ ქმნის ყოფიერებას; შემეცნების აქტიურ, შემოქმედებით პროცესში იგი რაღაც ახალს, მანამდე არყოფილს უმატებს ყოფიერებას. შემოქმედი სუბიექტი ყოველთვის კონკრეტულია და არ წარმოადგენს აბსოლუტურ სულს, მსოფლიო გონებას ან აბსტრაქტულ ტრანსცენდენტალურ ცნობიერებას: „საჭიროა არა იმდენად წმინდა გონების კრიტიკა, რამდენადაც კონკრეტული, ადამიანური, ინდივიდუალური, პიროვნული გონების კრიტიკა“[6].

ეგზისტენციალური, შემოქმედი სუბიექტი **ობიექტის** შემეცნებას კი არ ახდენს, არამედ — საგნის „დაუფლებას“; იგი „ეზიარება“ შესამეცნებელს. შესამეცნებელის „გაობიექტება“ მის დაკარგვას ნიშნავს. „ჩვენ უნდა ვეზიაროთ საზრისს... თუ კი „პლატონი“ ან „პირველქრისტიანები“ ან „გერმანული მისტიკა“ ჩემთვის შემეცნების **ობიექტად** იქცევა, მაშინ მე არ ძალმიძს გავუგო მათ და აღმოვაჩინო მათში საზრისი“[7].

ბერდიაევი ცდილობს ლოგიკურ-დისკურსიული, რაციონალური შემეცნების გამიჯვნას მისტიკურ-ინტუიციური შემეცნებისაგან როგორც ერთად ერთი ჭეშმარიტი შემოქმედებითი აქტისაგან; არა გაობიექტებულის შემეცნება, არა-

---

[5] Н. А. Бердяев, Самопознание, გვ. 225, (ხაზგასმა ავტორისაა).

[6] Н. А. Бердяев, Я и мир объектов, Париж, 1934, გვ. 28.

[7] Н. А. Бердяев, О назначении человека, Париж, 1931, გვ. 10 (ხაზგასმა ჩემია— ლ. ჩ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ საგნის დაუფლება, საგანთან „ზიარება“. ასეა, თუ ისე, „ზიარების“ მიზანი მაინც შემეცნებაა და ის, რისი შემეცნებაც გვსურს, მაინც შემეცნების ობიექტი გამოდის. „ზიარება“ (приобщение) აქ ხერხი, მეთოდი გამოდის და იმთავითვე შესამეცნებლის პოზიციაზე დგომას გულისხმობს. თუ ბერდიაევს დავუჯერებთ, ყველანაირი თვალსაზრისი და მოძღვრება უნდა გამართლდეს,ვინაიდან, თუ მას ვერ „ვეზიარეთ“, ეს ჩვენს უვარგისობას მოწმობს და არა თავად მოძღვრების მცდარობას. ჩვენ ვერ შევძელით შემოქმედებითი „შესვლა“ შესაცნობი საგნის შიგნით და მხოლოდ გარედან დავაკვირდით მას, როგორც ობიექტს. აქ ძნელი შესამჩნევი არ არის ბერდიაევის აზროვნებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური წრე: მე წინასწარ ვაღიარებ მოძღვრების მართებულებას (ვდგები მის პოზიციაზე), რათა მისი მართებულება (ჭეშმარიტება) დავადგინო როგორც რეზულტატი.

შემეცნების როგორც შემოქმედებითი აქტის, უმთავრესი მიზანია არსებობის საზრისის შემეცნება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, შემეცნება არის არა რეზულტატი, არამედ სწორედ აქტია, რომელიც წმინდა ინტუიციური პროცესია: „ინტუიცია საზრისის ქმნადობაა, აქტიური გასაზრისიანებაა (осмысливание), წყვდიადში საზრისის შეჭრაა...“ ბერდიაევი იქვე იშველიებს საეჭვო ღირებულების — სოფისტური ელფერის დებულებას: „შემეცნება არის ღირებულება, რომელიც ყოფიერებაში არ ყოფილა შემეცნებამდე... ეს კი შემეცნების შემოქმედებით-აქტიურ ბუნებაზე ლაპარაკობს“[8].

შემოქმედება უშუალო კავშირშია თავისუფლებასთან, მათ ურთმანეთოდ აზრი არა აქვთ; რომ ქმნიდე, თავისუფალი უნდა იყო და თავისუფალი რომ იყო, უნდა ქმნიდე. შემოქმედება არაფრისაგან იგივეა, რაც შემოქმედება თავისუფლებიდან, თავისუფლებისაგან. თავისუფლება ყოველთვის რაღაცისაგან თავისუფლებას, რაღაცის უარყოფას გულისხმობს; ამ შემთხვევაში, ბერდიაევის ტრანსკრიპციით, თავისუფლება ემპირიული სინამდვილისაგან, ყოფიერებისაგან თავისუფლებას ნიშნავს; ამ აზრით, თავისუფლება არის ანტიყოფიერება, არარსი, არარა. დადებითი პრედიკატებით ამგვარი თავისუფლების დახასიათება შეუძლებელია. გამოდის, რომ შემოქმედების უპირველესი პირობაა ამქვეყნიურ რეალობაზე უარის თქმა, მისი გავლენისაგან გათავისუფლება და წმინდა „გონით რეალობათა“ სფეროში ცხოვრება.

ნებისყოფის თავისუფლებას „ბავშვურ“ თავისუფლებად აცხადებს ბერდიაევი; არჩევანს, ამ შემთხვევაში, არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა (აირჩიე, ეუბნები ბავშვს, ბურთი გინდა, თუ პისტოლეტი). ჭეშმარიტი თავისუფლება გამორიცხავს ამგვარ არჩევანს, იგი არჩევანის საშუალებას სპობს, ვინაიდან დააყენებს ადამიანს უდაო სულიერ, გონით ღირებულებათა წინაშე: „ადამიანი თავისუფალია, როცა მას არ სჭირდება არჩევანი“[9]. როცა ადამიანის წინაშე არის ისეთი ტრანსცენდენტური რეალობა, რომელიც უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს, მას არც კი გაუჩნდება ეჭვი და, შესაბამისად, არჩევანის სურვილი. ჭეშმარიტი ღირებულება გაიძულებს ქედის მოხრას, მაგრამ ეს იქნება სულიერი, გონითი იძულება; ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება არის სულიერი, გონითი აუცილებლობა.

---

[8] Н. А. Бердяев, Я и мир объектов, გვ. 69.

[9] Н. А. Бердяев, О назначений ..., გვ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ თავისუფლება იძულებითია, რომ ადამიანი ვალდებულია იყოს თავისუფალი, ვალდებულია ატაროს „თავისუფლების ტვირთი“. რაკი თავისუფლება ვალდებულებაა, სავალდებულოა შემოქმედებაც. ადამიანის მოვალეობაა ღმერთის მოწოდებას გაეპასუხოს და იყოს შემოქმედი, შემოქმედი გონით, ტრანსცენდენტურ რეალობათა.

ტრანსცენდენტური ანუ გონითი რეალობა არარსია, ანტიყოფიერებაა, არარაა; ამდენად, ჭეშმარიტი ადამიანური შემოქმედება არარას სფეროში მიმდინარეობს; იგი არის შემოქმედება არაფრისაგან, სამყაროს ქმნადობის გაგრძელებაა, სამყაროს ქმნადობის „მერვე დღეა“[10]. ღმერთის დაწყებულ საქმეს ადამიანი აგრძელებს: იგი ქმნის, ადგენს თავის თავსა და სამყაროს. შემოქმედება კოსმოგონიური პროცესია, — ბუნება, სამყარო როდია კოსმოსი, იგი კოსმოსის ნაწილია, — კოსმოსი ღმერთისა და ადამიანის ერთობლივი ქმნადობაა; ამდენად, ბუნებაც ადამიანთა ისტორიის ნაწილია და არა — პირიქით.

ადამიანის ჭეშმარიტი შემოქმედება ქმნის ყოფიერებას და არა კულტურას — „ლოგიკურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ფასეულობებს“[11]. კულტურა, ბერდიაევის აზრით, ნატურალისტურ პრინციპებზეა აშენებული და დაცილებულია ნამდვილი სულიერი ღირებულებებისაგან: „შემოქმედება ჩემთვის იმდენად სასრულ შემოქმედებით პროდუქტში განსახიერებას არ წარმოადგენს, რამდენადაც — უსასრულო საწყისის გამომზეურებას, უსასრულობაში განავარდებას; არა ობიექტივაცია, არამედ ტრანსცენდირება. შემოქმედებითი ექსტაზი (შემოქმედებითი აქტი ყოველთვის არის ex-tasis) არის უსასრულობაში გაღწევა“[12].

**ობიექტივაცია** და **ტრანსცენდირება** ბერდიაევის მიერ შემოტანილი ტერმინებია, რომლებიც, ტრადიციული ფილოსოფიის ენაზე რომ ვთქვათ, **ტრანსცენდენტურისა** და **იმანენტურის** ურთიერთობის პრობლემას უკავშირდებიან. აქ ბერდიაევი მრავალთა შორის კიდევ ერთ ცდას ახორციელებს სუბიექტ-ობიექტის ურთიერთდამოკიდებულების გადაწყვეტისას და ამას აკეთებს გნოსეოლოგიური პრობლემატიკის საერთო ლიკვიდაციის გზით. გნოსეოლოგიის არსებობა საერთოდ უკანონობად მიაჩნია ბერდიაევს: „გნოსეოლოგია ფილოსოფიური შემეცნების ძალასა და მართებულობაში ეჭვის შეტანაა, გნოსეოლოგია არის გაორება, რომელიც ძირს უთხრის შემეცნების შესაძლებლობას“; ამ მსჯელობას მოსდევს პოსტულატი: „ყოფიერებასთან მისვლა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მისგან ამოსვლა“[13].

ობიექტივაციაქმნილის ანუ გაობიექტებულის, გაუცხოებულის შემეცნება უკვე აღარ შეიძლება, შემეცნების შესაძლებლობა არის მხოლოდ მაშინ, თუ შემმეცნებელი თვითონ არის ყოფიერება, მიკროკოსმი და იგი კიდეც ამიტომ შეიცნობს. შეიმეცნებს ადამიანი და არა გნოსეოლოგიური სუბიექტი; თუ მაინცადამაინც გვინდა მას სუბიექტი დავარქვათ, უნდა მივუმატოთ ზედსართავი „ეგზისტენციალური“. ეგზისტენციალური სუბიექტი, შემმეცნებელი პიროვნება სამყაროს შემეცნებას ახორციელებს საკუთარი თავის შემეცნების გზით, იგი ღრმავდება საკუთარ არსებობაში, ახდენს ეგრეთწოდებულ ტრანს-

---

[10] შვიდ დღეს ქმნიდა ღმერთი სამყაროს, ბიბლიური მითის თანახმად.

[11] Н. А. Бердяев, Смысл творчества, М., 1916, გვ. 110.

[12] Н. А. Бердяев, Самопознание, გვ. 227.

[13] Н. А. Бердяев, О назначении..., გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენდირებას. ტრანსცენდირება არა მარტო იმანენტური პროცესია, არამედ ტრანსცენდენტურიც. ტრანსცენდირება ობიექტივაციის საპირისპირო კატეგორიაა, ვინაიდან პიროვნება მიკროკოსმია, მის სიღრმეში იმანენტური ემთხვევა ტრანსცენდენტურს. ეგზისტენციალური სუბიექტი თავის საკუთარ სიღრმეში ტრანსცენდირებით აღმოაჩენს სულიერ რეალობებს, მიაგნებს თავის ჭეშმარიტ ეგზისტენციას და აღმოჩნდება ღმერთის წინაშე. ტრანსცენდირება, საკუთრივი აზრით, შემოქმედებითი აქტია, ექსტაზია; ხოლო ობიექტივაცია — ამ ექსტაზის დაშრეტა, გაციება, ემპირიული „სიმძიმით“ დატვირთვა, „ციდან მიწაზე დაშვება“. შემოქმედებით ექსტაზში ხდება გაქვავებული, გახევებული სამყაროს „გადნობა-გალხობა“, ადგილი აქვს „ცნობიერების კატასტროფას“ და, ამრიგად, „გასვლას“ მარადისობაში, ეგზისტენციალურ სამყაროში. შემოქმედებით ცდაში გადაილახება ამქვეყნიური გაორება, სიბეჩავე; ესაა შემოქმედება არა კულტურული პროდუქტებისა, არამედ — ადამიანის არსების „შეძრწუნება და ამაღლება“, რომელიც მიმართულია სხვა სამყაროსკენ, „უზენაესი სიცოცხლისაკენ“, „უზენაესი ყოფიერებისაკენ“.

ბერდიაევს მიაჩნია, რომ შემოქმედება არის ადამიანის თითქმის ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც რაიმე ღირებულებას ქმნის: შემოქმედებაა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია, პოლიტიკური მოღვაწეობა, შრომა მინდორში და დაზგასთან; უფრო მეტი, — შემოქმედებით აქტიურობას მოითხოვს ღირებულებათა უბრალო ჭვრეტაც; ბუნების სილამაზის აღქმას ისეთივე სულიერი აქტივობა სჭირდება, როგორიც — რაიმე აზრის სიღრმეში ჩაწვდომას. აზრი ინტუიციის პასიურობის შესახებ არ არის მართებული, ჰუსერლისეული არსებათა (Wesenheiten) პასიური ჭვრეტა ბერდიაევს ცნობიერების აქტივობის დაკნინებად მიაჩნია[14].

ნებისმიერი შემოქმედებითი წარმოსახვა, ფანტაზია, სულის დაძაბულობას, მის აქტივობას მოითხოვს. შემოქმედებით წარმოსახვას ბერდიაევი მეტაფიზიკურ, ონტოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებს: „შემოქმედებითი წარმოსახვა რეალობებს ქმნის. სახეები, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორების მიერაა შექმნილი, რეალურად არსებობენ, მოქმედებენ სამყაროში. წარმოსახვა არის აუტანელი რეალობიდან თავის დაღწევა“. ცხადია, ის სახეები, რომლებიც „მოქმედებენ სამყაროში“ და წარმოადგენენ რეალობებს, სრულიადაც არაა შემოქმედების ნივთიერ-მატერიალური პროდუქტი, — „სახე არის აქტი და არა ნივთი“, სახე სულიერი, გონითი აქტია და გონის სფეროში ტრიალებს როგორც ჭეშმარიტი რეალობა. ადამიანის წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი ბერდიაევს მარადისობის, თვით ღმერთის არსებობის მინიშნებად მიაჩნია: „ადამიანი, — ბუნების საცოდავი პროდუქტი, — მთლიანად გარედან დეტერმინირებული ნახულობს თავში ძალას, რომ გამოიგონოს გონითი სამყარო, ღმერთი, მარადისობა. ეს დაუჯერებელი რამაა. შემოქმედებითი წარმოსახვა მეტაფიზიკური ძალაა...“[15] ეს მსჯელობა ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი იმ დეკარტისეული არგუმენტის გადამღერებაა, რომელიც საკმაო საფუძვლის კანონს ეყრდნობა.

წარმოსახვის როლის შეფასებისას ბერდიაევი ზოგჯერ ასეთ კურიოზულ დასკვნას აკეთებს: „საკუთარი თავის თანმიმდევრულად წარმოსახვა თავი-

---

[14] Н. А. Бердяев, Я и мир..., გვ. 69.

[15] Н. А. Бердяев, Опыт эсхатологической метафизики, Париж, 1947, გვ. 155—156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფალ გონად, მოქმედება ისე, როგორც თავისუფალი გონი მოქმედებს, ნიშნავს, რომ ხარ სწორედ თავისუფალი გონი“[16]. ეს დასკვნა კურიოზია იმდენად, რამდენადაც წმინდა გონითი ადამიანი აბსტრაქციაა და არა რეალურად არსებული. მე შემიძლია რადაც მინდა, იმად წარმოვიდგინო თავი, მაგრამ წარმოსახვის შესაბამისი მოქმედების შესაძლებლობას მოკლებული ვიყო.

შემოქმედება უშუალოდ, ორგანულად უკავშირდება სახეს (образ) და, ამდენად, ეს არის სახეთა შემოქმედება; სილამაზე, მშვენიერება, თავის მხრივ, კავშირშია მხოლოდ სახესთან და არა ცნებასთან, ამიტომ შემოქმედებას საქმე აქვს ყოველთვის სახესთან, სილამაზესთან და არა ცნებასთან. ცნება ობიექტივაციის შედეგია, ბერდიაევის თვალსაზრისით და მას ჭეშმარიტი, რეალური ღირებულება არ გააჩნია. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ეგზისტენციალურ სუბიექტს (ამ შემთხვევაში — ნ. ბერდიაევს) საერთოდ არა აქვს მსჯელობის (რომელიც ცნებათა კავშირია) გამოთქმის უფლება, დასკვნებს რომ თავი დავანებოთ. მიუხედავად ამისა, მისი მსჯელობა ხშირად დისკურსიული აზროვნების მშვენიერი ილუსტრაციაა. „ფილოსოფია სახეთა მეტაფიზიკაა“[17], — წერს ბერდიაევი, — სახე და სილამაზე განუყრელ კავშირშია; სილამაზე ფილოსოფიის ძირითადი ღირებულებაა, მას ონტოლოგიური მნიშვნელობა აქვს; „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს“, — დოსტოევსკის ამ ფრაზაში ბერდიაევი მისტიკურ შინაარსს დებს.

სილამაზის შემეცნება შეუძლებელია, მას უნდა ჭვრეტდე და გიყვარდეს. ჭეშმარიტება, უპირველესად, ლამაზია და მაშასადამე, სიყვარულის საგანია; ამდენად, ფილოსოფია ეთიკაა და შემოქმედებაშიც მთავარია ეთიკური ელემენტი. ეთიკური თვალსაზრისით, შემოქმედებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) ეთიკამ უნდა დასვას საკითხი შემოქმედების ზნეობრივი მნიშვნელობისა და 2) ზნეობრივი აქტის შემოქმედებითი მნიშვნელობის შესახებ[18].

ბერდიაევი ცდილობს ახლებური ეთიკის ჩამოყალიბებას, რომელსაც იგი შემოქმედების ეთიკას უწოდებს და განასხვავებს მას ნორმატული ანუ კანონის ეთიკისა და ე. წ. მონანიების ეთიკისაგან (მონანიების ეთიკად იგი თვლის ტრადიციულ ქრისტიანულ იმპერატივებს). კანონის ეთიკა სოციალური ეთიკაა და პიროვნებას უგულებელჰყოფს, იგი ზნეობრივი შეფასების სუბიექტად მიიჩნევს საზოგადოებას და არა პიროვნებას. მართალია, ეს ეთიკა ადამიანის გასაჭირსა და მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევს, მაგრამ იგი, უმთავრესად, აუცილებლობასთან მისადაგებაა და პიროვნების თავისუფლებას ივიწყებს. მისგან განსხვავებით, მონანიების ქრისტიანული ეთიკა ეყრდნობა არა კანონს, არამედ ცხოვრებას; კონკრეტული, ცოცხალი არსება მისთვის ყოველგვარ კანონზე მაღლა დგას, მაგრამ ტრადიციული ქრისტიანული მორალი მაინც ძალის პოზიციიდან ლაპარაკობს, — იგი თავისუფალ, შემოქმედებით ეთიკას კი არ აფუძნებს, არამედ ჯოჯოხეთური ტანჯვის მუქარით აიძულებს ადამიანს იყოს ზნეობრივი. ქრისტიანობას არაერთხელ უწამებია ადამიანი სიკეთის სახელით; ბოროტი კი არ უნდა ალიკვეთოს, არამედ უნდა გარდაიქმნას, განათლდეს. ჭეშმარიტი ეთიკა მხოლოდ თავისუფალი შემოქმედების ეთიკა შეიძლება იყოს; ადამიანი საშუალებად კი არა, მიზნად უნდა იქნას მიჩნეული. მკრეხელობაა

---

[16] იქვე, გვ. 157.

[17] იქვე, გვ. 156.

[18] Н. А. Бердяев, О назначении..., გვ. 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის საშუალებად გამოყენება, როგორი ამაღლებული მიზანიც არ უნდა გამოქმედებდეს; მაგრამ, ამავე დროს, „ადამიანი საკუთარ თავს როდი უნდა უმადლოდეს თავის ნიჭსა და გენიას, მან იგი ღმერთისაგან მიიღო და ამიტომ თავს ღმერთის მიერ ხელპყრობილად, ამქვეყნად ღვთიური საქმის განხორციელების იარაღად გრძნობს. არაფერია იმაზე უფრო სასაცილო და უბადრუკი სანახავი, როცა ადამიანი თავისი გენიოსობით ამაყობს“[19].

გამოდის, რომ მაინც დასაშვებია ადამიანის საშუალებად მოხმარება, მართალია, ამ შემთხვევაში, მიზანი „ღვთაებრივია“, მაგრამ შედეგი (პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა) მაინც მიუღებელი უნდა იყოს ბერდიაევის კონცეფციისათვის. პიროვნების თავისუფლების გადასარჩენად, როგორც ადრე ითქვა, ბერდიაევი თავისუფლების ცნებას შემოსაზღვრავს და მასში მხოლოდ ემპირიული, ამქვეყნიური აუცილებლობისაგან თავისუფლებას გულისხმობს, თუმცა ამ გაგებაში ბოლომდე თანმიმდევრული როდია. რაკი შემოქმედების ნებისმიერ სფეროში ეთიკური ელემენტი, ეთიკური პოზიცია გადამწყვეტია, მაშინ ადამიანი ზნეობრივი იმპერატივების მიხედვით უნდა მოქმედებდეს. ძირითადი ზნეობრივი იმპერატივი კი ასეთია: „იმოქმედე ისე, თითქოსდა გესმის ღვთის ძახილი და შენ მოწოდებული ხარ, რათა თავისუფალი შემოქმედებითი აქტით ღვთაებრივ საქმიანობაში მონაწილეობდე; გამოავლინე შენში წმინდა და ორიგინალური, ჩამოაყალიბე შენი პიროვნება, ებრძოლე ბოროტებას შენში და შენს ირგვლივ...“[20].

როგორც ვხედავთ, „აბსოლუტური გონითი თავისუფლება“ ცარიელი ფრაზა გამოდგა. რეალურ, ხორციელ ადამიანს არ ძალუძს იმპერატივების გარეშე არსებობა, იგი ვერსად გაექცევა ვალდებულებას საკუთარი თავის, მახლობლების, საზოგადოების წინაშე. ბერდიაევის ცდა, — შეექმნა თავისუფალი შემოქმედების ეთიკა კანონის ანუ ნორმატული ეთიკისაგან განსხვავებით, — ვერ განხორციელდა, ვინაიდან დროისა და სივრცის გარეთ მდგარი უსხეულო ადამიანები არ არსებობენ.

ბერდიაევი ხშირად და ვრცლად ლაპარაკობს სიყვარულზე, ადამიანის სქესობრივ ენერგიაზე, რომლის შემოქმედების სფეროში გადართვა უნდა მოხდეს; კიდევ მეტი: შემოქმედებითი ენერგია სხვა არა არის რა, თუ არა სახეცვლილი, სხვა მიმართულების მქონე სქესობრივი ენერგია[21]. თავისთავად ცხადია, რომ ერთიმეორის მოყვარული, სქესობრივი ენერგიით აღჭურვილი ადამიანები უსხეულო, წარმოსახვითი კი არა, რეალური არსებანი არიან. რასაკვირველია, ეს ბერდიაევმაც იცის, და ცდილობს როგორმე მოარიგოს ერთმანეთთან წარმოსახვითი და რეალური ადამიანის ფილოსოფია, ეთიკა, შემოქმედება; ეს არის ერთ-ერთი მთავარი იმ წინააღმდეგობათა შორის, რომლებშიც ბერდიაევი იხლართება და რაზედაც კიდევ შევჩერდებით.

შემოქმედება, შემოქმედების ეგზისტენციალური აქტი უნდა გახდეს ემპირიული ადამიანის „მხსნელი“, ამქვეყნიური ნივთიერ-სხეულებრივი სიმძიმისაგან გამათავისუფლებელი. შემოქმედებითი აქტი ყოველთვის რაღაც ახლის, მანამდე არყოფილის მიმატებაა ყოფიერებისათვის. სწორედ ის არის, ბერდიაევის აზრით, მთავარი საიდუმლოება, თუ როგორ ხდება ახლის შექმნა, მანამდე არყოფილის ყოფიერად ქცევა.

---

[19] იქვე, გვ. 136.

[20] იქვე, გვ. 318.

[21] აქ ბერდიაევი ხარკს უხდის ფროიდიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერდიაევი იზიარებს creation ex nihilo-ს (შემოქმედება არაფრისაგან) რელიგიურ დოგმას, რომელიც პირველად წამოაყენა წმ. ირინეოს ლიონელმა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში; ეს დოგმა გულისხმობს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა არარასაგან, არაფრისაგან. ბერდიაევი ცდილობს არაფრისაგან ქმნადობის პრინციპი გაავრცელოს ადამიანურ შემოქმედებაზეც: არა მხოლოდ ღმერთი ქმნის არაფრისაგან, არამედ — ადამიანიც; სხვანაირი შემოქმედება არც არის შემოქმედება, რადგან იგი აზრისაგან დაცლილი იქნება. „ჭეშმარიტი სიახლე, რომელიც მხოლოდ ნაწილთა ურთიერთშენაცვლება არ იქნება, ყოველთვის, თითქოს და, სხვა სამყაროდან, სხვა სფეროდან მოდის; მოდის თავისუფლებიდან, იქიდან, რაც მოიაზრება როგორც „არარსი“ (небытие) ამ მსოფლიო ეონის „ყოფიერებასთან“ შედარებით. ამიტომაც ვამბობთ, რომ სიახლის საიდუმლოება ყოფიერების საიდუმლოება როდია, არამედ — თავისუფლებისა, რომლის ყოფიერებიდან გამოყვანა არ შეიძლება...; სიახლე ობიექტით არ აიხსნება, იგი მხოლოდ სუბიექტით შეიძლება აიხსნას“[22]. ამგვარ შემოქმედებას, რომელიც მხოლოდ სუბიექტისაგან შეიძლება აიხსნას, ცხადია, არა აქვს კაუზალური დამოკიდებულება არც ემპირიულ სინამდვილესთან, არც გონით რეალობასთან. კაუზალურ, მიზეზობრივ-დეტერმინირებულ მიმართებას ცვლის ზნეობრივ-ეთიკური დამოკიდებულება, რომელსაც საფუძვლად შეფასება უდევს. უმაღლეს ღირებულებათა წინაშე მორჩილება, ქედის მოხრა და მორალური ვალდებულება ღმერთის წინაშე — ეს არის შემოქმედების საფუძველი. ამდენად, ფილოსოფია როგორც შემოქმედებითი აქტი, მხოლოდ აქსიოლოგია შეიძლება იყოს.

სიახლე არარასაგან რაიმეს გაჩენაა და არა უკვე არსებულის გამომზეურება, გამომჟღავნება: „ძირითადი შეცდომაა შემოქმედებითი სიახლის წარსულიდან ახსნა, — წერს ბერდიაევი, — მაშინ, როცა იგი მხოლოდ მომავლიდან შეიძლება აიხსნას. ამაშია შემოქმედების, ახლის გაჩენის, საიდუმლოება. ამაშია თავისუფლების საიდუმლოება. ეს არის დროის პარადოქსი. თავდაპირველი, პირველქმნილი შემოქმედებითი აქტი სრულიადაც არ გამომდინარეობს წარსულიდან, იგი როდი ხდება კოსმიურ და ისტორიულ დროში, იგი ხდება ეგზისტენციალურ დროში, რომლისთვისაც უცხოა კაუზალური შებოჭილობა... თვითონ განსხვავება წარსულსა და მომავალს შორის არსებობს მხოლოდ ობიექტივირებული სამყაროს დროისათვის... შემოქმედებითი წარმოსახვა, რომელიც საიახლეს ითხოვს, გამოდის ეგზისტენციალური მარადისობისაგან, რომლის მიმართ ჩვენი აზროვნების კატეგორიები მოუხმარებელია“[23].

არაფრისაგან შემოქმედების განხილვისას ბერდიაევი ხშირად ეწინააღმდეგება თავის თავს, ერთგან იგი წერს: „ახლის შემოქმედება გულისხმობს, რომ **ადრე არ იყო** ის, რაც იქმნება, **არ იყო დროში** და **ამჟღავნებს** თავს დროში“. „არყოფილი“, ამ შემთხვევაში, ნიშნავს მხოლოდ დროში, ობიექტივაციაში არყოფილს. ის რაც არსებობს მარადისობაში, „გამჟღავნდა“ დროული შემოქმედებითი აქტის გზით. იმავე ნაშრომში, რამდენიმე გვერდის შემდეგ, ბერდიაევი ასე მსჯელობს: „ობიექტივაციის სიბრტყეში (ე. ი. დროში — **ლ. ჩ.**) შეუძლებელია ნამდვილი შემოქმედება და ნამდვილი სიახლე, შეიძლება მხოლოდ წარსულის მატერიის გადანაწილება“[24].

[22] Н. А. Бердяев, Опыт..., გვ. 149.

[23] იქვე, გვ. 150—151.

[24] იქვე, გვ. 144—148, (ხაზი ჩემია—ლ. ჩ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარადისობა მარადიული სიახლეა, მარადიული შემოქმედებითი ექსტაზი, ყოფიერების ღვთაებრივ თავისუფლებაში განზავებაა“. თუ სიახლის გაჩენა, შემოქმედებითი აქტი, ხდება არა ემპირიულ (კოსმიურ, ან ისტორიულ) დროში, არამედ — ეგზისტენციალურში, ე. ი. მარადისობაში, იგი დაცლილი უნდა იყოს ყოველგვარი ემპირიული (კოსმიური ან ისტორიულ დროში მყოფი) მასალისაგან, შინაარსისაგან, — იგი უნდა იყოს ფორმა, რომლის შინაარსიც ფორმაა (არისტოტელე). შემოქმედება კი უკვე გამოვაცხადეთ ამქვეყნიური სინამდვილის დაძლევის, მასზე ამაღლების, სხვა სამყაროსაკენ სვლის გზად, — როგორიც არ უნდა იყოს სხვა სამყარო, მისკენ მიმავალი გზა ხომ ამქვეყნიურ, ემპირიულ-სულიერ სამყაროზე გადის; მაშასადამე, წმინდა, მასალისაგან დაცლილ, შემოქმედებაზე ლაპარაკი არაფრის მომცემი და არაფრის მთქმელია. ამას გრძნობს ბერდიაევი და იქვე ასწორებს ნათქვამს: „შემოქმედება არ შეიძლება იყოს მხოლოდ შემოქმედება არაფრისაგან, იგი ამქვეყნიური მასალის მოხმარებას გულისხმობს. მაგრამ შემოქმედებაში არის „არარას“ ელემენტი, ე. ი. სხვა სამყაროს თავისუფლების ელემენტი“. წმინდა თავისუფლება, შემოქმედება, უკვე მის „ელემენტად“ იქცა. სხვანაირად არც შეიძლება: თუ კი შემოქმედების მისიაა ამქვეყნიური სინამდვილისათვის „უფრო სრულყოფილი ფორმის მინიჭება“ და თუ „სამყარო უნდა იქცეს სილამაზის ხატად, განზავდეს შემოქმედებით ექსტაზში[25], მაშინ შემოქმედება, უპირველესად, ემპირიულ სინამდვილესთან უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული. აქ ახალი ძალით დგება იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის დამოკიდებულების, თითქოს და, უკვე გადაჭრილი პრობლემა.

ბერდიაევმა იმთავითვე გაჰყო სინამდვილე ორ სამყაროდ: ნოუმენებისა და ფენომენების სამყაროდ, მაგრამ დაუპირისპირდა კანტისეულ აგნოსტიციზმს. ნუმენალური სამყარო ბერდიაევისათვის როდია შეუცნობელი და აბსოლუტურად გათიშული ფენომენალური სამყაროსაგან; მართალია, ისინი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს განსხვავება არ გამორიცხავს კავშირს და მათ შორის კავშირი უნდა განახორციელოს შემოქმედებითმა აქტმა, რომელიც ეგზისტენციალურ დროში, — ისტორიულ-კოსმოსური დროისა და მარადისობის შეხების წერტილში, — მიმდინარეობს: „შემოქმედებითი აქტი არის, თითქოსდა, კავშირი ნუმენალურ და ფენომენალურ სამყაროთა შორის, — არის ექსტაზი, ტრანსცენზუსი. მეტაფიზიკის ორნაირ ორიენტაციას შორის არჩევანი გონის ამა თუ იმ მიმართულებითაა (направленность) განპირობებული. ნივთის, საგნის, ობიექტის საწყის რეალობად აღიარებას საკმაოდ დიდი საფუძველი აქვს და მისი შესატყვისი მეტაფიზიკა არის ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლა. საწყის რეალობად აქტის, სუბიექტის, გონის აღიარება კი მოითხოვს გონისა და რწმენის მობილიზებას, აუცილებლობის ბატონობასთან ბრძოლას. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ შემეცნების ორ გზაზე, არამედ არსებობის ორ გზაზე“[26].

არ იქნებოდა მართებული თქმა, რომ ნუმენი უშუალოდ ვლინდება ფენომენში, — არა, — ნუმენი „ანათებს“ ფენომენში, როგორც შუქი სიბნელეში, როგორც ღვთიური ემანაცია; ამიტომ ფენომენი არაპირდაპირ მიგვითითებს, მიგვანიშნებს ნუმენზე; ფენომენი არის ქარაგმა, სიმბოლო, მითი — ჭეშმარიტი რეალობის, ნუმენის შესახებ.

[25] იქვე, გვ. 150—151, 154.

[26] იქვე, გვ. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციონალური ფილოსოფია უძლურია აღმოაჩინოს ფენომენში ნუმენი და რეალურად დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს, ეს ძალუძს მხოლოდ ეგზისტენციალურ, ირაციონალურ ფილოსოფიას — მითოლოგიური შიფრის საშუალებით: არა ფილოსოფემა, არამედ მითოლოგემა. ყოველივე, რაც ამ სამყაროში ხდება, იმ სამყაროს პროცესების მინიშნებაა: „მიწიერი ისტორია ზეციური ისტორიის“ სიმბოლოა, მითია. „სიმბოლო არის ხიდი, რომელიც გადებულია ორ სამყაროს შორის, იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ სრულყოფილი ფორმა... მიუღწეველია ამქვეყნიური ცხოვრების დახშულ წრეში... მიწიერი ფორმის ეს არასრულყოფილება მეტყველებს არამიწიერ სრულყოფილებაზე“. აქ კვლავ აღრეულია წარმოსახვითი და ნამდვილი. „მიწიერი“ ფორმა ნამდვილია, „არამიწიერი“ — იდეალური, წარმოსახვითი. წარმოსახვითი ფორმა შეიძლება მაღლა იდგეს ნამდვილზე, როგორც ჯერ მიუღწეველი, განუხორციელებელი, მაგრამ არა პრინციპულად მიუღწეველი. ეს რომ ასეა, თვითონ ბერდიაევიც ამტკიცებს იმავე გვერდზე: „კლასიკურმა არქიტექტურამ მიაღწია დასრულებულ სრულყოფას“. ამით მან დაანგრია თავისავე წინა დებულება. ბერდიაევი შემდეგ ასეთ აზრს გამოთქვამს: „... გოთური არქიტექტურა არსებითად არასრულყოფილია და არც მიისწრაფის ფორმის სრულყოფისაკენ, იგი ერთთავად მიიწევს ზეცისაკენ რაღაც-გვარი სევდითა და ჭმუნვით და ამბობს, რომ მხოლოდ იქ, ზეცაშია შესაძლებელი არა დაუფლება სრულყოფისა, არამედ მხოლოდ წუხილი, მის გამო მძაფრი სევდა“[27]. ეს რამდენადმე ბუნდოვანი ლამაზსიტყვაობა, ცხადია, სცილდება ფილოსოფიის ფარგლებს.

ადამიანური კულტურის მთელი პროდუქცია (ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება) თავისთავად ღირებულებას არ წარმოადგენს, ბერდიაევის მიხედვით, იგი რეალურ ღირებულებათა სიმბოლოა, მათზე მინიშნებაა. საერთოდ, ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ გზაა, მომენტია, ადამიანის საერთო არსებობაში და იგი დაძლევას, გადალახვას მოითხოვს. ორი სამყაროს კავშირი ხორციელდება შემოქმედებით აქტში და აქვე ვლინდება შემოქმედების პარადოქსი, შემოქმედების ტრაგედია: „... ყოველთვისაა ტრაგიკული შეუსაბამობა შემოქმედებით წვასა, შემოქმედებით ცეცხლსა (რომელშიც იბადება შემოქმედებითი ჩანაფიქრი, ინტუიცია, სახე) და შემოქმედების კანონიკური რეალიზაციის სიცივეს შორის. გაცივება, ცეცხლის ჩაქრობაა ყოველ წიგნში, ნახატში, ქანდაკებაში, კეთილ საქმეში, სოციალურ დაწესებულებაში“[28]. არგუმენტად ბერდიაევს მოჰყავს შემოქმედის უკმაყოფილების განცდა თავისი ქმნილების მიმართ. ის, რასაც ბერდიაევი პარადოქსს უწოდებს და ტრაგედიის საფუძვლად სახავს, სულაც არ არის პარადოქსი; პარადოქსი სწორედ ის იქნებოდა, ყოველი ჩანაფიქრი რომ ზუსტად, ზედმიწევნით ხორციელდებოდეს. სწორედ ეს იქნებოდა შემოქმედების ტრაგედია და მისი სიკვდილი.

ადამიანური შემოქმედების ტრაგედია არამარტო პიროვნების ტრაგედიაა, არამედ ისტორიის, მთელი სამყაროს ტრაგედიაა, ვინაიდან პიროვნება მინიატურული სამყაროა, მიკროკოსმია; ამიტომაც ღმერთი არ შეიძლება გულგრილი დარჩეს ადამიანური შემოქმედების მიმართ. ადამიანს თავისი საკუთარი ძალებით არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს, იგი სამუდამოდ დარჩება ემპირიის ტყვეობაში. მხოლოდ თეურგია — ღმერთთან ერთობლივი შემოქმედებაა

[27] Н. А. Бердяев, Смысл истории, Париж, 1969, გვ. 162.

[28] Н. А. Бердяев, О назначении..., გვ. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხსნის“, ემპირიის დაძლევის, გზა. მხოლოდ ღმერთ-ადამიანის შემოქმედებაა ჭეშმარიტი შემოქმედება.

ბერდიაევი ებრძვის ადამიანური ცხოვრებისა და შემოქმედების პროგრესის აღიარებულ თეორიას და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისი მიაჩნია ჭეშმარიტებად. იგი წერს: „მოძღვრება პროგრესზე მის არარელიგიურ ფორმაში... სხვა არა არის რა... თუ არა ის, რომ ადამიანს შეუძლია არავისზე არ იყოს დამოკიდებული, შეუძლია გადაწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი იმანენტური ადამიანური ძალებით და არაფრად სჭირდება ღვთაებრივი ძალების მოშველიება, ცხოვრების ღვთაებრივი მიზნები“[19].

როგორც ვხედავთ, ბერდიაევი პროგრესის ჰუმანისტურ მოძღვრებას ბრალდებად უყენებს სწორედ იმ მომენტებს, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში რწმენის დაფუძნებისათვის. საქმე ის არის, რომ ბერდიაევის ამ დებულებას წინ უძღვის „ნაგულისხმევი“ დებულება ღმერთის გარეშე ადამიანის არსებობის უაზრობაზე. ამდენად, შემოქმედება მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი შემოქმედება, როცა ადამიანი თავისი თავის ანაბარა კი არ არის, არამედ ღმერთთან თანამშრომლობს.

შემოქმედებით ექსტაზში ადამიანი ღმერთის წინაშე ანუ მარადისობაში, აღმოჩნდება. ეს დრო-სივრციდან „გასვლა“ მარადისობაში დროული აქტი როდია. იგი არც წარსულში ხდება, არც მომავალში, იგი ეგზისტენციალურ მყისიერებაში ხორციელდება; ეს მყისიერება მარადისობის კუთვნილება უფროა, ვიდრე დროისა, — ამ შემოქმედებით მყისიერებაში ხდება დროისა და სივრცის, ყოველივე ამქვეყნიურის დავიწყება, მისი „დაძლევა“, მასზე „მაღლა“ დადგომა. პიროვნების უკვდავება, ამ გაგებით, მდგომარეობს მარადისობაში ამდაგვარ „გასვლაში“. თუ პიროვნების მთელი ცხოვრება ერთი მთლიანი შემოქმედებითი აქტია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მარადისობაში იმყოფება და, მაშასადამე, უკვდავია. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ დროისა და სივრცის დავიწყების ფსიქოლოგიურ ფენომენს ონტოლოგიური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და კვლავ აღრეულია წარმოსახვითი და ნამდვილი.

მე შემიძლია ყოველგვარი თავდავიწყება, ყოველგვარი ექსტაზი, რომელშიც ადამიანი დროისა და სივრცის ორიენტაციას ჰკარგავს, ასევე ჩავთვალო მარადისობაში „გასვლის“ მყისიერებად და ამით გავაუფასურო ასკეზისა, ტანჯვისა და უზარმაზარი სულიერი ენერგიის დაძაბვის გზით მოპოვებული შემოქმედებითი აღმაფრენა.

ბერდიაევი გრძნობს ამ საშიშროებას და გვაფრთხილებს, რომ ყოველგვარი თავდავიწყება არამც და არამც არ არის მარადისობაში „გასვლა“. მათი გარჩევისათვის კი, ჩვეულებისამებრ, კრიტერიუმს ვერც ახლა გვთავაზობს; უნდა ვენდოთ მის გონით ცდასა და პატიოსან სიტყვას.

ყველა ის სისუსტე, რომელიც ბერდიაევის ფილოსოფიას თან სდევს, ლოგიკური შედეგია სინამდვილის ორ შეურიგებელ ნაწილად გახლეჩისა. სინამდვილის გონით და ემპირიულ სამყაროდ გათიშვისა და დაპირისპირების შემდეგ აღარაფრით ხერხდება მათი მორიგება და მთლიანობის აღდგენა. ხელოვნური გამოდის ყოველი ცდა გონითი სამყაროს დახასიათებისა. გონითი სფეროს დამოუკიდებლობა ემპირიულისაგან ცარიელი სიტყვაა, ილუზიაა. პირიქით: ხდება გონითი სამყაროს უნებური „გამოყვანა“ ემპირიული და სულიერი

---

[29] Н. А. Бердяев, Смысл истории, გვ. 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(душевный) სამყაროს ფენომენებიდან აპოფატური, ნეგატიური გზით. ფენომენი კი აღარ გამოდის ნუმენით განსაზღვრული, არამედ ნუმენია აგებული ფენომენზე დაყრდნობით.

რა უნდა თქვას ბერდიაევმა (და ნებისმიერმა ირაციონალისტმა), წარმოსახვით ღირებულებებზე (თავისუფლება, ღმერთი, არარა, სამოთხე, ჯოჯოხეთი და ა. შ.), „ამქვეყნიურ“, ემპირიულ-სულიერ ღირებულებებს რომ არ ემყარებოდეს. ცხადია, რომ ღმერთის არსება ადამიანის იდეალური არსების ანალოგიითაა წარმოსახული, თავისუფლება კი აუცილებლობის, სინამდვილის კანონზომიერების საფუძველზე და მის საპირისპიროდ განისაზღვრება, არარა — ყოფიერების საპირისპიროდ და ა. შ. ემპირიულობისაგან გაქცევის ცდა ყოველთვის მარცხით თავდება და ყოველთვის გათავდება, ვინაიდან, როგორც ადრეც ითქვა, ადამიანი, უპირველესად, ემპირიული, სხეულებრივი არსებაა. „ადამიანი პრინციპული სიახლეა ბუნებაში“[30] — წერს ერთგან ბერდიაევი. აქ გამოთქმულია აზრი, რომ ადამიანი ბუნების, ემპირიული სინამდვილის ნაწილია და იგი როგორც „პრინციპული სიახლე“ ბუნებითაა განპირობებული.

სწორედ იმიტომ; რომ ადამიანი ბუნების შვილია და მატერიალურ, ნივთიერ გარემოცვაში ცხოვრობს, მისი მიზნები და ინტერესები ამ გარემოთია განსაზღვრული; ფილოსოფია, სურს მას, თუ არა სურს, უნდა გაუძღვეს სხეულებრივ, საზოგადოებრივ ადამიანს, homo faber-ს და უჩვენოს მას გზა ფენომენურ სამყაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლაპარაკი შემოქმედებითი აქტით ყოველგვარ „დაძლევაზე, გარდაქმნაზე“, ყოველგვარ სულიერ „რევოლუციაზე და კატასტროფაზე“ — უაზროა და არა საჭირო. ფილოსოფია უნაყოფო ოცნებას ეძლევა და ამბობს: რა იქნება, რომ ასე იყოს! ნაცვლად იმისა, რომ თქვას: როგორ მოვიქცეთ, რომ ბედნიერნი ვიყოთ. რეალურ ადამიანს რეალური გზა უნდა უჩვენო და არა წარმოსახვითი, განუხორციელებელი. ეს რომ ასეა, თვითონ ბერდიაევმაც კარგად იცის და იძულებულია აღიაროს: „... ჭეშმარიტი სულიერი აღორძინება დაიწყება, ალბათ, მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადაწყდება ადამიანური არსებობის ელემენტარული საჭირბოროტო საკითხები ყველა ადამიანისა და ხალხისათვის, მას შემდეგ, როცა დამარცხებული იქნება ადამიანის მძაფრი გაჭირვება და ეკონომიური მონობა; მხოლოდ მაშინ შეძლებს გამოვლინებას სამყაროში ახალი და უფრო ძლიერი მანიფესტაცია წმ. სულისა“[31].

ასე, რომ პარადოქსული, ტრაგიკული, ჩიხში მოქცეული გამოდის არა შემოქმედება, არა ადამიანის არსებობა, არამედ ნ. ბერდიაევის ეგზისტენციალური ფილოსოფია, მისი პერსონალიზმი და, შესაბამისად, შემოქმედების მისეული კონცეფცია. ასკეზა, განდგომა ემპირიისაგან, ცხოვრებისაგან, საკუთარ თავში „ტრანსცენდირებით“ რეალურ ღირებულებათა პოვნა და, ამავე დროს, — სოციალური გარდაქმნისათვის ბრძოლა, ადამიანის „ეკონომიური დამონების“ ლიკვიდაცია — აბსოლუტურად შეუთავსებელია; ეს არის „ხის რკინა“, „მრგვალი კვადრატი“, contredictio in adjecto, — როგორც უყვარს თქმა თვითონ ბერდიაევს. ბერდიაევი უპირისპირდება „რაციონალისტურ“ ფილოსოფიას ამ უკანასკნელის „აბსტრაქტულობის“ გამო და ხოტბას ასხამს კონკრეტული პიროვნების, ეგზისტენციალური სუბიექტის კონკრეტულ შემე-

[30] Н. А. Бердяев, О назначении..., გვ. 52.
[31] Н. А. Бердяев, Судьба человека в современном мире, Париж, 1934, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნებას. სინამდვილეში კი სწორედ მისი შემმეცნებელი, მოფილოსოფოსე ეგზისტენციალური სუბიექტია, უპირველესად, აბსტრაქტული და კონკრეტულობას მოკლებული, უხორცო-უსხეულო, დროისა და სივრცის გარეთ მდგარი.

ბერდიაევი გამუდმებით ესხმის თავს მათ, ვინც მეცნიერების მონაპოვარში ჭეშმარიტებას ხედავს და რაციონალური შემეცნების გზა სამყაროს გარდაქმნის ძირითად საშუალებად მიაჩნია; იგი მთლიანად ვერ უარყოფს მეცნიერების, რაციონალური შემეცნების როლს, მხოლოდ მის აღიარებას ცალმხრივობად თვლის და სიანტიზმს უწოდებს. ასეთივე ცალმხრივობა (თუ ეს ცალმხრივობაა) სჭირს თავად ბერდიაევსაც, რომელიც ინტუიციურ შემეცნებას ერთადერთ ჭეშმარიტ შემეცნებად სახავს და დანარჩენს ფაქტიურად, უგულებელყოფს. სინამდვილის რაციონალიზაცია ობიექტივაციის შედეგია და, — ამდენად, — უარსაყოფი: „ობიექტივაცია არის რაციონალიზაცია იმ აზრით, რომ იგი აზრის პროდუქტებს (მაგ., სუბსტანციებს, უნივერსალიებსა და ა. შ.) რეალობად თვლის“[32]. ასევე შეგვიძლია ვუთხრათ ბერდიაევს: თქვენი „მისტიკური რეალობებიც“ უკანონოდაა მოპოვებული, ისიც აზრის პროდუქტია და სხვა არაფერი! „საკუთარი ცდა“ ვერაფერი კრიტერიუმია.

ბერდიაევი იძულებულია საფუძველი გამოაცალოს, აგრეთვე, გამოსავალ-ეგზისტენციალურ პოსტულატს: თუ ადრე ვამბობდით, რომ „სამყაროში გამოგდებული“ ადამიანის ძირითადი განცდები უარყოფითი ხასიათისაა (შიში, ძრწოლა, ზრუნვა, მიტოვებულობის განცდა, სასოწარკვეთა), ახლა გვახსენდება, რომ „იმ ქვეყნის“ ძიების გზაზე დადგომა ძნელია, ვინაიდან „ამქვეყნიურ ცხოვრებას“ უამრავი „მაცდუნებელი“, მომხიბვლელი, მიმზიდველი მხარე აქვს და მათი უგულებელყოფა იოლი როდია[33]. ფილოსოფიურ ავტობიოგრაფიაში, რომლის უკანასკნელი ჩანაწერი სიკვდილამდე ერთი წლით ადრეა გაკეთებული, ბერდიაევი სინანულით აღიარებს, რომ მან ვერ იქნა და ვერ მიაგნო არსებობის, სიცოცხლის საზრისს, ამქვეყნიური „ამაოების“ შემოქმედებითი „დაძლევის“ რეალურ გზას.

ადამიანური შემოქმედების ნ. ბერდიაევისეული კონცეფცია, მისი ცხოვრებისეულობის, „ეგზისტენციალურობის“ დასაბუთების არაერთგზისი ცდის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც რეალურ შემოქმედებას მოწყვეტილი, წარმოსახვითი, მერყევი საფუძვლის მქონე აღმოჩნდა.

---

[32] Н. А. Бердяев, Я и мир..., გვ. 62.

[33] Н. А. Бердяев, Смысл истории, გვ. 243.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ბიბლიოთეკა

გიორგი ხახაშვილი

# იდეალიზმის კრიტიკა ჩერნიშევსკის შრომებში

იდეალიზმი, ჩერნიშევსკის აზრით, არ არის შემთხვევითი მოვლენა, მას აქვს ღრმა გნოსეოლოგიური და სოციალური საფუძვლები. რაში ხედავს ჩერნიშევსკი იდეალიზმის გნოსეოლოგიურ საფუძვლებს? ის გვიჩვენებს იდეალიზმის ნათესაობას რელიგიასთან და მათი წყაროების ერთიანობას, როცა ადამიანი უძლური იყო ბრძოლაში ბუნებასთან ვერ გამოიცნო მისი ძალების საიდუმლოება, მაშინ ჩაისახა რწმენა და ბუნების ყველა საგანსა და მოვლენას მიეწერა ის თვისებები, რასაც ადამიანი განიცდის. თუ ნახევრად ველური ადამიანი მიიჩქარის სადღაც, მას ჰგონია, რომ მდინარესაც ასევე სურს მიაღწიოს რაღაცას. აი, ასეთი გზით წარმოიშვა შეხედულება ბუნებაზე, რომელიც ფილოსოფიაში გამოიხატება აქსიომით: „ყველა არსებული არის იდეების განხორციელება"[1]. სხვა ადგილას ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, რომ არა მარტო ნახევრად ველური, არამედ განათლებული ადამიანიც — ფილოსოფოსი დარწმუნებულია, რომ ბუნებაში ბატონობენ იდეები, რომ სამყაროს კანონზომიერება ობიექტურ კანონზომიერებას კი არ წარმოადგენს, არამედ — ადამიანის გონების პროდუქტს. ასეთია მითი სუბიექტური იდეალისტებისა. სწორედ სუბიექტური ელემენტის როლის გაზვიადებამ აზროვნების პროცესში ილუზიონისტები მიიყვანა ასეთ რწმენასთან. ბუნების შემეცნებაში სუბიექტური ელემენტის როლის გაზვიადების პროცესს ჩერნიშევსკი ასე ახასიათებს: „ჩვენს გრძნობად აღქმებში საზოგადოდ საკმაოდ დიდია მოსაზრების შენარევი; სოფისტურ არგუმენტაციას მინდობილი ადამიანი გრძნობად აღქმებში სუბიექტური ელემენტის როლის სულ უფრო მეტ გაზვიადებამდე მიჰყავს, იმის სულ უფრო მეტ დავიწყებამდე, რომ ყველა გრძნობადი აღქმა არ შედის მოსაზრების შენარევის მქონეთა კლასში"[2]. ამრიგად, ადამიანის გონებრივი უნარიანობის განუვითარებლობა და სუბიექტური ელემენტის როლის გაზვიადება ჩვენს გრძნობად აღქმებში, ჩერნიშევსკის აზრით, წარმოადგენენ რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობის გნოსეოლოგიურ საფუძვლებს. კლასობრივი საზოგადოების გაბატონებული კლასები კარგავენ სინამდვილის შემეცნების უნარს, ეშინიათ პროგრესისა და ამიტომ თავისი ეგოისტური მიზნებისათვის ქმნიან იდეალისტურ თეორიებს; შვილებისადმი წერილებში სოკრატესა და პლატონის მაგალითზე ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა იდეალიზმის ნათესაობა გაბატონებული კლასების ინტერესებთან: სოკრატე „იყო ალკიბიადეს, უნამუსო ინტრიგანის, თავისი სამშობლოს მტრის, მასწავლებელი და მეგობარი. იყო აგრეთვე

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ., ტ.I გვ. 246. ლენინგრადი, 1950, რუსული გამოცემა.

[2] ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ. გვ. 134. თბილისი, 1946, ქართ. გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი და მეგობარი კრიტიასისა, რომლის წინაშე თვით ალკიბიადე თავისი სამშობლოს პატიოსან შვილად სჩანს. ხოლო პლატონს მეგობრობა სურდა დიონისე სირაკუზელთან. — გასაგებია: ამგვარი ტენდენციების მქონე ადამიანებისათვის ყოველგვარი მეცნიერული ჭეშმარიტება როდი შეიძლება ყოფილიყო სასიამოვნო“[3]. სოკრატესა და პლატონის კავშირი პოლიტიკურ მოღვაწეებთან: ალკიბიადესთან, კრიტიასთან, დიონისე სირაკუზელთან, — რომლებიც იბრძოდნენ ათენის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, — ჩერნიშევსკის ესმოდა როგორც იდეალისტური ფილოსოფიის კავშირი რეაქციასთან, როგორც მონათმფლობელური არისტოკრატიის იარაღი ხალხთა მასების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩერნიშევსკიმ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ფილოსოფიურმა და სხვა პოლიტიკურმა თეორიებმა. შეუძლებელია რომ არ განიცადონ იმ ეპოქის გავლენა, რომელშიც ისინი წარმოიშვნენ. თვით მოაზროვნეები, რომლებიც ამ თეორიებს ქმნიდნენ, ეკუთვნოდნენ საზოგადოებაში უპირატესობის მოპოვებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიებს. ფილოსოფოსები „... რომ პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნოდნენ, ეს მეტისმეტად შესამჩნევია, თვითეულისათვის“[4]. ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მიმართულებებს შორის კავშირურთიერთობის აღმოჩენა წარმოადგენდა რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის მონაპოვარს.

პლატონის ობიექტურ იდეალიზმს ჩერნიშევსკი ახასიათებდა როგორც მარჯვე სოფიზმს, ბერძნულ იდეალისტურ სისტემებში ხედავდა იგი იდეალიზმის უახლესი ფორმების იდეურ საფუძვლებს. სოკრატესა და პლატონის ერთგული ნატურალისტები იცავდნენ თომა აქვინელის, დონ სკუტისა და პეტრე ლომბარდიელის გემოვნებით დასაბუთებულ ფილოსოფიურ შეხედულებებს, მათს „ღვთაებრივ“ სიბრძნეს.

ჩერნიშევსკის შრომებში მოცემულია რუსეთში გერმანული იდეალიზმის გავრცელების სწორი გაგება და ჰეგელიანელთა ბრწყინვალე დახასიათება. გასული საუკუნის 30—40-იან წლებში რუსეთში ბატონობდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია, მისმა იდეებმა იმდენად გაიტაცა ახალგაზრდობა, რომ შეუმჩნეველი დარჩათ წინააღმდეგობა ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდსა და იდეალისტურ სისტემას შორის. რამ გამოიწვია ჰეგელის იდეების გავლენის გაძლიერება გონებრივ განვითარებაზე რუსეთში? ამის მიზეზად ჩერნიშევსკი ასახელებს: ჯერ ერთი, ჰეგელის დიალექტიკის განსაცვიფრებელ ძალას და მეორეც, მისი სისტემის უპირატესობას ყველა მის თანადროულ და წინა მოძღვრებასთან შედარებით. რუსი იდეალისტები ეწეოდნენ ჰეგელის ფილოსოფიური იდეალიზმის პროპაგანდას. მასთან კავშირში ისინი ცდილობდნენ მიეჩქმალათ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური წინააღმდეგობა და გაემართლებინათ ბატონყმობისა და ცარიზმის ბატონობა რუსეთში. ასეთ პირობებში იდეალიზმის კრიტიკასა და მატერიალიზმის პროპაგანდას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ დააყენა ეს ამოცანა პროგრესული მოაზროვნეების წინაშე.

ჩერნიშევსკიმ განაგრძო იდეალიზმის კრიტიკა, რომელიც დაიწყო ფოიერბახმა გერმანიაში და ბელინსკიმ და გერცენმა რუსეთში. სტუდენტობის წლებ-

[3] იქვე, გვ. 626.

[4] იქვე, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შივე ჩერნიშევსკი ვერ ურიგდებოდა ჰეგელის ფილოსოფიას, რომელიც ცდილობდა მაშინდელ გერმანიაში არსებული სინამდვილის გამართლებას და პრუსიის მონარქიას აცხადებდა იდეალური სახელმწიფოს ფორმად. ჰეგელის ამ რეაქციული სოციალურ-პოლიტიკური დასკვნების გამო 1849 წლის 28 იანვრის — „დღიურში“ ჩერნიშევსკი წერდა: „წვრილმანებში ყველგან, მგონია, რომ ის (ჰეგელი — გ. ხ.) მონაა საქმის ნამდვილი მდგომარეობისა, საზოგადოების ახლანდელი წყობილებისა“[5].

ჩერნიშევსკი ბოლომდე ამ რწმენით დარჩა. ჰეგელის კრიტიკაში იგი გამოვიდა არა როგორც კაბინეტის მეცნიერი-განმანათლებელი, არამედ — როგორც რევოლუციური დემოკრატი. იგი ეყრდნობოდა ბელინსკისა და გერცენს, რომელნიც ისწრაფვოდნენ სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლებთან ფილოსოფიის დაკავშირებისათვის. მატერიალისტური თეორია მათთვის თვითმიზანი კი არ იყო არამედ — თვითმპყრობელურ წყობილებასთან ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლების თეორიული საფუძველი.

ჰეგელის იდეალისტურ სისტემასთან ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ნ. გ. ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაციამ — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“, ამ შრომაში მთელი სისრულით პირველად გამოჩნდა ჩერნიშევსკი მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით: აზრის ორიგინალობითა და ქედმოუხრელობით უცხოური კულტურის წინაშე. შრომის პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობა განსაცვიფრებელი ძალა ავტორის მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმისა. ჩერნიშევსკი უარყოფდა ხელოვნების იდეალისტურ თეორიას — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და გაბედულად მოითხოვდა ხელოვნების ხალხურობას. მატერიალისტური ბანაკის წინაშე მან დააყენა ამოცანა ისეთი ხელოვნების შექმნისათვის, რომელიც ცხოვრების უბრალო ასლგადაღება კი არ იქნებოდა, არამედ სწორად განუმარტავდა ცხოვრებას და ამ ახსნა-განმარტებას გამოიყენებდა კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ჩერნიშევსკიმ თანმიმდევრულად განახორციელა ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკის კრიტიკა და გვიჩვენა ამ ესთეტიკის კავშირი ჰეგელის რეაქციულ სისტემასთან. ჩერნიშევსკი მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ესთეტიკის დედაარსს მშვენიერება და სინამდვილე წარმოადგენს. ის აკრიტიკებს მშვენიერების ჰეგელისეულ განსაზღვრებას. „მშვენიერი ეწოდება იდეის სრულ გამოვლინებას ცალკეულ საგანში... მშვენიერია ის არსება, რომელშიც ამ არსების იდეა სრულად გამოიხატება... მშვენიერი არის სრული შესატყვისება, სრული იგივობა იდეისა სახესთან“ — ასეთია მშვენიერის ჰეგელისეული გაგება. ჩერნიშევსკი სამართლიანად ფიქრობს, რომ მშვენიერის ასეთი გაგება გამომდინარეობს ჰეგელის იდეალისტური სისტემიდან და ჰეგელისეულ განსაზღვრებას დაუპირისპირა თავისი მატერიალისტური განსაზღვრება: „მშვენიერი არის სიცოცხლე; მშვენიერი არის ის არსება, რომელშიაც ჩვენ სიცოცხლეს ვხედავთ ისეთს, როგორიც უნდა იყოს იგი ჩვენი წარმოდგენით; მშვენიერია ის საგანი, რომელიც თავისთავში გამოავლენს სიცოცხლეს ან მოგვაგონებს სიცოცხლეს“[6]. მშვენიერის ასეთი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ უმაღლესი მშვენიერება არის არა ხელოვნების მიერ შექმნილი მშვენიერება, არამედ — ის მშვე-

---

[5] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, თხზ. სრული კრებული ტ. I. გვ. 231. მოსკოვი, 1939.

[6] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზ. გვ. 309.

ნიერება, რომელიც მატერიალურ სინამდვილეში გვხვდება. ხელოვნება სინამდვილის აღდგენაა და ამიტომ ის სინამდვილეზე დაბლა დგას. ჰეგელის იდეის ადგილას ჩერნიშევსკიმ დააყენა სინამდვილე. იდეალისტურ ესთეტიკასთან ბრძოლაში მან მოახდინა სინამდვილის რეაბილიტაცია და აღიარა მისი უპირატესობა განყენებული ფანტაზიების წინაშე.

ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, რომ სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულება შეადგენს ესთეტიკის ძირითად საკითხს; ამ საკითხის გარშემო მიმდინარეობს ბრძოლა მატერიალისტებსა და იდეალისტებს შორის. ჰეგელი, ფიშერი და იდეალისტური ბანაკის სხვა წარმომადგენლები ხელოვნებას მაღლა აყენებდენ სინამდვილეზე, აღიარებდნენ მხატვრული სახის დამოუკიდებლობას მატერიალური საგნებისაგან. თავის დისერტაციაში ჩერნიშევსკიმ მოგვცა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ყოფიერებასთან აზროვნების ურთიერთობის შესახებ მატერიალისტური გადაწყვეტის ესთეტიკური ასპექტი: როგორც ზოგად ფილოსოფიურ ასპექტში პირველადია ყოფიერება და მეორადი — აზროვნება, ასევე ესთეტიკურ ასპექტში პირველადია სინამდვილე, ცხოვრება და მეორადია ხელოვნება.

„ესთეტიკურ დამოკიდებულებაში“ ჩერნიშევსკი აკრიტიკებს იმ ფილოსოფოსებს, რომლებიც ბუნებაში ეძებენ მიზნობრიობას და გვარწმუნებს, რომ ბუნებაში ყველაფერი მიმდინარეობს ობიექტური კანონების გავლენით და არა აქვს ადგილი მიზნობრიობას. თუმცა ბუნებაში შეიძლება შევხვდეთ მიზნობრიობის მაგალითსაც, მაგრამ აქ მიზნობრიობა გვევლინება როგორც მიზეზობრიობის შედეგი და არა სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ფაქტი; ბუნება მოქმედებს თავისი საკუთარი კანონების მიხედვით და არაფერი იცის ადამიანის საქმისა — მის ბედნიერებასა და დაღუპვაზე.

ჰეგელის იდეალისტურ ესთეტიკასთან ბრძოლაში ჩერნიშევსკიმ დაიცვა და განავითარა ბელინსკისა და გერცენის მატერიალისტური ხაზი, მან ბრწყინვალედ გამოიყენა შემეცნების მატერიალისტური თეორია ესთეტიკაში, უკუაგდო ხელოვნების არსის იდეალისტური გაგება — ხელოვნება ხელოვნებისათვის და დაასაბუთა, რომ ხელოვნება უნდა ასახავდეს სინამდვილეს და ხელს უწყობდეს მის გარდაქმნას. ჩერნიშევსკიმ მოგვცა ესთეტიკის მწყობრი მატერიალისტური სისტემა, ამაშია მისი მნიშვნელობა. მართალია, მარქსისტული ესთეტიკა ვერ გაიზიარებს უცვლელად ჩერნიშევსკის ესთეტიკის ზოგიერთ დებულებას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ჩერნიშევსკის მატერიალისტური ესთეტიკის ისტორიულ ადგილს და იდეალისტურ ესთეტიკასთან მისი ბრძოლის აქტუალურ მნიშვნელობას.

„რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებში“ ჩერნიშევსკი აკრიტიკებდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის შინაგან წინააღმდეგობებს: 1) წინააღმდეგობას დიალექტიკურ მეთოდსა და იდეალისტურ სისტემას შორის, 2) წინააღმდეგობას ცოდნასა და ცხოვრების მოთხოვნილებებს შორის, 3) წინააღმდეგობას კონკრეტულ და განყენებულ ჭეშმარიტებას შორის.

ჩერნიშევსკი სამართლიანად შენიშნავდა, რომ გერმანული ფილოსოფია კანტიდან ჰეგელამდე დაავადებული იყო პრინციპებსა და დასკვნებს შორის წინააღმდეგობით, რაც ყველაზე მეტად იჩენდა თავს ჰეგელის ფილოსოფიაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც პრინციპებით აღემატებოდა ყველა წინამორბედს, მაგრამ ყველა მათგანს ჩამორჩებოდა თავისი დასკვნებით. ჰეგელის პრინციპებს ჩერნიშევსკი უწოდებდა „მძლავრს“, „ფართოს, „ღრმას“, „ნაყოფიერს“, დასკვნებს კი — „ვიწროს“, „უმნიშვნელოს“, „წვრილმანს“ და „უგვანოს“. სინამდვილეზე დაკვირვებით ჩერნიშევსკი დარწმუნდა, რომ ჰეგელის დასკვნები ვერ უძლებდნენ „სინამდვილის ცოცხალი მოვლენებით შემოწმებას. „ჩერნიშევსკიმ ჰეგელის ფილოსოფიაში აღმოაჩინა არა მარტო დასკვნების ცალმხრივობა, არამედ — პრინციპების უკმარისობაც. პრინციპები ჰეგელისათვის ბუნდოვანი იყვნენ. ამ შენიშვნებში მთელი სიცხადით გამოვლინდა ჰეგელის ფილოსოფიის სუსტი ადგილების სწორი გაგების უნარი და მისი მსგავსება ჰეგელის დიალექტიკის მარქსისტულ კრიტიკასთან.

ჰეგელმა მხოლოდ ზოგადი იდეები წამოაყენა და ძალა აღარ ეყო იმისათვის, რომ განევითარებინა ყველა აუცილებელი დასკვნა. ეს მისი სისტემის ნაკლი იყო; მაგრამ შეჩერდა თუ არა აზროვნების განვითარება ჰეგელზე? არა, არ შეჩერებულა! ჩერნიშევსკი ამაყად აცხადებდა, რომ ისეთი ძლიერი გონების ადამიანებს — როგორიც ბელინსკი და გერცენი იყვნენ — არ შეეძლოთ დიდხანს მორჩილება გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისადმი, მათ დროზე შეამჩნიეს ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგობა, მოაცილეს მას ყალბი დასკვნები და თანმიმდევრულად განავითარეს მისი პრინციპები: „იმ დროიდან, რაც ჩვენი გონებრივი მოძრაობის წარმომადგენლებმა დამოუკიდებლად გააკრიტიკეს ჰეგელის სისტემა, — წერდა „ნარკვევების...“ ავტორი, — ეს მოძრაობა უკვე აღარ დამორჩილებია არავითარ უცხო ავტორიტეტს“. ეს მოხდა, ერთი მხრივ, „საკუთარი ძალებით“ და, მეორე მხრივ, „გერმანელ მოაზროვნეთა გავლენით“. ამით XIX საუკუნის რუსულმა კლასიკურმა მატერიალისტურმა ფილოსოფიამ უფლება მოიპოვა „მონაწილე ყოფილიყო ზოგადსაკაცობრიო მეცნიერების განვითარებისა“[7]. ამით ჩერნიშევსკიმ წამოსწია XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითადი ნიშანი. ჩერნიშევსკის დასკვნებითვე, ბოლო ეღება რუსული ფილოსოფიის ბურჟუაზიული მკვლევარების მითს, თითქოს რუსული მატერიალიზმი ნასესხები იყო დასავლეთ ევროპიდან.

ჩერნიშევსკი არ დაკმაყოფილდა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის რეაქციული მხარის კრიტიკით, ამასთანავე ის მიუთითებდა, რომ ჰეგელის მოძღვრება შეიცავს რევოლუციურ მხარესაც, რაც ღირსია გადარჩენისა; ეს ჯანსაღი ნაწილი ჰეგელის დიალექტიკისა იყო განვითარების პრინციპი. ჰეგელის ფილოსოფიაში ჩერნიშევსკი ხედავდა იმ თეორიის ჩანასახს, რომლის შექმნასაც ცდილობდა, ამიტომ უწოდებდა მის მოძღვრებას გადასასვლელს „... სქოლასტიკური, უნაყოფო გრძნობიდან ან ფანტასტიკური სისტემებიდან, რომლებიც ვერ უძლებენ საღი აზრით შემოწმებას, ცხოვრების საღ, ყოველგვარ თვითცდუნებას მოკლებულ და ამიტომ უმძლავრეს კეთილ მეცნიერებაზე“[8]. ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმი აზროვნების განვითარების ისეთივე განვლილ საფეხურად მიაჩნია ჩერნიშევსკის, როგორც არისტოტელესი და დეკარტეს ფილოსოფიური სისტემები. ჰეგელს ჩერნიშევსკი სთვლიდა უკანასკნელ წარმომადგენლად იმ მოაზროვნეთაგან, რომელნიც... „დაშორებული იყვნენ იმ აზრს, რომ

[7] იქვე, გვ. 519, 544.

[8] იქვე, გვ. 524.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ყველა ბუნებრივი უნარი და მისწრაფებანი უნდა მოქმედებდნენ, ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ მეცნიერებისა და ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში“[9]. ჰეგელმა თავისი სისტემის ძირითად ამოცანად ცოდნა წამოაყენა, ხოლო ამ ცოდნის შედეგები ცხოვრებისათვის მან უკანა რიგში დააყენა.

ცხოვრებიდან გათიშვა ჩერნიშევსკის მიაჩნდა არა მარტო ჰეგელის, არამედ მთელი გერმანელი ფილოსოფიის უკმარობად. ის პრაქტიკული საკითხები, „რომელთაც ადამიანთა ცხოვრების მატერიალური მხარე წარმოშობს“, გერმანელი ფილოსოფოსების ყურადღების გარეშე დარჩნენ და, გერმანელებისაგან განსხვავებით, ეს საკითხები ფრანგ მოაზროვნეებს უფრო აინტერესებდათ, მაგრამ ისინი ფანტასტიკურად წყვეტდნენ მათ. ჩერნიშევსკი ეძებდა გერმანული ფილოსოფიისა და ფრანგული სოციოლოგიის დამაკავშირებელ რგოლს. ამ ორი ქვეყნის გონებრივი მოძრაობის კრიტიკული გადამუშავება მიაჩნდა მას ახალი ფილოსოფიური მოძღვრების შექმნის საფუძვლად. აქედან მთელი სიცხადით გამომდინარეობს, რომ ჩერნიშევსკი ფოიერბახისებურად კი არ უარყოფდა ჰეგელის იდეალისტურ სისტემას, არამედ — ისე, რომ ჰეგელის სისტემის უარყოფით შემოენახა მისი რაციონალური შინაარსი და განევითარებინა იგი მატერიალისტურად.

„ნარკვევებში...“ ჩერნიშევსკიმ მოიგერია იდეალისტური ბანაკის თავდასხმები ბელინსკზე; იდეალისტები: პოგოდინი, კრაევსკი, დუდიშკინი — საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემდნენ ბელინსკის პროგრესულ შეხედულებებს, უწოდებდნენ მას „სწავლამოუთავებელ სტუდენტს“, გაჰკიოდნენ მისი ფილოსოფიის „სქოლასტიკურობასა“ და „პრიმიტიულობაზე“, მიაჩნდათ იგი დასავლეთ ევროპის იდეალისტური ფილოსოფიის „დამჯერე მოწაფედ“. ბელინსკის რეაბილიტაცია ამ ბრალდებებისაგან და მისი ჭეშმარიტი სახის აღდგენა წილად ხვდა ჩერნიშევსკის.

რა მიიჩნია ჩერნიშევსკიმ ბელინსკის შემოქმედების უდიდეს ღირსებად? — ბრწყინვალე გენია და ორიგინალური აზროვნება — აი, ბელინსკის შემოქმედების არსებითი თავისებურება. ბელინსკის სახით რუსეთის გონებრივმა ცხოვრებამ პირველად წარმოშვა მოაზროვნე, რომელიც არა თუ ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე მოაზროვნეებს, არამედ მრავალმხრივ უსწრებდა მათ. სამშობლოს მგზნებარე სიყვარულმა ბელინსკის მისცა ბიძგი, რომ დაეკავშირებინა ფილოსოფია მწარმოებელი კლასების ბრძოლასთან და გაეშუქებინა იგი თეორიულ ასპექტში. იდეალისტებთან ბრძოლაში ჩერნიშევსკიმ დაამტკიცა, რომ ბელინსკი არასოდეს ყოფილა ჰეგელის ფილოსოფიის ყურმოჭრილი მონა. მან ჰეგელის ფილოსოფიას მიჰმართა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დასასაბუთებლად. მაშინაც კი, როცა ბელინსკი იდეალისტურ ნიადაგზე იდგა, მისთვის უცხო იყო სინამდვილის განჭვრეტა. ბელინსკიმ და გერცენმა „დაინახეს, რომ ჰეგელის დამარცხება შეიძლება მხოლოდ მისი საკუთარი იარაღით და ამ მოაზროვნის ღრმად შესწავლას მოჰკიდეს ხელი... არა იმდენად მისდამი მიდრეკილებით, რამდენადაც იმ აუცილებლობით, რომ მასში სუსტი მხარეები აღმოეჩინათ“[10]. ჰეგელის „საკუთარი იარაღი“ იყო იდეალისტურ გარსში გახვეული დიალექტიკა. მისი განთავისუფლება იდეალისტური გარსისაგან, მისი

[9] იქვე, გვ. 519.

[10] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზ. გვ. 536—537.

მატერიალიზმთან შერწყმა დაიწყეს ბელინსკიმ და გერცენმა, ხოლო მათი გზა განაგრძო ჩერნიშევსკიმ; ჰეგელის დიალექტიკიდან მათ რევოლუციური დასკვნები გააკეთეს. „ნარკვევების“ ...ავტორმა იდეალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა და განავითარა „დიდი მაძიებლის“ იდეური მემკვიდრეობა და გააქარწყლა ცილისმწამებელთა ბრალდებები მის მიმართ, ამასთან გვიჩვენა რევოლუციონერი მატერიალისტის შინაგანი, გაწყურელი თვისებები, მისი თვითმყოფობის უდიდესი ძალა, რევოლუციური გამბედაობა და სიმტკიცე ხალხის მტრებთან ბრძოლაში.

ფილოსოფიური იდეალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიულობის ნიმუშს წარმოადგენს ჩერნიშევსკის ფილოსოფიური ტრაქტატი — „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“, სადაც ავტორის ყოველი სიტყვა ანგრევს მოწინააღმდეგეთა თეორიას. იდეალიზმის წინააღმდეგ ჩერნიშევსკის ბრძოლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ აძლევდა რეაქციულ იდეოლოგიას სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გავრცელების საშუალებას. ეს აადვილებდა რაზნოჩინული ახალგაზრდობის აღზრდას მატერიალისტური და რევოლუციური დემოკრატიის სულისკვეთებით. ჩერნიშევსკი აშკარავებდა ჰეგელის იდეალიზმის კავშირს მაშინდელ გერმანიაში გაბატონებული კლასების ინტერესებთან: „ჰეგელის სისტემა... გამსჭვალულია იმ სულით, რომელიც რესტავრაციის დროს საზოგადოებრივ აზრზე ბატონობდა... ჰეგელი თავისი ბუნებით, ან, შესაძლებელია, გარეშე ანგარიშით, თავის პრინციპებს ძალიან კონსერვატიული სამოსით მოსავდა, როდესაც პოლიტიკურ და თეოლოგიურ საგნებზე ლაპარაკობდა“[11]. ამასთანავე ჩერნიშევსკის მკითხველი მიჰყავს იმის გაგებასთან, რომ რუსეთის რეაქციული ბანაკის იდეოლოგები, თუმცა ახალი ტერმინოლოგიით ალამაზებენ შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიას, მაგრამ გაბატონებული კლასების სამსახურისათვის ფეხით თელავენ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩერნიშევსკიმ განიხილა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე: აზროვნებისა და მატერიის ურთიერთობისა; მატერიალური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობისა ადამიანის გონების მიერ და ყველა ეს საკითხი მატერიალისტურად გადაწყვიტა ბუნებისმეტყველებაზე ორიენტაციით ადამიანის ფილოსოფიის ასპექტში. მან აზროვნებისა და მატერიის ურთიერთობის საკითხი ორგანიულად დაუკავშირა სამყაროს შემეცნების საკითხს და დაასაბუთა, რომ ადამიანი ბუნებისაგან მოწყვეტილ ფანტასტიკურ არსებას კი არ წარმოადგენს, არამედ — ბუნების განვითარების უმაღლეს საფეხურს[12]. ჩერნიშევსკი ამტკიცებს, რომ ადამიანში ფიზიკური და ფსიქიკური პროცესები შეადგენენ ერთიანი მატერიალური სუბსტანციის ორ მხარეს, სადაც ფსიქიკური არის ფიზიკურის განვითარების შედეგი. ადამიანში ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების ერთიანობას ჩერნიშევსკი განიხილავდა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით: ფსიქიკური მოვლენები გამოწვეულია ადამიანის ტვინში მომხდარი ფიზიოლოგიური პროცესებით. მაშასადამე, ფსიქიკურის წარმოშობა განსაზღვრულია მატერიალურით. ტვინი, როგორც მაღალორგანი-

---

[11] იქვე, გვ. 21.

[12] ჩერნიშევსკის ადამიანი მარტო ბუნების განვითარების პროდუქტი როდია, ის უკუგავლენასაც ახდენს ბუნებაზე, გარდაქმნის და ალაგმავს მის საზიანო მოვლენებს. გარდა ამისა ადამიანი მასთან გარკვეული ეპოქის და კლასის წარმომადგენელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებული მატერია, აზრის საფუძველს წარმოადგენს, აზრი კი — ტვინის პროდუქტს.

ადამიანის ორგანიზმში მატერიალური და ფსიქიკური მოვლენების დიალექტიკურ ერთიანობაში განხილვით ჩერნიშევსკიმ დაიცვა და განავითარა მატერიალისტური შეხედულება მატერიის პირველადობასა და ცნობიერების მეორადობის შესახებ. ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი დებულება ბუნების მატერიალური ერთიანობის შესახებ ჩერნიშევსკის ისეთივე ჭეშმარიტებად მიაჩნია, როგორც მიზიდულობის კანონი, მზის გარშემო დედამიწის ბრუნვა. რუსი მატერიალისტი დიდ შეფასებას აძლევს კოპერნიკის, გალილეის, ჯორდანო ბრუნოს, ნიუტონისა და ლაპლასის მიერ აღმოჩენილ ბუნების კანონზომიერებებს. ნიუტონმა დაამტკიცა, რომ ერთი და იგივეა მექანიკის კანონები მიწიერი და ციური სხეულებისა; დედამიწა და ციური სხეულები დაკავშირებულნი არიან ერთიმეორესთან ერთიანი ობიექტური კანონებით; იგივე ძალა, რომელიც უსაყრდენო სხეულს აიძულებს დედამიწაზე დაეცეს, აიძულებს მთვარეს რომ დედამიწის გარშემო იმოძრაოს და სხვა პლანეტებს — მათ შორის დედამიწასაც — მზის გარშემო ასევე იმოძრაონ. „ქვა ვარდება მიწაზე, ორთქლი მიდის ზევით, და... ორივე ეს მოძრაობა, რაც ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით ხდება, — ქვის ვარდნა დედამიწაზე და ორთქლის ავარდნა ზევით დედამიწიდან, — ერთი მიზეზით, ერთი კანონით ხდება“[13]. მიზიდულობის ძალა ერთ გარემოებაში სხეულს ძირს ეწევა, სხვა გარემოებაში კი სხეულს აიძულებს მაღლა აწიოს. ქვაზე მოქმედი სიმძიმის კანონი ორთქლზეც მოქმედებს, ესენი ერთი პრინციპიდან გამოიყვანებიან და ერთ კანონზომიერებას ექვემდებარებიან. სხეულთა მოძრაობა ნივთიერების ურთიერთმიზიდულობის ძალით ხდება.

წინააღმდეგ იდეალისტებისა, რომლებიც უპირისპირებდნენ კაცობრიობის ისტორიას ბუნების ისტორიას, „ანთროპოლოგიური პრინციპის“ ავტორი ამტკიცებდა კაცობრიობისა და ბუნების ისტორიის ერთიანობას, მას ადამიანთა ისტორიის კანონების გასაგებად აუცილებლად მიაჩნდა მატერიალისტური ფილოსოფიის ცოდნა, თუ შრომაში „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“ ჩერნიშევსკი ასაბუთებდა ადამიანის ფიზიკური და სულიერი მხარეების ერთიანობას, ვილიუსკში ყოფნის დროს მას აქცენტი გადაჰქონდა ბუნების ისტორიასთან ადამიანთა ისტორიის ერთიანობის პრინციპის დასაბუთებაზე.

ამრიგად, 1. სამყაროს ერთიანობა ჩერნიშევსკიმ, — მსგავსად ენგელსისა — მის მატერიალობაში დაინახა, სამყარო განიხილა როგორც თვისებრივად განსხვავებული მატერიალური სხეულების ერთიანობა და უაზრობად გამოაცხადა იქ იდეებისა და მიზნობრიობის არსებობა; 2. მან უკუაგდო აზრი ადამიანის დუალიზმის შესახებ და დამაჯერებლად დაამტკიცა ადამიანის ორგანიზმის ერთიანობა იმის მიუხედავად, რომ იგი ორი განსხვავებული რიგის მოვლენებს შეიცავს, სხვადასხვაგვარ თვისებათა შეერთება ერთ საგანში მან დაახასიათა, როგორც საყოველთაო კანონი; 3. ჩერნიშევსკიმ სამართლიანად უარყო სამყაროს მატერიალური ერთიანობის პრინციპის დარღვევის შესაძლებლობა არაორგანული ბუნების რომელიმე ნაწილში ისეთი სხეულის აღმოჩენით, რომლის მსგავსი არ არსებობს ორგანულ ბუნებაში და საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ მეცნიერების მიერ ბუნების გამოკვლეული ნაწილი წარმოადგენს გასა-

---

[13] იქვე, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს იმისათვის, რომ წინასწარ დადგინდეს, თუ რა ხასიათი, რა თვისება შეიძლება ჰქონდეს მის გამოუკვლეველ ნაწილს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩერნიშევსკის მიერ აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკას. აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის დასახასიათებლად შემოიღო მან სპეციალური ტერმინი „ილუზიონიზმი“. აგნოსტიციზმის ფილოსოფიურ არსს წარმოადგენდა სუბიექტური იდეალიზმი. აგნოსტიკოსები ფილოსოფიაში არიან იდეალისტური ბანაკის წარმომადგენლები. აგნოსტიციზმი უარყოფს ბუნების ყველა ფორმულას, ფიზიკის ყველა კანონს, ნიუტონისა და ლაპლასის აღმოჩენებს. ბუნებისმეტყველი აგნოსტიკოსები ჩერნიშევსკიმ შეადარა ხის ტოტზე მჯდომ გლეხს, რომელიც ჭრის იმავე ტოტს.

ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა, რომ ნატურალისტებს შორის აგნოსტიციზმის გავრცელების წყაროს წარმოადგენდა პლატონის, ბერკლის, იუმისა და კანტის ფილოსოფიური სისტემები. აგნოსტიციზმი — წერდა ჩერნიშევსკი — „... ეს სისულელეა, რომელიც ყეყეჩ ნატურალისტთა თავებში ფილოსოფიის იდეალისტური სისტემიდან შეფრენილა. უპირატესად, პლატონის სისტემიდან და კანტის სისტემიდან“[14]. კანტმა შემეცნების ფორმები მოწყვიტა ბუნების რეალური მოვლენებისაგან და უარყო ცდის საშუალებით სამყაროს არსის გაგება. ჩერნიშევსკი აკრიტიკებს კანტის შემეცნების თეორიის დედაარსს და მის მიერ გამოგონილ აპრიორულ ფორმებს, გარკვევით განმარტავს, რომ კანტმა ეს ფორმები გამოიგონა იმისათვის, რომ დაიცვას სუბიექტურ-იდეალისტური გნოსეოლოგია დიდროსა და მისი მეგობრების მატერიალისტური ბანაკისაგან; თუ დიდრო და მისი მეგობრები ემყარებოდნენ ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, სამაგიეროდ „... კანტს ხელი არ აჰკანკალებია, რომ ბუნებისმეტყველება პირწმინდად დაემსხვრია, მათემატიკის ყველა ფორმულა გაეცამტვერებინა“[15]. ჩერნიშევსკი აკრიტიკებს კანტს მატერიალიზმის პოზიციებიდან. აკრიტიკებს არა იმისათვის, რომ მან სცნო „საგანი თავისთავად“, არამედ იმისათვის, რომ მას ეს ობიექტური წყარო არ მიაჩნია ცოდნის საფუძვლად. ამასთანავე ჩერნიშევსკი დასძენს, რომ კანტის მთელი თეორიული მოძღვრება განპირობებული იყო გერმანიის მაშინდელი მდგომარეობით; „კანტის შემოქმედება, — წერდა ჩერნიშევსკი, — აიხსნება მეცნიერების მდგომარეობის მაშინდელი ვითარებით გერმანიაში. ეს იყო მეცნიერული აზრის აუცილებელი მორიგება ცხოვრების არამეცნიერულ პირობებთან“[16].

„ილუზიონისტები“ მიზნად ისახავდნენ იუმისა და კანტის მოძღვრების რეაქციული ელემენტების აღორძინებას. როცა ისინი საგნებსა და მათს თვისებებზე ლაპარაკობდნენ, მხედველობაში ჰქონდათ არა მატერიალური საგნები და მათი თვისებები, არამედ — ის შთაბეჭდილებები და წარმოდგენები, რომლებიც გამოიწვია ამ საგნების ზემოქმედებამ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე; მაგრამ საკითხავია: ასახავენ თუ არა ეს შთაბეჭდილებები და წარმოდგენები იმ საგნებს, რომლებმაც ისინი გამოიწვიეს? — სრულიადაც არა. „ილუზიონიზმი“ უარყოფს არა მარტო ჩვენი წარმოდგენებისა და შეგრძნებების მიერ რეალური საგნების ასახვას, არამედ ამ რეალურ საგნებზე ჩვენი ჭეშმარიტი ცოდნის შე-

---

[14] იქვე, 625—26.

[15] იქვე, გვ. 598.

[16] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი , თხზ. სრული კრებული, ტ. 14 გვ. 651, მოსკოვი, 1949.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძლებლობასაც; იგი ცნობიერებას წყვეტს პრაქტიკული ცხოვრებისაგან და ამიტომ კარგავს" გზას შეგრძნებიდან ობიექტური სინამდვილისაკენ. რეალური საგნების შესახებ პირდაპირი ცოდნის უარყოფა, ჩერნიშევსკის აზრით, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ჩვენი რეალური ცხოვრების უარყოფას. აგნოსტიციზმის ეს მტკიცება რუსმა მატერიალისტმა დაახასიათა როგორც ახალი სიტყვიერი მოკაზმულობა კანტის აგნოსტიციზმისა, როგორც „უსაგნო ილუზია" და „წმინდა წყლის მიქარვა". ჩერნიშევსკი აღნიშნავდა: „იმის ლაპარაკი, რომ ჩვენ მხოლოდ საგნების შესახებ ჩვენი წარმოდგენების ცოდნა გვაქვს, თვით საგანთა პირდაპირი ცოდნა კი არ გაგვაჩნია, — ნიშნავს ჩვენი რეალური ცხოვრების უარყოფას, ჩვენი ორგანიზმის არსებობის უარყოფას"[17].

სუბიექტური იდეალისტებისა და კანტიანელების წინააღმდეგ ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ რეალურ საგნებზე შესაძლებელია პირდაპირი ანუ უშუალო და არაპირდაპირი ანუ გაშუალებული ცოდნა. უშუალო ცოდნა გვეძლევა ჩვენი რეალური ცხოვრებით, ხოლო არაპირდაპირი ცოდნა მოპოვებულია ჩვენი მოსაზრებების გზით და წიგნებიდან მიღებული ცნობებით, მაგრამ ეს არის აზრობრივი ცოდნა. უშუალო ცოდნა კი არის საგნის არსების ცოდნა: თუ გვაქვს ცოდნა ჩვენი ორგანიზმის შესახებ, მაშინ ჩვენ გვაქვს ცოდნა ტანსაცმლის შესახებაც, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, საკვებზეც, რომელსაც ვჭამთ, ქვის სამტეხლოების შესახებაც, საიდანაც ვიღებთ მასალას საცხოვრებელ ბინების ასაგებად.

ჩერნიშევსკი აკრიტიკებს აგნოსტიკოს-რელატივისტებს, რომელთაც უარყვეს ობიექტური ჭეშმარიტება და აღიარეს მხოლოდ შეფარდებითი ჭეშმარიტება. უარყოფდა რა რელატივისტების არგუმენტებს ობიექტური ცოდნის საეჭვოდ გამოცხადების შესახებ, ჩერნიშევსკი საფუძვლიანად განმარტავდა, რომ ცოდნის შეფარდებითობა ცოდნის შინაარსის ობიექტურობას კი არ გამორიცხავს, არამედ მას ემყარება. ცოდნა არ არის უცვლელი, მას აქვს ისტორია. ცოდნის განვითარება სახეს უცვლის ობიექტურ ჭეშმარიტებას. ჩერნიშევსკის მოყავს უამრავი მაგალითი ცოდნის განვითარებისა და დაასკვნის, რომ „ცოდნათა გაფართოებას, საზოგადოდ, მათი ადრინდელი მარაგიდან ზოგიერთთა სახეცვლილება სდევს თან"[18].

ჩერნიშევსკი აკრიტიკებს ემპირისტებისა და რაციონალისტების ცალმხრივობას და შემეცნების ორივე საფეხურს — გრძნობად განჭვრეტას და აბსტრაქტულ აზროვნებას — დიალექტიკურ ერთიანობაში განიხილავს, შეგრძნება და აზროვნება მას სინამდვილის შემეცნების აუცილებელ საფეხურებად მიაჩნია: შემეცნება იწყება შეგრძნებით, შეგრძნება წარმოიშვება გარეშე საგნების ზემოქმედებით ჩვენი გრძნობის ორგანოებზე.

ჩერნიშევსკის კრიტიკის მახვილს ვერ გადაურჩნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერებიც კი, როგორიც იყვნენ მაგალითად: ვირხოვი, დიუბუარეიმონი, გაუსი და ჰელმჰოლცი. ჰელმჰოლცი შესაძლებლად სთვლიდა ისეთი ორგანზომილებიანი და ოთხგანზომილებიანი სივრცის არსებობას, რომელსაც ადამიანის ცნობიერება ვერ მიწვდება; მას სურდა იმის დამტკიცება, რომ გეომეტრიული სხეულები „ვერ გამოხატავენ რეალურ ნივთთა ურთიერთობას. „ამ იდეალისტური დასკვნებისათვის აკრიტიკებდა ჩერნიშევსკი ჰელმჰოლცს და

[17] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი , რჩეული ფილოსოფიური თხზ., გვ. 136.
[18] იქვე, გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამტკიცებდა, რომ გეომეტრიული სხეულები ნამდვილად გამოხატავენ რეალურ ნივთთა შორის კავშირს.

ჩერნიშევსკიმ შრომებში — „ადამიანის ცოდნის ხასიათი“ და წინასიტყვაობაში მესამე გამოცემისა — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ და აგრეთვე „შვილებისადმი წერილებში“ მოგვცა იდეალისტური გნოსეოლოგიური თეორიების მეცნიერული კრიტიკა და მათთან პრინციპულ ბრძოლაში შეჰქმნა თავისი მატერიალისტური შემეცნების თეორია, რომელიც აღემატებოდა მარქსამდელ გნოსეოლოგიას.

თუ რამდენად სასარგებლო იყო ჩერნიშევსკის ბრძოლა აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ შემეცნების მატერიალისტური თეორიის დაცვისა და განვითარებისათვის, მტკიცდება იმით, რომ ვ. ი. ლენინმა დაწერა სპეციალური დამატება „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ მეოთხე თავის პირველი პარაგრაფისათვის“ რა მხრივ უდგებოდა ნ. გ. ჩერნიშევსკი კანტიანობის კრიტიკას?“, სადაც იზიარებდა „წინასიტყვაობის“... ავტორის არგუმენტაციას და აღნიშნავდა, რომ კანტიანობის კრიტიკასა და შემეცნების მატერიალისტური თეორიის განვითარებაში ჩერნიშევსკიმ გაუსწრო მარქსამდელი პერიოდის ყველა მატერიალისტს: „... ჩერნიშევსკი ჩამორჩება ენგელსს, რამდენადაც იგი თავის ტერმინოლოგიაში მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირებას ურევს მეტაფიზიკური და დიალექტიკური აზროვნების დაპირისპირებასთან, მაგრამ ჩერნიშევსკი სავსებით ენგელსის სიმაღლეზე დგას, რამდენადაც იგი კანტს უსაყვედურებს არა რეალიზმს, არამედ აგნოსტიციზმს და სუბიექტივიზმს, არა „თავისთავადი საგნის“ აღიარებას, არამედ იმას, რომ ჩვენი ცოდნის გამოყვანა არ ძალუძს ამ ობიექტური წყაროდან“[19]. ჩერნიშევსკიმდეც მატერიალისტები აკრიტიკებდნენ აგნოსტიციზმსა და იდეალიზმს, მაგრამ მათ შეძლეს მხოლოდ თეორიული არგუმენტების წამოყენება. მათგან განსხვავებით, ჩერნიშევსკიმ მცდარობისა და ჭეშმარიტების გასამიჯნად წამოაყენა პრაქტიკა. ყოველგვარ თეორიას — წერდა ჩერნიშევსკი, — „მსჯავრს თვით ადამიანი სდებს თავისი ცხოვრებით...“ პრაქტიკა ტყუილებისა და თვითცდუნებათა დიადი მამხილებელია არა მარტო პრაქტიკულ საქმეებში, არამედ აგრეთვე, აზრისა და გრძნობის საქმეებშიც; ამიტომაც მეცნიერებაში ახლა პრაქტიკა ყველა სადავო პუნქტის არსებით კრიტერიუმად არის მიღებული: „რაც თეორიაში სადავოა, სისწორით ნამდვილი ცხოვრების პრაქტიკით გადაწყდება“[20].

მართალია, რუსი მატერიალისტი ვერ ამაღლდა პრაქტიკის მარქსისტულ გაგებამდე, მაგრამ შემეცნების თეორიაში პრაქტიკის შემოტანა და პრაქტიკის ცნების ქვეშ ადამიანის მატერიალური და თეორიული მოღვაწეობის გაგება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩერნიშევსკის გონებრივი განვითარება მიდიოდა იმავე გზით, რომელიც განვლეს მარქსმა და ენგელსმა.

ამრიგად, იდეალიზმის კრიტიკას ჩერნიშევსკის მიერ აქვს სისტემატური ხასიათი:

1. მისი შრომები შეიცავენ მტკიცებას, რომ ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის აბსოლუტურია;

---

[19] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14 გვ. 459—60; მეოთხე ქართული გამოცემა.
[20] იქვე, გვ. 439—440.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ფილოსოფიაში ორი განსხვავებული ბანაკის არსებობა განპირობებულია საზოგადოებაში განსხვავებული კლასების არსებობით და ფილოსოფოსები ეკუთვნიან პოლიტიკურ პარტიებს;

3. წინამორბედი მატერიალისტებისაგან განსხვავებით, ჩერნიშევსკიმ წინ წამოსწია ჰეგელის დიალექტიკის რაციონალური მარცვალი და სცადა მისტიკური გარსიდან მისი განთავისუფლება;

4. იდეალიზმთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ჩერნიშევსკის მებრძოლი მატერიალიზმი.

5. იდეალიზმთან ბრძოლა შეადგენდა მეფის რუსეთის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ჩერნიშევსკის ბრძოლის შემადგენელ ნაწილს;

6. რეაქციულ იდეოლოგიას ჩერნიშევსკიმ არ მისცა ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში გავრცელების საშუალება;

7. იდეალისტური თეორიების განადგურებით ჩერნიშევსკიმ მოამზადა ნიადაგი ლენინიზმისათვის რუსეთში. ამაშია ძველ, დრომოჭმულ თეორიებთან მისი ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩარკვიანი

# დამარწმუნებელი ცნობით შექმნილი კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხები და სოციალური განწყობის შეცვლა

1. კომუნიკაციის პროცესში დამარწმუნებელი ცნობის მეშვეობით სოციალური განწყობის attitude შეცვლის შესწავლის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკატორული წინააღმდეგობის ფაქტს. კომუნიკატორულ წინააღმდეგობაში იგულისხმება განწყობის ობიექტის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაში არსებულ პოზიციასა და მიმღების პოზიციას შორის განსვლა, წინააღმდეგობა. ამ მოვლენასთან ჩვენ საქმე გვქონდა სოციალურ განწყობაზე ინფორმაციის რაგვარობის გავლენის შესწავლის დროს. კომუნიკატორული წინააღმდეგობისა და განწყობის შეცვლას შორის ფუნქციონალური კავშირის შესახებ ჯერ კიდევ 50 წლებში Hovland-ის მიერ წამოყენებული იყო დებულება იმის შესახებ, რომ ეს კავშირი გაშუალებული უნდა იყოს ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორებით, როგორიც არის ინდივიდის პოზიციაში ჩართვა involvement და კომუნიკატორის პრესტიჟი. ასეთმა ვარაუდმა ბიძგი მისცა აღნიშნული ფაქტორების ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის შედეგები ერთმნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, ზოგჯერ მიღებულია ურთიერთ საწინააღმდეგო შედეგებიც.

ამ ვითარების გამო ჩვენ ვიკვლიეთ დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში ინფორმაციის რაგვარობის მნიშვნელობა, სადაც მივიღეთ შედეგი, რომლის მიხედვითაც რაც უფრო დიდია კომუნიკატორული წინააღმდეგობა, მით უფრო დიდია განწყობის შეცვლის მაჩვენებელი. მაგრამ ამ შედეგის დაზუსტებისათვის საჭიროა დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში გამოვიყენოთ არა მხოლოდ ორი ინფორმაცია, არამედ უფრო მეტი რათა მივიღოთ კომუნიკატორული წინააღმდეგობის რამოდენიმე განსხვავებული ხარისხი. ასეთი ვითარება უფრო ნათელს გახდის კომუნიკატორული წინააღმდეგობის კავშირს სოციალური განწყობის შეცვლასთან.

სოციალური განწყობის შეცვლის შესწავლა შესაძლებელია ექსპერიმენტულ პირობებში სხვადასხვა ფსიქოლოგიური ცვლადების შემოტანით. ჩვენი აზრით კომუნიკატორული წინააღმდეგობის ექსპერიმენტული შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით ინფორმაციის შეფასებას, რადგან იგი წინმსწრები და აუცილებელი ფსიქოლოგიური პროცესია მიწოდებული ინფორმაციის გაგებისათვის, წვდომისათვის. Sharif-მა და Hovland-მა[1] ინფორმაციის შეფასებას გადამწყვეტი როლი მიანიჭეს განწყობის შეცვლაში. ეს საკითხი მათ მიერ ექსპერიმენტულად შესწავლილ იქნა ე. წ.

[1] M. Sharif and C. Hovland, «Social judgement», New Haven and London, Yele Unuiversity press, 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯელობის პროცესის დროს, რომელსაც ანხორციელებენ ექსპერტები თანაბარი ინტერვალების სკალირების პროცესში. მკვლევარებმა აჩვენეს, რომ ამა თუ იმ დებულების შეფასება დეტერმინირებულია თვით ინდივიდის სკალური პოზიციით ანუ განწყობით. მათ აგრეთვე გამოავლინეს ასიმილაციის და კონტრასტის ეფექტი სოციალურ მსჯელობაში. შეფასებით მსჯელობაში კონტრასტ-ასიმილაციის ფაქტმა Sharif-ს და Hovland-ს მისცა შესაძლებლობა ვარაუდის გამოთქმისა, რომლის მიხედვით დამარწმუნებელი ცნობის შეფასებაც უნდა ექვემდებარებოდეს იმ კანონზომიერებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა თანაბარი ინტერვალების სკალის აგების შემთხვევაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დებულება, რომელიც ეძლევა სკალის აგების პროცესში ექსპერტს შეფასების თვალსაზრისით შესაძლებელია არსებითად განსხვავდებოდეს დამარწმუნებელი ცნობისაგან, რომელიც ეძლევა ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდის პირს. დამარწმუნებელი ცნობა გარკვეული შინაარსის მქონე ინფორმაციაა, მასში მოცემულია გარკვეული სახის არგუმენტაცია განწყობის ობიექტის შესახებ, იგი ცდის პირისაგან მოითხოვს ინტელექტუალურ დაძაბვას, რათა ამ უკანასკნელმა გაიგოს და გაიაზროს შინაარსი. უფრო ხშირად ასეთ ინფორმაციაში გარკვეული სახის დასკვნა არ არის გაკეთებული. იგი ლოგიკურად გამომდინარეობს შინაარსიდან. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი სახის ინფორმაციის აღქმას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომელიც შესაძლებელია არ ექვემდებარებოდეს ერთი, ცალკეული დებულების ანუ წინადადების შეფასების კანონზომიერებას. ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ უფრო ზუსტად შეგვესწავლა ინფორმაციის შეფასების როლი სოციალური განწყობის შეცვლაში.

კომუნიკატორული წინააღმდეგობის ექსპერიმენტული შექმნის ორი ძირითადი ხერხი არსებობს. ერთი მხრივ, შეიძლება გაიზომოს ცდის პირთა საწყისი პოზიციები, ამის შემდეგ მათ ეძლევათ დამარწმუნებელი ცნობა. რაც უფრო დიდი იქნება ინდივიდის საწყის პოზიციასა და დამარწმუნებელ ცნობაში მოცემულ პოზიციას შორის სხვაობა, მით უფრო დიდი იქნება კომუნიკატორული წინააღმდეგობა. მეორე ხერხი გულისხმობს შემდეგს: ცდის პირებს უნდა გააჩნდეთ ერთნაირი საწყისი პოზიციები; გაზომვის შემდეგ მათ ეძლევათ სხვადასხვა სახის დამარწმუნებელი ცნობები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან განწყობის ობიექტის შესახებ მსჯელობის რაგვარობით, სკალური პოზიციის თვალსაზრისით — დადებითიდან ნეიტრალურის გავლით უარყოფამდე. ასეთი ინფორმაციების გამოყენებით შესაძლებელია შევქმნათ კომუნიკატორული წინააღმდეგობის რამოდენიმე საფეხური. კომუნიკატორული წინააღმდეგობის შესწავლის დროს მკვლევარების მიერ ძირითადად სწორედ ეს ორი ხერხი გამოიყენება.

ჩვენ შევიმუშავეთ კომუნიკატორული წინააღმდეგობის შექმნის კომბინირებული ვარიანტი, რომელიც გულისხმობს როგორც ცდის პირთა სხვადასხვა საწყისი პოზიციების გათვალისწინებას, ასევე რამოდენიმე სახის ინფორმაციის გამოყენებას. ინფორმაციების შედგენის დროს ჩვენ ვცდილობდით ყოველ მათგანში ისეთი სახის არგუმენტაცია გამოგვეყენებინა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ყოველი ინფორმაციისათვის მოგვენახა შესატყვისი პოზიცია სკალის კონტინიუმზე. ამავე დროს ცხადია, რომ ექსპერიმენტატორის მიერ შედგენილ ინფორმაციებს მხოლოდ ინტუიტიური რანჟირების პრეტენზია გააჩნია; ამიტომ საჭირო იყო ყოველი ინფორმაციისათვის გაგვეზომა სკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური პოზიცია, რაც მოგვცემს კომუნიკატორული წინააღმდეგობის უფრო ზუსტი დახასიათების შესაძლებლობას. ამის გარდა უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი გარემოება: ინფორმაციებისათვის შესატყვისი სკალური პოზიციების მონახვა შესაძლებელია მათი კატეგორიზაციის ანუ კლასიფიკაციის მეშვეობით, რომელსაც ანხორციელებს ექსპერტი. ამ შემთხვევაში ყოველი ინფორმაციის შეფასება ხდება დანარჩენ ინფორმაციათა კონტექსტში. ასეთნაირად სკალირებული ინფორმაციები შემდგომ გამოიყენებიან ექსპერიმენტულ სიტუაციაში. ხოლო ამ უკანასკნელის სპეციფიკას შეადგენს ის ფაქტი, რომ ამჯერად ცდის პირს ეძლევა მხოლოდ ერთი რომელიმე ცალკეული ინფორმაცია, რომლის შეფასება ხდება დანარჩენი ინფორმაციების კონტექსტის გარეშე. ასეთი ვითარების გამო შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ ინფორმაციის შეფასება განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით თუ როგორ პირობებში ფასდება იგი. ინფორმაციის შეფასებაში არსებულმა განსხვავებამ შეიძლება მოგვცეს კომუნიკატორული წინააღმდეგობის ორი ტიპი.

კონტექსტის ფაქტთან ჩვენ საქმე გვაქვს აგრეთვე განწყობის სკალის აგების დროს, სადაც ხორციელდება მიწოდებული მასალის, ანუ გარკვეული სახის ინფორმაციის (დებულებები განწყობის ობიექტის შესახებ) კლასიფიკაცია. ჩვენი აზრით ეს ვითარებაც იმსახურებს ყურადღებას, რადგან მას გარკვეული თეორიული ღირებულების გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიღებული სკალის სანდოობის დადგენაში.

ბუნებრივ სიტუაციაში თითქმის ყოველი დამარწმუნებელი ცნობა ანუ ინფორმაცია მიეწერება კომუნიკატორს. ეს უკანასკნელი ერთმნიშვნელოვნათ არ აღიქმება ამა თუ იმ მიმღების მიერ. დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში ყოველ კომუნიკაციის აქტში გარკვეულ მნიშვნელობას თამაშობს კომუნიკატორის ესა თუ ის მახასიათებელი. ჩვენ გადავწყვიტეთ კომუნიკაციის ამგვარ სიტუაციაში შემოგვეტანა კომუნიკატორის სანდოობის creaibility მახასიათებელი, რომელსაც ლიტერატურაში ეწოდება პრესტიჟის ფაქტორი. კომუნიკატორის სანდოობის ექსპერიმენტული მანიპულაცია გულისხმობს შემდეგს: ერთ შემთხვევაში ინფორმაცია მიეწერბა დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე ინფორმაცია მიეწერება მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს. კომუნიკატორის ასეთი მახასიათებლის შემოტანა ექსპერიმენტულ ჯგუფს ყოფს ორ ქვეჯგუფად: დიდი პრესტიჟის ჯგუფი და მცირე პრესტიჟის ჯგუფი.

როგორც ვხედავთ გამოკვლევა მრავალფაქტორიანია, სადაც უნდა გაირკვეს კომუნიკატორული წინააღმდეგობის, კომუნიკატორის სანდოობის და ინფორმაციის შეფასების ურთიერთკავშირის გავლენა სოციალური განწყობის შეცვლაზე.

2. **დებულებათა კონტექსტის როლი მიწოდებული მასალის კლასიფიკაციაში განწყობის სკალის აგების დროს.** ჩვენს გამოკვლევაში გამოყენებულია სოციალური განწყობა ექიმების მიმართ. სკალა ავაგეთ Thurstone-ის ე. წ. თანამიმდევარი ინტერვალების მეთოდით. ამ მეთოდით სკალის აგების მათემატიკური მოდელი ჩვენს მიერ დაწვრილებით განხილულია სხვა ნაშრომში. აქ შევჩერდებით მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან შეფასებით მსჯელობასთან ანუ დებულებათა კლასიფიკაციის პროცესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Thurstone-ის ზოგადი მეთოდის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ექსპერტების მიერ განწყობის ობიექტის შესახებ მოცემულ დებულებათა კლასიფიკაცია. ასეთი კლასიფიკაციის საფუძველზე ყოველი დებულებისათვის ვითვლით შესაბამის სკალურ ღირებულებას. ამ პროცესთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ ორი საკითხი. როგორც აღვნიშნეთ სკალის აგების დროს ექსპერტები აჯგუფებენ მიწოდებულ მასალას. ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ დებულებათა შეფასება განსაზღვრულია, როგორც მიწოდებული მასალის რაოდენობით[2], ასევე მასალის მიწოდების წესით, რიგით[3]. ჩვენი აზრით ასეთ მონაცემებს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს განწყობის სკალის აგების დროს.

განწყობის ფონალურ სკალაში დებულებათა რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტად მცირდება იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც თავდაპირველად ეძლევათ ექსპერტებს. ასეთი შემცირება გამოწვეულია ორაზროვანი წინადადებების ამოვარდნით. ამ ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას შემდეგი საკითხი: ერთია, როდესაც დებულებათა კლასიფიკაცია ხდება დებულებათა დიდ კონტექსტში, ხოლო მეორეა, როდესაც იგივე პროცესი ხორციელდება დებულებათა მცირე კონტექსტში. მეორე საკითხი შეეხება შემდეგ ვითარებას: ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ექსპერტებს დებულებები მივაწოდოთ გარკვეული წესით, ისე, რომ მათ არ შეეძლოთ მოცემული დებულების შედარება ყველა სხვა დებულებებთან ანუ განახორციელოს კლასიფიკაცია მთლიანი კონტექსტის გარეშე, ხოლო მეორე შემთხვევაში მივცეთ მათ ამის შესაძლებლობა.

განწყობის სკალის აგებაში და დებულებათა კონტექსტის როლის გამოკვლევაში მონაწილეობდა 90 ექსპერტი, ცდის პირი. დებულებათა კონტექსტის როლის შესწავლისათვის თავდაპირველად ექსპერტებს შესაფასებლად მივაწოდეთ ორმოცდასამი დებულება, ეს დებულებები წინასწარ შევარჩიეთ ათი ექსპერტის მონაცემების მიხედვით. ამ უკანასკნელებს ვთხოვეთ შეედგინათ დებულებათა წყება ექიმების შესახებ, რომელთა რანჟირება შესაძლებელი იქნებოდა ცხრა კატეგორიად. მიღებული მასალიდან შევარჩიეთ შემდეგი დებულებები:

1. ექიმის პროფესია საუკეთესოა ყველა პროფესიათა შორის;
2. ყველა პროფესიათა შორის ექიმობა ყველაზე მნიშვნელოვანია;
3. ექიმის საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის;
4. ექიმის პროფესია ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობას;
5. ექიმი დიდ სამსახურს უწევს ხალხს;
6. ექიმის პროფესია ყველაზე ჰუმანურია;
7. ჩემს წინაშე რომ იდგეს პროფესიის არჩევის საკითხი უყოყმანოდ ავირჩევდი ექიმის პროფესიას;
8. ექიმის პროფესია ყველაზე საჭირო პროფესიაა;
9. მხოლოდ გაუნათლებელი და შეუგნებელი ადამიანი არ სცემს პატივს ექიმის პროფესიას;
10. ექიმის პროფესია ყველაზე მიმზიდველია;

---

[2] Th. Ostrom, U. S. Upshaw, Psychological Perspective and attitude, in Psychological Foundations of attitudes, by Greenwald A. b, Brock T., Ostrom, Th, H—J, 1968.

[3] А. Д. Небиеридзе, Действие установки в различных сферах психической активности, в сб. «Исследования по психологии установки, т.,—5, 1971.

11. ჩემი აზრით ექიმებს ყველა უნდა სცემდეს პატივს;
12. ჩემი აზრით ექიმების ყველას უნდა სჯეროდეს;
13. ექიმის გარეშე შეუძლებელია ადამიანის გამოჯანმრთელება;
14. ექიმობას, როგორც პროფესიას, ბევრად უფრო მეტი დადებითი მხარეები გააჩნია, ვიდრე ნაკლოვანი;
15. მე მომწონს ექიმის პროფესია;
16. ექიმის პროფესია საკმაოდ საინტერესოა;
17. მე ვფიქრობ, რომ ექიმებმა ბევრი რამ გააკეთეს ადამიანის საკეთილდღეოდ, მაგრამ უფრო მეტი გასაკეთებელი დარჩათ;
18. მე მჯერა ექიმის მკურნალობის;
19. ჩემი აზრით, საზოგადოდ ექიმის მიერ ჩატარებული მკურნალობა დადებით შედეგს იძლევა;
20. ექიმის პროფესიას უარყოფით მხარეებთან ერთად გააჩნია ბევრი დადებითი მხარე;
21. ექიმების ზოგჯერ მწამს, ხოლო ზოგჯერ არ მჯერა მათი;
22. ექიმის მიერ ჩატარებული მკურნალობა ზოგჯერ დადებით შედეგს იძლევა, ზოგჯერ იგი არაეფექტურია;
23. ექიმობა მხოლოდ საინტერესოა და მეტი არაფერი;
24. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ექიმებს მაინც არ გააჩნიათ სათანადო საშუალებები მთელი რიგი ავადმყოფობების განსაკურნავად;
25. მე ვთვლი, რომ ექიმს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ის აკეთებს;
26. მე მიმაჩნია, რომ ექიმის საქმიანობა გადაჭარბებულად არის შეფასებული ჩვენს დროში;
27. არის მრავალი სხვა პროფესია, რომელიც აშკარად სჯობია ექიმის პროფესიას;
28. ექიმის პროფესია საკმაოდ უინტერესოა;
29. ვინც ირჩევს ექიმის პროფესიას, მას ხალხის ინტერესები ნაკლებად ამოძრავებს;
30. მე მიმაჩნია, რომ ექიმი ზოგიერთი დაავადების მიმართ უსუსურია;
31. მე არ მჯერა ექიმების და არც მათი მკურნალობის;
32. დავადებათა უმრავლესობის მიმართ ექიმი უძლურია;
33. მე ეჭვის თვალით ვუყურებ ექიმის საქმიანობას;
34. ვისაც სჯერა ექიმის, მიამიტი და გულუბრყვილო ადამიანია;
35. ექიმებს დიაგნოზის დასმაც კი უჭირთ, რომ არაფერი ვთქვათ განკურნებაზე;
36. ექიმის პროფესიას არ ვურჩევ არავის;
37. მე არ მწამს ექიმების;
38. მხოლოდ გაუნათლებელ და შეუგნებელ ადამიანს სჯერა ექიმის;
39. ექიმის პროფესია ყველაზე ნაკლებ მეცნიერულ ცოდნას მოითხოვს.
40. ექიმის მკურნალობა არავითარ მეცნიერულ ცოდნას არ ემყარება, იგი მარჩიელს წააგავს, რომელიც ატყუებს გულუბრყვილო ადამიანებს;
41. ყველა პროფესიებს შორის, ექიმის პროფესია ყელაზე უმნიშვნელოა;
42. ექიმის პროფესია ყველაზე უარესია ყველა პროფესიებს შორის;
43. ექიმები ჯანმრთელობის საქმეს კი არ ემსახურებიან, პირიქით, მათი ჩარევა უფრო აუძლურებს ადამიანს.

ყველა ეს დებულება მივეცით ორმოც ექსპერტს, რომლებიც მათ ახარისხებენ ცხრა კატეგორიად. დებულებებს ვაწვდიდით ერთბაშად, არეულად, მათი წაკითხვა შემთხვევითი არჩევანის საფუძველზე ხდებოდა და არა ზემოთ მოცემული ნუმერაციით. დახარისხების შემდეგ ჩვენ ყოველი დებულებისათვის გამოვითვალეთ შესაბამისი სკალური ღირებულება. ფინალურ სკალაში დარჩა შემდეგი დებულებები: 1, 5, 11, 12, 13, 17, 20, 21, 22, 23, 25, 26, 30, 32, 33, 37, 38, 40, 41, 43. როგორც ვხედავთ მივიღეთ განწყობის გასაზომი ცხრასაფეხურიანი სკალა, რომელშიც მოცემულია ოცი კითხვა.

დებულებათა დიდი და მცირე კონტექსტის გავლენა ყოველი დებულების შეფასებაზე გამოვიკვლიეთ ორ ვარიანტად. პირველ ვარიანტში ექსპერტებს ევალებათ ყველა, ორმოცდაოთხივე დებულების დახარისხება ცხრა კატეგორიად, ამის შემდეგ ყოველი წინადადებისათვის გამოვითვალეთ სკალური ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულება. მეორე ვარიანტში სხვა ექსპერტებს (ორმოცი კაცი) მივეცით მხოლოდ თორმეტი წინადადება: 25, 5, 2, 40, 32, 37, 38, 21, 9, 11, 17, 30. ამ დებულებათა კლასიფიკაციის საფუძველზე ხელმეორედ გამოვითვალეთ თორმეტივე დებულების სკალური ღირებულება. თუ შევადარებთ დებულებათა სკალურ ღირებულებებს მიღებულს პირველ და მეორე ვარიანტში, მივიღებთ შემდეგ სურათს: ორივე ვარიანტის მაჩვენებლებს შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია — 0,97, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს შემთხვევაში დებულებათა კონტექსტის რაოდენობრივმა სხვაობამ არ მოგვცა მნიშვნელოვანი განსხვავება დებულებათა შეფასებაში.

მეორე საკითხიც, რომელიც გულისხმობს დებულებათა მიწოდების რაგვარობის შესწავლას ყოველი დებულების შეფასებაში, გამოვიკვლიეთ ორ ვარიანტად. პირველ ვარიანტში ექსპერტებს (ორმოცი კაცი) მივაწოდეთ იგივე თორმეტი დებულება (იხ. გვ. 5). იმავე თანამიმდევრობით. დებულებებს ვაწვდით ცალ-ცალკე, ყოველი მათგანი ფასდება ცხრასაფეხურიან სკალაზე. ამ შემთხვევაში ექსპერტები მიწოდებულ წინადადებებს აფასებენ კონტექსტის აღქმისა და ყოველგვარი კორექტივების გარეშე. ასეთ პირობებში ჩატარებული კლასიფიკაციის დამთავრების შემდეგ, ექსპერტებს ხელმეორედ, ერთბაშად ვაწვდით თორმეტივე დებულებას, ისე რომ, მათ დებულებათა კონტექსტის აღქმის შესაძლებლობა გააჩნიათ, მათ შეუძლიათ კლასიფიკაციაში კორექტივების შეტანა. პირველ სიტუაციაში მიღებული ყოველი დებულების შეფასების მაჩვენებელი ჩვენ შევადარეთ მეორე სიტუაციაში მიღებულ მაჩვენებელს. ეს მონაცემები მოტანილია პირველ ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ ამ ორივე ვარიანტში მიღებულ შეფასების მაჩვენებლებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი არ არის.

როგორც ვხედავთ, არც კონტექსტის რაოდენობრივმა სხვაობამ და არც დებულებათა მიწოდების რაგვარობამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა დებულებათა სკალურ ღირებულებაზე. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია რომ ასეთ შედეგს ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიღებული სკალის სანდოობის თვალსაზრისით, როგორც ვნახეთ ყოველი დებულების შეფასება კონტექსტის ფაქტორის ჩარევის მიუხედავად ხასიათდება გარკვეული სტაბილობით, რაც მიუთითებს დებულებებისათვის მიწერილ სკალური ღირებულების სანდოობაზე. ჩვენი აზრით დებულებათა კონტექსტის მნიშვნელობის კვლევას გარკვეული ღირებულება გააჩნია, რადგან იგი თვით სკალის შინაგან სტრუქტურას ეხება.

დებულებათა მიწოდების რაგვარობის მნიშვნელობა ყოველი დებულების შეფასებაში:

ცხრილი 1

| დებულება | 2 | 5 | 9 | 11 | 17 | 21 | 25 | 30 | 32 | 37 | 38 | 40 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I ვარიანტი | 1,97 | 2,55 | 2,66 | 2,42 | 3,55 | 5,27 | 5,57 | 5,62 | 6,72 | 7,45 | 8,10 | 8,10 |
| II ვარიანტი | 1,77 | 2,40 | 2,62 | 2,42 | 3,62 | 5,14 | 5,60 | 5,54 | 6,77 | 7,57 | 8,27 | 8,05 |
| სხვაობის აბს. სიდიდე | 0,20 | 0,15 | 0,04 | 0,00 | 0,07 | 0,13 | 0,03 | 0,08 | 0,05 | 0,12 | 0,17 | 0,05 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. **მეთოდი და ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა.** გამოკვლევაში ცდის პირებად მონაწილეობდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები. შესწავლა ჩავატარეთ განწყობის ორჯერ გაზომვის წესით; პირველსა და მეორე გაზომვას შორის ინტერვალი ერთი კვირა იყო. ცდის პირები დაყოფილია ორ ჯგუფად: **ექსპერიმენტული და საკონტროლო.**

ა) **საკონტროლო ჯგუფზე** ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა. ცდის პირთა რაოდენობა — 41. ექსპერიმენტატორი შედის აუდიტორიაში და თავის თავს აცნობს ცდის პირებს, როგორც ოფიციალურ პირს, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი ექიმების შესახებ. და დამატებით ეუბნება, რომ ასეთი გამოკვლევა ტარდება საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ამის შემდგომ ცდის პირებს ურიგდებათ № 1 კითხვარი. კითხვარის დარიგების შემდეგ, ცდის პირებს ევალებათ დაკვირვებით წაიკითხონ ყოველი წინადადება და ხაზი გაუსვან მხოლოდ იმ დებულებებს, რომლებსაც ისინი ეთანხმებიან, იზიარებენ. კითხვარების შევსებით მთავრდება ცდის პირველი ვარიანტი. ერთი კვირის შემდეგ ექსპერიმენტატორი შედის იმავე აუდიტორიაში და ეუბნება ცდის პირებს, რომ მოიტანა დამატებითი მასალა, რათა უფრო ნათელი სურათი მიიღოს საკვლევი საკითხის შესახებ. ამის შემდეგ ცდის პირებს ურიგდებათ კითხვარი № 2, სადაც კითხვარი № 1 შედარებით შეცვლილია მხოლოდ დებულებათა თანამიმდევრობა.

ბ) **ექსპერიმენტულ ჯგუფზე** ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა. ცდის პირთა რაოდენობა — 132. ამოცანის გაცნობა და კითხვარზე პასუხების გაცემა ისეთივეა, როგორც საკონტროლო ჯგუფში. განსხვავება მხოლოდ კომუნიკატორული წინააღმდეგობის ექსპერიმენტულ მანიპულაციაში მდგომარეობს: მანამდე სანამ ცდის პირებს დაურიგდებათ კითხვარი № 2, მათ ეძლევათ გარკვეული სახის ინფორმაცია ექიმების შესახებ. ჩვენ შევადგინეთ ოთხი სახის ინფორმაცია ანუ დამარწმუნებელი ცნობა, რომლებშიც გამოთქმულია გარკვეული აზრები მედიცინის დღევანდელი მდგომარეობისა და სამედიცინო დარგში მომუშავე ადამიანების შესახებ. ყველა ინფორმაციაში მსჯელობის საგანი ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ არგუმენტაციის რაგვარობაშია: მედიცინის დღევანდელი მდგომარეობა და ექიმის საქმიანობა შეფასებულია ან დადებითად ან უარყოფითად. ინფორმაცია წარმოადგენს თაბახის ფურცლის ოთხგვერდნახევრიან დაბეჭდილ ტექსტს. ჩვენს მიერ შედგენილი დადებითი და უარყოფითი ინფორმაციები მივეცით 15 ექსპერტს, რომლებმაც ოთხივე ინფორმაცია შეაფასეს ცხრასაფეხურიან სკალაზე. ექსპერტის ასეთი კლასიფიკაციის შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის ინფორმაციები: I — „ძალიან დადებითი“ (8) (რიცხვი მიუთითებს შეფასებით პოზიციას სკალაზე); II — დადებითი“ (6); III — „უარყოფითი“ (4); IV — „ძალიან უარყოფითი“ (2).

ამის გარდა ექსპერიმენტალურ სიტუაციაში ესა თუ ის ინფორმაცია მივაწერეთ, მივაკუთვნეთ დიდი ან მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს. მცირე პრესტიჟის მიწერა ასე ხდებოდა: ცდის პირებს ვეუბნებით, რომ ანალოგიური გამოკვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქ ცდის პირებს დავავალეთ წერილობით გამოეთქვათ თავისი აზრი ექიმების შესახებ. ამის შემდგომ ჩვენს ცდის პირებს ვეუბნებით, რომ ეხლა მათ ვთავაზობთ ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დაწერილი ტექსტის ნიმუშს, რომელიც მათ უნდა წაიკითხონ. დიდი პრესტიჟის მიწერის მანიპულაცია ასეთია: ცდის პირებს ვეუბნებით: „ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომისია სწავლობს მეცნიერების ყველა დარგის მდგომარეობას. ეხლა ჩვენ გთავაზობთ კომისიის მიერ 1970 წელში წარმოდგენილი მასალების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მედიცინის მიღწევებს". როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე სახის ინფორმაცია მიეწერება ერთ შემთხვევაში მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს, ხოლო მეორე შემთხვევაში, დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს.

ინფორმაციის წაკითხვამდე ცდის პირებს ვუხსნით მათ ძირითად ამოცანას. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინფორმაციის შეფასებას ცხრასაფეხურიან სკალაზე. ცდის პირებს ვთავაზობთ ცხრა ქულიანი შეფასების სისტემას, რომელიც რანჟირებულია უკიდურესად უარყოფითიდან უკიდურესად დადებითამდე. შეფასებითი სისტემის გაცნობის შემდეგ ცდის პირებს ვეუბნებით, რომ მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციის წაკითხვა და ამის შემდეგ ვარაუდის გამოთქმა იმის შესახებ თუ როგორ არის შეფასებული (რა ნიშანია დაწერილი) ექიმის საქმიანობა ჩვენს დროში მოცემულ მასალაში. ინფორმაციის წაკითხვისა და მისი შეფასების შემდეგ ცდის პირებს ურიგდებათ კითხვარი № 2.

ამდენად, საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით ექსპერიმენტულ ჯგუფს კითხვარი № 2 დარიგებამდე ეძლევა გარკვეული სახის ინფორმაცია ექიმების შესახებ, რომელიც მიეწერება დიდი ან მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორს; მოსულ ინფორმაციას ცდის პირი აფასებს სკალაზე.

4. **მიღებული შედეგების განხილვა.** უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფში მომხდარი განწყობის შეცვლის მაჩვენებლები. ეს შედეგი მოცემულია 2 ცხრილში.

საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების განწყობის შეცვლის ზოგადი მაჩვენებლები:

ცხრილი 2

| ჯგუფები | | საწყისი პოზიცია | შეცვლა | მნიშვნელობის დონე |
|---|---|---|---|---|
| საკონტროლო | | 1,3 | +0,1 | — |
| ექსპერიმენტული | მცირე პრესტიჟი | 1,3 | +0,2 | — |
| | დიდი პრესტიჟი | 1,0 | +0,6 | $t = 1,7$<br>$p > 0,93$ |

ცხრილში მოცემული მაჩვენებლები მიუთითებენ, რომ საკონტროლო ჯგუფში შეცვლა უმნიშვნელოა (ეს მაჩვენებელი სკალის სანდობის კარგი საბუთია). ასეთსავე უმნიშვნელო შეცვლასთან გვაქვს საქმე მცირე პრესტიჟის ჯგუფში, შეცვლა 0,2-ის ტოლია. ეს უკანასკნელი შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ცდის პირთა განწყობებზე. რაც შეეხება დიდი პრესტიჟის ჯგუფს, აქ განწყობის შეცვლის მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია: შეცვლა უდრის 0,6, სადაც $t = 1{\cdot}7$ $(P > 0{\cdot}93)$. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორმა მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ცდის პირთა განწყობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა დაწვრილებით განვიხილოთ კომუნიკატორული წინააღმდეგობა და განწყობის შეცვლა. გამოკვლევის პირველ ვარიანტში, რომელშიც სწარმოებდა სოციალური განწყობის გაზომვა ექიმების მიმართ, მონაწილეობდა 296 ცდის პირი. პირველი გაზომვის შედეგად მივიღეთ ცდის პირთა საწყისი პოზიციების გარკვეული სახის განაწილება. პირველი გაზომვის ზოგადი შედეგები მოცემულია 1 — გრაფიკზე.

ექიმების მიმართ ცდის პირთა განწყობების მიხედვით განაწილების გრაფიკული გამოსახვა.




ამ მონაცემებისა და ექსპერტების მიერ სკალირებული ინფორმაციების მეშვეობით ჩვენ ავაგეთ კომუნიკატორული წინააღმდეგობის ექსპერიმენტული სიტუაცია. გამოკვლევის მეორე ვარიანტში უკვე გათვალისწინებულია ცდის პირთა საწყისი პოზიციები, გათვალისწინებულია ინფორმაციის სკალური პოზიცია, რაც შესაძლებლობას იძლევა ვიკვლიოთ კომუნიკატორული წინააღმდეგობის რამოდენიმე ხარისხი. ექსპერტების მიერ ინფორმაციის შეფასების ნიადაგზე მიღებულ მაჩვენებელს ვუწოდეთ ინფორმაციის სკალური პოზიცია. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით შექმნილი კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხები და განწყობის შეცვლის მაჩვენებლები მოცემულია 3 ცხრილში.

პირველ რიგში განვიხილოთ მცირე პრესტიჟის ჯგუფი. განწყობის შეცვლასთან ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ორსაფეხურიანი წინააღმდეგობის დროს: შეცვლა უდრის 0,3, სადაც $t=1,7$ ($P>0,95$). ხოლო რაც შეეხება სამსაფეხურიან, ოთხსაფეხურიან და ხუთსაფეხურიან წინააღმდეგობებს, აქ შეცვლა სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციათა სკალური პოზიციების გათვალისწინებით შექმნილი კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხები და განწყობის შეცვლის მაჩვენებლები:

ცხრილი 3

| ჯგუფები | მცირე პრესტიჟი | | | | | დიდი პრესტიჟი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წინააღმდეგო-ბის ხარისხი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| შეცვლა | — | +0,3 | +0,2 | +0,0 | +0,1 | — | +0,3 | +0,6 | +0,6 | +0,8 |
| მნიშვნელობის დონე | — | t=1,7 p>0,95 | — | — | — | — | t=1,3 p>0,89 | t=4,3 p>0,99 | t=1,6 p>0,93 | t=3,3 p>0,99 |

ტისტიკურად უმნიშვნელოა. ამდენად, მცირე პრესტიჟის დროს განწყობის შეცვლა მივიღეთ მცირე კომუნიკატორული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ხოლო დიდი წინააღმდეგობის დროს განწყობის შეცვლას არ ჰქონდა ადგილი. განსხვავებულ სურათს გვაძლევს დიდი პრესტიჟის ჯგუფი. განწყობის შეცვლა მიღებულია კომუნიკატორული წინააღმდეგობის ყველა საფეხურზე: ორსაფეხურიანი წინააღმდეგობის დროს შეცვლა 0,3-ის ტოლია, სადაც $t=1{,}3$ ($P>0{\cdot}89$); სამსაფეხურიანი წინააღმდეგობის დროს განწყობის შეცვლის მაჩვენებელი ერთბაშად მატულობს, იგი უდრის 0,6, სადაც $t=4{,}3$ ($P>0{,}99$). კომუნიკატორული წინააღმდეგობის მატებასთან ერთად შეიმჩნევა შეცვლის მატების ტენდენცია: ოთხსაფეხურიანი წინააღმდეგობის დროს შეცვლა უდრის 0,6, სადაც $t=1{,}6$ ($P>0{,}93$) ხოლო ხუთსაფეხურიანი წინააღმდეგობის შემთხვევაში შეცვლა 0,8-ის ტოლია, სადაც $t=3{,}3$ ($P>0{,}99$). როგორც ვხედავთ განწყობის შეცვლის ყველაზე მცირე მაჩვენებელი მივიღეთ კომუნიკატორული წინააღმდეგობის ყველაზე დაბალ საფეხურზე, ხოლო განწყობის შეცვლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი წინააღმდეგობის უმაღლეს საფეხურზე.

ჩვენს გამოკვლევაში წინააღმდეგობისა და პრესტიჟის ფაქტორის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ თვით ინფორმაციის შეფასებას. განწყობის სკალის აგების დროს ჩვენ გამოვიკვლიეთ დებულებათა კონტექსტის როლი, იგივე საკითხი ვიკვლიეთ ინფორმაციის შეფასების შემთხვევაშიც. საკითხი ინფორმაციის შეფასების კვლევის დროს შემდეგნაირად დაისვა: ერთია, როდესაც ინფორმაცია ფასდება დანარჩენ ინფორმაციებთან მიმართებაში და მეორეა, როდესაც იგივე ინფორმაცია ფასდება სხვა ინფორმაციებისაგან იზოლირებულად. როგორც ვიცით ოთხივე ინფორმაცია შეფასებულია ექსპერტების მიერ. ამ შემთხვევაში ყოველი ინფორმაციის შეფასება ხდებოდა დანარჩენების წაკითხვისა და კორექტივების დაშვების გზით. ექსპერტებისაგან განსხვავებით ცდის პირები აფასებენ მხოლოდ ერთ ინფორმაციას, ყოველგვარი შედარების გარეშე. ცხრილი 4 გვაძლევს სურათს ინფორმაციის შეფასების შესახებ, რომელსაც ახორციელებენ ერთის მხრივ ექსპერტები, მეორეს მხრივ ცდის პირები. ცხრილის მონაცემების განხილვამდე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ინფორმაციის შეფასების გადიდება-შემცირების ოდენობის მნიშვნელობა რაღაც მოსაზრებაზე უნდა დავაფუძნოთ, რადგან ამ შემთხვევაში რაიმე სტატისტიკური მაჩვენებლის მოტანა ძნელია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ შეფასებებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი (სხვაობა) სკალის ნახევარ საფეხურს აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციის შეფასება ექსპერტებისა და ცდის პირების მიერ:

ცხრილი 4

| ინფორმაცია | ექსპერტების შეფასება | ცდის პირები | |
|---|---|---|---|
| | | მცირე პრესტიჟი | დიდი პრესტიჟი |
| I | 8 | 7,4 | 6,5 |
| II | 6 | — | 5,5 |
| III | 4 | 4,2 | 4 |
| IV | 2 | 2,9 | 3,3 |

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ I ინფორმაციის შეფასება ცდის პირებმა ექსპერტებთან შედარებით მცირე და დიდი პრესტიჟის დროს შეამცირეს. მცირე პრესტიჟის ჯგუფში შემცირება 0,6-ის ტოლია, რაც სკალის ნახევარ საფეხურს უდრის, ხოლო დიდი პრესტიჟის დროს შეფასება შემცირებულია 1,5-ით, რაც სკალის ერთნახევარ საფეხურს უდრის. II ინფორმაცია მცირე პრესტიჟის ჯგუფში არ გამოგვიყენებია, ამდენად აქ შედარებით საშუალება არ გაგვაჩნია. III ინფორმაციის შეფასებაში სხვაობა ერთ შემთხვევაში უმნიშვნელოა, ხოლო მეორეში არც არის: 0,2 და 0. რაც შეეხება IV ინფორმაციას, სურათი შემდეგია: ექსპერიმენტული ჯგუფის ცდის პირებმა ექსპერტებისაგან განსხვავებით ინფორმაციის სკალური პოზიცია შეამცირეს დაახლოებით თანაბრად; ერთი საფეხურით: 0,9-ით და 1,3-ით.

ეს მონაცემები გვიჩვენებენ კონტექსტის მნიშვნელობას ძალიან დადებითი და ძალიან უარყოფითი ინფორმაციების შეფასებაში. იმის გამო, რომ სწორედ ეს ინფორმაციებია ძირითადად გამოყენებული გამოკვლევაში, ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ინფორმაციის სკალური პოზიციის გათვალისწინებით შექმნილ კომუნიკატორულ წინააღმდეგობაზე ამგვარი წინააღმდეგობის გარდა, ჩვენ უნდა განვიხილოთ წინააღმდეგობა, რომელიც შექმნილია ცდის პირების მიერ ინფორმაციის შეფასების გათვალისწინებით. 5 ცხრილში ამგვარი კომუნიკატორული წინააღმდეგობის დროს მიღებული განწყობის შეცვლის მაჩვენებლებია მოტანილი.

ცდის პირთა მიერ ინფორმაციის შეფასების გათვალისწინებით შექმნილი კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხები და განწყობის შეცვლის მაჩვენებლები:

ცხრილი 5

| ჯგუფები | მცირე პრესტიჟი | | | | დიდი პრესტიჟი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წინააღმდეგობის ხარისხი | 1 | 2 | 3 | 4—5 | 1 | 2 | 3 | 4—5 |
| შეცვლა | — | +0,4 | +0,1 | 0,0 | +0,6 | +0,6 | +0,7 | +0,7 |
| მნიშვნელობის დონე | — | t=2,2<br>p>0,98 | — | — | t=1,8<br>p>0,95 | t=2,4<br>p>0,98 | t=5,0<br>p>0,99 | t=2,8<br>p>0,99 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ მცირე პრესტიჟის დროს განწყობის შეცვლას ადგილი აქვს ორსაფეხურიანი წინააღმდეგობის შემთხვევაში, შეცვლა უდრის 0,4, სადაც t=2,2 (P>0,98). ამ ჯგუფში კომუნიკატორული წინააღმდეგობის მომდევნო საფეხურებზე განწყობა არ იცვლება.

დიდი პრესტიჟის ჯგუფში განწყობის შეცვლა მივიღეთ წინააღმდეგობის ყველა საფეხურზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის შეფასებით მიღებული წინააღმდეგობის დროს სახეზეა ერთსაფეხურიანი წინააღმდეგობის დონე, რასაც ადგილი არ ჰქონდა სკალური პოზიციით გათვალისწინებული წინააღმდეგობის შემთხვევაში. ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი წინააღმდეგობა განწყობის შეცვლის შემდეგ მაჩვენებლებს გვაძლევს: 0,6 სადაც t=1,8 (P>0,9) და 0,6, სადაც t=2,4 (P>0,98). წინააღმდეგობის უფრო მაღალ საფეხურზე შეცვლის სურათი ასეთია: 0,7, სადაც t=5,0 (P>0,99) და 0,7 სადაც t=2,8 (P>0,99). ეს მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ მცირე პრესტიჟის შემთხვევაში განწყობა შეიცვალა პატარა წინააღმდეგობის დროს, ხოლო დიდი პრესტიჟის შემთხვევაში განწყობის შეცვლა ვლინდება წინააღმდეგობის ყველა საფეხურზე; ამასთან, წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად არსებობს განწყობის შეცვლის ზრდის ტენდენცია.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ორგვარი კომუნიკატორული წინააღმდეგობის არსებობისა, ამ უკანასკნელის კავშირი განწყობის შეცვლასთან ორივე შემთხვევაში ერთი ბუნებისაა. კომუნიკატორული წინააღმდეგობის და სოციალური განწყობის ფუნქციონალური კავშირის ზოგადი სახე მოცემულია 2 — გრაფიკზე.




ა—გრაფიკი აგებულია 3 ცხრილის მიხედვით
ბ—გრაფიკი აგებულია 5 ცხრილის მიხედვით
——— მცირე პრესტიჟის ჯგუფი; — — — დიდი პრესტიჟის ჯგუფი

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური განწყობის შეცვლა დეტერმინირებულია მიმღებისა და მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთქმედების პროცესით. ასეთი ურთიერთქმედების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს მიმღების მიერ ინფორმაციის შეფასება. ვნახოთ თუ როგორ აფასებენ ინფორმაციას ზოგადად ერთი მხრივ დიდი პრესტიჟის ჯგუფის წევრები, ხოლო მეორე მხრივ მცირე პრესტიჟის. ამისათვის დავუბრუნდეთ ისევ 4 — ცხრილს. დიდმა და მცირე პრესტიჟის ჯგუფებმა გვიჩვენეს განსხვავება I და IV ინფორმაციის შეფასებაში: დიდი პრესტიჟის ჯგუფმა შეამცირა I ინფორმაციის შეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სება მცირესთან შედარებით სკალის თითქმის ერთი საფეხურით, სადაც სხვაობა 0,9 უდრის; ხოლო IV ინფორმაცია შეამცირა თითქმის ნახევარი საფეხურით 0,4-ით.

რას გვეუბნება ეს ზოგადი მონაცემი? უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცდის პირებმა აღიქვეს, როგორც ნაკლებ „გაზვიადებული“, ვიდრე მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის ინფორმაცია. როგორც ვხედავთ, ზოგადი მაჩვენებელი გვეუბნება იმას, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია პრესტიჟის ფაქტორის ჩარევის გამო ცდის პირების მიერ განსხვავებულად ფასდება. მაგრამ თავისთავად მხოლოდ ეს მონაცემი ბევრს ვერაფერს გვეტყვის კომუნიკატორული წინააღმდეგობისა და განწყობის შეცვლის კავშირის შესახებ. ამ საკითხის შესახებ უფრო ნათელ სურათს გვაძლევს 6 — ცხრილი. ეს ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ არის დამოკიდებული ინფორმაციის შეფასება ცდის პირის საწყის სკალურ პოზიციაზე, ხოლო თვით შეფასება დაკავშირებულია განწყობის შეცვლის მაჩვენებლებთან. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ I და IV ინფორმაციების გამოყენებით მიღებულ მაჩვენებლებს, რადგან სწორედ ეს ინფორმაციები გამოვიყენეთ ცდის პირთა უმრავლესობასთან. ცხრილის მონაცემების განხილვამდე უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე.

როდესაც ლაპარაკია ფსიქოფიზიკურ ცდებში კონტრასტ-ასიმილაციის ფაქტზე, ეს პროცესი ზუსტად იზომება, რასაც განაპირობებს თვით მოსული ინფორმაციის რაგვარობა. ამ შემთხვევაში ფიზიკურ საგნებს შორის არსებული მიმართება. კონტრასტი და ასიმილაცია იზომება ობიექტური მიმართების გათვალისწინებით, რაც შეუძლებელია განხორციელდეს სოციალური მსჯელობის პროცესის დროს. სოციალური მსჯელობის დროს კონტრასტ-ასიმილაციაზე ლაპარაკობენ[4] იმისდა მიხედვით თუ ინფორმაცია ცდის პირმა სხვებთან შედარებით „წამოსწია“ თავისი პოზიციის მიმართულებით, მაშინ საქმე გვაქვს ასიმილაციის ფაქტთან, ხოლო თუ ინფორმაცია „გასწია“ თავისი პოზიციის საპირისპირო მიმართულებით — კონტრასტთან. შეფასებაში კონტრასტ-ასიმილაციის ათვლის წერტილად ჩვენ გამოვიყენეთ ცდის პირების მიერ ინფორმაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელი.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მცირე პრესტიჟის ჯგუფში დადებით (+1) პოზიციაზე მყოფი ცდის პირები I ინფორმაციას აფასებენ ასიმილაციურად (0,5), ხოლო განწყობას არ იცვლიან; აგრეთვე ასიმილაციურად შეაფასეს ინფორმაცია ნეიტრალური პოზიციის ცდის პირებმა (0,2), ხოლო ამასთან ერთად შეიცვალეს განწყობა: 0,5, სადაც $t=2,0$ ($P>9,5$); IV ინფორმაცია დადებით (+1) და დადებითი (+2) პოზიციის ცდის პირებმა კონტრასტულად აღიქვეს (0,1 და 0,3) ხოლო განწყობა არ შეიცვალეს.

დიდი პრესტიჟის ჯგუფში დადებითი (+1) და ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფი ცდის პირები I ინფორმაციას ასიმილაციურად აღიქვამენ (0,3 და 0,2), ხოლო განწყობას იცვლიან მხოლოდ ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფი ცდის პირები: შეცვლა უდრის 0,6, სადაც $t=2,4$ ($P>0,98$) IV ინფორმაცია დადებითი (+1) და დადებითი (+2) პოზიციების ცდის პირებმა შეაფასეს კონტრასტულად

---

[4] M. Sharif and C. Hovland Social judgement, New Haven and London, Yele University press, 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციის შეფასება და განწყობის შეცვლა.

ცხრილი 6

| ჯგუფები | მცირე პრესტიჟი | | | | დიდი პრესტიჟი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საწყისი პოზიცია | +1 | 0 | +1 | +2 | +1 | 1 | +1 | +2 |
| ინფორმაცია | I(7,4) | I(7,4) | IV(2,9) | IV(2,9) | I(6,5) | I(6,5) | IV(3,3) | IV(3,3) |
| ინფორმაციის შეფასება | 6,9 | 7,2 | 2,8 | 2,6 | 6,8 | 6,7 | 3,1 | 2,5 |
| განწყობის შეცვლა | +0,2 | +0,5 | 0,0 | +0,1 | +0,1 | +0,6 | +0,7 | +0,8 |
| სანდოობის დონე | — | t=2,0 p>0,95 | — | — | — | t=2,4 p>0,98 | t=2,7 p>0,97 | t=3,1 p>98 |

(0,2 და 0,8) და ორივე შემთხვევაში მივიღეთ განწყობის შეცვლა: 0,7, სადაც t=2,7 (P>0,97) და 0,8, სადაც t=3,1 (P>0,98).

როგორც ვხედავთ ორივე ჯგუფის ცდის პირების მიერ ინფორმაციის შეფასებაზე დიდ გავლენას ახდენს ცდის პირთა საწყისი სკალური პოზიცია; ცდის პირის პოზიციასთან ახლო მდებარე ინფორმაცია ასიმილაციურად ფასდება, ხოლო შედარებით შორს მდებარე ინფორმაცია კონტრასტულად. ასეთი მონაცემის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ინფორმაციის ასიმილაციური და კონტრასტული შეფასების ფარგლებზე. 6 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ რომ ინფორმაციის ასიმილაციურ შეფასებას ადგილი აქვს ორსაფეხურიანი წინააღმდეგობის ჩათვლით, ხოლო სამსაფეხურიანი წინააღმდეგობის შემდეგ ინფორმაცია ფასდება კონტრასტულად.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კონტრასტ-ასიმილაციაში მნიშვნელოვანი მაჩვენებელი მივიღეთ მხოლოდ ორ შემთხვევაში. პირველი, მცირე პრესტიჟის შემთხვევაში I ინფორმაცია დადებით (+1) პოზიციის ცდის პირებმა სკალის ნახევარის საფეხურით (0,5) „წასწიეს" თავისი პოზიციისაკენ; მეორე, დიდი პრესტიჟის ჯგუფში IV ინფორმაცია დადებით (+2) პოზიციის ცდის პირებმა თავისი პოზიციის საწინააღმდეგოდ ანუ კონტრასტულად „გასწიეს" თითქმის სკალის ერთი საფეხურით (0,8) ფაქტიურად მხოლოდ ასეთი გადაფასება შეიძლება ჩავთვალოთ კონტრასტ-ასიმილაციის ნამდვილ მაჩვენებლად, ხოლო სხვა მონაცემები მხოლოდ გარკვეული ტენდენციის მანიშნებლად უნდა მივიჩნიოთ.

დაბოლოს უნდა შევჩერდეთ ინფორმაციის შეფასებასა და განწყობის შეცვლის კავშირზე. 6 ცხრილის მონაცემები ნათლად მიუთითებენ, რომ განწყობის ასიმილაციური შეცვლა (ასიმილაციური შეცვლა ნიშნავს შეცვლას ინფორმაციის მიმართულებით) ჩვენ მივიღეთ. როგორც ინფორმაციის ასიმილაციური, ასევე კონტრასტული შეფასების დროსაც. მაგალითად IV ინფორმაციის კონტრასტული შეფასების შემთხვევაში სახეზეა განწყობის ასიმილაციური შეცვლა. ეს მონაცემი ეწინააღმდეგება კონტრასტ-ასიმილაციის თეორიას, რომლის მიხედვით ინფორმაციის შეფასების რაგვარობასა და განწყობის შეცვლას შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირი უნდა იყოს: ასიმილაციური შეფასება

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა გვაძლევდეს ასიმილაციურ შეცვლას, ხოლო კონტრასტულმა შეფასებამ ცდის პირის პოზიციის განმტკიცება ან კონტრასტული შეცვლა. ჩვენი გამოკვლევის მონაცემებში ასეთი ერთმნიშვნელოვანი კავშირი არ აღმოჩნდა. რა საკვირველია ასეთი შედეგი არსებითად არ უარყოფს ინფორმაციის შეფასების მნიშვნელობას განწყობის შეცვლის ახსნის საკითხში, იგი მხოლოდ მიუთითებს, რომ მარტო ინფორმაციის შეფასება არ არის საკმარისი განწყობის შეცვლის ახსნისათვის.

სოციალური განწყობის შეცვლის ზოგად მოდელში ინფორმაციის შეფასების როლი შესაძლებელია შემდეგნაირად დავახასიათოდ. კომუნიკაციის პროცესში, კერძოდ დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში მოსული ინფორმაცია უპირველეს ყოვლისა ფასდება ადამიანის მიერ. ინფორმაციის შეფასება განსაზღვრულია ინდივიდის საწყისი პოზიციით. ფასდება რა ინფორმაცია იგი ადამიანის მიერ აღიქმება ან შედარებით „ობიექტურად" ან „სუბიექტურად". ინფორმაციის მიღება-მიუღებლობა მარტო მისი აღქმით, შეფასებით არ ამოიწურება, რადგან ზეგავლენის არსებით მომენტს წარმოადგენს მისი გაგება, წვდომა. ჩვენს ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდის პირები კითხულობენ ინფორმაციას რათა შეაფასონ იგი, გაიგონ მისი შინაარსი, გაუწიონ ანგარიში მასში მოცემულ არგუმენტაციას. როგორც ვხედავთ სახეზეა რთული კოგნიტური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციაში მოცემული პოზიციის გათვალისწინება. კომუნიკატორული წინააღმდეგობის გათვალისწინება აზრობრივი მოქმედების სპეციფიკური პროცესია, რომელშიც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის შეფასებას, ეს უკანასკნელი არსებულ კომუნიკატორულ წინააღმდეგობას კონტრასტ-ასიმილაციის ეფექტის მეშვეობით ან გააძლიერებს ან შეამსუბუქებს.

ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. დამარწმუნებელი ცნობის სიტუაციაში დიდი პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ცვლის ცდის პირის განწყობას ინფორმაციის მიმართულებით, ხოლო მცირე პრესტიჟის მქონე კომუნიკატორის ინფორმაცია არ ცვლის განწყობას.

2. ინფორმაციის შეფასებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს მათი მიწოდების წესს ანუ კონტექსტს: სხვა ინფორმაციებთან შედარების გარეშე მოცემული ინფორმაციის შეფასება შემცირებულია, მთლიან კონტექსტში მოცემული ინფორმაციის შეფასებასთან შედარებით, რაც განაპირობებს კომუნიკატორული წინააღმდეგობის ორი ტიპის შექმნას.

3. კომუნიკატორული წინააღმდეგობა გაშუალებულია პრესტიჟის ფაქტორის ჩარევით: მცირე პრესტიჟის დროს განწყობის შეცვლასთან საქმე გვაქვს მხოლოდ პატარა წინააღმდეგობის შემთხვევაში, ხოლო დიდი პრესტიჟის დროს წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად ვლინდება განწყობის შეცვლის ზრდის ტენდენცია.

4. თუ ვიცით ინფორმაციის სკალური პოზიცია და ცდის პირის საწყისი პოზიცია, შეგვიძლია გარკვეული ალბათობით ვივარაუდოთ მიწოდებული ინფორმაციის შეფასების რაგვარობა: მცირე წინააღმდეგობის დროს ინფორმაცია ასიმილაციურად ფასდება, ხოლო დიდი წინააღმდეგობის დროს კონტრასტულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ინფორმაციის შეფასების რაგვარობასა და განწყობის შეცვლის რაგვარობას შორის პირდაპირი, ერთმნიშვნელოვანი კავშირი არ აღმოჩნდა: ინფორმაციის კონტრასტული შეფასების დროს ადგილი აქვს განწყობის ასიმილაციურ შეცვლას.

6. განწყობის შეცვლის შესახებ ვარაუდის დაშვება შესაძლებელია კომუნიკატორული წინააღმდეგობის ხარისხების გათვალისწინებით.

7. ინფორმაციის შეფასება აუცილებელი მაგრამ არასაკმარისი პირობაა განწყობის შეცვლისათვის. იგი ადიდებს ან ამცირებს კომუნიკატორული წინააღმდეგობას რასაც, განაპირობებს კონტრასტ-ასიმილაციის მექანიზმი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

ბიბლიოთეკა

ა. ჯიბუტი

# მარქსიზმ-ლენინიზმი სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის შესახებ

მწარმოებლურ ძალთა გაადგილება და სპეციალიზაცია ხორციელდება ამა თუ იმ წარმოების წესისათვის დამახასიათებელი ობიექტური ეკონომიკური კანონების მიხედვით. როდესაც იცვლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ძირეულად იცვლება აგრეთვე, მწარმოებლურ ძალთა გაადგილების ხასიათი, მიმართულება და კანონზომიერება. ამასთან, მწარმოებლურ ძალთა გაადგილების ხასიათი, რომელიც მოცემული წარმოების წესით განისაზღვრება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვით მწარმოებლურ ძალთა შემდგომ განვითარებაზე.

ფეოდალიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება შეზღუდული იყო, ხოლო წარმოების დონე — დაბალი, ქალაქად ჭარბობდა ხელოსნური წარმოება, სოფლის მეურნეობა კი მეტწილად ნატურალურ ხასიათს ატარებდა. ფეოდალური წარმოება შემოფარგლული იყო თითოეული ფეოდალური სამთავროს საზღვრებით და მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესებს ემსახურებოდა. ვაჭრობა ჯერ კიდევ ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამდენად, მწარმოებლურ ძალთა გაადგილება სავსებით შეესაბამებოდა მოცემულ წარმოების წესს, წარმოების განვითარების დონეს.

კაცობრიობის გადასვლა ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაზე აღინიშნა არა მარტო მწარმოებლურ ძალთა კოლოსალური განვითარებით, არამედ მისი ახლებურად გაადგილებითაც. შრომის კაპიტალისტური განსაზღვრება (როგორც მოცემული ქვეყნის ფარგლებში, მისი სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის, ისე საერთაშორისო მასშტაბით), წარმოების თავმოყრა მსხვილ საწარმოებში, მანქანური ტექნიკისა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება, საგარეო და შინაგანი ბაზრის წარმოშობა, საქონლის წარმოება ბაზრისათვის და საერთაშორისო ვაჭრობის გაჩაღება, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის უძრაობის, წარმოების დაქუცმაცებულობისა და კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია — ასეთი იყო ის დამახასიათებელი ნიშნები, რითაც აღინიშნა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა.

კაპიტალიზმმა სოფლის მეურნეობაში ნიადაგი გამოაცალა ფეოდალურ საუკუნეობრივ უძრაობას, მის ნატურალურ ხასიათს, წარმოების რუტინულ წესებს; სოფლის მეურნეობაში თანდათან შეიჭრა აგროტექნიკა, გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, წარმოიშვნენ ცალკეულ დარგებზე (კულტურებზე) სპეციალიზებული რაიონები და ქვეყნებიც კი. ყოველივე ამის შედეგად, სოფლის მეურნეობა უფრო მრავალმხრივი და რაციონალური, უფრო პროგრესუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გახდა, ვიდრე ფეოდალიზმის დროს. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა გამორიცხავს სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, საზოგადოებრივი შრომის დანაწილების ამ პროცესის შეგნებული, გეგმაზომიერი განხორციელების შესაძლებლობას. შრომის დანაწილების ამ პროცესის სტიქიურობისა და უთანაბრობის ნათელ მაგალითს იძლევა მწარმოებლურ ძალთა გაადგილება კაპიტალისტურ ქვეყნებში. კონკურენციისა და ანარქიის ეკონომიკური კანონის ზეგავლენით, სოფლის მეურნეობის გაადგილება და სპეციალიზაცია მიმდინარეობს სტიქიურად და მყარდება მაქსიმალური მოგებისათვის კაპიტალისტთა შორის კონკურენციულ ბრძოლაში, ის განიცდის ბაზრის მოთხოვნილების, მისი ჭირვეულობის დამღუპველ გავლენას და ამიტომ არ შეიძლება მას მყარი ხასიათი ჰქონდეს და თანაბრად განვითარდეს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროგრესული მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ, ამასთან, მიუთითებდა ამ განვითარებისა და, მაშასადამე, თვით სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის უთანაბრობაზე. „თვით თავისი ბუნების გამო კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში (ისევე როგორც მრეწველობაში), თანაბრად ვერ განვითარდება: ერთ ადგილას (ერთ ქვეყანაში, ერთ რაიონში, ერთ მეურნეობაში) ის წინ სწევს სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს, მეორე ადგილას — მეორე მხარეს და სხვ. ერთ შემთხვევაში ის გარდაქმნის განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების ტექნიკას, მეორე შემთხვევაში — სხვა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებისას, მოწყვეტს მათ პატრიარქალური გლეხური მეურნეობისაგან ან პატრიარქალური შრომამიგებით სისტემისაგან. რადგან მთელი ეს პროცესი სწარმოებს ბაზრის არსებულ მოთხოვნილებათა ხელმძღვანელობით, რომელთა შესახებ მწარმოებელს ზოგჯერ წარმოდგენაც კი არა აქვს, ამიტომ კაპიტალისტური მიწათმოქმედება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (ხშირად ყოველ ცალკეულ რაიონში, ზოგჯერ ყოველ ცალკეულ ქვეყანაშიც) წინანდელთან შედარებით უფრო ცალმხრივი ხდება, მაგრამ სამაგიეროდ საერთოდ და მთლიანად ხდება განუზომლად უფრო მრავალმხრივი და რაციონალური, ვიდრე პატრიარქალური მიწათმოქმედება“[1]. მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში ვერ უზრუნველყოფს მწარმოებლურ ძალთა გეგმაზომიერ განვითარებას.

ტექნიკის განვითარება ეხება ერთ რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს, მეორე რაიონში მეორე მხარეს, მაგრამ გვერდს უვლის დანარჩენ მხარეებს. ტექნიკური პროგრესი კი არ უზრუნველყოფს მთლიანად სოფლის მეურნეობის, მისი ყველა დარგის, ყველა რაიონში თანაბარ გაადგილებასა და განვითარებას, არამედ, განაპირობებს, ერთ შემთხვევაში, — ერთი დარგის, ხოლო მეორე შემთხვევაში — მეორე დარგის წინსვლას; ამავე დროს, სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგები მოცემულ ქვეყანაში ან მოცემულ რაიონში ხშირად საუკუნეებით ბოგინობენ. კაპიტალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის უთანაბრო გაადგილებისა და სპეციალიზაციის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ: ეგვიპტე, რომელიც სპეციალიზებული იყო მხოლოდ ბამბის წარმოებაზე; ბრაზილია — ყავის წარმოებაზე; ინდონეზია — კაუჩუკის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 362—363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებაზე; დანია — კარაქის წარმოებაზე და სხვ. სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგები ამ ქვეყნებში მეტისმეტად ჩამორჩებოდნენ.

სოფლის მეურნეობის სტიქიურ, არათანაბარ, საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინების გარეშე გაადგილებასა და სპეციალიზაციას მივყავართ ამა თუ იმ დარგში ჭარბწარმოებამდე და, ამის შედეგად, ხანგრძლივ აგრარულ კრიზისამდე; ამ სტიქიურობისა და უთანაბრობის გამო „სავაჭრო მიწათმოქმედების განსაკუთრებული სახეების გაჩენა შესაძლებელს და აუცილებელს ხდის კაპიტალისტურ კრიზისებს მიწათმოქმედებაში და კაპიტალისტური ჭარბი წარმოების შემთხვევებს"[2]. სტიქიურ გაადგილებასა და ცალმხრივ სპეციალიზაციას თან სდევს წვრილგლეხურ მეურნეობათა და ფერმერთა გაღატაკება.

მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა სპეციალიზდება ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებაზე არა მისი სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორია დღეს ბაზრის მოთხოვნილება ამ პროდუქტზე და რა მოგებას უქადის იგი დღეს კაპიტალისტ მწარმოებელს. რადგან ბაზარი დღეს ერთს მოითხოვს, ხვალ — მეორეს, კაპიტალისტური მეურნეობაც იძულებულია, ბაზრის ამ მოთხოვნილებათა მუდმივ ცვალებადობას შეეგუოს; ამიტომ კაპიტალისტური მეურნეობა დროგამოშვებით განიცდის ჭარბი წარმოებით გამოწვეულ აგრარულ კრიზისს, რაც გამანადგურებელ გავლენას ახდენს მასზე. ეს გავლენა კიდევ უფრო მწვავე ხდება, როდესაც მეურნეობა სპეციალიზებულია მრავალწლიან ნარგავთა წარმოებაზე. კრიზისი იწვევს მეურნეობის დაცემას. კრიზისის გავლის შემდეგ ერთწლიანი კულტურების (მარცვლეული, ტექნიკური კულტურები) წარმოებაზე სპეციალიზებული მეურნეობა შეიძლება ერთ-ორ წელიწადში აღორძინდეს, მაგრამ მრავალწლიან ნარგავს ამისთვის ხანგრძლივი დრო სჭირდება.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება წვრილგლეხურ, წვრილფერმულ მეურნეობებში; ამ კატეგორიის მეურნეობას არ შესწევს ერთ რომელიმე დარგზე სპეციალიზებისა და მისი ბაზრის კონიუნქტურულ ცვალებადობათა მიხედვით ხშირი შეცვლის უნარი, ამას ახასიათებს სადაზღვევო დარგების განვითარება, ე. წ. უნივერსალიზმი: თითქმის ყველა დარგის (კულტურის) განვითარება, მაგრამ უმნიშვნელო ოდენობით და უმნიშვნელო ფართობზე, — ამის შედეგად, — მას არ შეუძლია მოგვცეს საქონლური პროდუქცია მნიშვნელოვანი ოდენობით, თანაც — დაბალი თვითღირებულებით, იგი ვერ უძლებს მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა კონკურენციას და ილუპება. ამის კლასიკური მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ფერმერთა რაოდენობა 1950 წლისათვის — 1940 წელთან შედარებით, 715 ათასით შემცირდა, ხოლო 1954 წლისათვის, 1950 წელთან შედარებით კიდევ 600 ათასით[3]. აღსანიშნავია, რომ ეს შემცირება მიმდინარეობს, სახელდობრ წვრილ ფერმერთა მეურნეობის ხარჯზე მაშინ, როდესაც მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა რიცხვი იზრდება. 1964 წლისათვის მსხვილი ფერმერები (რომელთაც თვითეულს ჰქონდათ 100 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი) შეადგენდნენ მთელი ფერმერების 25,5%-ს

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 362.

[3] Кризис сельского хозяйства США и положение фермеров, М., 1955, გვ. 57—198.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისინი ფლობდნენ აშშ-ს მთელი სახმარი მიწების 80%-ს, ხოლო ამ მსხვილ ფერმერთა 4,6% (რომელთაც ეკუთვნოდათ 400 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი) თავის ხელში თავს უყრის ქვეყნის მთელი სახმარი მიწების 52,6%-ს[4].

მსხვილი კაპიტალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციას გარკვეული დადებითი მხარეც აქვს: ის შესაძლებლობას იძლევა, რომ განხორციელდეს ამა თუ იმ დარგის კომპლექსური მექანიზაცია, ცალკეული პროცესების ავტომატიზაციასთან ერთად. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია განაპირობებს პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვების, მისი თვითღირებულების შემცირებას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას; მაგრამ ვიწრო სპეციალიზაციის ზემოაღნიშნული უარყოფითი მხარე ამცირებს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობას. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ვიწრო, ცალმხრივი სპეციალიზაციის შედეგად ფერმერი მთლიანად დამოკიდებულია მსხვილ მონოპოლიაზე, რომელიც მის პროდუქციას შეისყიდის; ბანკზე, რომელიც აკრედიტებს მას; მიწათმფლობელზე, რომელიც ზღაპრულ რენტას ღებულობს მისგან მიწის ყოველ ნაკვეთზე. ასეთ პირობებში ფასების ოდნავი ცვლილებაც კი საერთაშორისო მასშტაბით არა თუ იწვევს მწარმოებელთა მეურნეობის დაცემას, არამედ სახალხო უბედურებადაც იქცევა ხოლმე.

ვიწრო, ცალმხრივი სპეციალიზაცია სრულიად გაუმართლებელია აგროტექნიკური თვალსაზრისით. ვიწრო სპეციალიზაციის დროს გამორიცხულია მეცნიერულად დამუშავებული, აგროტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული თესლბრუნვა[5]; ერთსა და იმავე ნაკვეთზე წლების განმავლობაში ერთი და იგივე პროდუქცია იწარმოება, რაც იწვევს ნიადაგის თანდათანობით გამოფიტვას, მისი სტრუქტურის დარღვევას და ბუნებრივი ნაყოფიერების შემცირებას; მცენარეთა დაავადებებისა და მავნებელთა გავრცელებას; მოსავლიანობის დაცემას, შრომისა და მატერიალურ საშუალებათა არაეფექტურად გამოყენებას. ვიწრო სპეციალიზაციის ასეთ უარყოფით მხარეზე, განსაკუთრებით — ნიადაგის მტაცებლურ ექსპლუატაციის შედეგებზე, პირდაპირ მიუთითებს ამერიკელი ეკონომისტი სტიუარტ ჩეიზი, რომელიც თავის წიგნში — „საცოდავი მდიდარი მიწა“ — წერს: „ყოველწლიურად ამერიკის მინდვრებიდან და საძოვრებიდან წყლით ირეცხებოდა 3 მილიარდი ტონა საკვები ნივთიერება, რაც 40 მილიონ ტონა ფოსფორს, კალიუმს და აზოტს შეიცავს, 300 მილიონ აკრზე მეტი — მთელი ქვეყნის ერთი მეექვსედი ნაწილი — დაიკარგა, იკარგება ან დანაკარგს იწვევს“[6]. ყველა ამ წინააღმდეგობათა გამო კაპიტალისტურ ქვეყნებს არა თუ არ შეეძლოთ (და არც შეუძლიათ), დაენერგათ მიწათმოქმედების რაციონალური სისტემა, არამედ, — როგორც ლენინი ამბობდა, — „პროგრესის თითოეულ ნაბიჯს თან ახლდა წინააღმდეგობათა წარმოშობა, რომლებიც შეუძლებელს ხდიან გამოყენებულ იქნას ახალი, მეცნიერული მიწათმოქმედების მთელი მწარმოებლური ძალები, კაპიტალიზმი ჰქმნის

---

4 Политическая экономия, под редакцией Э. Я. Брегеля и А. Д. Смирнова, М., 1971, стр. 250.

5 Вопросы размещения и специализации сельского хозяйства, Сборник статей (под редакцией Л. М. Зальцмана, Г. Г. Бадирьяна и К. П. Оболенского), М., 1957, стр. 23—24.

6 Л. М. Зельцман и др., Опыт сочетания отраслей колхозного производства, М., 1953, стр. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილ წარმოებას, კონკურენციას, რომლებსაც თან სდევს მიწის მწარმოებლურ ძალთა გაძარცვა“[7]. ამასთან, ვიწრო სპეციალიზაციის პირობებში შეუძლებელი ხდება სოფლის მეურნეობაში მუშა ძალის დასაქმება მთელი წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მათი მატერიალური უზრუნველყოფის დონეს.

ამრიგად, კაპიტალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია გამორიცხავს მეურნეობის მეცნიერულად წარმართვას, იწვევს წვრილგლეხურ მეურნეობათა (ფერმერთა) მასობრივ გაღატაკებას, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა მდგომარეობის არსებითად გაუარესებას.

მეფის რუსეთისათვის დამახასიათებელი იყო მწარმოებლურ ძალთა ჩამორჩენილობა და მათი სრულიად არათანაბარი, არარაციონალური გაადგილება. ეს ერთნაირად ეხებოდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობასაც. მეფის რუსეთში სოფლის მეურნეობის გაადგილების უთანაბრობა, მისი ხასიათი და მიმართულება გამოავლინა და ბრწყინვალედ დაასაბუთა ვ. ი. ლენინმა შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. სოფლის მეურნეობის გაადგილება და სპეციალიზაცია მეფის რუსეთში ატარებდა იმ თავისებურებათა ანაბეჭდს, რაც დამახასიათებელი იყო საერთოდ კაპიტალიზმის განვითარებისათვის. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოების კონცენტრაციის მაღალი ფორმების გვერდით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მეტისმეტად საგრძნობი იყო პატრიარქალური მეურნეობის გადმონაშთები; ეს კიდევ უფრო ძლიერი იყო განაპირა მხარეებში, სადაც მწარმოებლურ ძალთა განვითარება ძალზე ჩამორჩებოდა, რის გამოც ისინი ცენტრალური მრეწველური გუბერნიების აგრარულ სანედლეულო დანამატს წარმოადგენენ. გარდა ამისა მეფის რუსეთი, მისი საერთო ჩამორჩენილობის შედეგად, დასავლეთ ევროპის კაპიტალის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ყველა ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მეფის რუსეთში მწარმოებლურ ძალთა, — მათ შორის, — სოფლის მეურნეობის გაადგილებაზე, მის სპეციალიზაციაზე. მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის დამახასიათებელი იყო ის, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა მწარმოებელი და მომხმარებელი რაიონები ევროპული რუსეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა გუბერნიებში. დასახელებული გუბერნიები ხასიათდებოდნენ ექსტენსიური მეურნეობით და სპეციალიზებული იყვნენ მხოლოდ საქონლური პურის წარმოებაზე; ისინი პურს აწვდიდნენ მრეწველურ გუბერნიებს, ხოლო ეს უკანასკნელნი სამაგიეროდ მათ ამარაგებდნენ წარმოების საშუალებებითა და სხვა მრეწველური საქონლით.

ამრიგად, მრეწველური და მარცვლეულის წარმოებაზე სპეციალიზირებული გუბერნიები ერთურთისათვის შინაგან ბაზარს წარმოადგენდნენ. გარდა შინაგანი ბაზრისა, პურის მწარმოებლური რაიონები დაკავშირებულნი იყვნენ საგარეო ბაზართანაც, რასაც ხელს უწყობდა მათი ტერიტორიული მდებარეობა, განსაკუთრებით — შავი ზღვის სიახლოვე. ამდენად, ამ გუბერნიებში სოფლის მეურნეობის სხვა დარგები დაქვემდებარებულნი იყვნენ მარცვლეულის, — კერძოდ, — ხორბლის წარმოებაზე და მეტადაც ჩამორჩებოდნენ. ტექნიკური და

---

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, 1949, გვ. 424.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვები კულტურების განვითარებას სრულიად არ ექცეოდა ყურადღება, მეცხოველეობა სულს ღაფავდა, მის საკვებ ბაზას წარმოადგენდა მხოლოდ ბზე და ნამჯა.

ასევე სტიქიურად ჩამოყალიბდნენ სავაჭრო მიწათმოქმედებაზე ცალმხრივად სპეციალიზებული რაიონები: მეჭარხლეობისა (კიევის, ვოლინის, ჩერნიგოვის, ხარკოვის, კურსკის, ვორონეჟის, ორიოლისა და სხვა), სავაჭრო მეცხოველეობისა (ბალტიისპირეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და ზოგიერთი სხვა გუბერნია), სავაჭრო მეხილეობისა (არაშავნიადაგიანი ზოლის 19 გუბერნია), სპირტსახდელი და კარტოფილსახამებლის წარმოებისა (ცენტრალური შავნიადაგიანი ზოლის გუბერნიები); ეთერზეთებისა და ზეთსახდელი წარმოებისა (ვორონეჟისა და სარატოვის გუბერნიები, ყუბანი); მეთამბაქოობისა (სამხრეთ გუბერნიები), მებოსტნეობისა (მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა მრეწველური ცენტრების გარშემო ზოლი), მებამბეობისა (შუა აზიის რაიონი). სოფლის მეურნეობის არათანაბარი გაადგილებისა და ცალმხრივი სპეციალიზაციის შედეგად, მეფის რუსეთში არა მარტო მრეწველური ცენტრები, არამედ აგრარული გუბერნიებიც მოკლებულნი იყვნენ ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქტებს, განსაკუთრებით — პურს. ეს გუბერნიები მრეწველურ ცენტრებთან (გუბერნიებთან) ერთად წარმოადგენენ მომხმარებელ რაიონებს, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულნი იყვნენ ე. წ. მწარმოებლურ რაიონებზე; ამასთან, თითქმის სრულიად არ იყო გამოყენებული სასურსათო პროდუქტების, მათ შორის პურის წარმოების ისეთი რაიონები, როგორიცაა: ყაზახეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი ციმბირი და ა. შ.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისას, კაპიტალისტური წარმოების წესთან ერთად ისპობა მისთვის დამახასიათებელი მწარმოებლურ ძალთა გაადგილების კანონზომიერებაც, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისპობა ფაქტიურად გაადგილებული მწარმოებლური ძალები და სოციალისტური საზოგადოება თავიდან იწყებს საქმეს. სოციალისტური საზოგადოება კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით ღებულობს მწარმოებლურ ძალთა უკვე ჩამოყალიბებულ გაადგილებასა და სპეციალიზაციას, ამიტომ სოციალისტურ საზოგადოებას, ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა ახლებურად განვითარებისა და გაადგილებასთან ერთად, უხდება კაპიტალიზმის დროს მწარმოებლურ ძალთა ფაქტიურად ჩამოყალიბებული გაადგილების შეცვლა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად. მწარმოებლურ ძალთა გაადგილება და ამ გაადგილების კანონზომიერება სოციალიზმის დროს არსებითად განსხვავდება ამ პროცესებისაგან კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობამ, ამ საშუალებათა გადაცემამ საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივ საკუთრებაში შექმნა პირობები სოფლის მეურნეობის სწორი გაადგილებისა და სპეციალიზაციისათვის და, მაშასადამე, მისი რაციონალური ორგანიზაციისათვის. კაპიტალიზმის დროს სოფლის მეურნეობის არათანაბარმა, სტიქიურმა გაადგილებამ, ცალმხრივმა სპეციალიზაციამ ადგილი დაუთმო სოფლისმეურნეობრივი წარმოების გეგმაზომიერ გაადგილებასა და სპეციალიზაციას. სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი შრომის დანაწილების ეს პროცესი მიმდინარეობს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად და ემსახურება მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილების ინტერესებს; ამიტომ ეს პროცესი საბჭოთა კავშირში წარიმართება არა სტიქიურად, არამედ — გეგმაზომიერად[8].

სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის ძირითადი არსი მდგომარეობს ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა თანაბარ, გეგმაზომიერ გაადგილებასა და განვითარებაში. თანაბარი გაადგილება გულისხმობს წარმოების ამა თუ იმ დარგის გაადგილებას ადმინისტრაციული და ეკონომიკური რაიონების მიხედვით, მათი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად, იმ ვარაუდით, რომ რაიონის ბუნებრივი სიმდიდრისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საფუძველზე მოცემულ დარგში მივიღოთ მეტი რაოდენობის პროდუქცია შრომისა და მატერიალურ საშუალებათა ნაკლები დანახარჯით; ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება რაიონის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა.

სოფლისმეურნეობრივი წარმოების სწორი გაადგილებისა და სპეციალიზაციის დროს მის ცალკეულ დარგებში, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ რაიონებს შორის გარკვეული პროპორციები მყარდება. თითოეული რესპუბლიკა, მხარე, ოლქი, რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც სპეციალიზებულია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებაზე, განსაზღვრულ ადგილს იკავებს სოციალისტური ქვეყნის საზოგადოებრივ მეურნეობაში, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში; ამის შედეგად შესაძლებელი ხდება შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ეფექტურად გამოყენება, შრომითი და მატერიალური საშუალებების ეკონომია, საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლება.

წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკითხი არ არის. ეს არის ერთი და იგივე პროცესის — შრომის საზოგადოებრივი დანაწილების — ორი მხარე. შრომის დანაწილება წარმოადგენს შრომის განსაზოგადების, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის გამოვლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას. შრომის დანაწილება საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარებასთან ერთად ფართოვდება, ის წარმოადგენს თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის არსებობის აუცილებელ პირობას და ამ ფორმაციის კვალი აზის. „საყოველთაოდ ცნობილია, — აღნიშნავდა კ. მარქსი თავის წერილში ლ. კუგელმანისადმი, — რომ სხვადასხვა მოთხოვნილებათა შესაფერის პროდუქტთა მასისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის სხვადასხვანაირი რაოდენობრივად განსაზღვრული მასა. თავისთავად გასაგებია, რომ ეს საჭიროება საზოგადოებრივი შრომის გარკვეულ პროპორციებად დანაწილებისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საზოგადოებრივი წარმოების გარკვეული ფორმის მიერ მოსპობილ იქნეს; შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმა“[9].

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დროს მყარდება გარკვეული პროპორციები სახალხო მეურნეობის დარგებს შორის და თვით დარგებს შიგნით, რაც განაპირობებს ამ დარგთა გეგმაზომიერ განვითარებას. წარმოების გაადგილება ასახავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის რაოდენობრივ მხარეს და გულისხმობს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრან-

[8] Л. М. Зальцман, К. П. Оболенский, С. Г. Колеснев и Г. С. Гапоненко, Вопросы размещения и социализации сельского хозяйства СССР. М., 1962, стр. 11—12.

[9] კ. მარქსი, წერილები კუგელმანისადმი, თბ., 1933, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის და სხვ. დარგების გეოგრაფიულ-ტერიტორიულ გაადგილებას. სპეციალიზაცია კი ასახავს იმავე პროცესის თვისებრივ მხარეს და, თავის მხრივ, მოასწავებს ამა თუ იმ საწარმოს დახელოვნებას გარკვეული პროდუქტის ან პროდუქტის რომელიმე ცალკეული ნაწილის წარმოებაზე. სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის პრობლემის თეორიული საფუძვლები, მისი არსი და მნიშვნელობა მთელი მეცნიერული სიღრმით არის დამუშავებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში, ვ. ი. ლენინმა მოგვცა, სოფლის მეურნეობის რაიონების მიხედვით, სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებისა და სპეციალიზაციის პროცესის მარქსისტული ანალიზი, ყოველმხრივ დაასაბუთა ეკონომიკურ წყობათა როლი რაიონების შექმნაში და პირველმა დაამუშავა ეკონომიკური დარაიონების მეცნიერული მეთოდოლოგია, კაპიტალისტური რუსეთის სოფლის მეურნეობის რაიონების ფორმირების სპეციფიკური თავისებურებების შესწავლის მეთოდიკის ძირითადი პრინციპები[10].

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა რუსეთის ცალკეული რაიონების სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებს, რისთვისაც მან განაზოგადა რევოლუციამდელი რუსეთის ევროპული ნაწილის 50 გუბერნიის დიდძალი ფაქტობრივი მასალა და დასაბუთება მისცა სოფლისმეურნეობრივ დარაიონებას, ჩამოყალიბებულს XIX საუკუნის ბოლოს. განვითარებადი კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ფონზე, ვ. ი. ლენინმა გამოყო 9 რაიონი, რომლებიც სპეციალიზირებულნი იყვნენ ამა თუ იმ ძირითად საბაზრო (საქონლური) პროდუქციის წარმოებაზე. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ სავაჭრო მიწათმოქმედება წარმოადგენდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს, რომელსაც კაპიტალიზმი წარმოშობს. სავაჭრო მიწათმოქმედების რაიონების ფორმირების ლენინური თეორიის სისწორე სავსებით დაადასტურა სოფლის მეურნეობის განვითარების მთელმა მსვლელობამ XX საუკუნეში.

ვ. ი. ლენინი თავის „მეცნიერულ-ტექნიკური მუშაობის გეგმის მონასახში", რომელიც დაწერილი იყო 1918 წლის აპრილში, დავალებას აძლევდა მეცნიერებათა აკადემიას მრეწველობის გაადგილებისა და ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა რაციონალურად გამოყენების სისტემატურად გაუმჯობესების პრობლემის მეცნიერულად დამუშავების შესახებ. ამ წერილში ლენინს მწარმოებლურ ძალთა გაადგილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა „რუსეთში მრეწველობის რაციონალური გაადგილება ნედლეულის სიახლოვისა და შრომის უმცირესი დანაკარგის შესაძლებლობის თვალსაზრისით ნედლეულის დამუშავებიდან ნახევარფაბრიკატების დამუშავების ყველა თანამომდევნო სტადიაზე გადასვლისას, თვით მზა პროდუქტის მიღებამდე"[11].

ვ. ი. ლენინმა მრეწველობის ახლებურად გაადგილებისა და მწარმოებლურ ძალთა რაციონალურად გამოყენების შესახებ ადრე გადმოცემული დებულებები განავითარა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებში" და რიგ სხვა ნაშრომში. ამ საკითხს ვ. ი. ლენინი განიხილავდა არა აბსტრაქტულად, სხვა სა-

[10] И. С. Кувшинов, М. Н. Гумеров и Я. А. Ловков, Экономика социалистического сельского хозяйства, М., 1957, стр. 463.

[11] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, 1952, გვ. 382.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხებისაგან დამოუკიდებლად, არამედ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ქვეყნის მრავალი სხვადასხვა სიმდიდრის ფართოდ გამოყენების პრობლემასთან მჭიდრო კავშირში. ამავე დროს, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ურალის, კუზნეცკის აუზის, კავკასიის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ რაიონების სიმდიდრეთა გამუდმებულ და გეგმაზომიერ ათვისებას (რკინის მადანი, ნახშირი, ნავთობი, ტორფი, ტყე, ჰიდრორესურსები და სხვ.).

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მწარმოებლურ ძალთა რაციონალურად გაადგილებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გეგმაზომიერად გამოყენების შესახებ შემოქმედებითად განავითარა ი. ბ. სტალინმა, მან სსრ კავშირში მრეწველობის სწორი გაადგილების პრობლემა პარტიის წინაშე სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკული მშენებლობის სხვა მორიგ ამოცანათა შორის ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა: „რანაირადაც უნდა განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ საკითხს, თუ როგორ გავაადგილოთ სწორად მრეწველობა როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი... შემდეგ, სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სწორი გაადგილების პრობლემა, პრობლემა ჩვენი ოლქების სპეციალიზაციისა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით“[12]. ი. სტალინმა ჩამოაყალიბა კონკრეტული ღონისძიებები მეტალურგიის ახალი ბაზებისა და მანქანათმშენებელი ქარხნების მშენებლობის; დარგებისა და კულტურების მიხედვით სოფლის მეურნეობის სწორი სპეციალიზაციისა და გაადგილების შესახებ, — პირველ რიგში, — მარცვლეულის პრობლემის როგორც სოფლის მეურნეობის სწორი სპეციალიზაციის ამოსავალი პუნქტის საბოლოოდ გადაჭრის პრობლემა.

1930 წლის ივნისში საკავშირო კპ (ბ) XVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშგებაში ი. ბ. სტალინი ეხებოდა სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების პერსპექტივებს და აღნიშნავდა: „გასაგებია, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის პირობებში სპეციალიზაციის სერიოზულად გატარება შეუძლებელია. შეუძლებელია, ვინაიდან წვრილი მეურნეობა, როგორც მერყევი და საჭირო რეზერვებს მოკლებული მეურნეობა, იძულებულია, გააშენოს ყველა და ყოველგვარი კულტურა, რათა იმ შემთხვევაში. თუ ზოგი კულტურის დარგში დაზარალდა, შესძლოს თავის გატანა სხვა კულტურებით. გასაგებია, აგრეთვე, რომ თუ სახელმწიფოს ხელში უზრუნველყოფილი არ იქნა მარცვლეულის განსაზღვრული რეზერვები, ისე შეუძლებელია სპეციალიზაციის საქმის დაყენება. ახლა, როცა ჩვენ მსხვილ მეურნეობაზე გადავედით და უზრუნველვყავით სახელმწიფოს ხელში მარცვლეულის რეზერვები, შეგვიძლია დავისახოთ და უნდა დავისახოთ ამოცანა სპეციალიზაციის სწორი ორგანიზაციისა, კულტურების და დარგების მიხედვით. ამასთან, ამ საქმის გამოსავალი პუნქტია მარცვლეულის პრობლემის საბოლოო გადაჭრა... ვინაიდან, თუ არ გადავჭერით მარცვლეულის პრობლემა, თუ არ მოვაწყუეთ მარცვლეულის საწყობების მდიდარი ქსელი მეცხოველეობის, მებამბეობის, მეჭარხლეობის, მესელეობის, მეთამბაქოეობის რაიონებში, ისე შეუძლებელი იქნება მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების წინ წაწევა, შეუძლებელი იქნება კულტურებისა და დარგების მიხედვით ჩვენი ოლქების სპე-

[12] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, თბ., 1950, გვ. 353—354.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალიზაციის მოწყობის უზრუნველყოფა[13]. ი. ბ. სტალინის ამ მითითების განხორციელებამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და სახელმძღვანელო დირექტივას წარმოადგენს.

სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონის გამოყენება განაპირობებს ქვეყნის შიგნით მწარმოებლური ძალების გაადგილებასა და განვითარებაში უთანაბრობისა და დისპროპორციების თავიდან აცილებას; ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი ამბობდა: „მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელიც თავის მწარმოებლურ ძალებს ერთმანეთს ჰარმონიულად უთანხმებს ერთი დიდი გეგმის მიხედვით, შეუძლია მრეწველობას ნება დართოს ისე გაიშალოს (გაადგილდეს ა. ჯ.) მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც ეს ყველაზე უფრო მარჯვე და მოხერხებული იქნება მისი საკუთარი განვითარებისათვის და შენარჩუნებისათვის და, აგრეთვე, წარმოების სხვა ელემენტების განვითარებისათვის[14].

ამრიგად, სწორედ მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში არის შესაძლებელი მთელი სახალხო მეურნეობისა და მისი შემადგენელი ნაწილის — სოფლის მეურნეობის — რაციონალური გაადგილება და სპეციალიზაცია.

სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდის დამთავრების შემდეგ, — კომუნისტური პარტიის X ყრილობიდან მოყოლებული, — მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარების, მისი სწორი გაადგილებისა და სპეციალიზაციის პრობლემა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო მეტი ზრუნვის საგანი გახდა. პარტია ყოველთვის მიუთითებდა ამ პრობლემის აქტუალობაზე, მისი წარმატებით გადაჭრის აუცილებლობაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მითითებებმა მწარმოებლური ძალების სწორი გაადგილებისა და სპეციალიზაციის შესახებ თავისი ასახვა ჰპოვეს კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და პლენუმების დადგენილებებში, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა სადირექტივო გადაწყვეტილებებში.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ღირსშესანიშნავი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბდა სოციალისტური ქვეყნის მეურნეობრივი მშენებლობის დიადი პროგრამა, იყო ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით შედგენილი რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა, „გოელროს“ გეგმა, რომელიც, ქვეყნის ელექტროფიკაციასთან ერთად, ითვალისწინებდა რიგი პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებას უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რაიონების მიხედვით მრეწველობის წამყვანი დარგების გაადგილებისათვის. უფრო გვიან, სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, პარტიის მე-XVI ყრილობამ (1930 წ.) დაწვრილებით განიხილა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა გაადგილების პრობლემა, დასახა ღონისძიებები მისი წარმატებით გადაჭრის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ საკ. კპ (ბ) XVI ყრილობამ დაავალა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიას, რომ დაემუშავებინა სოფლის მეურნეობის რაციონალური გაადგილების საკითხი სსრ კავშირის ტერიტორიაზე დარგებისა და კულტურების მიხედვით; აგრეთვე

[13] იქვე, გვ. 354—355.

[14] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 351—355.

საკითხები: ნაკლებხელსაყრელი კულტურების უფრო ხელსაყრელი კულტურებით შეცვლისა, უმნიშვნელოვანესი სასურსათო და ტექნიკური კულტურებით სსრ კავშირის მოთხოვნილების დამოუკიდებელი დაკმაყოფილების უზრუნველყოფისა, ენერგიის ადგილობრივი წყაროების მიწათმოქმედებაში მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ყრილობამ მიუთითა სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მკვეთრი აღმავლობისა და მათს მართებულ გეოგრაფიულ-ტერიტორიული გაადგილების აუცილებლობაზე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

სკკპ XVII ყრილობაზე (1934 წ.) მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებული იყო დაწვრილებითი ღონისძიებები მწარმოებლურ ძალთა გაადგილებისა ახალ, — განსაკუთრებით, — აღმოსავლეთისა და ყაზახეთის რაიონებში; ამ ღონისძიებათა მიზანს შეადგენდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის შემდგომი სწრაფი ტემპით აღმავლობის უზრუნველყოფა, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცება: „მეორე ხუთწლედში მწარმოებლურ ძალთა გაადგილების დადგენილი პროგრამა უზრუნველყოფს ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრას, მწარმოებლურ ძალთა უფრო თანაბარზომიერ გაადგილებას და მრეწველობის მიახლოებას ნედლეულის წყაროებთან, ძირითადი რაიონების სპეციალიზაციას სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით, ქვეყნის ეკონომიური დარაიონების დამთავრებას მთლიანად“.

ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა სწორი გეოგრაფიულ-ტერიტორიული გაადგილების საკითხი, კვლავ იდგა XVIII პარტიული ყრილობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში და ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩათვალა ახალ მშენებლობათა გაადგილება იმ ვარაუდით, რომ მრეწველობა კიდევ უფრო მიუახლოვდეს ნედლეულის წყაროსა და მოხმარების ადგილებს, არარაციონალური მეტისმეტად შორეული გადაზიდვების, თავიდან ასაცილებლად აგრეთვე, სსრ კავშირის წინად ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონების აღმავლობისათვის.

მწარმოებლურ ძალთა — მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის — ქვეყნის ეკონომიკური რაიონების მიხედვით გეგმაზომიერად გაადგილების საკითხების აქტუალობა გაიზარდა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდშიც; ამასთან დაკავშირებით, სკკ პარტიის ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია არა ერთი სადირექტივო დადგენილება. 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე, აგრეთვე, იმავე წლის აპრილში მიღებულ დადგენილებაში მეურნეობის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებად ჩათვალეს არასწორი სპეციალიზაცია, მიწის ფონდების არარაციონალურად გამოყენება. სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილების საკითხს სერიოზული ყურადღება დაუთმეს პარტიის შემდგომმა ყრილობებმაც.

სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის შესახებ აღნიშნულია, რომ „განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული გაადგილება ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და რაიონების მიხედვით, მისი უფრო ღრმა და მყარი სპეციალიზაცია; უპირატესად გაიზარდოს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც საუკეთესო პირობებია და რითაც მიღწეული იქნება დანახარჯების რაც შეიძლება მეტი ეკონომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაინერგოს, ადგილობრივი პირობებისა და თითოეული მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ყველაზე ეფექტიანად გამოყენების საუკეთესო სტრუქტურას, მცირეშემოსავლიანი და ნაკლებფასიანი კულტურების შეცვლას უხვმოსავლიანი და ძვირფასი კულტურებით"[15]. პარტიის პროგრამის ამ მითითებაში მოცემულია სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და გაადგილების პრობლემის სწორი მიმართულება და მისი განხორციელების ძირითადი შინაარსი.

1965 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება — სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების (მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სისტემები, შესაბამისი მანქანათა სისტემებით) სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების პირობებთან შეხამებით შემუშავების შესახებ.

1956—1960 წწ. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ფართოდ გაშალეს მუშაობა სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის პრობლემის დამუშავებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში სკკპ XXIII და XXIV ყრილობებმა კიდევ უფრო გაამახვილეს ყურადღება სოფლისმეურნეობრივი წარმოების რაციონალური გაადგილებისა და სწორი სპეციალიზაციის საკითხებზე. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იყო და არის ძველი მრეწველური და სოფლისმეურნეობრივი ცენტრების ყოველმხრივ განვითარებისაკენ. მწარმოებლური ძალების სწორი გაადგილებისა და სპეციალიზაციის განხორციელებისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა ადასტურებს, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა დარგების თანაბარი განაწილება რესპუბლიკებსა და ეკონომიკურ რაიონებს შორის, ძველი ცენტრების განმტკიცებასთან ერთად სოფლისმეურნეობრივი წარმოების ახალი ცენტრების შექმნა; ამ განვითარებისათვის უფრო დამახასიათებელია აღმოსავლეთისაკენ გაადგილების ტენდენცია. წინათ მარცვლეულის ძირითადი ბაზა იყო ყუბანი, ჩრდილოეთ კავკასია და, განსაკუთრებით, უკრაინა; უკრაინა ჩვენი ქვეყნის ბეღლად ითვლებოდა, ის აბარებდა სახელმწიფოს საქონლური პურის დიდ ნაწილსაც. ამჟამად სურათი არსებითად შეცვლილია, საქონლური პურის წარმოებაში პირველი ადგილები უკვე რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთს უკავიათ. ამჟამად შაქრის ჭარხალი ითესება არა მარტო შაქრის წარმოების ძველ ცენტრებში: უკრაინასა და ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში, არამედ — ჩრდილოეთ კავკასიაში, დასავლეთ ციმბირში, ყაზახეთში, საქართველოში, მოლდავეთში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ყირგიზეთში და ბევრ სხვა ოლქსა და ეკონომიკურ რაიონში. ფართოდ განვითარდა მეკარტოფილეობა და მებოსტნეობა როგორც ძველი, ისე ახალი მრეწველური ცენტრებისა და მსხვილი ქალაქების გარშემო;

---

15 სკკპ პროგრამა, თბ., 1961, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების წარმოების სრულიად ახალი რაიონები; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, აგრეთვე, მეცხოველეობის განვითარებისა და გაადგილების საქმე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების სრული გათვალისწინებით.

მწარმოებლურ ძალთა — სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების — გაადგილების რაოდენობრივ მხარესთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დარგების გაადგილება ახალ, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის რაიონებში — განაპირობებს კაპიტალური დაბანდების მაღალ ეფექტურობას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას. სკკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებმა მწარმოებლურ ძალთა თანაბარი, გეგმაზომიერი გაადგილებისა და განვითარების სფეროში უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა შორის მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული განვითარების უთანასწორობის ლიკვიდაცია.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. გელხვიიძე

# ფილიპე გოგიჩაიშვილი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს აგრარული წყობილების შესახებ

ფილიპე გოგიჩაიშვილის მეცნიერულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რევოლუციამდელი საქართველოს აგრარული საკითხის შესწავლას XX საუკუნის დასაწყისიდან.

საქართველო აგრარული ქვეყანა იყო დასამუშავებელი მიწის მეტად მცირე ფონდით, მცირემიწიანობის გამო მოსახლეობა უზრუნველყოფილი არ იყო მიწით[1]. ფ. გოგიჩაიშვილს როგორც სამშობლოს დიდ პატრიოტსა და ჭეშმარიტ მეცნიერს არ შეეძლო საქართველოს აგრარული საკითხისადმი გულგრილობა, მან 1900-იან წლებში ქართულ პრესაში გამოაქვეყნა მრავალი პუბლიცისტური წერილი და ეკონომიკური ხასიათის შრომა, ხოლო 1903 წელს აგრარულ საკითხსვე მიუძღვნა ფუნდამენტალური გამოკვლევა[2], სადაც იგრძნობა კვლევის დიდი სიფრთხილე, ეკონომიკური მეცნიერებისა და ქართველი ხალხის ისტორიის ღრმა ცოდნა. ავტორს, უხვი ფაქტობრივი მონაცემების გაანალიზების შედეგად, გამოაქვს დამაჯერებელი დასკვნები.

აგრარული ქვეყნისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი წინააღმდეგობა ახლადაღმოცენებულ კაპიტალიზმსა და შუასაუკუნეობრივ ბატონყმურ მიწათმფლობელობას შორის, ამიტომ შეუძლებელი იყო ძველი ფეოდალური ურთიერთობის მსხვრევის გარეშე კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება საქართველოში ისევე, როგორც მთელ რუსეთში: „აგრარული საკითხი რუსეთში არის საკითხი ძველი, შუასაუკუნეობრივი, როგორც მემამულური, ისე ნადელური გლეხური მიწათმფლობელობის მძაფრი დამსხვრევისა, რაც აბსოლუტურად აუცილებელი გახდა ამ მიწათმფლობელობის უკიდურესი ჩამორჩენილობის გამო, იმის გამო, რომ იგი და მთელი სისტემა სახალხო მეურნეობისა, რომელიც კაპიტალისტური გახდა, სრულებით არ შეესაბამებიან ერთმანეთს“[3]. ფეოდალური ურთიერთობა ძლიერ აფერხებდა მწარმოებლურ ძალების განვითარებას, ვინაიდან „აგრარული საკითხი წყვეტს პროგრესის ბედს რუსეთში“[4]. მართალია, ი. ბ. სტალინის ეს განსაზღვრა რუსეთს ეხება, მაგრამ იგი სავსებით ვრცელდება იმ დროს რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებზეც და, მათ შორის, საქართველოზეც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმა ჩატარდა (თბილისის გუბერნიაში 1864 წლის ნოემბერი, ქუთაისის გუბერნიაში 1865

---

1 ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. II. 1968, გვ. 224.

2 Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифл., 1903.

3 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, 1951, გვ. 77.

4 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, 1947, გვ. 344.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ნოემბერი), ქართველი გლეხები გაცილებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვიდრე რუსეთის სხვა გუბერნიების გლეხები; მაგალითად, 1881 წლის კანონი დროებით ვალდებულებით ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ საქართველოს გლეხობაზე არ ვრცელდებოდა. მე-20 საუკუნის დამდეგს დროებით ვალდებული გლეხები საქართველოში შეადგენდნენ მთელი გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარს. ამ კატეგორიის გლეხებს ერთი ჰექტარი სანადელო მიწის გამოსყიდვა საშუალოდ 387 მანეთამდე უჯდებოდათ, რუსეთში კი მხოლოდ 41 მანეთამდე; გარდა ამისა, ქართველმა თავადაზნაურობამ მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ გლეხები სრულიად უმიწაწყლოდ განთავისუფლებულიყვნენ და ხიზან მდგომარეობაში დარჩენილიყვნენ სოფლად, მაგრამ მთავრობამ უარყო ქართველ თავადაზნაურთა მოთხოვნა, იმის შიშით, რომ იგი გლეხთა შფოთს გამოიწვევდა და ადვილად შეიძლებოდა ეს რევოლუციაში გადაზრდილიყო. უფრო გვიან, აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველი იყო და განსაზღვრავდა ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას[5].

მთავრობამ პრივილიგირებულ კლასს მაინც მეტი ანგარიში გაუწია საბოლოოდ და თუ რეფორმამდე თბილისის გუბერნიაში ყმა-გლეხების სარგებლობაში იყო 84 665 დესეტინა მიწა, რეფორმის შემდეგ მათ დარჩათ მხოლოდ 55 675 დესეტინა; დანარჩენი 28 986 დესეტინა მემამულეებს გადასცეს. რეფორმის შემდგომ პერიოდში თბილისის გუბერნიის მემამულეებს გლეხთა სანადელო მიწებთან შეფარდებით შვიდჯერ მეტი მიწა დარჩათ, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — ოთხჯერ მეტი[6]. თუ რეფორმამდელ გლეხთა თითოეული კომლის მფლობელობაში 5,2 დესეტინა მიწა იყო, რეფორმის შემდეგ საშუალოდ თითო კომლის სარგებლობაში რჩებოდა 3,4 დესეტინა მიწა[7]. რეფორმა საქართველოში ჩატარდა გლეხობისათვის მეტად მძიმე პირობებში. „ყბადაღებული განთავისუფლება იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას... საერთოდ 60-იანი წლების მთელმა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გაღატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დატოვა სასამართლოშიც, მართვა-გამგეობაშიც, სკოლაშიც, ერთობაშიც“[8].

რეფორმის შემდეგ საქართველოში გლეხები გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე — რუსეთში. საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის გლეხთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პროფ. პ. გუგუშვილის მიერ შედგენილი დოკუმენტებისა და მასალების კრებულში — „სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა“ — ვკითხულობთ: ამიერკავკასიის გლეხი მოსახლეობა რუსეთის შიდა გუბერნიის გლეხ მოსახლეობასთან უფრო მძიმე პირობებში იმყოფება, რადგან ჯერ კიდევ არსებობს სავალდებულო ურთიერთობა და დიდი ბეგარა მემამულეების სასარგებლოდ, განსაკუთრებით ყოფილი საქართველოს ფარგლებში, სადაც ბატონყმობიდან განთა-

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 529.
[6] О. С е м и н, «Великая годовщина, 1911, стр. 96.
[7] С. А в а л и а н и, Крестянский вопрос в Закавказье, Одесса, 1912, стр. 421.
[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 126—127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლება გატარებულ იქნა განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში მემამულეებისათვის და მეტად არახელსაყრელ პირობებში გლეხობისათვის[9].

1864 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ 1904 წლამდე 40-მა წელმა განვლო, ამ ხნის მანძილზე გლეხის მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებულა, პირიქით, — გაუარესდა; განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან გამწვავდა გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების 40 წლისთავთან დაკავშირებით 1904 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებულ სტატიაში „გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან" ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: „მთავრობას 1864 წლიდან არაფერი გაუკეთებია და ყოვლად აუტანელი ტვირთი და გაჭირვება არ შეუმსუბუქებია გლეხობისათვის, პირიქით, ისინი უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და ძლიერ ექსპლოატაციას განიცდიდნენ"[10].

1900-იან წლებში საქართველოს გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა მცირემიწიანობა. გლეხობა მიწის ძირითად ფონდს ვერ ამუშავებდა რუტინული ტექნიკის გამო, რის შესახებაც დ. ქორიძე თავის შრომაში — „მიწათმფლობელობის საკითხი საქართველოში" — სამართლიანად წერს: მიწის ეს ფონდი, რაც უვარგისია მწარმოებლური ძალების განვითარების მოცემულ საფეხურზე, შესაძლებელია ვარგისი გახდეს მწარმოებლურ ძალთა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე[11].

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, გლეხს აიძულებდა სამუშაოს საშოვნელად ქალაქში წასულიყო, მაგრამ აქაც ჭირდა სოფლიდან ჩასულისათვის სამუშაოს შოვნა, რადგან მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული, და, ბუნებრივია, ქალაქის სუსტად განვითარებულ მრეწველობას არ შეეძლო სოფლიდან ჩასული გლეხი მიეღო და სამუშაოთი დაეკმაყოფილებია. გლეხს ისღა დარჩენოდა, რომ დაბრუნებულიყო სოფელში და იჯარით აეღო მიწა მემამულისაგან. მცირემიწიანობის პირობებში გლეხთა შორის გაძლიერდა კონკურენცია და მიწის საიჯარო ფასი გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხის ცხოვრების პირობები. გლეხობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ფ. გოგიჩაიშვილი 1903 წელს წერდა: „მიწაზე მოთხოვნილების გადიდებასთან ერთად გაძლიერდა გლეხთა შორის კონკურენცია, რომლებიც ეძებენ მიწას იჯარით, მიწაზე ფასი იზრდება ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეეფარდება მისი შემოსავლის ხარისხს, საიჯარო პირობებში სულ უფრო მძიმე და არახელსაყრელი ხდება გლეხობისათვის. მეურნეობაში მუდმივი დეფიციტის დასაფარავად და ბეგარის გადასახდელად გლეხს უხდება სისტემატურად მიმართოს სესხს და რადგან გლეხს მეურნეობა მისი მერყეობის გამო არ წარმოადგენს სოლიდურ გარანტიას, იგი, ბუნებრივია, ვარდება მევახშის კაბალაში. მას უგროვდება მევახშის პროცენტები, უგროვდება ვალები, მცირდება მისი გადახდის უნარიანობა და მყიდველობითი ძალა.

ამრიგად, უმთავრესად მცირემიწიანობის გამო გლეხების უმრავლესობა თანდათან ღარიბდება და ადგება პროლეტარიზაციის გზას. შარშან ზაფხულს

[9] П. В. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношении, т IV, Источники и матерялы, Тб., 1955, стр. 391.

[10] ჟურნ. „მოამბე", 1904, № 11, გვ. 97.

[11] დ. ქორიძე, მიწათმფლობელობის საკითხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1902 წ.) მე შემოვიარე გორის მაზრა და იქ მოწმე ვიყავი გლეხთა ისეთი სიღარიბისა, რომელსაც სრულებით ვერ აღწერ“[12].

ფ. გოგიჩაიშვილის დახასიათებიდან ცხადად სჩანს, თუ როგორ აუტანელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქართველი გლეხი და კონკურენციის შედეგად გადიდებული მიწის საიჯარო ფასი როგორ წყვეტდა წელში ისედაც გაჩანაგებულ გლეხობას. ასეთ ულმობელ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხობის მასობრივი პროლეტარიზაციის პროცესი გრძელდებოდა 1900-იანი წლებიდან, ვიდრე არ იფეთქა ძლევამოსილმა რევოლუციამ და არ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა მეტად სავალალო იყო, ქართველ თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა არ იშლიდა თავის კუდაბზიკობას და მთელ დღეებს ხელგაშლილ ცხოვრებაში ატარებდა, იგი არ იყო დაინტერესებული მეურნეობის რაციონალური გაძღოლით, რომელიც, უნარიან ხელმძღვანელობასთან ერთად, საჭიროებდა გარკვეული სახსრების დაბანდებას. მართალია, 1904 წლისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში მემამულეთა დაგირავებული მამულების ვალი 10 მილიონს აღემატებოდა, მაგრამ „ამოდენა ფული, — წერდა ფ. გოგიჩაიშვილი, — გაიფლანგა სრულიად უნაყოფოდ და უსარგებლოდ. უაზრო ფუფუნებაში და უმიზნო ხეტიალში“[13]. თავადაზნაურობას მეურნეობის რაციონალური გაძლიერებისათვის არც სახსრები გააჩნდა და არც უნარი შესწევდა. მართალია, საქართველოში ზოგიერთი ქართველი მემამულე შედარებით ადრე დარწმუნდა კაპიტალიზმის შემოჭრისა და ფეოდალური ურთიერთობის მსხვრევის გარდაუვალობაში და ზოგმა დაიწყო კიდეც მეურნეობის ინტენსიურად მოწყობა, მაგრამ ასეთი ძალიან ცოტა, თითზე ჩამოსათვლელი იყო.

ვალებში ჩაფლული თავადაზნაურობა, მიწების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებდა გლეხობას; ადიდებდა ღალა-იჯარას, მამულის რენტას, — მაგრამ მომატებულმა გადასახადმაც ვერ იხსნა ისინი მამულების საჯარო წესით გაყიდვისაგან. ფ. გოგიჩაიშვილი ეროვნულ უბედურებას უწოდებდა იმას, რომ ქართველ თავად-აზნაურთა თვალში გასაცემი მამულეიით მოსარგებლენი და ფაქტიური მფლობელნი უცხო ხალხი იყო მაშინ, როდესაც ჩვენი გლეხობა მიწის სიმცირის გამო აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა[14]. აღნიშნულის შესახებ მაშინდელი ქართული პრესა ძალიან ბევრს წერდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. პირველ ხანებში ზოგი ქართველი მოღვაწე და მათ შორის ფ. გოგიჩაიშვილიც, მიწის სიმცირით გამოწვეულ გლეხთა მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ გზას საგლეხო ბანკის დაარსებაში ხედავდა[15]. მაგრამ საგლეხო ბანკს ღარიბი გლეხის მდგომარეობა კი არ გაუუმჯობესებია, კი არ გაუწევია მისთვის დახმარება მიწის შეძენაში, პირიქით, მან გააუარესა გლეხის მდგომარეობა.

საგლეხო ბანკის დაარსებამ გამოავლინა მეფის მთავრობის შოვინისტური და მტაცებლური ხასიათი. „ყოველი ბანკი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საერთოდ, და საგლეხო ბანკი განსაკუთრებით, მიწის შეძენაში ეხმარება არა ყველა

---

[12] Ф. Гогичаишвили, Малоземелье среди крестьян Закавказя, стр. 21—22.
[13] ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 2, გვ. 135.
[14] გაზ. „ცნობის ფურცელი“,, 1903, № 2113.
[15] „ივერია“, 1903, № 37, გვ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს, არამედ გლეხების მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვს, მხოლოდ ბობოლებს... ღარიბი მუშა კაცის ხელში მიწა არასოდეს არ შეიძლება გადავიდეს იმიტომ, რომ მიწისათვის ფულის გადახდაა საჭირო, ხოლო ზედმეტი ფული ღარიბ გლეხობას, რა თქმა უნდა, არასოდეს არა აქვს. მიწა გადადის მხოლოდ მდიდარი, ფულიანი გლეხების ხელში, კაპიტალისაკენ“[16]. აღნიშნული ბანკის შესახებ, უფრო მოგვიანებით, ქართულ პრესაში ფ. გოგიჩაიშვილი წერდა წერილებს, მაგრამ არა დადებითი ხასიათისას[17].

ფ. გოგიჩაიშვილის მრავალი სხვა ეკონომიკური ხასიათის ნაშრომი, პუბლიცისტური წერილები და გამოსვლები ცნობილია თავის „აუჩქარებელი ობიექტურობით“ და შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დამდეგს საქართველოს აგრარული საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის; მაგრამ „ყველაფერში ზომიერებას მოყვარული“[18] ეკონომისტისა და საზოგადოებრივი მოღვაწის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ფუნდამენტური გამოკვლევა, ორ ტომად (რუსულ ენაზე) „სტატისტიკურ ცნობათა კრებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ“, რომელშიც დახასიათებულია მაშინდელი საქართველოს მწვავე აგრარული ვითარება და ნაჩვენებია, რომ საქართველო უაღრესად აგრარული ქვეყანა იყო, სადაც ნაკლებად იყო გამოყენებული მიწის ფონდი და, მცირემიწიანობის გამო, მოსახლეობა უზრუნველყოფილი არ იყო მიწით[19]. როგორც გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობისა და სოფლის ეკონომიკური ცხოვრების სხვა მხარეთა სტატისტიკური გამოკვლევის ჩასატარებლად მოუწვევიათ ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწე და ეკონომისტი ფ. გოგიჩაიშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეაგროვა და დაამუშავა ფრიად საინტერესო და დიდი სტატისტიკური მასალა“[20]. ცნობილმა მეცნიერმა ზემოდასახელებულ თავის გამოკვლევაში წარმოადგინა საქართველოს მიწათმფლობელობის ამსახველი მასალები და ამის შესახებ დიდმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ აღტაცებული რეცენზია დაწერა: „... ეს კრებული, ეს ტომი მჭერმეტყველური მოწამეა ბატონი გოგიშაიჩვილის სერიოზული ბეჯითობისა, სისტემატურის შრომის მოყვარეობისა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ყმაწვილი სწავლულები ვრცელ წერილებს უძღვნიან ბატონ გოგიჩაიშვილის კაპიტალურ შრომას“. გამოკვლევის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორს კოლოსალური შრომა გაუწევია და იგი უაღრესად დიდმნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის ისტორიის თვალსაზრისითაც და საქართველოში ეკონომიკური აზრის განვითარების თვალსაზრისითაც; „ამოდენა წიგნი, — განაგრძობს დიდი პედაგოგი, — ქართველის მიერ შედგენილი და ქართული ფულით გამოცემული, ვგონებ, მეორე არ მოიპოვება ჩვენში. გამოკვლევის საგანსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის“[21].

---

16 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, 1949, გვ. 474.

17 „მოამბე“, 1904, № 2, გვ. 141—142.

18 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19—20 სს., ტ. I, II, თბ., 1956, გვ. 708, 847.

19 ბ. ხ ა ს ი ა, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. II, 1968, თბ., გვ. 215.

20 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 192.

21 „სახალხო გაზეთი“, 1911, № 277.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. გოგიჩაიშვილის როგორც ამ, ასევე სხვა გამოკვლევების მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს: „გადაჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ გარდა ამ ფრიად სერიოზული როლისა, რაც ამ კატეგორიის მისმა შრომებმა ითამაშეს მაშინდელ პრაქტიკულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, იმათი ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიკური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარული ურთიერთობის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი“[22]. ფ. გოგიჩაიშვილის აღნიშნული გამოკვლევა შეუცვლელი და მეტად სანდო წყაროა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში აგრარული საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის. ამასთან, ეს გამოკვლევა არის პირველი და ერთად ერთი სერიოზული გამოკვლევა ქართულ სტატისტიკურ მეცნიერებაშიც[23].

ფ. გოგიჩაიშვილმა დიდი მუშაობა გასწია 1900-იან წლებში საქართველოში აგრარული საკითხის შესასწავლად, მის მიერ გამოცემული სტატისტიკური გამოკვლევა ნათელ სურათს იძლევა ამ პერიოდის საქართველოს აგრარული ურთიერთობის შესახებ; კერძოდ გამოკვლევის მასალები ეხება 1903—1906 წლებს, როდესაც თბილისის გუბერნიაში კერძო მიწათმფლობელობაში იყო 1285747,77 დესეტინა სახმარი მიწა, რაც შემდეგნაირად გამოიყენებოდა[24]:

| | | | |
|---|---|---|---|
| საკარმიდამო | 4 284,75 | დესეტინა ანუ მთელი სახმარი მიწის | 0,33% |
| ბაღ-ვენახი | 14 718,32 | „ — “ | 1,70% |
| სახნავი . . | 244 232,92 | „ — “ | 19,00% |
| სათიბი . . | 50 856,02 | „ — “ | 3,95% |
| საბალახო და საძოვარი . | 427 869,43 | „ — “ | 33,28% |
| სულ | 1 285 747,77 | | 100% |

თბილისის გუბერნიაში ვარგისი მიწების 75,65%, ანუ 972, 655,76 დესეტინა ტყეებსა (42,37%) და საბალახოებზე (33,28%) მოდიოდა; დანარჩენი, შედარებით მცირე ნაწილი (24,35%), როგორც მონაცემებიდან ჩანს, დაეთმო საკარმიდამოს, ბაღ-ვენახის, სახნავსა და სათიბს.

ამავე პერიოდში ქუთაისის გუბერნიაში 65 386 კერძო მიწათმფლობელის საკუთრებაში იყო 638 474,19 დესეტინა მიწა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყენებოდა[25]:

| | | | |
|---|---|---|---|
| საკარმიდამო | 4 340,98 | დესეტინა ანუ სახმარი მიწის | 0,68% |
| ბაღ-ვენახი . . | 12 210,32 | „ — “ | 1,91% |
| სახნავი . . . | 141 045,43 | „ — “ | 22,09% |
| სათიბი . . . . | 1 509,14 | „ — “ | 0,24% |
| ტყე . . . . | 238 727,39 | „ — “ | 37,39% |
| საბალახო და საძოვარი . . | 240 640,93 | „ — “ | 37,69% |
| სულ | 639 474,19 | | 100% |

[22] პ. გუგუშვილი, პროფ. ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი, თსუ-ს შრომები, ტ. 34, 1948, გვ. 13.

[23] ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, № 9, 1968, გვ. 16.

[24] Ф. Гогичаишвили, Сборник статистических сведении о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, 1910, стр. LXV.

[25] Ф. Гогичаишвили, Сборник статистических сведении..., стр. CX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიაშიც, მსგავსად თბილისის გუბერნიისა, კერძო მიწათმფლობელთა განკარგულებაში არსებული ვარგისი მიწების უდიდესი ნაწილი 479 368,32 დესეტინა ანუ 75,08% ნაწილდებოდა (37,39%) და საბალახოებზე (37,69%); ხოლო სახმარი მიწის შედარებით მცირე ნაწილი (24,92%) ამა თუ იმ მოსახლის პირად სარგებლობაში იყო.

ამრიგად, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მიწათსარგებლობის მონაცემებიდან ჩანს, ვარგისი მიწების უდიდესი ნაწილი (თბილისის გუბერნიაში — 75,65%, ქუთაისის გუბერნიაში — 75,08%) დათმობილი ჰქონდა ტყეებსა და საძოვრებს, რაც იმის ამსახველია, რომ 1900-იან წლებში კერძო მიწათმფლობელები ვერ იყენებდნენ მიწას ეფექტურად, ადგილი ჰქონდა ექსტენსიურ მეურნეობას. ტყეებისა და საბალახოების მთელი ფართობის (1 450 ათასი. დესეტინა) თითქმის 70% (998 ათასი დესეტინა) თავად — აზნაურთა მფლობელობაში იყო.

აგრარული ურთიერთობის არსებითი მხარეების შესასწავლად ავტორს მოყავს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ იყო ადგილ-მამული დანაწილებული საზოგადოებრივ კლასებს შორის და როგორ ჯგუფდებოდნენ თვით მიწათმფლობელები მათს საკუთრებაში მყოფი მამულების (მიწების) ფართობის მიხედვით[26]. აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორი მფლობელობას ყოფს 4 კატეგორიად[27]:

თბილისის გუბერნიაში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 დესეტინამდე | ფლობდა | 2413 | მფლობელი ანუ მფლობელთა | 86,41% |
| 100 „ | „ | 1969 | „ ———— „ | 6,97% |
| 500 „ | „ | 1403 | „ ———— „ | 4,97% |
| 500-ის ზევით | „ | 467 | „ ———— „ | 1,65% |
| სულ | | 28 251 | | 100% |

ქუთაისის გუბერნიაში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 დესეტინამდე | ფლობდა | 63 807 | მფლობელი ანუ მფლობელთა | 97,59% |
| 100 „ | „ | 1 157 | „ ———— „ | 1,77% |
| 500 „ | „ | 330 | „ ———— „ | 0,50% |
| 500-ის ზევით | „ | 92 | „ ———— „ | 0,14% |
| სულ | | 65 386 | | 100% |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში 24 413 კერძო მფლობელი ანუ 86,41% წვრილი მიწათმფლობელია, რომლის განკარგულებაშია 25 დესეტინამდე მიწა, ხოლო უმსხვილესი მფლობელი, რომელიც ფლობდა 500 დესეტინაზე მეტს, იყო 467 მფლობელი ანუ საერთო მფლობელთა 1,65%; ქუთაისის გუბერნიაში, ისევე, როგორც თბილისის გუბერნიაში 25 დესეტინამდე კერძომფლობელობა ჭარბობდა და შეადგენდა საერთო მფლობელთა 97,59%-ს, უმსხვილესი მფლობელი კი 500 დესეტინაზე მეტისა იყო 92 ანუ 0,14%.

ამრიგად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები წარმოადგენდნენ წვრილი მიწათმფლობელობის გუბერნიებს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში თბილი-

[26] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონ. განვითარება მე-19—20 სს., თბ., 1956, ტ.II, გვ. 648.

[27] Ф. Г о г и ч а и ш в и л и, Сборн. статист. сведений, стр. XIX, CXV.

 ეროვნული ბიბლიოთეკა

სის გუბერნიასთან შედარებით გაცილებით მეტი იყო წვრილი მიწათმფლობელი (თბილისში — 28 251, ქუთაისში — 65 386).

თუ როგორ არათანაბრად ნაწილდებოდა თუნდაც თბილისის გუბერნიაში 28 251 კერძო მიწათმფლობელზე 1 285 747,77 დესეტინა მიწა ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოყავს ნათელი მაგალითი: კერძო მიწათმფლობელთა მიწები საერთოდ თბილისის გუბერნიაში ცალკეულ მფლობელთა კატეგორიებზე ნაწილდებოდა შემდეგი სიდიდის მიხედვით[28]:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25 დეს-მდე მიწის მფლობელისა იყო | 62 780,27 | დეს. ანუ | 4, 89% |
| 100 „ | „ 104 344,36 | „ | 8, 10% |
| 500 „ | „ 311 701,33 | „ | 24, 24% |
| 500-ის ზევით „ | „ 806 921,81 | „ | 62, 77% |
| სულ | 1285747,77 | | 100% |

ასევე არათანაბარზომიერად იყო განაწილებული კერძო მიწათმფლობელთა შორის მიწები ქუთაისის გუბერნიაში[29]:

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 დეს-მდე მიწის მფლობელისა იყო | 179062,56 | დეს. ანუ | 28,10% |
| 100 „ | „ 54562,21 | „ | 8,50% |
| 500 „ | „ 68 371,58 | „ | 10,70% |
| 500-ის ზევით „ | „ 336 477,64 | „ | 52,70% |
| სულ | 658 471,19 | | 100% |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, წვრილი მიწათმფლობელები, რომელნიც თბილისის გუბერნიაში საერთო რაოდენობის 86,41%-ს შეადგენდნენ, კერძო მიწათმფლობელთა დიდ უმრავლესობას ეკუთვნოდნენ და ისინი ფლობდნენ 62,780,27 დეს-ს ანუ მთელი მიწების 4,89%-ს. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაშიც: წვრილი მიწათმფლობელების ხელში იყო მთელი მიწის 28,11% მაშინ, როდესაც ამ კატეგორიის მიწათმფლობელები 63 807 მფლობელთ შეადგენდნენ კერძო მიწათმფლობელთა 97,59%-ს, უმსხვილესი მიწათმფლობელებს კი (500 დესეტინის ზევით) ეკუთვნოდათ 336 477,64 დეს. მიწა ანუ მთელი მიწების 52,70%; აქედან მხოლოდ 92 მფლობელი ფლობდა ამ კატეგორიის მფლობელობაში არსებული მიწების 0,15%. თბილისის გუბერნიაში კი უმსხვილესი მფლობელები (560 დესეტ. ზევით) ფლობდნენ 806 291,81 დესეტინას ანუ მთელი მიწების 62,77%-ს.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კერძო მიწათმფლობელობა წვრილ და უმსხვილეს მიწათმფლობელობას შორის მკვეთრი განსხვავებით ხასიათდებოდა. კერძო მიწათმფლობელთა უმრავლესობა ფლობდა მიწის უმცირეს ნაწილს, ხოლო უმცირესობა კი — მიწის უდიდეს ნაწილს. თბილისის გუბერნიაში წვრილი მფლობელობა შეადგენდა 86,41%-ს და მათ ხელში იყო მთელი მიწის 4,89%[30]; საშუალო მფლობელობა — 6,97%-ის და ჰქონდათ მთელი მიწის 6,97%; მსხვილი მფლობელობა — 4,97%-ს და მათი მთელი მიწის 24,24%; უმსხვილესი მფლობელობა — 1,65%-ს და მათ ეკუთვნოდათ მთელი მიწის 62,77%. ქუთაისის გუბერნიაში მიწის მფლობელობა კატეგორიების მიხედვით შემდეგ სურათს იძ-

[28] Ф. Гогичаишвили, Сборник статист. сведений... стр. CXV.
[29] დასახ. ნაშრომი, გვ. CXIX.
[30] დასახ. ნაშრომი, გვ. XXIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეოდა[31]. წვრილი მფლობელები შეადგენდნენ 97,59%. მფლობელთა შორის მიწები შემდეგი სახით ნაწილდებოდა: წვრილი მფლობელები შეადგენდნენ მთელი კერძო მფლობელთა 97,59%-ს და ისინი ფლობდნენ მთელი მიწის 28,14%-ს; საშუალო მფლობელები — 1,77%-ს და ფლობდნენ მიწის 8,55%-ს; მსხვილი მფლობელები — 0,50%-ს და ფლობდნენ 10,70%-ს; უმსხვილესი მფლობელები — 0,14%-ს და ფლობდნენ 52,70%-ს.

ამრიგად, როგორც მონაცემებიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში წვრილი მფლობელები ფლობდნენ მიწის 4,89%-ს და შეადგენდნენ მფლობელთა 86,47%-ს, როდესაც უმსხვილესი მფლობელნი შეადგენდნენ მფლობელთა 1,65%-ს და ფლობდნენ მთელი მიწების 62,77%-ს; ხოლო ქუთაისის გუბერნიაში წვრილი მფლობელები ფლობდნენ მიწის 8,11% და შეადგენდნენ საერთო მფლობელთა 97,59%-ს მაშინ, როდესაც უმსხვილესი მფლობელები ანუ მფლობელთა 0,14% ფლობდა მთელი მიწის 52,70%-ს.

ავტორი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიმოიხილავს, თუ როგორ იყო კერძო მიწები დანაწილებული ვარგისიანობის მიხედვით მფლობელთა კატეგორიებს შორის; მაგალითად, თბილისის გუბერნიაში[32]:

| მფლობელთა კატეგორიები | ვარგისი მიწების დასახელება (%-ობით) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკარმიდამო | ბაღ-ვენახი | სახნავი | სათიბი | ტყე | საბალახო და სხვაგვარი |
| წვრილი მფლობელ. 25-მდე დეს. | 2,91 | 14,01 | 61,73 | 2,22 | 10,80 | 8,33 |
| საშუალო „ 100-მდე „ | 0,66 | 1,39 | 40,57 | 3,87 | 28,32 | 25,19 |
| მსხვილი „ 500-მდე „ | 0,29 | 0,64 | 25,32 | 3,56 | 40,02 | 30,17 |
| უმსხვილესი „ 500-ის ზევით | 0,11 | 0,18 | 10,44 | 4,25 | 47,55 | 37,46 |
| ს უ ლ | 0,33 | 1,07 | 19,00 | 3,95 | 42,37 | 33,28 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიწის უდიდესი ნაწილი (85,01%) უმსხვილესი მფლობელებისა დათმობილი ქონდა ტყეებსა და საბალახოებს, მიწის უმცირესი ნაწილი კი ეჭირა საკარმიდამოს (0,11%), ბაღ-ვენახს (0,18%) და სახნავს (10,44%); ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობა იყო წვრილ მფლობელთა კატეგორიებში, სადაც სახმარი მიწის უდიდესი ნაწილი (61,73%) გამოიყენებოდა სახნავად, ხოლო ბაღ-ვენახს ეჭირა 14,01%, საკარმიდამოს — 2,91%, ტყეებსა და საბალახოებზე კი მოდიოდა 8,33%.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დავასკვნით, რომ თბილისის გუბერნიაში წვრილ მფლობელთა ხელში დარჩენილ ვარგის მიწებში შედარებით მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ისეთი კატეგორიის სახმარ მიწებს, როგორიცაა: საკარმიდამო, ბაღ-ვენახი და სახნავი — და შეადგენდა 78,65%-ს, ხოლო უმსხვილეს მფლობელებში სახმარი მიწის უდიდესი ნაწილი 85,01% დათმობილი ქონდა ტყეებსა და საბალახოებს.

დაახლოებით ასეთივე მაჩვენებლებით ხასიათდება კერძო მიწათმფლობელობა ქუთაისის გუბერნიაში[33]:

---

[31] იქვე, გვ. GXIX.

[32] Ф. Гогичаишвили, Сборн. стат., сведений..., стр. XXVI.

[33] დასახ. ნაშრომი, გვ. XXIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მფლობელობანი სიდიდის მიხედვით და მფლობელთა კატეგორიები | სახმარი მიწები პროცენტობით მთლიანის მიმართ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკარმიდამო | ბაღ-ვენახი | სახნავი | სათიბი | ტყე | საბალახო და საძოვარი |
| წვრილი მფლობელობა (25-მდე დეს) | 2,18 | 6,00 | 57,68 | 0,59 | 27,41 | 6,14 |
| საშუალო „ (100 „ ) | 0,49 | 1,77 | 28,98 | 0,29 | 57,54 | 10,93 |
| მსხვილი „ (500 „ ) | 0,19 | 0,56 | 17,99 | 0,43 | 62,85 | 17,98 |
| უმსხვილესი „ (500-ის ზევ.) | 0,02 | 0,03 | 2,87 | — | 34,26 | 62,82 |
| ს ულ | 0,68 | 1,91 | 22,09 | 0,24 | 37,39 | 37,67 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიაშიც მიწის დიდი ნაწილი უმსხვილეს მიწათმფლობელობაში ეკავა ტყეებსა (34,26%) და საბალახოებს (62,82) მაშინ, როდესაც წვრილ მიწათმფლობელებში ტყეებზე მოდიოდა (27,41%, საძოვრებზე — 6,14%, საკარმიდამოზე — 2,18%, ბაღ-ვენახზე — 6,00%, სახნავზე — 57,68%.

ამრიგად, ქუთაისის გუბერნიაში, მსგავსად თბილისის გუბერნიისა ვარგისი მიწების უდიდესი ნაწილი (75,08%) ტყეებსა და საბალახოებზე მოდიოდა, მაგრამ ტყეებისა და საბალახოების მთელი ფართობის 97,08% ანუ 479 368 დესეტინა უმსხვილეს მიწათმფლობელებს ეჭირათ; ხოლო წვრილი მიწათმფლობელების უდიდესი ნაწილი მიწისა მოდიოდა ისეთი კატეგორიის მიწებზე, როგორიცაა: საკარმიდამო, ბაღ-ვენახი და სახნავი, — რაც შეადგენდა მთელი მიწის 65,86%-ს.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის გამოკვლევით, თბილისის გუბერნიაში ყოველი ერთი დესეტინა სახმარი მიწის საერთო შემოსავალი წვრილ მფლობელთათვის შეადგენდა 14,53 მან., საშუალო მფლობელთათვის 3,42 მან., მსხვილ მფლობელთათვის 2,11 მან. და უმსხვილეს მფლობელთათვის 1,57 მან. თბილისის გუბერნიაში კერძო მფლობელთა საერთო შემოსავალი შეადგენდა 3 101 576,03 მანეთს, რომელიც შემდეგი სახით ნაწილდებოდა მფლობელთა კატეგორიებზე[34]:

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 დესეტინამდე მიწის შემოსავალი— | 912 160,44 | მან. ანუ | 29,42% |
| 100 „_______________„ | 356 411,49 | „ | 11,50% |
| 500 „_______________„ | 657 523,66 | „ | 21,18% |
| 500 დესეტინის ზევით „ „ | 1 175 450,41 | „ | 37,90% |
| ს უ ლ | 3 101 576,03 | | 100% |

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში რაც უფრო მსხვილი იყო კერძო მამული, მით უფრო ნაკლები იყო მისი შემოსავალი; ამ დროს სოფლის მეურნეობა დამყარებული იყო გაძვალტყავებულ გამწევ პირუტყვსა და ხის კავზე, რუტინულ ტექნიკაზე, განსაკუთრებით — ბატონყმურ შრომაზე. მიწათმფლობელები დაინტერესებულნი არ იყვნენ მეურნეობის განვითარებით და არ შეჰქონდათ მასში არავითარი გაუმჯობესებანი.

[34] დასახ. ნაშრომი, გვ. XXVIII.

ქუთაისის გუბერნიაში, ფ. გოგიჩაიშვილის ცნობით, ერთი დესეტინა სახმარი მიწის საერთო შემოსავალი წვრილ მფლობელობაში 8,02 მანეთს შეადგენდა, საშუალოში 3,58 მანეთს, მსხვილ მფლობელობაში 2,35 მანეთს, უმსხვილესში — 0,69 მანეთს; ხოლო კერძო მიწათმფლობელთა მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 2 023 802,90 მანეთს. აღნიშნული თანხის სხვადასხვა ნაწილს იღებდნენ სხვადასხვა კატეგორიის მიწათმფლობელები[35]:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25 | დეს-მდე შემოსავალი შეადგენდა | 1 435 331,43 | მან. | ანუ | 70,90%-ს |
| 100 | „ ——— „ | 195 159,92 | მან. | ანუ | 9,67%-ს |
| 500 | „ ——— „ | 160 991,38 | „ | | 7,95%-ს |
| 500 | დეს-ნის ზევით „ | 232 320,17 | „ | | 11,48%-ს |
| | ს ულ | 2 023 809,90 | | | 100% |

გამოკვლევაში სათანადოდაა დაჯგუფებული მიწათმფლობელთა საკუთრებაში არსებული მიწები და მათი შემოსავალი კატეგორიების მიხედვით[36].

**თბილისის გუბერნია[37].**

| | | | |
|---|---|---|---|
| მიწის 4,89%-დან | (წვრილი მფლობელები) | იღებდნენ მთელი თანხის | 29,42%-ს |
| „ 8,10%-დან | (საშუალო მფლობელები) | „ ——— „ | 11,49%-ს |
| „ 24,24%-დან | (მსხვილი მფლობელები) | „ ——— „ | 21,19%-ს |
| „ 62,77%-დან | (უმსხვილესი მფლობელები | „ ——— „ | 37,90%-ს |

**ქუთაისის გუბერნია[38].**

| | | | |
|---|---|---|---|
| მიწის 28,11%-დან | (წვრილი მფლობელები) | იღებდნენ მთელი თანხის | 70,90%-ს |
| „ 8,55%-დან | (საშუალო მფლობელები) | „ ——— „ | 9,67%-ს |
| „ 10,70%-დან | (მსხვილი მფლობელები) | „ ——— „ | 7,95%-ს |
| „ 52,70%-დან | (უმსხვილესი მფლობელები | „ ——— „ | 11,48%-ს |

ამრიგად, აღნიშნულიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში წვრილი მიწათმფლობელები, რომლებიც ფლობდნენ მთელი მიწის 4,89%-ს იღებდნენ კერძო მიწათმფლობელთა შემოსავლის 29,42%-ს მაშინ, როდესაც უმსხვილესი მემამულეები რომელთაც საერთო კერძო მიწათმფლობელობაში არსებული მიწების 62,77% ეკუთვნოდათ, იღებდნენ მთელი შემოსავლის 37,90%-ს; თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო ქუთაისის გუბერნიაში, სადაც წვრილი მიწათმფლობელები, რომლებიც ფლობდნენ მთელი მიწების 28,11%-ს იღებდნენ მთელი შემოსავლის 70,90%-ს, უმსხვილესი მიწათმფლობელები კი ღებულობდნენ შედარებით მცირეს — (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფლობდნენ კერძო მიწების 52,70%-ს), მათი შემოსავალი 11,48%-ს შეადგენდა.

ამრიგად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში წვრილ და უმსხვილეს კერძო მიწათმფლობელთა შემოსავლის არათანაბარზომიერების მთავარი მიზეზი იყო მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა. „შრომამიგება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საბატონო მეურნეობის პირდაპირი და უშუალო ნაშთია. შრომამიგება არის საბატონო მეურნეობიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. შრომამიგების არსი ის არის, რომ მემამულეთა მიწებს გლეხები ამუშავებდნენ თავისი ინვენტარით; რისთვისაც იღებენ საზღაურს ნაწილობრივ ფულით, ნაწილობ-

[35] დასახ. ნაშრომი, გვ. XXIII.
[36] იქვ № 47.
[37] Ф. Гогичаишвили, Сборник стат. сведений..., стр. XXIX.
[38] იქვე, გვ. XXII.

ეროვნული ბიბლიოთეკა


რივ ნატურით (მიწა, ჩამონაჭრები, საძოვარი, საზამთრო სესხი და სხვ.). მონახევრეობის სახელით ცნობილი მეურნეობის ფორმა შრომამიგების ერთ-ერთი სახეობაა. შრომამიგებითი მემამულური მეურნეობისათვის აუცილებელია ნადელიანი გლეხი, რომელსაც გააჩნია თუნდაც უდიდესი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი; აუცილებელია აგრეთვე, რათა ეს გლეხი წელში გატეხილი იყოს გაჭირვებით და კაბალას თანხმდებოდეს. კაბალა თავისუფალი დაქირავების ნაცვლად შრომამიგების აუცილებელი თანამგზავრია. მემამულე შრომამიგების დროს გამოდის მევახშედ, რომელიც სარგებლობს მეზობელი გლეხის გაჭირვებით და ჩალის ფასად იჩენს მის შრომას“[39].

შრომამიგების დროს, გაჩანაგებული გლეხი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო იძულებულია თავისი რიტინული ინვენტარით დაამუშაოს მემამულის მიწა, რადგან ჩავარდნილია მევახშის კაბალაში; შრომამიგების სისტემა იყო გლეხთა დაკაბალების ნახევრად ბატონყმური ექსპლოატაცია. წვრილმეურნე გლეხები თავიანთი ჩამორჩენილი ინვენტარით ამუშავებდნენ უმსხვილეს მიწათმფლობელთა მიწებს და, რა თქმა უნდა, არ იყვნენ დაინტერესებულნი შრომის მწარმოებლურობის გადიდებით; ხოლო მსხვილი და უმსხვილესი მიწათმფლობელები, რომლებიც დამყარებული იყვნენ წვრილი გლეხური ტექნიკის შესაძლებლობაზე, ცხადია, თავის მეურნეობას ვერ გახდიდნენ მაღალრენტაბელურს. სწორედ მეურნეობის ასეთი გაძღოლა ამუხრუჭებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაც დამახასიათებელი იყო მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

ამრიგად, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მოცემული უამრავი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შემდეგ შეგვიძლია, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შესახებ საინტერესო საერთო დასკვნების გამოტანა:

ა) თბილისის გუბერნიის კერძო მიწათმფლობელთა 86,41%-ს (23413 წვრილ მიწათმფლობელს) ეჭირა კერძო მიწათმფლობელობაში არსებული მიწების საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,89% (სახელდობრ — 62 780,27 დესეტინა) და იღებდნენ მთელი შემოსავლის 2,42%-ს (92 160,44 მან.);

ბ) ქუთაისის გუბერნიაში წვრილ მიწათმფლობელთა 97,59% (63 807 მფლობელი) ფლობდა კერძო მიწათმფლობელობაში არსებული მიწების საერთო რაოდენობის მხოლოდ 28,11%-ს (179 062,56 დესეტინას) და იღებდა კერძო მიწათმფლობელთა შემოსავლის 70,90%-ს (1 435 331,43 მან.);

გ) თბილისის გუბერნიის უმსხვილეს მიწათმფლობელთა 1,65% (467 მემამულე) ფლობდა კერძო მიწათმფლობელობაში არსებული მიწების 62,77%-ს (806 921,81 დესეტინას) და იღებდა მთელი შემოსავლის 37,90%-ს (1 175 450,41 მანეთს);

დ) ქუთაისის გუბერნიაში უმსხვილეს კერძო მიწათმფლობელთა 0,14%-ს (92 მფლობელს) ეჭირა კერძო მიწათმფლობელობაში მყოფი მიწების 52,70% (240 640,93 დესეტინა) და ისინი იღებდნენ მთელი შემოსავლის 11,48%-ს (232 320,17 მან.).

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ადგილი ქონდა შეუსაბამობას წვრილი და უმსხვილესი მე-

---

[39] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობების შემოსავალს შორის, რომლის მთავარი მიზეზი იყო მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, მიწათმფლობელთა ერთი ნაწილი იყენებდა მეურნეობის განვითარებისათვის ახალ ტექნიკას, სადაც შრომა მაღალმწარმოებლური იყო და მეურნეობაც — ინტენსიური, მაგრამ ასეთი მეურნეობები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო. ყველა მსხვილ და უმსხვილეს მემამულეს როდი შეეძლო გარდაექმნა მეურნეობა, შეეტანა მეურნეობაში ტექნიკური გაუმჯობესებანი და მუშის შრომა გაეხადა მაღალმწარმოებლური, რადგან ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და საქონლური მეურნეობის განვითარების პირობებში, როდესაც ფული გახდა ადამიანზე ბატონობის საშუალება და ცხოვრების გადამწყვეტი ფაქტორი, მემამულეთა დიდი ნაწილი ჩავარდა ვალებში, არ გააჩნდა არავითარი სახსრები მეურნეობის განვითარებისათვის და არც იყო ამით დაინტერესებული, რადგან მიჩვეული იყო ხელგაშლილ ცხოვრებას, ნადირობასა და ქეიფში ატარებდა დროს. მეურნეობის რაციონალური გაძღოლისათვის საჭირო იყო ცოდნა, ხოლო ისინი არ ზრუნავდნენ ცოდნის შეძენაზე. ასეთი მემამულეები მიმართავდნენ იოლ გზას, კერძოდ, გაჭირვებაში მყოფი ღარიბი და უმიწო გლეხების დაკაბელებას. კაბალაში ჩავარდნილი ღარიბი და საშუალო გლეხობა მემამულის მიწებს ამუშავებდა საკუთარი რუტინული ინვენტარითა და გაძვალტყავებული გამწე ძალით; საერთოდ, გლეხობა ამ სისტემის დროს დაინტერესებული არ იყო შრომის მწარმოებლურობის გადიდებით. ჩამორჩენილ ტექნიკაზე და ეკონომიკურად იძულებით შრომაზე დამყარებული მემამულური მეურნეობა შრომამიგებითი სისტემის დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო რენტაბელური, რაც ამუხრუჭებდა მწარმოებლური ძალების განვითარებას; ამ დროს სასაქონლო მეურნეობისა და სავაჭრო მიწათმოქმედების მძიმე განვითარება თანდათან ძირს უთხრიდა შრომამიგებით სისტემას და თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც გზას უკაფავდა კაპიტალიზმის განვითარებას.

რაც შეეხება საშუალო და წვრილი მიწათმფლობელური მეურნეობის შემოსავალს, იგი მსხვილ და უმსხვილეს მეურნეობასთან შედარებით მაღალი იყო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ წვრილი და საშუალო მიწათმფლობელები მიწას უფრო ეკონომიურად იყენებდნენ და მიწის ექსპლოატაციას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, — მწარმოებელი მეურნეობაზე ზრუნავდა და დაინტერესებული იყო შრომის მწარმოებლურობის გადიდებითა და შრომის საშუალებათა ეფექტური გამოყენებით.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

„მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. Н. ЧИКВАИДЗЕ

# ГЛАВНЫЕ ЦЕНТРЫ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ВЛАСТИ ИМПЕРИАЛИЗМА ФРГ И МОНОПОЛИИ РУРА

Исследование монополий Рура — это весьма актуальная проблема. Такое исследование является необходимым условием для понимания тех сдвигов, которые имеют место внутри монополистического капитала ФРГ.

В современных условиях рост монополизации характерен для всех отраслей и для всех капиталистических стран, ее ускорение обусловливается развитием производительных сил, углублением общественного разделения труда, обострением конкуренции, интеграционными процессами, соревнованием двух систем и т. д.[1]. Отсюда следует, что на развитие монополий Рура огромное влияние оказывает процесс монополизации, протекающей в экономике ФРГ в целом.

О чрезвычайно высоком уровне монополизации экономики ФРГ говорят следующие данные. Удельный вес крупных акционерных обществ с капиталом в 100 и более млн. марок в совокупном акционерном капитале возрос с 37,3% в 1954 г. до 48,3% в 1959 г. и до 69,3% в 1970 г. Число таких акционерных обществ составляло: в 1954 г. — 37, в 1959 г. — 50, в 1964 г. — 73, а в 1970 г. — 102[2]. По состоянию на 31 декабря 1970 г. акционерный капитал более 1 млрд. марок имели шесть обществ: «Фарбенфабрикен Байер АГ» (1,835), «БАСФ» (1,5), «Фарбверке Хёхст АГ» (1,482), «Сименс АГ» (1,021) и «АТХ АГ» (1,0). Эти центры могущественных монополий располагали более 15% всего акционерного капитала ФРГ, а вместе с другими шестью обществами с акционерным капиталом минимум 500 млн. марок («Фольксвагенверк», «Эссо», «Опель», «Феба», «Шелль», «Даймлер-Бенц», «БП», «АЭГ», «Маннесманн», «Крупп», «Хёш» и «Рурколе») — почти 1/3 акционерного капитала ФРГ. Быстрый рост концентрации производства в промышленности хорошо виден и из сравнения данных об обороте: если в 1954 г. оборот 50-ти крупнейших фирм составлял 36,8 млрд. марок или 25,4% оборота промышленности, то в 1969 г. он составлял уже 211,1 млрд. марок или 44,8% оборота промышленности ФРГ[3]. Исследо-

---

[1] Подробно см. Е. Л. Хмельницкая, Очерки современной монополии, М., 1971; В. Н. Котов, Монополистические формы хозяйственных отношений, М., 1971; Е. Попов, Новые пути промышленной концентрации, «МЭ и МО», № 7, 1969, стр. 15—25; П. Белоус, Буржуазное государство и международные монополии, «МЭ и МО», № 8, 1970, стр. 16—26; Проблемы современного империализма, М., 1968, стр. 65—97 и другие.

[2] W. Hahn und C. Schirmeister, Die Zentralisation des Kapitals in der BRD, «DWI-Berichte», № 1, 1971, S. 20.

[3] Der Imperialismus der BRD, Berlin, 1971, S. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

вание процесса концентрации и централизации капитала в экономике ФРГ позволяет выделить следующие характерные особенности:

1. Этот процесс определяется в основном централизацией капитала выражающейся в слияниях, частичных слияниях, приобретении фирм, кооперации между концернами приблизительно одной силы и т. д. Так, число крупных слияний (когда достигается 20% участия в рынке, или 10 тыс. общего числа занятых, или 500 млн. марок оборота, или 1 млрд. балансовой суммы) в 1959 г. составляло 15, в 1968 г. — 68, в 1969 г. — 168, в 1970 г. — 305 и только в первом квартале 1971 г. — 73[4]. Число особо крупных слияний составляло в 1968 г. — 16, в 1969 г. — 54, в 1970 г. — 95, в первом квартале 1971 г. — 29. Если число таких слияний в 1969 г. возросло по сравнению с 1968 г. почти в четыре раза, то балансовая сумма объединенных активов возросла в 16 раз[5]. Необычайный рост централизации капитала с конца 60-х годов дает основание сделать вывод, что в ФРГ происходит интенсивная ломка сложившейся за десятилетия монополистической структуры, процесс образования новых крупнейших монополий и монополистических групп, вызывающих глубокие изменения в соотношении сил внутри финансового капитала ФРГ и всей Западной Европы. В централизации капитала в ФРГ преобладают горизонтальные слияния: слияния в один концерн однородных предприятий, разделение крупных многоотраслевых концернов, концентрация однородного производства этих концернов в совместных предприятиях. Однако в 60-х годах значительно росла и диверсификация производства, а в последнее время стали возникать и конгломераты[6]. Так, из крупных слияний, зарегистрированных в ФРГ в 1969 г. 55% приходилось на горизонтальные слияния, 43% — на диверсификацию и конгломератные образования и всего 2% — на вертикальные слияния[7].

2. В процессе роста концентрации и централизации капитала все больше возрастает роль банков, страховых компаний и других кредитных учреждений. Так, например, доля финансирования за счет внешних источников в фирмах ФРГ достигла в 1970 г. 33%, самого высокого уровня с 1950 г. В 1969 г. 364 акционерных общества увеличили свой акционерный капитал на 3,4 млрд. марок, а в 1970 г. 411 обществ — на 3,7 млрд. марок. Вместе с тем лишь 17,7% прироста капитала в 1969 г. было достигнуто благодаря собственным средствам, а в 1970 г. — менее 13,5%[8]. Но в самой банковской системе ФРГ также отмечается усиление монополизации. При этом следует особо выделить 1970 г., как год качественных изменений в структуре и деятельности банковского капитала ФРГ: во-первых, заметно усилились позиции государственных банков; во-вторых, произошло сближение в характере деятельности банков различных правовых форм и различной собственности; в-третьих, заметно расширилось участие банков ФРГ в процессе интернационализации банковского капитала. Крупнейшими банками ФРГ до конца 60-х годов оста-

---

[4] «DWI-Berichte», № 5, 1970, S. 36; № 8, 1971, S. 19.

[5] «Handelsblatt», 19/20, juni 1970, S. 4.

[6] Горизонтальная концентрация производства и образование многоотраслевых концернов подробно освещены в книге В. Н. Котова—Монополистические формы хозяйственных отношений, М., 1971.

[7] Der Imperialismus der BRD, S. 136.

[8] «DWI-Berichte», № 8, 1971, S. 19.

вались гроссбанки — Немецкий банк, Дрезденский банк и Коммерческий банк; в 1969 и 1970 г. в эту группу сильнейших вошли и государственные банки — «Вестдойче ландесбанк-жироцентрале» и «Норддойче ландесбанк». По балансовой сумме на конец 1970 г. банковские монополии ФРГ располагались в следующем порядке: «Вестдойче Ландесбанк» (38,7 млрд. марок), «Дойче банк АГ» (31,4 млрд. марок), «Дрезденер банк АГ» (24,8 млрд. марок), «Гессише ландесбанк» (21 млрд. марок), «Коммерцбанк АГ» (19,7 млрд. марок), «Норддойче ландесбанк» (17 млрд. марок)[9] Монополизация в сфере государственных центральных и региональных банков, безусловно, означает рост влияния государства на процесс монополизации. Вместе с тем следует подчеркнуть, что гроссбанки (плюс крупные баварские банки) продолжают играть руководящую роль в банковской системе ФРГ. Их руководящая роль обеспечивается тесной связью с промышленно-торговыми концернами и центральными государственными банками, контролем над частными банками посредством финансовой, личной или договорной связи. Тесно связаны с гроссбанками и страховые компании ФРГ, активы которых в 1960—1970 гг. возросли с 20,6 до 85,4 млрд. марок. Растет значение и различных инвестиционных обществ. Государственные кредитные учреждения, коммерческие банки во главе с гроссбанками, страховые и инвестиционные общества все больше идентифицируют формы своей деятельности, способствуют централизации капитала и внешнеэкономической экспансии монополий ФРГ. Нельзя не отметить, что в начале 70-х годов банкам ФРГ удалось завоевать важные позиции в сложившихся ныне международных банковских группировках с участием крупнейших банков США и Западной Европы. Так, например, Дрезденский банк является участником сбразованного в 1967 г. первого межнационального банка капиталистической Европы «Социета финансиере европеенне» (Париж «СФЕ»), сумма вкладов, которого в 1969 г. равнялась 70 млрд. долларов. Второй по значению международной группой банков является группа «Орион-банкен» в Лондоне с участием «Вестдойче Ландесбанк-жироцентрале АГ», Дюссельдорф, сумма вкладов которой в 1969 г. составляла 46 млрд. долларов. Затем следует образованная в 1970 г. «Европеан банке интернационал Ко. С. А.», (Брюссель «ЕБИК») с участием Немецкого банка. Сумма вкладов этой группы составляет 22 млрд. долларов. Наконец, Коммерческий банк вместе с третьим французским государственным банком «Кредит Лионнаис» (Париж) образовал в 1970 г. банк «Еуро партнерс секуритиес корпорацион» в Нью-Йорке, с которым с 1971 г. тесно сотрудничает итальянский «Банко дер Рома»[10]. Таким образом, в настоящее время возникают международные банковские концерны, действующие как в рамках ЕЭС, так и в капиталистическом мире в целом; а банковская система ФРГ более активно включилась в процесс международной монополизации, чем другие отрасли западногерманского монополистического капитала. Монополизация банковского капитала ФРГ нацелена на укрепление мощи западногерманского финансового капитала в целом, на укрепление его позиций в капиталистическом мире.

[9] «DWI-Berichte», № 8. 1971, S. 19.

[10] «DWI-Berichte», № 8, 1971, S. 27; R. Metzner, Auf dem Weg zu internationalen Bankenmonopolen, «DWI-Baerichte», № 1, 1971, S. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. Процесс концентрации наиболее быстро протекает в тех отраслях, которые имеют наибольшее значение для научно-техническской революции и экспансионистской стратегии западногерманского монополистического капитала: в химической, электротехнической, автомобильной, авиаракетной, судостроительной, металлургической, каменноугольной промышленности, а также в банковской системе.

4. Современный этап монополизации характеризуется выходом этого процесса за рамки национальных границ. Наряду с концернами, имеющими свои филиалы в других странах, растет число других форм интернациональных концернов, в частности, слияние фирм различных стран или их тесная кооперация. Примером «общеевропейских компаний» могут служить объединение металлургических концернов «Хёш» (ФРГ) и «Хуговенс» (Голландия), и авиаракетных концернов «ФФВ Гмбх» в Бремене, и голландского «Фоккера». Транснациональные монополии получают значительную часть своей прибыли посредством сбыта или производства в другой стране, перемещение части производственных мощностей таких монополий за границу становится важнейшей формой экспорта капитала. Вместе с тем деятельность таких монополий является одним из главных факторов усиления противоречий между тремя центрами мирового капитализма: США, Западной Европой и Японией[11].

5. Западногерманское государство стало активным организатором процесса монополизации. Примером этого может служить образование «Рурколе АГ», частичное слияние «Даймлер Бенц» с «Фольксвагеном», образование монополистических групп «Тиссен-Маннесманн», «Сименс-АЭГ», концентрация в судостроительной промышленности и т. д. Поощрение монополизации экономики ФРГ государством осуществляется через различные законодательные акты, путем перераспределения национального дохода через госбюджет, посредством роста государственной собственности и потребления, кредитования центральными государственными банками.

В рамках этих общих особенностей процесса монополизации в экономике ФРГ происходят и изменения в монополистической структуре экономики Рура. Прежде всего следует выделить образование гигантской каменноугольной монополии «Рурколе АГ», изменения в производственной структуре энергетических концернов «РВЭ» и «ФЭБА», усиление концентрации и изменения в производственной структуре металлургических концернов Рура. Исследование развития горно-металлургических концернов Рура с конца 50-х годов показывает, что в их производственной структуре произошли важные изменения:

**Во-первых**, все они передали свои каменноугольные шахты новой монополии «Рурколе АГ»;

**Во-вторых**, продукция черной металлургии по сравнению с продукцией обрабатывающей промышленности преобладает в производственной программе лишь двух концернов — Тиссена и Хёша, составляя приблизительно 55—65% их оборота. Усиление позиций концерна Тис-

---

[11] См. Р. Овинникова, Левиафаны капиталистического мира, «МЭ и МО», № 8, 1969, стр. 20; М. К. Бункина, Центры мирового империализма, М., 1970, стр. 190—208; А. М. Шарков, Япония и США, М., 1971, стр. 206—278; Б. Болотин, В. Кудров, Три центра в мировом капитализме, «МЭ и МО», № 3, 1972, стр. 96—108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

сена обусловливается усиленной концентрацией и рационализацией производства, близостью рынка сбыта. Что касается концерна Хёша, то внедрение новых технологических методов производства, увеличение выпуска качественных сталей и концентрация производства до сих пор позволяли ему сохранить свои позиции в качестве второго металлургического концерна ФРГ. Но дальнейший рост мощностей этого концерна в районе Дортмунда сильно ограничен. Образование первой международной монополии черной металлургии Западной Европы Хёш-Хуговенс предусматривает концентрацию производства самой дешевой в пределах ЕЭС стали на побережье Северного моря, а в Дортмунде — концентрацию производства качественных сталей и металлообработку. Конечная мощность этой группы в конце 70-х годов превысит нынешние мощности группы Тиссена-Маннесманна и конкуренция между ними еще более усилится. Продукция черной металлургии и в 70-х годах будет преобладать в производственной программе этих концернов, но одновременно усилится и диверсификация производства;

**В-третьих**, остальные горно-металлургические концерны Рура, страхуясь от риска значительного отставания от концернов растущих отраслей, еще более интенсивно перешли к диверсификации производства. Пример перехода из горно-металлургического производства в обрабатывающее показал еще в 50-х годах прежде один из могущественных концернов Рура — концерн Флика. В конце 60-х годов обрабатывающая промышленность заняла лидирующее место в производственной программе уже таких традиционно горно-металлургических концернов как Крупп, Маннесман, Клёкнер, Рейншталь. Доля производства чугуна и стали в обороте этих концернов и впредь будет уменьшаться[12]. Что касается концерна Ганиэля, то он совсем оставил горнометаллургическое производство и стал самым крупным машиностроительным концерном ФРГ. За ним следует концерн Круппа, у которого оборот машиностроительной продукции составляет 1,6—2,1 млрд. марок. На третьем месте находится концерн Клёкнера: оборот фирмы «Клёкнер Хумбольдт Деутц» в 1970 г. составлял 1,9 млн. марок. Из этой суммы следует вычесть стоимость продукции транспортного машиностроения, выпускаемой этой фирмой, а к полученной сумме следует добавить машиностроительную продукцию «Клёкнер Верке АГ». В итоге оборот по машиностроительной продукции концерна Клёкнера в целом приблизительно составляет 1,6—1,8 млрд. марок. На четвертом месте находится чисто машиностроительный концерн «ДЕМАГ АГ» (Дуйсбург) с оборотом 1,49 млрд. марок в 1969 г.[13]. Замыкает пятерку крупнейших машиностроительных концернов ФРГ концерн «Рейншталь»;

**В-четвертых**, усиливая свои позиции в таких важнейших отраслях, как машиностроение, автомобилестроение, моторостроение, судостроение, авиаракетная и атомная промышленность, металлургические концерны Рура по-прежнему занимают видное место в военном производстве ФРГ. Наряду с группой Сименса-АЭГ, химических концернов группы «ИГ Фарбен», группы Флика-Квандта и авиаракетных концернов «МББ» и «ФФВ-Фоккер» они составляют ядро военно-промышленного комплекса ФРГ.

Централизация и концентрация производства в черной металлургии ФРГ достигли в 60-х годах небывалого до сих пор уровня: в 1969 г. на долю 7 ведущих концернов приходилось 80% всего производства стали. Однако ожесточенная конкуренция на мировом рынке стали, рас-

[12] «Der Volkswirt», № 21, 1969, S. 74.
[13] «Die Welt», 26. 5. 1971.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ширение ЕЭС еще более усиливают этот процесс. При этом концерны вырабатывают более совершенные методы централизации. Так, в 1966 г. 30 металлургических фирм ФРГ достигли соглашения о создании четырех региональных контор (северной, южной, вестфальской и западной), которые осуществляли весь сбыт проката (за исключением труб, поковок, качественной стали). Назначение этих синдикатов составляло в обеспечении более высокой прибыли путем согласованной политики цен за счет потребителей, а также в создании единого фронта против иностранных конкурентов[14]. Их создание активно поддерживалось государством. Эти синдикаты рассматривались в качестве подготовительного этапа концентрации всей отрасли в трех или четырех гигантских объединениях[15].

Срок действия соглашений о региональных конторах истек 30 июня 1971 г. Однако еще за семь месяцев до этого между стальными концернами было достигнуто принципиальное соглашение о новом разграничении их интересов. Вместо региональных контор по сбыту проката было создано четыре так называемые группы по рационализации во главе с совместной конторой, куда вошли те концерны, между которыми уже сложились тесные отношения или существует договоренность о будущем слиянии:

1) Северная группа, включающая государственный концерн «Пейне-Зальцгиттер», образованный в 1970 г. после слияния «Ильзедер Хютте АГ» и «Зальцгиттер Хюттенверк АГ» и занявший третье место по производству стали в ФРГ после концернов Тиссена и Хёша (мощности 5 млн. т стали в год или 10% всего производства)[16], концерн Клекнера, мощности которого в 1975 г. составят около 5 млн. т стали в год; «Максимилиансхютте Гмбх» в Баварии, принадлежащий концерну Флика, мощность — около 1 млн. т стали в год. Совокупные мощности этой группы в 1975 г. будут равняться приблизительно 11 млн. т стали;

2) Южная группа включает металлургические заводы Саара. В 1970 г. было осуществлено слияние саарских концернов стали Рёхлинга и АРБЕД (Люксембург). Суммарное производство стали саарских заводов в 1969 г. составило 4,5 млн. т;

3) Вестфальская группа: концерны Хёша и Рейнштaля. Они уже несколько лет сотрудничают в области производства качественной стали. Концерн Хёша уже слился с голландским концерном Хуговенс. С учетом объединенных мощностей на побережье Северного моря суммарная мощность всей группы к концу 70-х годов составит около 20 млн. т. Ядром группы является концерн Хёша;

4) Западная группа: концерны Тиссена, Маннесманна и Круппа. Первые два концерна после частичного обмена мощностями в 1969 г. образовали монополистическую группу Тиссен-Маннесманн. Уже несколько лет существует проект слияния с мощностями Тиссена близлежащих в Дуйсбурге металлургических заводов Круппа. Образование западной группы по рационализации должно рассматриваться как существенный шаг в реализации этого плана. Суммарное производство стали этой группы уже в 1969 г. составляло около 20 млн. т (соответственно 12,2; 3,2 и 4,4 млн. т). Ядром группы является концерн Тиссена, имеющий основные мощности по производству стали и проката. Концерн Маннесманна по-прежнему будет оставаться крупнейших производителем стальных труб, а концерн Круппа будет специализироваться в области металлообработки.

[14] «Frankfurter Allgemeine», 25 V. 1966.

[15] «Der Volkswirt», № 45, 1969, S. 69.

[16] «Handelsblatt», 1. X. 1970, S. 10.

ბიბლიოთეკა

В отличие от региональных контор по сбыту, группы по рационализации определяют, прежде всего, квоты производства, размер и направление инвестиций[17].

Таким образом, в начале 70-х годов металлургические концерны ФРГ оказались централизованными в четыре могущественные группы, непосредственно подготавливая фактическое слияние внутри этих групп. Мощным стимулом этих слияний является не только стремление защитить интересы собственно черной металлургии, снизить издержки производства путем совместных усилий, но и изменения внутри самих металлургических концернов, в частности, перемещение главной сферы деятельности концернов Круппа, Маннесманна, Клёкнера, Ганиэля, Рейншталь из производства чугуна и стали в металлообработку и производство оборудования.

Следует отметить, что металлургические концерны Рура значительно отстают от других транснациональных концернов ФРГ по уровню внешнеэкономической деятельности. Между тем именно этот уровень в современных условиях становится важнейшим источником мощи концернов. Так, общий оборот крупнейших транснациональных концернов ФРГ в 1960—1969 гг. возрос в 2—3 раза, из них внешний оборот — в 3—4 раза, а доход от дочерних компаний за рубежом в 5—6 раз[18]. Среди этих восьми крупнейших транснациональных компаний три самые крупные — в химической промышленности, три — в электротехнике и две — в автомобилестроении («Фольксвагенверк», «Байер», «Сименс», «Даймлер-Бенц», «Хёхст», «БАСФ», «АЭГ», «Роберт Бош»). На них приходится четвертая часть всего экспорта ФРГ. Растущие отрасли осуществляют подавляющую часть прямых зарубежных капиталовложений: в 1970 г., например, на химическую промышленность приходилось 24,4% всех этих капиталовложений ФРГ, 11,9% — на электротехнику, 9,3% — на автомобилестроение, 6,7% — на машиностроение и всего 5,7% — на черную металлургию. Доля экспортированной продукции и продукции, произведенной на зарубежных филиалах, в общем обороте важнейших транснациональных концернов автомобильной, химической, машиностроительной, электрохимической промышленности в 1969 г., колебалась от 30 до 71%, в то время как у концерна Тиссена она составила 26,0%, а у концерна Маннесманна — 29,5%[19].

Централизация металлургических концернов ФРГ в четыре монополитических группы по существу означает окончание периода внутренней консолидации этой отрасли. Создаются условия для более интенсивной внешнеэкономической экспансии этих концернов, в частности, для увеличения прямых капиталовложений за рубежом. Так, по заявлению председателя правления концерна Тиссена Х. Г. Золя, концерн «должен думать о деятельности и за горизонтом нашего традиционного места размещения». Хотя все стальные концерны единодушны в том, что заводы в Руре должны сохранить свое центральное значение, а зарубежные проекты не должны осуществляться в ущерб металлургии Рура, но по признанию еженедельника «Дер Фольксвирт» «нехватка рабочей силы, мероприятия по защите окружающей среды, проблемы транспорта, технические условия и другие факторы издержек делают необ-

[17] «DWI-Berichte», № 9, 1971, S. 5; «Westfälische Rundschau», 25. 1. 1971.

[18] «Wirtschaftswoche», № 3, vom 15. I. 1971.

[19] H. Jacob, Herausbildung von BRD-Konzern mit internationalen Struktur, «DWI-Berichte», № 10, 1971, S. 27; Der Imperialismus der BRD, S. 164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ходимым строительство новых и современных заводов за рубежом, в более благоприятных местах размещения»[20].

В экономике ФРГ, как и в экономике всех других империалистических государств, господствует финансовый капитал, финансовая олигархия. «Понятие финансового капитала включает два основных элемента: во-первых, наличие промышленных и банковских монополий, выросших вследствие высокой степени концентрации производства и капитала; во-вторых, слияние или сращивание этих монополий и их капиталов»[21]. Основными формами слияния и сращивания банковских и промышленных монополий являются система участия и долговременные финансовые связи[22]. Центрами основных групп финансовой олигархии ФРГ в зависимости от конкретно-исторических условий могут быть и крупные банки, и крупнейшие военно-промышленные концерны[23]. Четкое ограничение ведущих финансово-монополистических групп ФРГ не входит в нашу задачу. Как указывает советский экономист А. А. Дёмин, «догматически «сковывать» различные смертельно конкурирующие друг с другом военно-промышленные концерны с гроссбанками, видимо, не следует... Гроссбанки помогают военно-промышленным концернам, ведущим группам финансовой олигархии укреплять позиции»[24].

Достоверность этого вывода наглядно подтверждается современной практикой, когда образование новых национальных или «общеевропейских» монополий все больше осуществляется посредством технико-экономической кооперации при сохранении юридической самостоятельности, а связь промышленных монополий с определенной банковской монополией стала менее локализированной.

Финансовый капитал ФРГ конкретно охватывает 100 крупнейших акционерных обществ. Из них можно выделить три центра экономической власти западногерманского империализма: 24 крупнейших концерна или монополистических групп в промышленности и банковской системе; государственные и коммунальные концерны; 36 фирм, контролируемых зарубежными монополиями, особенно монополиями США.

Наиболее могущественными из этих трех центров являются 24 крупнейших западногерманских концерна и монополистические группы, которые контролируют 43,5% акционерного капитала 100 крупнейших акционерных обществ ФРГ. Сравнение данных об акционерных обществах ФРГ в 1937 г. и 1970 г. показывает, что в то время как перед второй мировой войной металлургические концерны Рура занимали лидирующее место среди крупнейших фирм, то в послевоенный период на это место вышли химические концерны. В десятку крупнейших акционерных обществ в 1937 г. входили три металлургические и две угольные фирмы, а в 1970 г. только одна металлургическая фирма — «АТХ», тогда как угольной фирмы вообще не было. На их место выдвинулись

---

[20] «Der Volkswirt», № 45, vom. 6. XI. 1970, S. 60—61.

[21] Политическая экономия современного монополистического капитализма, М., 1971, т. I, стр. 197.

[22] Подробно см. там же, стр. 198—213.

[23] А. А. Дёмин, Военно-промышленные и банковские монополии ФРГ, М., 1968, стр. 206.

[24] Там же, стр. 207.

Распределение акционерного капитала 100 крупнейших акционерных обществ ФРГ (состояние на 31.XII.1969 г.)[25]

Таблица 1

| Группы монополий | Число контролируемых обществ | Акционерный ка итал | |
|---|---|---|---|
| | | млн. марок | % |
| 1. Все акционерные общества с ка италом 50 млн. марок и более | 304 | 53220,8 | 100,0 |
| 2. 24 крупнейших западногерманских концерна вместе | 136 | 23147,1 | 43,5 |
| Из них: | | | |
| Группа „ИГ Фарбен“ | 20 | 5993,6 | |
| Группа Тиссена-Маннесманна | 16 | 2694,7 | |
| Группа Сименс—АЭГ—Телефункен | 16 | 2056,4 | |
| Группа Флика | 10 | 1634,6 | |
| Концерн Круппа | 2 | 1073,0 | |
| Концерн „Фольксваген“ | 2 | 965,0 | |
| Концерн Хёша | 4 | 905,8 | |
| Немецкий банк | 8 | 883,4 | |
| Концерн „Рейншталь“ | 5 | 837,6 | |
| Дрезденский банк | 8 | 752,3 | |
| 3. Государственные и коммунальные концерны | 97 | 14183,8 | 26,7 |
| 4. 36 крупнейших зарубежных концерна вместе | 62 | 10117,3 | 18,8 |
| Итого 2—4 | 195 | 47348,2 | 89,0 |

электротехнические, автомобильные, нефтеперерабатывающие и электроэнергетические фирмы.

Акционерный капитал крупнейших рурских фирм среди 30 наиболее крупных акционерных обществ за 1937—1970 гг. возрос в 3,6 раза, в то время как акционерный капитал всех этих 30 обществ увеличился еще больше — 4,2 раза. Доля рурских фирм в акционерном капитале названных 30 обществ в 1937 г. составляла 39,2%, а в 1970 г. 33,6%[26].

Снижение мощи угольных и металлургических концернов Рура проявляется и путем сравнения данных по обороту. Так, в десятку крупнейших промышленных концернов ФРГ в 1969 г. входили лишь два рурских концерна: Тиссена и Клёкнера. При этом, в 1964—1969 гг. концерн Тиссена переместился с III-го на IV место; а что касается концерна Клёкнера, то более половины его производственных мощностей находится вне Рура. Еще более ухудшились позиции других концернов Рура: концерн «ФЭБА» переместился с IV-го на X место, концерн «РВЭ» — с VI-го на XIII место, концерн Круппа — с IX-го на XII место, концерн Маннесманна — с XII-го на XIV место, концерн «Рейншталь» — с XI-го на XX место, концерн «ГХХ Акционферейн» — с X-го на XXI место, концерн «Гельзенберг» — с XIV-го на XVIII место[27]. Правда, концерн «Рурколе АГ» сразу после образования (1969 г.) занял XI место, но его присутствие более чем компенсируется наличием мощных нефтеперерабатывающих концернов.

За те же 1964—1969 гг. значительно усилились позиции химических, автомобильных и электротехнических концернов. Государственный автомобильный концерн «Фольксвагенверк» уверенно сохраняет свое

[25] Der Imperialismus der BRD, S. 143.

[26] «Handelsblatt», 10. XI. 1970.

[27] DWI-Berichte», № 4, 1967, S. 24—25; ebenda, № 6, 1971, S. 39—40.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

лидирующее положение. Химический концерн «Байер» переместился с V-го на II место, концерн «Хёхст» — с VII-го на VI, концерн «БАСФ» — с XV-го на VII место. Концерн «Даймлер-Бенц» в автомобилестроении переместился с VIII-го на V место, электротехнический концерн «АЭГ-Телефункен» — с XIII-го на IX место, а концерн Боша — с XXIII-го на XVI место.

Таким образом, если перед второй мировой войной лидирующее положение среди промышленных монополий ФРГ занимали монополии угля и стали Рура, то в 50-х и 60-х годах их место уверенно заняли монополии химической, автомобильной, электротехнической и нефтеперерабатывающей промышленности. Отмечая некоторое снижение экономической мощи рурских монополий следует ясно подчеркнуть и то обстоятельство, что благодаря их энергичным усилиям, направленным на рост концентрации металлургического производства до наивысших пределов и проникновению в новые отрасли, они по-прежнему сохраняют очень большое политико-экономическое и военно-стратегическое значение: во-первых, на долю рурских фирм в 1970 г. все еще приходилось 33,6% акционерного капитала 30 крупнейших акционерных обществ ФРГ; во вторых, из 30 крупнейших промышленных акционерных обществ ФРГ в 1970 г. 11 или 36,6% находились в Руре, их доля в обороте этих 30 обществ составляла 23%, а среди 100 подобных обществ в Руре находилось 22, их доля в обороте 100 крупнейших обществ составляла около 18%[28]; в третьих, рурские металлургические концерны производили в 1969 г. около 72% всей стали, произведенной в ФРГ и около 42% производимой в ЕЭС стали, а концерн «Рурколе АГ» добывал 76% каменного угля в ФРГ и 52% каменного угля в ЕЭС. В четвертых, концерны Ганиаля, Круппа, Клёкнера, «Демаг», «Рейншталь» господствуют в машиностроении ФРГ, они же вместе с совместной фирмой электротехнических гигантов Сименса и «АЭГ-Телефункен» — «Крафтверк Унион АГ» господствуют в атомной промышленности ФРГ.

Научно-техническая революция и усиление процесса интернационализации капитала и впредь будут изменять соотношение сил внутри монополистического капитала ФРГ. В начале 70-х годов в промышленности ФРГ сложились следующие основные монополистические группы и монополии, которые вместе с ведущими банками составляют господствующее ядро монополистического капитала этой страны[29].

**Группа «ИГ Фарбен».** Самой мощной является монополистическая группа «ИГ Фарбен». Она занимает ключевые позиции в химической промышленности ФРГ. Важнейшей сферой ее деятельности является также нефтеперерабатывающая промышленность и обработка искусственных материалов. В союзе с монополистической группой «Металлгезельшафт — Дегусса» она занимает лидирующее место в производстве атомного топлива. Ядром группы являются концерны «Фарбенфабрикен Байер АГ» (Леверкузен), «Фарбверке Хёхст АГ» (Франкфурт на Майне) и «БАСФ АГ» (Людвигсхафен). Чистая прибыль этих

[28] Рассчитано по «DWI-Berichte», № 1, 1972, S. 30—33.

[29] Источник данных о монополистических группах: «DWI-Berichte», № 6, 1971, S. 39—40; ebenda, № 1, 1972, S. 30—31.

ЭРОВНУЛИ БИБЛИОТЕКА

концернов в 1970 г. составляли соответственно 1777,9 млн. марок, 1787,4 млн. марок и 1796,3 млн. марок; а суммарная прибыль группы — 5361,6 млн. марок. Оборот группы в 1969 г. составил 28 млрд. марок, число занятых — 320 тыс. человек.

**Группа «Сименс-АЭГ-Телефункен».** Эта группа возникла в 1969 г. после образования совместных дочерних кампаний «Крафтверк Унион АГ» и «Трансформаторен Унион АГ» и установления тесной производственной кооперации между ними. Тем самым они значительно усилили свои позици в конкурентной борьбе с монополиями других стран. Оборот группы в 1969 г. составлял около 17 млрд. марок, число занятых — 436 тыс. человек. Кроме того, благодаря тесному сотрудничеству концерна «Сименса» с концерном «Бош» в области производства телевизоров, радиоприемников и бытовых электроприборов группа связана с третьим по значению электротехническим концерном ФРГ. Оборот этих трех концернов в 1969 г. составлял 21,7 млрд. марок, а число занятых — 546,3 тыс. человек. Концерн «Сименс» владеет значительной частью активов «Металлгезельшафт АГ», связан с нидерландским концерном «Филипс» и американскими концернами «Вестингауз» и «Радио Корпорейшн оф Америка». Самая крупная в капиталистическом мире электротехническая монополия «Дженерал электрик» владеет 15% акционерного капитала «АЭГ-Телефункен АГ». В производстве, сбыте и разработке ЭВМ группа «Сименс-АЭГ-Телефункен» сотрудничает с другими ведущими электротехническими концернами Западной Европы — «Филипс», «Оливетти», «Интернэшнл компьютерз», «Компани энтернасьональ пур лэнформати».

**Группа «Флик-Даймлер-Бенц-Фольксвагенверк».** Основными отраслями деятельности концерна Флика, реорганизованного в 1965 г. являются машиностроение, химическая и целлюлозно-бумажная промышленность, черная металлургия. Флик владеет 40% акционерного капитала второй автомобильной фирмы ФРГ «Даймлер-Бенц». Суммарный оборот группы Флика в 1969 г. составил около 14 млрд. марок, число занятых — 210 тыс. человек. С 1966 г. существует тесное сотрудничество между концернами «Фольксвагенверк» и «Даймлер-Бенц», занимающих соответственно 4 и 6 место среди крупнейших автомобильных фирм капиталистического мира. Для координации своих интересов они основали общество «Дойче аутомобиль Гмбх». Оборот концерна «Фольксвагенверк» в 1969 г. составлял 27,6 млрд. марок, числе занятых — 378 тыс. человек.

**Группа «Тиссен-Маннесманн-Крупп».** Монополистическая группа Тиссен-Маннесманн, возникшая в 1969 г. контролирует мощности производства стали в размере 15 млн. т и занимает 10 место среди крупнейших производителей стали в капиталистическом мире и первое место— среди производителей ЕЭС. Ее доля в производстве стали ФРГ составляет 35%, а в производстве стальных труб — 70%. Оборот группы в 1969 г. равнялся 14,2 млрд. марок, число занятых — 170 тыс. человек. В 1971 г. после образования «Западной группы по рационализации» черной металлургии между концернами Тиссена, Маннасманна и Круппа установилось тесное сотрудничество, включая распределение квот производства и инвестиций в металлургическом производстве. Это дает основание говорить об образовании монополистической группы «Тиссен-Маннесманн-Крупп», где концерн Тиссена специализируется в области производства стали, концерн Маннесманна — в области производства стальных труб, концерн Круппа — в области обрабатывающей (в основном машиностроительной) промышленности. Суммарный оборот всей группы в 1969 г. составил 19,4 млрд. марок, число за-

ეროვნული ბიბლიოთეკა

пятых — 250 тыс. человек. Суммарное производство стали этой группы в 1969 г. составляло 20 млн. т.

**Группа «Хёш-Хуговенс-Рейншталь».** Как мы уже отмечали, в 1971 г. концерны «Хёш» и «Хуговенс» образовали в 1971 г. первую общеевропейскую» компанию в черной металлургии ЕЭС. В том же году, после образования «Вестфальской группы по рационализации, к этой группе непосредственно примкнул и концерн «Рейншталь». Производство стали этой группы в конце 70-х годов достигнет 20 млн. т. Оборот данной группы (без нидерландского концерна) в 1969 г. составил 8,4 млрд. марок, а число занятых — 140 тыс. человек. Нидерландский концерн будет специализироваться на производстве самой дешевой в Западной Европе стали, а концерн «Хёш» и «Райншталь» на производстве качественной стали и на продукции общего и транспортного машиностроения.

Важное место в монополистическом капитале ФРГ кроме приведенных монополистических групп занимают концерны Клёкнера, Ганиэля, «Рурколе АГ» и несколько других.

В банковской системе ФРГ, как уже было отмечено, господствуют Немецкий банк, Дрезденский банк, Коммерческий банк, Баварский банк, а также три государственных банка: «Вестдойче Ландесбанк», «Гессише Ландесбанк» и «Норддойче Ландесбанк». Кому же принадлежат эти промышленные и банковские монополии?

Исследование 150 промышленных и торговых фирм ФРГ показывает, что каждая из них контролируется несколькими семьями или одной семьей. Концерн «Сименс» контролируется, например, семьей Сименс, концерн «АТХ» — семьей Тиссен, «Даимлер-Бенц» и «Флик» — семьей Флик, «Роберт Бош» — семями Квандт и Бош, ГХХ» — семьей Ганиэль, «Клёкнер унд К°» — семьей Хенле, «Демаг» — семьей Реутер и т. д. В других крупных промышленных и банковских монополиях, характеризующихся относительно широким рассеиванием капитала, контроль осуществляется, не единолично, а объединенными акционерами — коалицией отдельных капиталистов и банкиров. Крупнейшие банки, располагая голосами тысяч акционеров, контролируют важнейшие решения несемейных фирм, тесно связывая друг с другом все крупнейшие концерны. В наблюдательных советах крупнейших монополий часто повторяются одни и те же фамилии представителей элиты экономической власти.

Концентрация экономической власти в ФРГ в 60-х годах достигла небывалых до сих пор размеров. Число миллионеров в ФРГ в 1960—1969 гг. возросло с 14 до 20 тысяч[30]. Всего 1,7% населения ФРГ владели в 1960 г. более 2/3 производственного капитала западногерманской экономики, а 0,08% населения владели 1/4 частью всего производственного капитала[31]. В коллективном труде экономистов-марксистов ГДР «Империализм ФРГ» выделяется 269 представителей монополистической буржуазии страны или председателей советов правления и наблюдательных советов 170 крупнейших акционерных обществ (включая государственных), от которых исходят решения экономических центров[32].

---

[30] M. Jungblut, Die Reichen und die Superreichen in Deutschland, Hamburg, 1971, S. 51.

[31] W. Krelle, Überbetriebliche Ertragsbeteiligung der Arbeitnehmen, Tübingen, 1968, 378—379.

[32] Der Imperialismus der BRD, S. 175.

ბიბლიოთეკა

Таким образом, сдвиги внутри монополистического капитала ФРГ не изменяют характер экономической и политической власти этой страны. Растущая борьба трудящихся ФРГ за свое социальное освобождение все больше обращается против буржуазного государства, стоящего на страже интересов монополистической буржуазии. В авангарде этой борьбы идет рабочий класс Рура, ведомый славной партией коммунистов ФРГ.

(Представлена Институтом экономики и права АН Груз. ССР)

„მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართალი

ივანე სურგულაძე

## მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ

მამასახლისობის ინსტიტუტი ძველთა ძველია, ის პირველყოფილი თემური წყობილებიდან მომდინარეობს და ამ გარემოებაზე თვით ტერმინი მოწმობს: მამასახლისი საბას განმარტებით სახლთუფროსს ნიშნავს. გვაროვნულ წყობილებაში გვარის, სახლის უფროსი მამასახლისი უნდა ყოფილიყო.

კლასობრივ საზოგადოებაში მამასახლისობის შინაარსი შეიცვალა იმ მხრივ, რომ მამასახლისი შეიქნა სახელმწიფო მოხელე, ძირითადად — ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, იმავე დროს ფეოდალურ საზოგადოებაში ის იყო ფეოდალური სახლის უფროსი, მთავარი. გარდა ამისა, ფეოდალიზმის ისტორიის მთელ მანძილზე, საქართველოში იყვნენ სოფლის მამასახლისები, რომლებსაც სოფლის მოხელის ფუნქცია ჰქონდათ. ასეთი მამასახლისის შესახებ ცნობები არ შემონახულა, მაგრამ მისი არსებობა IV—X საუკუნეებშიც საგულვებელია. ბექა-აღბუღს სამართლის წიგნში — ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შემონახულ ნაწყვეტში (XI საუკუნე) — სოფლის მამასახლისი დამოწმებულია, შემდეგ პერიოდებში კი სოფლის მამასახლისი, ხშირად იხსენიება.

ამასთანავე, მამასახლისი ეწოდებოდა მონასტრის წინამძღვარს. XVI—XVIII საუკუნეებში მამასახლისი ქალაქის დიდი მოხელე იყო, ხოლო XVIII საუკუნეში თბილისის მამასახლისის და მელიქის სახელო შეერთებული იყო.

ამდენად რთული და მრავალმნიშვნელოვანია მამასახლისობის ინსტიტუტი საქართველოში. ამჟამად ჩვენი მიზანია შევისწავლოთ მამასახლისობის ინსტიტუტი XV ს-მდე. მაშასადამე, ჩვენ შესასწავლად ავიღეთ: ფეოდალიზმის წინა ეპოქა, ადრეფეოდალური პერიოდი და გაერთიანების ხანა.

XV—XVI საუკუნეების მამასახლისობის შესახებ ძლიერ ცოტა წყარო გვაქვს. XVII—XVIII საუკუნეთა მამასახლისობის ინსტიტუტი დაწვრილებით შევისწავლეთ სხვა ნაშრომში[1].

უძველესი ქართული წყარო, რომელშიც მამასახლისია დამოწმებული როგორც მსხვილი მოხელე — ევსტათი მცხეთელის მარტვილობაა (VI ს.), სადაც ვკითხულობთ: „რაჟამს ამჴედრებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანს“ სთხოვეს საპყრობილედან ევსტათი მცხეთელის განთავისუფლებაო[2].

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 409—411, 439—442.

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V—IX საუკუნეების ქართულ ძეგლებში სხვა შემთხვევა მამასახლისის ხსენებისა არ არის.

ლეონტი მროველი (XI ს.) რამდენჯერმე ახსენებს მამასახლისს, მისი გადმოცემით უძველეს პერიოდში ქართლოსის ძის მცხეთოსის დროს ქართლოსის შვილებს შორის ატეხილ ბრძოლისას, მათ შორის არავინ იყო „უწარჩინებულეს" და ის ვინც მცხეთას იჯდა და მცხეთას მართავდა არ იწოდებოდა არც მეფედ, არც ერისთავად, არამედ მამასახლისი ერქვაო[3], შესაძლებელია აქ ლეონტი მროველს შემონახული ჰქონდეს საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიიდან მომდინარე ტრადიცია, რომელიც გვაროვნულ წყობილებას ასახავს[4].

ლეონტისავე გადმოცემით, თურქნი „... მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა...", რომ მას მიეცა მათთვის თავშესაფარი. „... ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა". აქ მცხეთელი მამასახლისი ქვეყნის განმგებელს ნიშნავს. მცხეთელმა მამასახლისმა, გადმოგვცემს მემატიანე,„ დასხნა არაგუსზედა" ურიანიო[5].

ლეონტისავე გადმოცემით, ქართველთა პირველი მეფე ფარნავაზი იყო მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისწული. ფარნავაზი უთვლის დასავლეთ საქართველოს მთავარს ქუჯის, რომ ის არის „ნათესავი უფლოს, მცხეთოსის ძისა და ძმისწული სამარა მამასახლისისა..."[6]

ასეთია ცნობები, რომლებიც გვაქვს ლეონტი მროველისაგან მამასახლისობის შესახებ. ამის მიხედვით ძნელია რაიმე დასკვნის გამოტანა. ტერმინი მამასახლისი, რომ გვაროვნული წყობილებიდან უნდა მომდინარეობდეს, — ეს შესაწყნარებელია. მაგრამ თუ მემატიანის ცნობებს დავეყრდნობით, მამასახლისს სამოხელეო, ქვეყნის საგამგეო ფუნქციებიც ჰქონია. საკვირველი არაფერია იმაში, რომ გვაროვნული წყობილების რომელიმე ინსტიტუტს, ამ შემთხვევაში — მამასახლისობას, კლასობრივ საზოგადოებაში შეეცვალოს შინაარსი და, ახალი ვითარების შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაური ან სახელმწიფოს რომელიმე კუთხის მმართველი, ანდა სხვა მოხელე შეიქნას. ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან ხომ დანამდვილებით ჩანს, რომ მამასახლისი მთავარია ე. ი. დიდი მოხელეა ქართლში.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მამასახლისი უძველესი პერიოდის საქართველოში მეფეს უნდა რქმეოდათ, მკვლევარს მოყავს ლეონტი მროველის ზემომოყვანილი ცნობა, რომელიც მისი აზრით, ლეონტის რომელიმე ძველი ქართული წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული და ის სინამდვილეს უნდა შეეფერებოდესო. ივ. ჯავახიშვილის აზრით ქვეყნის უზენაეს საჭეთმპყრობელს ძველად მამასახლისი ჰრქმევია. მაგრამ, მამასახლისი მხოლოდ მეფეს კი არა, „არამედ თემისა და თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა სახელადო"[7]. საგვარეულოს „მმართველს" ივ. ჯავახიშვილი მამასახლისს იმიტომ უწოდებს, რომ მას მეფობა მამასახლისობითგან წარმოშობილად მიაჩნია.

ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: თუ მმართველობის ადგილობრივ ხელისუფალს მამასახლისი ერქვა, მაშინ მეფე-მამასახლისი სახელწოდების მხრივ

[3] ქართლის ცხოვრება, წ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 11.

[4] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, 1951, გვ. 11—12.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15—16.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 20, 22.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 171—172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით უნდა განესხვავებინათ ადგილობრივი მამასახლისებისგანო? შეიძლება მას მცხეთის მამასახლისი რქმეოდა, ისე როგორც კათალიკოსს მცხეთის კათალიკოსი ერქვა, მაგრამ მაინც, განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, ეს საკმარისი არ არის ამ საკითხის გამოსარკვევადო. შეიძლება მცხეთის მამასახლისს ხელმწიფე ერქვა, რადგანაც საქართველოს მეფეები XI—XII საუკუნეებში ხელმწიფის სახელს ატარებდნენ და ხელმწიფე კიდევ სრულუფლებიან ხელისუფალს ნიშნავსო. მაგრამ, განაგრძობს ავტორი, რადგანაც არც უძველეს ქართულ ძეგლებში და არც საღვთო წერილის უძველეს თარგმანებში მეფეს ხელმწიფე არ ეწოდება, ამიტომ ტერმინ ხელმწიფის საკითხი ამ შემთხვევაში მოხსნილიაო. უძველეს ძეგლებში სუვერენის გადმოსაცემად მეფე იყო, „რომელიც თავდაპირველად „მეუფე“-დ გამოითქმოდა და იწერებოდა“, ამიტომ მცხეთის მამასახლისს სხვა მამასახლისებისაგან განსხვავებულად, ალბათ, „მეუფე მამასახლისი“ ერქმეოდაო[8].

ივ. ჯავახიშვილი ლაზარ ფარპეცის იმ ცნობიდან, რომ სპარსეთის მთავრობამ ქართლიდან გაიწვია ქართლის „ბდეხში“ ანუ პიტიახში არშუშა და ქართლის სხვა ტანუტურნი ანუ მამასახლისნი, ასკვნის: როგორც პიტიახში ჰერეთის მთავრის თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ისევე მამასახლისნი ქვეყნისანი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სხვადასხვა თემთა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყოო. ამის დასადასტურებლად მკვლევარი უთითებს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ზემოთ მოყვანილ ციტატზე: ამ ცნობაში, — სწერს ივ. ჯავახიშვილი, — „პიტიახშის გარდა, რომელიც ნამდვილად ჰერეთის მთავარია, იხსენიება გრიგოლ ქართლისა მამასახლისიც... საფიქრებელია, რომ ამავე წყაროს ცნობაში ზოგადად დასახელებული „ქართლის მთავარნი“-ც ალბათ სხვადასხვა თემის საქვეყნოდ გამრიგენი, მამასახლისნი უნდა ყოფილიყვნენ“. ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „ამ ნაირად ცხადი ხდება, რომ უმცირესი სოციალური და ადმინისტრატიულ ერთეულთაგან, დაბა-სოფლითგან მოყოლებული ყველა ერთეულების (ქალაქისა, ხევისა, თემისა და თვით მთელი სამეფოს) უფროს ხელისუფალთა აღმნიშვნელ ტერმინად მამასახლისი ყოფილა“[9].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი, რომელსაც აქვს ცნობა მცხეთის მამასახლისისა და პირველი მეფე ფარნავაზის შესახებ, ასხვავებს ერთმანეთისაგან მამასახლისობის პერიოდს — მეფობის პერიოდისაგან[10].

ს. ჯანაშია, ევსტათი მცხეთელს ზემომოყვანილი ციტატის გარჩევასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ქართლის მამასახლისის თანამდებობის არსებობა VI საუკუნეში დამამტკიცებელია იმისა, „რომ ქართლის მეფის ხელისუფლება მამასახლისობიდან არ არის წარმომდგარი, რადგანაც მეფობის მოსპობის შემდეგაც ირანელები მამასახლისის ინსტიტუტს სტოვებენ და რომ შესაძლებელია ქართლის მამასახლისის არსებობა მეფობის ხანაშიაც ვივარაუდოთ“[11].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „სოფლის მამასახლისის“ ხსენება XI საუკუნის წინანდელ ძეგლებში ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ XI საუკუნის შემდეგდროინდელი მამასახლისობის შესახებ ცნობები გაგვაჩნია და ეს ტერმინი (მამასახლისი) „იმ უძველესი ხანის წესწყობილების ნაშთი უნდა იყოს,

---

[8] იქვე, გვ. 172—173.

[9] იქვე, გვ. 185.

[10] ივ. სურგულაძე, სახელმწიფო წარმოშობა საქართველოში, 1951, გვ. 11—12.

[11] ს. ჯანაშია, შრომები, I, 1949, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც დაბა-სოფლების მოსახლეობა მომეტებულ ნაწილად ერთი რომელიმე გვარის ან „სახლის კაცთაგან შესდგებოდა და როდესაც დაბა-სოფლის უფროსი მართლაც ამ გვარის მამასახლისი უნდა ყოფილიყო“. ლეონტი მროველის „მცხეთის მამასახლისი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმას ნიშნავს, რომ „ქალაქის უფროსსაც მამასახლისი ჰრქმევია“, შემდგომ, უფრო გვიან, ეს თანამდებობა არსებობდა, მაგრამ „უფრო ჩამომცრობილი“ და გარკვეული ხანიდან არაბულ-სპარსული ტერმინ „მელიქთან“ შეერთებული (მელიქ-მამასახლისი)[12].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინი მამასახლისი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს, მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში ძირეულად შეიცვალა მისი შინაარსი, ამ მხრივ გვაროვნულ და კლასობრივ საზოგადოებათა მამასახლისობას შორის არსებითი განსხვავებაა, ამასთანავე, კლასობრივი საზოგადოების სოფლის მამასახლისს შემორჩა ისეთი ელემენტები, რომლებიც თემური მიწათსარგებლობის ზოგიერთი ნიშნების შემონახვასთან დაკავშირებით, ამჟღავნებენ სოფლის მამასახლისის ერთგვარ კავშირს უკლასო საზოგადოების მამასახლისთან[13].

ს. ჯანაშიას აზრით „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მიხედვით მამასახლისი, ერთ-ერთი მთავარი იყო, ის შედიოდა „ადგილობრივ უმაღლეს მოხელეთა შტატში“, მაგრამ „რა უფლება-მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული ქართლის მამასახლისს, არ ჩანს“[14].

გ. მელიქიშვილის აზრით, „ძეგლი ერისთავთაში“ ნახსენები ლარგვისის მამასახლისი, მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენელია ადგილზე და მისი აზრით, შეიძლება, უძველეს პერიოდში, გვაროვნული წყობილების დროს მამასახლისი მართლაც ნიშნავდა გვარის უხუცესს, რამდენადაც „სახლი“ „გვარს“ ნიშნავდა, მაგრამ გვაროვნული თემის — სოფლის ტერიტორიულ თემად გადაქცევის პროცესში მოხდა „სახლის“ და „მამასახლისის“ ცნების შინაარსის დავიწროება, შეცვლა, გაჩნდა ახალი ცნება, „სამეფო სახლი“, ფეოდალური „სახლი“ და სხვა. ასეთ ვითარებაში, „მამასახლისმა“ მოხელის შინაარსი მიიღო, „მამასახლისს“ გ. მელიქიშვილი თარგმნის სიტყვით „Старейшина“[15].

მამასახლისობის ინსტიტუტს სპეციალური წერილი მიუძღვნა აკ. შანიძემ და პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ მამასახლისი იყო მონასტრის წინამძღვარი. გარდა ამისა, VI ს. ქართლში ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით, მამასახლისი იყო მსხვილი მოხელე, მთავარი. აკ. შანიძის აზრით პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით, მამასახლისი მონასტრის წინამძღვარს ეწოდება და დიდ მოხელესაც. პეტრიწონის მონასტერი მის დამაარსებელს გრიგოლ ბაკურის ძეს გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან, მას უნებებია, რომ „მონასტერი იყოს თავისუფალი ყოვლითურთ, აზნაურ და თჳთქელმწიფე, თჳთმფლობელ დაუმგონებელ და რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ: სამეუფოსა და საპატრიარქოსა, სამიტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა და სამამასახლისოსა ყოვლისა“. სამეფოსა და სამამასახლისო გადასახადების გარდა, აქ დასახელე-

---

[12] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 185.

[13] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVII, 1949, გვ. 29, მისივე საქ. სახელმწ. და სამართ., ისტ. გვ. 419.

[14] ს. ჯანაშია, შრომები, გვ. 17.

[15] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1952, გვ. 404.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია პატრიარქისა, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსისათვის გათვალისწინებული გადასახადები, სამივე გადასახადი საეკლესიო პირთათვისაა გათვალისწინებული, სამამასახლისო კი, ისევე — როგორც სამეფო, საერთო გადასახადია. პირველ ყოვლისა, აკ. შანიძე მართებულად აღნიშნავს, რომ „სამამასახლისო ამ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მონასტრის მამასახლისის სასარგებლოდ გათვალისწინებული გადასახდელი, რადგანაც ამავე ტიპიკონის სხვა ადგილას მონასტრის მამასახლისის წლიური სარგო 40 დრაჰკანი, იყო დაწესებული: „წინამძღვარი მონასტრისაჲ აიღებდეს დრაჰკანსა ორმეოცსა“[16].

აკ. შანიძეს ტერმინ სამამასახლისოს შინაარსის დასადგენად მოყავს ტიპიკონის ბერძნული ტექსტი ს. ყაუხჩიშვილის თარგმანის მიხედვით. „ჩვენ აგრეთვე განვსაზღვრეთ, რომ... მონასტერი არის თვითმფლობელი, თავის თავად მქონებელი თავისთავზე ბატონობისა, რომელიც არ ექვემდებარება არავითარი სახის გადასახადს: არც სამეფოს, არც საპატრიარქოს, არც რომელიმე ღვთისმოყვარე მიტროპოლიტისას, ან ეპისკოპოსისას, ან სხვა რომელიმე საეკლესიო ან სამთავრო პირისას, ან რომელიმე ჩვენი შინაური ნათესავისას“[17]. ა. შანიძის დასკვნით ბერძნული ტექსტი „სიტყვა-სიტყვით არ ემთხვევა ქართულს, მაგრამ აზრი იგივეა“. ქართული ტექსტის სამამასახლისო გადასახდელს ბერძნულში უდრის „სამთავრო“ გადასახდელი. მაშასადამე, მამასახლისი ყოფილა მთავარი, ბერძნული არხონტი. აკ. შანიძე ყურადღებას აქცევს იმას, რომ არხონტის ნაცვლად, გარდა „მამასახლისისა“, ამავე ძეგლში სხვა ქართული სიტყვებიც არის ნახმარი: „მთავარი“, „ერისთავი“ და „თავადი“. გამოდის, რომ სამამასახლისო გადასახადი ყოფილა გადასახადი მთავრისა, ან თავადის, ან ერისთავის. დაპყრობილ ბულგარეთში არხონტი მხარის, ოლქის მმართველი იყო. ტიპიკონის მიხედვით „სამამასახლისო“ გადასახადი იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის სასარგებლოდ გათვალისწინებული გადასახდელი. იმ მხარის, იმ ოლქის არხონტის ანუ მთავრის გადასახდელი, რომელ ოლქშიც იმყოფებოდა მონასტერი).

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში „არხონტის“ ბადლად, სინონიმად ნახმარია — მამასახლისი, ერისთავი, მთავარი და თავადი. გადასახადს კი ეწოდება არა საერისთაო, ან სათავადო, ან სამთავრო, არამედ „სამამასახლისო“ იმიტომ რომ საქართველოში ასეთი ტერმინი („სამამასახლისო“) იყო ჩვეულებრივი. ამასთან დაკავშირებით აკაკი შანიძეს მოყავს XI საუკუნის ძეგლი (ბაგრატ IV სიგელი), რომლის მიხედვით სამეფო დარბაზი მეფის თავმჯდომარეობით არჩევს ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრების მამულების შესახებ სადაო საქმეს. სიგლის მიხედვით, მეფემ სადაო მამული მიჯნაძორელებს მისცა, სამაგიეროდ ოპიზის მონასტერს სოფ. ბარევანი უბოძა: „... თავსა ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოჲსა და სამსახურებელისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ და გარდავსწყვიტე მათ შორის საზიდი და სარჩელი“. ამ შემთხვევაში სოფელი ბარევანი, აკ. შანიძის აზრით, შედიოდა იმ სოფელთა რიცხვში, რომელთაც „სამამასახლისო სამსახურებელი“ ემართა. „სამამასახლისო“ ნიშნავს მამასახლისისათვის განკუთვნილს, ტაოში მეფეს მამულები ჰქონდა და ამიტომაც სამამასახლისოც ერგებოდა[18].

[16] აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონის ქართული რედაქცია, 1971, გვ. 87.

[17] გეორგიკა, 5, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1963, გვ. 133.

[18] აკ. შ ა ნ ი ძ ე, მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 1, გვ. 107—110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ IV სიგელს ივ. ჯავახიშვილიც შეეხო: „სამამასახლისო სამსახურებელის“ შესახებ მას აღნიშნული აქვს: სამეფო სახლობის წევრებს „უფლისწულები“ ეწოდებოდათ, მათ სამფლობელოებს კი „საუფლისწულო“ ერქვა, ამგვარადვე, „მეფის პირად კერძო საკუთრებას „სამამასახლისო სამსახურებელი“ ჰრქმევია, თითონ ისიც (ე. ი. მეფეც) მამასახლისად ყოფილა მიჩნეული“[19].

ს. ჯანაშიას აზრით, „სამამასახლისო სამსახურებელი“ ახალ ნიადაგზე ფეოდალურზე — წარმოშობილი ინსტიტუტია, მაგრამ თვითონ ტერმინი იმაზე მიუთითებს“, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მიწის ფონდი, რომელიც „მამასახლისის სამსახურის“ ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი“. ამასთანავე, ს. ჯანაშიას აზრით, XI საუკუნის „სამამასახლისო სამსახურებელი“ ერთ-ერთი ელემენტია საკუთრივ სამეფო დომენის, რომლის მეორე ელემენტს დაპყრობილი ტერიტორია წარმოადგენს[20].

სამამასახლისო სამსახურებელი არ შეიძლება იყოს დომენი, სამართლის კერძო საწყისებზე დამყარებული საკუთრება, რადგანაც „სამსახურებელი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს გადასახდელს დაწესებულს მამასახლისისათვის და ეს გადასახდელი მიწის საკუთრებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვიმეორებ, ის არ არის თვითონ საკუთრება.

გ. მელიქიშვილს „სამამასახლისო სამსახურებელი“ ორ მნიშვნელობით ესმით: 1) მიწის ნაკვეთი, ე. ი. საკუთრების უფლება მიწაზე და 2) მოვალეობანი ანუ გადასახდელები მამასახლისის სასარგებლოდ[21]. როგორც ვთქვით, პირველი მნიშვნელობა არ უნდა იყოს სწორი, ხოლო გ. მელიქიშვილის მიერ აღნიშნული მეორე მნიშვნელობა მართებულია და „სამამასახლისო სამსახურებელი“ ნიშნავს იმ გადასახდელებს, რომლებსაც იხდიან მამასახლისის სასარგებლოდ.

ბაგრატ IV-მ ამ სიგელის მიხედვით სოფელი ბარევანი უწყალობა ოპიზართ, ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის, ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის აზრით, ეს სოფელი მას ეკუთვნოდა როგორც მამული, საკუთრება სამართლის კერძო საწყისებით. იმიტომ შესწირა მან ეს მამული მონასტერს რომ იგი მისი კერძო საკუთრება იყო და საერთოდ, ბაგრატსაც, ისევე როგორც მის მამას, ტაოში ჰქონდა დომენი ე. ი. მამულები და ამიტომაც ითვლებოდა ბაგრატ მეფე ამ ადგილის მამასახლისად. ისე როგორც უფლისწულს ჰქონდა საუფლისწულო, მეფესაც ჰქონდა სამამასახლისო.

როცა ვადარებთ ერთმანეთს ბაგრატ IV-ის ამ სიგელს, და პეტრიწონის ტიპიკონს, ჩვენს წინაშე ასეთი საკითხი წამოიჭრება: ბერძენ არხონტს არ შეეძლო სამამასახლისო აელო საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით ისევე, როგორც — ბაგრატ IV-ეს, ამ შემთხვევაში ბაგრატის IV-ისა და ბერძენი მთავრის მდგომარეობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგრამ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბაგრატ IV-ემ ბარევანი გასცა წყალობის სახით, არა როგორც მესაკუთრემ, არამედ როგორც „სამამასახლისო სამსახურებელის“ მქონემ, ვთქვათ, სოფ. ბარევანი რომელიმე ფეოდალის საკუთრებაა, ან კიდევ სათემო სოფელია, რომელიც ბაგრატის (ამ კუთხის მმართველის, მთავრის, მამასახლისის) სასარგებლოდ იხდიდა გარკვეულ გადასახადს, და ბაგრატმაც ბარევანი

---

[19] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., გვ. 174.

[20] ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 173, მისივე, შრ., I, 1949, გვ. 169. 282.

[21] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузий, 1959, გვ. 413.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპიზართ მხოლოდ ბარევანიდან ასაკრეფი სამამასახლისო გადასახადი უწყალობა. ძნელია ამ მხრივ რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება, რამდენადაც გვაქვს მხოლოდ ორი საბუთი და ამ ორად ორი დოკუმენტის განზოგადება ჭირს. ყოველ შემთხვევაში, ერთი კი ცხადი უნდა იყოს: ბაგრატის სიგელისა და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის სამამასახლისო ერთმანეთს ძლიერ ჰგავს და აკაკი შანიძის დასკვნა, რომ XI საუკუნეში მამასახლისი საერო შინაარსის მსხვილი მოხელე იყო, ისევე, როგორც ევსტათი მცხეთელის...' ქართლის მამასახლისიო, მათებული უნდა იყოს.

„ძეგლი ერისთავთაც“ ამ მოსაზრების დადასტურებას ხელს უწყობს. ამ ძეგლის მიხედვით, მამასახლისი არის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, „პატივი და ხელი“ მამასახლისს „მეფეთაგან მოცემული“ აქვს[22]. ე. ი. მამასახლისი მეფის მიერ დანიშნული მოხელეა. ძეგლი შედგენილია XIV საუკუნის დასასრულსა ან XV საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ ის გადმოგვცემს ქსნის საერისთაოს ისტორიას (VI საუკუნიდან). ამგვარად, ძეგლში მისი შედგენის წინანდელი დროის ვითარებაც არის ასახული, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ მამასახლისი მეფის მოხელეა, რომელიც ადგილზე განაგებს საქმეებს ე. ი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელია. ასევეა ეს საკითხი წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაშიც[23].

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უფრო გვიან მამასახლისი ქალაქის მსხვილი მოხელეა და მელიქთან ერთად ქალაქის საქმეებს განაგებს, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში კი ქალაქის გამგებლად ამირთა ამირა და ამირა ჩანს, ხოლო მამასახლისი არ არის მოხსენიებული, ქალაქის მოხელეებში[24].

ტერმინი „მამასახლისი“ გვხვდება ოთხთავში და ნიშნავს სახლის უფროსს, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში (V—X სს.)[25] კი ნიშნავს სახლის უფროსს, მონასტრის წინამძღვარს და დიდ მოხელეს.

გრიგოლ სურამელის სიგელში (1245—1250) შიომღვიმის მონასტრისადმი მამასახლისი ნიშნავს ერისთავთ-ერისთავის მოხელეს. ასევეა, „ძეგლი ერისთავთაში“ და ბიჭვინთის იადგარში (XVI ს. მეორე ნახ.), ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ძეგლებში, როგორც ვთქვით, მამასახლისი, ქალაქის ან სოფლის მოხელეა“[26].

მოძღვართ-მოძღვრის ილარიონის გელათისადმი შეწირულების წიგნში (1513 წ.) მამასახლისი საერო დანიშნულების მოხელეა. სიგელის კრულობით ნაწილში მოხსენიებულია: „მეფე“, „ციხისთავი“, „ნაცვალი“ და „მამასახლისი“.

---

[22] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას რედაქციით (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 349, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ. 1965, გვ. 103.

[23] ს. ჯანაშია, შრ., გვ. 163, Г. А. Меликишвили, К историй древней Грузии, 1959, გვ. 405.

[24] ივ. სურგულაძე, საქ. სახელმწ. და სამართლის ისტ., გვ. 433—442, 409—491.

ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 1970, იხ. ჴელმწიფის კარის გარიგების ლექსიკონში „ამირა“ და „მოურავი“ დასტურლამალის ლექსიკონში. გვ. 409—491. 433—442.

[25] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, 1948, მისივე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1949 (იხ. ლექსიკონი).

[26] ქართული სამართლის ძეგლები, II, დოლიძის რედ. 1966, გვ. 37—38, 102, 178, 249, 261, 205, 313, 484.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლებში გვხვდება გორის მამასახლისი (სიგელი 1660 წ.), „თრიალეთის მამასახლისები“, ხოლო თბილისის მამასახლისი. ხშირად გვხვდება XVII—XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრები[27].

აკ. შანიძის დასკვნით, საქართველოში მთავარი მემკვიდრეობით მიღებულს მამულს ფლობდა და ამ მხარის მამასახლისად ითვლებოდა. ტაოში ასეთი მამულის მფლობელი თვით ბაგრატ IV იყო, რომელსაც ამ მხარეში „სამამასახლისო სამსახურებელიც“ ეკუთვნოდა, ბულგარეთში კი, სადაც ქართველთა მონასტერი იყო, „სამამასახლისო“ ხარკი იკრიბებოდა არხონტის სასარგებლოდ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დანიშნული.

მამასახლისის საკითხთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ტერმინი ტანუტერი.

450 წელს ირანის შაჰის იეზდიგერდ II-ის ბრძანებით სპარსეთში ჩასულა „ქართველთა ქვეყნიდან ბდეშხი აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“. არშუშა ამავე ძეგლის სხვა ადგილასაც წოდებულია „ქართლის ბდეხშად“[28], 450 წელს იეზდიგერდის ბრძანებით ირანში გაიწვიეს სამი ქვეყნის დიდი მოხელეები: სომხეთის, ალბანეთის და საქართველოსი. არშუშა, ისე როგორც მისი შვილი, ვარქსენი, ქვემო ქართლის პიტიახშია.

ცნობა 450 წელს სპარსეთის შაჰის ბრძანებით არშუშა პიტიახშისა და ტანუტერების გაგზავნის შესახებ სომეხ ისტორიკოს ლაზარ ფარპეცის შრომაშია მოცემული. ივ. ჯავახიშვილსაც მოყავს სწორედ ეს ცნობა: სპარსთა მეფესთან გაემგზავრნენ „ქართველთა ქვეყნიდან არშუშა პიტიახში და სხვანი მამასახლისნი ქვეყნისანი“. ივ. ჯავახიშვილს ბდეხში და ტანუტერი პიტიახშად და მამასახლისადა აქვს გადმოცემული და ეს ასეა. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს კიდეც, რომ ბაგრატ IV-ის სიგელში, ოპიზართა მონასტრისათვის სოფ. ბარევანის წყალობის შესახებ ტანუტერი („ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერნი“) „სომხურად იგივე მამასახლისია“[29].

აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „ტაოსა და კლარჯეთში„ მამასახლის“ ტერმინის ბადლად იხმარებოდა აგრეთვე მისი სომხური შესატყვისი „ტანუტერი“. ამიტომ „სატანუტრო სამსახურებელი“ ამ მხარეში არსებითად იგივე უნდა ყოფილიყო, რაც „სამამასახლისო სამსახურებელი“. ავტორს მოყავს ბაგრატ IV-ის სიგელის ის ადგილი, სადაც ნახსენებია „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერნი“, აკ. შანიძის აზრით, ტანუტერი აქ მამასახლისს ნიშნავს. ტანუტერის შინაარსის დასადგენად, აკ. შანიძე იმოწმებს კორიდეთის სახარების მინაწერებს. ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ბეშქენ ერისთავ-ერისთავი, ათავისუფლებს სოფ. კორიდეთის ხუცებს „სატანუტრო დრამისაგან“. სოფ. კორიდეთი სოფელია ჭანეთში, მურღულის ხეობაში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. წარწერებს აკ. შანიძე XIII ს. მეორე ნახევარს აკუთვნებს. ბეშქენი კორიდეთის სახარების ერთ-ერთი წარწერით ერისთავთ-ერისთავად არის მოხსენიებული. აკ. შანიძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი წარწერის (სულ 24 წარწერაა) მიხედვით ბეშქენი აღიარებს რომ მან კორიდეთს უსამართლოდ დაადვა „ახალი ბეგარი“ და აუქმებს ამ გადასახდელს. სატანუტრო ფულადი გადასახადია, ხოლო ბეგარა, ალბათ, სხვადასხვა სახის

---

[27] იქვე, III, 1970, გვ. 5, 246, 709.

[28] ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 218, 234—235, 242.

[29] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., გვ. 184,208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოების შესრულების ვალდებულება იყო. აკ. შანიძის დასკვნით, ბეშქენ ერისთავთ-ერისთავი იმ კუთხის, იმ მხარის (რომელშიაც იყო სოფ. კორიდეთი) ტანუტერი ანუ მამასახლისი ყოფილა[30].

ტანუტერის შესახებ ცნობებს ვხვდებით გვიანი ხანის სხვა ძეგლებშიც. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ კათალიკოსის სიგელში (1281—82 წწ.) კათალიკოსს ტანუტერი ჰყავს. კათალიკოსი აღნიშნავს: დავით მეფე, როცა ის კლარჯეთის სიმაგრეებში იმყოფებოდა და მტრები მას ემუქრებოდნენ, თქვენ არვანბეგ საბაის ძემ, მეფისათვის თავი დასდევით, ამ სამსახურისათვის, მან გიბოძათ „მცხეთის მკუიდრი შეუბანი“. ამის შემდეგ მოვიკითხეთ კათალიკოსის მამულები კლარჯეთში და სოფ. შეუბანი დავიჭირეთ. თქვენ მოიტანეთ დავით მეფის სიგელი და ეს სიგელი ჩვენ არ შევცვალეთ. მხოლოდ გავაწერეთ სოფელ შეუბანს 20 ლიტრა ცვილი, რომელიც „ჩუენს ტანუტერს სახლობანს მიეცემოდეს“. მაშასადამე, კათალიკოსს ტანუტერი ყავს, ალბათ კლარჯეთში. აფხაზეთის კათალიკოს მალაქიას 1529 წლის სიგელში „გენათის“ ეპისკოპოზისადმი დასახელებულია ის „დაბანი და სოფელნი“, რომლებსაც კათალიკოსი უძღვნის „გენათს“ და სიგელის კრულობის ნაწილში ჩამოთვლილია მოხელეები, რომლებსაც ევალებათ ამ წყალობის სიგელის დაურღვევლობა, მისი დაცვა: აფხაზეთის პატრიარქი, ქართლის პატრიარქი, აფხაზეთის მეფე და დედოფალი, მღვდელ-მთავარი და ეპისკოპოსი, მეფენი და ერისთავთ-ერისთავნი, ათაბაგნი, სპასალარნი, დადიანი, გურიელი, შარვანისა და სომხეთის ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი, ციხისთავნი, ნაცვალი, ტანუტერნი, ამირთ-ამირა, მებაჟე და სხვა[31].

როგორც ვხედავთ ტანუტერი ერთ-ერთი მოხელეა საქართველოში, გ. მელიქიშვილის აზრით, მამასახლისი ნიშნავს სახლის მამას და ეს ტერმინი შინაარსით ახლოა სომხურ ტანუტერთან. ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ოდიშის ოთხთავის მიხედვითაც სომხური ტანუტერის ადგილას ქართულში მამასახლისი წერია[32].

ახლა დავუბრუნდეთ ლაზარ ფარპეცის ცნობას, რომ სპარსეთის მთავრობის მოთხოვნით ქართლის „ქვეყნიდან ბდეხში აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“ გაიწვიეს სპარსეთშიო. ეს გაწვევა მოხდა ქართლიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან ერთდროულად, მაშასადამე, სამივე ქვეყნიდან გაწვეულია თავკაცები, დიდებულები. ამ სამი ქვეყნის თავკაცებს ლაზარი ნახარებსაც უწოდებს, ტანუტერებსაც და აზატებსაც. ლაზარ ფარპეცის ცნობით „ქართველთა ქვეყნიდან ბდეხში აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტესები“ გაიწვიესო, ისე გამოდის, რომ ბდეხში, ე. ი. პიტიახში ერთ-ერთი ტანუტერია. ტანუტერი ზოგად სახელწოდებადაც მოჩანს, რომლითაც დიდებულები, დიდი მოხელეები აღინიშნებიან როგორც ქართლიდან, ისე სამთავე ქვეყნიდან, ასეთივე ზოგადი სახელია ლაზარისათვის ნახარარი და აზატი. ნახარარი ერისთავს ნიშნავს, ხოლო აზატი — თავისუფალს. ჩვენ ამ შემთხვევაში ტანუტერი გვაინტერესებს. ლ. ჯანაშიას აზრით, ნახარარი სომხეთში დიდი ფეოდალური სენიორიის მეთაურს ერქვა, ნახარარები კი თავისი სახლის მიმართ იყვნენ

[30] აკ. შ ა ნ ი ძ ე, მამასახლ. XI ს. საქ., გვ. 112—114.

[31] ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 170, 250.

[32] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, 1970, გვ. 655, 656, ელ. დოჩანაშვილი, ადიშის ოთხთავის კომპოზიტეტი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვ. 29, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანუტერები ე. ი. სახლისუფალნი, „პიტიახში“ და „ტანუტერები“ ლაზარ ფარპეცთან „ერთნაირად არიან მოხსენიებულნი, რადგან პიტიახშიც ისეთივე ტანუტერი იყო თავისი სახლის მიმართ, როგორც ჩვეულებრივი ნახარარები“. ლაზარ ფარპეცის ცნობით, ქართლში ისევე როგორც სომხეთში, — ტანუტერები არიან. ამასთანავე, ტანუტერი, „სახლის უფროსია“, ე. ი. „მამასახლისია“ ქართულად, მამასახლისები კი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მამასახლისი შეიძლება დიდიც იყოს და პატარაც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლაზარ ფარპეცმა ქართლის ამბები კარგად იცის, — ის ქართლის პიტიახშის კარზე იზრდებოდა ყრმობაში[33], — ამიტომ მისი ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლში ტანუტერები ე. ი. მამასახლისები იყვნენო, ანგარიშგასაწევია, მით უფრო, რომ ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, ბაგრატ IV-ის სიგელი, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, კორიდეის სახარების მინაწერები).

გ. მელიქიშვილის აზრით, „სეფე-წული“ თანდათანობით ზოგად მნიშვნელობას იღებდა და ამ ტერმინით ქართლის არისტოკრატიის უმაღლესი ფენა აღინიშნებოდა. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პერიოდში, IV—VI საუკუნეების ქართლში, ასეთივე ზოგადი მნიშვნელობისაა ტერმინები. „ერისთავნი“, სომხური — ნახარარნი“. მთავარნი, სომხური — იშხანნი, მამასახლისნი, სომხური — ტანუტერნი, აგრეთვე — პიტიახშნი; აზნაურნი დიდ-დიდნი, წარჩინებულნი და სხვა[34].

მაშასადამე ერისთავნი მამასახლისნი და სხვა, ისეთი ტერმინები რომლებიც მაშინდელი ქართლის ფეოდალურ არისტოკრატიას საზოგადოების უმაღლეს ფენას გულისხმობენ.

ერისთავი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელიც იყო და მსხვილი ფეოდალიც. მთავარი მამასახლისი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელიც იყო და მთავარიც, ადგილზე მსხვილი ფეოდალი. ასევე იყო პიტიახშიც, რა დამოკიდებულება იყო ერისთავსა და მამასახლისს შორის, ამის შესახებ მასალები არ გაგვაჩნია. ერისთავი როგორც საფეოდალოს უფროსი, როგორც საფეოდალო სახლის უფროსი, იმავე დროს მამასახლისიც უნდა ყოფილიყო.

მეუდაბნოეთა უფროსს, აგრეთვე მონასტერში ძმათა და სამონასტრო ყოფაცხოვრების ხელმძღვანელს მამასახლისი ერქვა, მამასახლისს კიდევ წინამძღვარი ერქვა. გ. მერჩულეს ნაწარმოების მიხედვით, ხანძთას ეპიფანე დაადგინეს მამასახლისად, კოსტანტი კახის მარტვილობაში არის მონასტრის მამასახლისი მოხსენიებული[35]. მაგრამ მონასტრების მამასახლისობას არა აქვს კავშირი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ ნახსენებ ქართლის მამასახლისთან, რადგან ზემოთ მოყვანილი ცნობის მიხედვით, სპარსთა მარზპანთან გამოცხადებულან მთავარნი და სეფეწულნი, ამათგან სამი სახელდობრ არის მითითებული, „სამოელ ქართლისა“ კათალიკოსი, „ქართლის მამასახლისი გრიგოლი“ და „არშუშა ქართლის პიტიახში“. სამოელი იბერიის სამეფოს ეკლესიის მეთაურია. არშუშა პიტიახში იმ ვარქსენ არშუშას ძე პიტიახშის შთამომავალი

[33] ლ. ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 11, 21, 180, 222—223, 228.

[34] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. გ. მელიქიშვილის რედ., 1970, გვ. 656.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1930, გვ. 43.

[36] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 76, 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს, რომელმაც შუშანიკი აწამა, თუ ეს ასეა, მაშინ პიტიახში ქვემო ქართლის განმგებელია, ხოლო გრიგოლი არის ქართლის მამასახლისი, როგორც კათალიკოსი, ისე მამასახლისი და პიტიახში, ალბათ, ყველა მთავარზე და სეფე-წულზე დიდია, იმიტომაც არის იგი განსაკუთრებით დასახელებული. ამასთანავე, სამთავეს მიემართება ტერმინი „ქართლისა“. ამ შემთხვევაში ქართლის მამასახლისი, ქართლის სპასპეტის მაგვარი თანამდებობაა.

სხვა ერისთავებისაგან განსხვავებით სპასპეტს გამოყოფილი ქონდა, — ლეონტი მროველის გამოცემით, — „შიდა ქართლი“. სპასპეტი იყო ცენტრში, მეფესთან და განაგებდა სხვა ერისთავებს[37]. დაწვრილებით სპასპეტის შესახებ საუბარი სხვაგან გვაქვს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი სპასპეტი სპარსულია. VI საუკუნის ძეგლში, რომელშიც მოცემულია მისი დროის ისტორიული მოვლენების აღწერა, შესაძლებელია შემონახული იყოს სპასპეტის ქართული სახელი მამასახლისი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპასპეტის სახელო, როგორც მეფის შემდეგ პირველი პირისა, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მწიგნობართ-უხუცესმა — ჭყონდიდელმა დაიჭირა, მაგრამ — არა მთლიანად, სპასპეტს „შიდა ქართლი“ და მეფის რეზიდენცია ებარა. საქართველოში, როცა თბილისში ჯერ კიდევ ამირა იჯდა, გაჩნდა ქართლის ამირას თანამდებობა, ხოლო როცა ქართველებმა თბილისი აიღეს, მაშინ გაჩნდა სახელო: ამირთა ამირა ქართლისა და თბილისისა. ამირთა ამირას თანამდებობა არსებობდა XII—XVI საუკუნეებში. გიორგი სააკაძე თბილისისა და ქართლის მოურავი ანუ ამირთა ამირა იყო[38].

